644/
1970/4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

9

1970

ვაშა ამ ახალ საქართველოს!

„ბარბარე“ ნახ. ზ. ფორჩხიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

160

გამოცემის მეთოთხმეტე წელი

9

სექტემბერი

1970

თბილისი

50

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

-11.205-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა

3. ედიშერ ქიშიანი. ცაში ასროლილი ჯუდები. რომანი. გაგრძელება
50. კარლო კოზგერიძე. მოთხრობები
78. ბანანა აბალიშვილი. მასწავლებელი ასია მაკაროვნა. მოთხრობა
86. გიორგი მაისურაძე. მოთხრობები
97. ლაშა თაბუკაშვილი. მშვიდობით, ქალბატონო! მოთხრობა

პოეზია

48. ნელი გაბარიჩიძე. ლექსები
72. თამარ ერისთავი. ლექსები
73. ბარიელ ფანტურია. ლექსები
81. სილოვან ნარიმანიძე. ლექსები
95. ჯემალ ინჯია. ლექსები
96. ნოდარ ადეიშვილი. ლექსები
101. ალექსანდრე ბაბაბაძე. ლექსები
102. ხვთისო ფიქლაური. ლექსები

ახალი თარგმანები

104. ივან გუნინი. ლალი სუნთქვა. თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ.

უცხოური ნოველა

107. ალბერ კამიუ. სიზიფეს მითი. ფრანგულიდან თარგმნა ნესტან იორდანიშვილმა

ჩვენი კალენდარი

110. ლევან ასათიანი
111. ლევან ასათიანი. ის, რაც უნდა გვასწავლდეს
114. ვლადიმერ ზაზიკიძე. ისევ ლექსებით, მარად ლექსებით

ლიტერატურული კრიტიკა

119. ლადო აბალიანი. კვლავ ცაბუნია
121. სოლომონ დემურანაშვილი. ფოთა ნიშნიანიძის პოეზია
127. ბუბა გვერდწითელი. დაგვიანებული პასუხი

წერილები

134. იპანე იმანიშვილი. კართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები
140. ავლიკი ზუბანაშვილი. Totus homo. ანუ მთლიანი ადამიანი
145. ირაკლი ხოფერია. ნიკოლოზ ნეკრასოვი და დავით ერისთავი
147. ბუბა მეტანეველი. კრწანისის ბრძოლის ისტორია
151. გიზო ნიშნიანიძე. სიცილის დემოკრატიული გუნება
159. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აკაკი ბაძრაძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე ლორთქიფანიძე,
ოტია კეპეკორია
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფოფხაძე,
ნოდარ ფულეისკირი,
ბარიელ ფანტურია,
სერგი ფილაია,
თამაზ ფილაძე,
ლაშა ჯანაფია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიშერ ყიფიანი

ცაში

ასოლილი ჭუდები

ვ. ი. ლენინის დაბადების ასი და საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ედიშერ ყიფიანის რომანს „ცაში ასოლილი ჭუდები" მიენიჭა მესამე პრემია.

თავი მეოთხე

ბავშვობამ დამამახსოვრა შიში. შეუცნობ საგანს ან ხმას რომ გამოუწვევია. ღამით, ტყეში, ნაცნობ საურმე გზაზე, უეცრად აილანდებოდა რაღაც გამოუცნობი ფორმის ცხოველი. თხემიდან ფეხის ფრჩხილებამდე გამოვლიდა სხეულში ერქოლა, მაგრამ საოცარი ის იყო, კი არ შეეჩერდებოდი, უფრო ავუჩქარებდი ნაბიჯს იმ მაჯლაჯუნასაკენ. რაც შეიძლება მალე მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ მომეჩვენა და საშიში არაფერია, რომ ეს კუნძია ან გზაზე მიტოვებული ფიჩხის კონა... ჩაბნელებულ ოთახში, საბანქვეშ, უეცრად

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 9.

ფეხზე მომედებოდა რაღაც ცივი, მოძრავი, თვალისდახამხამება . საუკეთესა იმ სისწრაფესთან შედარებით, მე რომ საბანს შორს მოვისროდი და ფეხზე წამოვვარდებოდი. ეს იყო გაურკვეველობის მიზეზით აფეთქებული შიში, ელვისებური, მაგრამ აუტანელი ტკივილი. და მთელი სხეული მოითხოვდა, ასევე ელვისებურად განთავისუფლებულიყო ამ ჩამქმოლავი ტკივილისაგან.

ბაკშვობისდროინდელი ეს უსიამოვნო წუთები მაგონდება ახლა, როცა ისევ გაურკვეველობის წინაშე ვდგავარ. ისევ ცივი და ტკინის გამყინავია ეს გაურკვეველობა. კვლავ მოითხოვს მთელი არსება, მიილტვის, უხმო ხმით ყვირის, გაანთავისუფლონ აუტანელი ტკივილისაგან. მაგრამ ახლა ისე იოლი როდია, მიიქცა იმ ბუნდოვან საგანთან და დარწმუნდე, რომ შიჩკა არ არის, ვერც საბანს გაფაიძრობ სწრაფად და ვერ გაარკვევ, რა იყო ეს, გველი თუ შენივე საკუთარი ფეხის გაყინული თითები. და ტკივილი მიყუჩებას არ აპირებს, პირიქით, უფრო და უფრო ფესვს იღრმავებს, ნებიერდება, იმის წყალობით, რომ საიდუმლოების ფარდის ახდას დღეები და თვეები სჭირდება.

სკოლის დერეფანი ცარიელია. გაკვეთილის გამოსვლამდე ოცი წუთი დარჩა. კედელ-კედელ მივყვები და ვთვალიერებ შინაურულ გამოფენას. ჩემშე ყოველთვის ინტერესს იწვევდა ბავშვის ნახატი, ის გაუგებარი ხაზები, ვერასდროს რომ ვერ მიხვდები, რას ნიშნავს, მაგრამ იცი, ბავშვი აქ რაღაც მნიშვნელოვანს გულისხმობდა, შემოხვევით არ წასცდენია ხელი და შენი წარმოსახვით ამართლებ. ახლნაა უძიბნი ამ ხაზს. ეს წარმოსახვის წუთებია სწორედ სიამოვნების მომნიჭებელი. ერთ გოგონას თავისი თავი და ტყუპის ცალი და დაეხატა. ეზოში იდგა ორი ხელგბგაფარჩხული ცოცხალი თოჯინა. ავტორს, ეტყოფა, დიდი სურვილი ჰქონდა დამემტკიცებინა მსგავსება და ამიტომ ტყუპ დიბს ფეხსაცმლის თასმებიც კი ერთნაირად შეკრული და ერთი სიგრძისა ჰქონდათ. მეორე სურათში ცხენზე ამხედრებული ვასილ კიკვიძე გაჭრილიყო ელვენ. მთელი ნახატის სიგრძეზე გაშლილ უზარმაზარ ღრუბლოვანი ნაბადს მიაფრიალებდა, ხმალამოწვდილი კავალერია კი ამ ნაბდის ქვეშ შექუჩებულიყო და კვალდაკვალ ასდევნებოდა მეთაურს. მესამე სურათში რობერტინო ლორეტი მღეროდა, ნახატს მინაწერი ჰქონდა: „როცა რადიოს ვუსმენდი“. მოსწავლეთა ხელგარჯილობის ნიმუშები შუშის ყუთში მოეთავსებინათ. ერთ ციდა ფანდურზე თმის სისქე ნეიღონის სიმები გართხმულიყო. ისე ჰგავდა ნამდვილს, რომ ალბათ ხმასაც გამოსცემდა. პატარა ურემი, აკვანი, რეეულის ოდენა ფიცარზე ზაპესის მოდელი აეშენებინათ. მიშხეოდა ცელულოიდის მტკვარი. ლენინის ძეგლს ჯიბის ფარნის ციცქნა ნათურა ანათებდა. მაღლა, კედელზე, ჭედური ხელოვნების ნიმუშები გაეკრათ. უმთავრესად, ცნობილი ოსტატების მიბაძვა იყო. იქვე ვიღაცას ფანქრით მიეწერა კარებზე: „1. აზნაურთა ტიპები დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში. 2. გ. ტაბიძის შემოქმედება. 3. ხალხთა მეგობრობა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“, ეს ალბათ საგამოცდო ბილეთიდან იყო გადაწერილი.

დერეფნის ბოლოს სკოლის ლიტერატურული წრის კედლის გაზეთი გამოეკრათ. გაზეთს დეკანი ჰქონდა: „პოეზია, უპირველეს ყოვლისა“. მეტწილად ზღაპრები იყო. ერთი იმ ფოთლის ამბავს ჰყვებოდა, ყველაზე პირველი რომ გაიფურჩქნა ყველაზე მაღალ ტოტზე. ამაყობს ამით, მედიდურად გადმოსცქერის ზემოდან დანარჩენ ფოთლებს. „მაგრამ დახეთ მუხთალ ბედისწერას“, ის ფოთოლი ყველაზე ადრე დაჭკნა და ყველაზე ადრე ჩამოვარდა ძირს. კიდევ ერთი ზღაპარი იყო თოვლის ფიფქზე, პატარა, ნაცრისფერ ღრუბელზე რომ ცხოვრობდა და ყოველ დილას რომ კანკალებდა მზის შუშით, არ დამადნოს და არ გამაჭროსო. ერთ დამეს ადარ დაელოდა გათენებას და მოსწყდა ღრუბელს. გულაფართხალებული მოფარფა-

ტებდა წყვიდიადში, არ იცოდა სად დაეცემოდა. გზაში ალიონმა მოუსწრო. და რასა ხედავს: მთელი ცა მისი მაგავი ფიფქებით იყო დაფარული. დინჯად, დარბაისლურად მიეკეკავდნენ მიწისკენ. ფული მიეცა თოვლის ფიფქს, „ახლა კი გაკახარბე ბავშვებსო“, მაგრამ მზის შიში მაინც არ შორდებოდა. „აჰა, ამოვიდა მზეც, მაგრამ ფიფქებს თვალი აარიდა, ვითომ ვერც დაინახა“.

უეცრად მოულოდნელ შეყვირებასავით ჩამესმა გაზეთში წარწერილი ნაცნობი გვარი და სახელი. ეროსტროფიანი ლექსის ქვეშ კოხტა ასოებით იყო გამოყვანილი: „პაატა ხერგიანი“. ლექსს „ახალწლის დილა“ ერქვა. სამჯერ თუ ოთხჯერ წავიკითხე, მერე უბის წიგნაკში გადავიწერე:

თოვლზე ყვალი პაატარა ქოშის,
ამ გზით მოსულა ახალი წელი,
ნაძვის ხეები ტყეში და ქოხში,
დათოვლილი და დაუთოვლელი.

ამ ლექსის თოვლმა თითქოს გაამყუდროვა ისედაც ცარიელი დერეფანი. მინდოდა ამომეცნო, რა განწყობილებამ დაწერინა ეს ლექსი ბავშვს, რას ფიქრობდა მაშინ. მეჩვენებოდა, რომ დიდთოვლობისას წარმოსახული დაუთოვლელი ნაძვები სახლების ჭერქვეშ, თუმცა მარტივი, მაგრამ მაინც პოეტური სახე იყო. ლექსი გაგრძნობინებდა სიჩუმეს, რატომღაც ვფიქრობდი, რომ არავინ, სულ არავინ არ იყო გამთენიისას იმ ტყეში. ქოხში კი ეძინათ დაუთოვლელ საახალწლო ნაძვის ხესთან. ეძინა პაატარა ქოშის პატრონსაც საგანგებოდ გაშლილ ახალთახალ ლოგინში.

ამ დილით ველაპარაკე სკოლის დირექტორს, სასიამოვნო გარეგნობის ჭაღარა კაცს. ძველი წრთობის პედაგოგია, ბავშვი კი არა, დიდიც რომ უწესოდ ვერ დაჯდება მისი თანდასწრებით, ყოველ სიტყვასა და საქციელს რომ წინასწარ აგაწონინებს. პაატა არავის არ გაურიცხავს სკოლიდანო, მე მხოლოდ შევთავაზე მის მამინაცვალს, ბავშვი სხვა სკოლაში გადაეყვანა გაუბეზღარობის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მენაბადემ გერი შინ დამაწყვიდიაო. რა თქმა უნდა, ეს დიდ სულიერ ტრავმას მიაყენებდა პაატასო. რამდენჯერმე შეეთვალე, სკოლაში გამოეშვა, მაგრამ არ ჰქნაო.

ვკითხე, რა გაუგებრობა უნდა აგეცილებინათ-მეთქი. მოგეხსენებათ, რას ნიშნავსო ეგ ასაკი, ყველაზე რთული და შეუსწავლელი ასაკთა შორისო. თვითეული ორგანიზმი თავისებურად ეხმაურება სქესის გაღვიძებას. ზოგს ჯაბნის, იმორჩილებს და ათას სისულელეს აკეთებინებს. ზოგი ისეთ ბუნდოვან, მწველებლურ კომშარში ჰყავს გახვეული, აი, სიზმარში რომ ელანდებათ, თავის დაღწევა რომ უნდათ, მაგრამ თან სიამესაც რომ ჰგვრით. ზოგს კი სულს უფფრჩქნის, აყვარებს ყველაფერს, სულიერსა და უსულოს, საკუთარ თვალებსაც კი. მგრძნობიარობას უკიდურესად უღვივებს, ნეტარების ცრემლს აჩვეულ, და ბალღობის შემდეგ კიდევ ერთხელ, თავიდან, მაგრამ სულ სხვა სიმძაფრით აცნობს თითქოს უკვე ნაცნობ გარემოს; ფერებს, სურნელებას, ბგერებს, პროპორციებს, და მისთვის ყველა ეს მშვენიერება, ფერიც, სურნელებაც, ბგერაც და პროპორციაც, თავს იყრის და იდეალურად მაღლდება საპირისპირო სქესში. პაატას უყვარდა ინგა. ჯერ კიდევ უყალბო, უსახო, ბავშვური სიყვარულით. მისი ფარული ფიქრებიც რომ ხმამაღლა მომესმინა, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ სიწმინდესა და სინაზეზეზე მიმანიშნებდა, არაკეთილ ნაჩქარევ ლტოლვას არ შემაგრძნობინებდა. მათი ურთიერთობა ჩემთვის აბსოლუტურად მისაღები და ბუნებრივი იყო. მაგრამ უფროსები ჩაერევნენ სამწუხაროდ. მეტიჩარა, პროვინციული სულის ადამიანი, ინგას დედა. უსაქმობის გამო რომ საზრუნავს უჩენს თავს, ვითომ დაჰკანკალებს შვილს. დღედაღამ ვითომ იმის ფიქრ-

ედიშერ ყიფშიანი
ცაცი ასოლილი ჟუდები

შია, რომ ღირსეული ქალი აღუზარდოს სამშობლოს. ერთი სიტყვით, დედობის ეტალონად ასაღებს თავს და იმას ვერ ხვდები, თუ როგორ აფუძებს ბავშვს უადგილო და უტაქტო ჩარევით. ნაძალადევად ამწიფებს — ბავშვის თანდასწრებით ყველაფერს დეტალურად ხსნის. ყველაფერს თავის სახელს არქმევს...

ინგა და პაატა განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდნენ ერთმანეთს, ექსკურსიებზე შემიმჩნევია, პაატა ყოველთვის თვითონ იკიდებდა მის ბარგს, აბზარა ბიჭებიც ერიდებოდნენ ინგას წყენინებას. ეს სიახლოვე თვალშისაცემი იყო დიდისათვის თუ პატარასათვის, მაგრამ ვიმეორებ, წესიერების ფარგლებს არ სცილდებოდა. მე ვიცი, რომ არდადეგებისას ბავშვები წერილს სწერენ ერთმანეთს. იმ მარცხიანი დღის შემდეგ მე ინგას ვკითხე, თუ ჰქონდა პაატასაგან მიღებული წერილი. სამი ბარათი მომიტანა. ჩემთვის მოსალოდნელ ბავშვურ სამყაროში ჩამახედა ამ ბარათებმა — რა ახალი კინოები ნახა, რა წიგნი წაიკითხა, კინოსა თუ წიგნის შინაარსი, როგორ ისვენებს, ვის შეხვდა, რა ახალი სიგანი დაეშალებათ მომავალი წლიდან. ერთგან პაატა წერდა: „ძალიან, ძალიან მომენატრეო". რა არის აქ შემაშფოთებელი? ინგას დედას კი ზარბაზნის გასროლსაავით მოსჩვენებია, მაშანკლურად დაუწყია კვლევა, ვნახოთ, ვნახოთ, ვისი შვილია, როგორი ოჯახია... ფუჭ. როგორ თუ გერი, აუჭ, როგორ თუ მამინაცვალი, როგორ თუ უბრალო ინჟინერი, ეს რანაირადო, თითქოს ქალიშვილი დღეს თუ არა, ხვალ უნდა გაეთხოვებინა. ამის შემდეგ თვალყური გაიმახვილა, — რატომ მეგობრობ იმ ბიშთან? გუშინ რატომ დაიგვიანე? საღ იყავი, ისევ პაატასთან იყავი? არ განახო მეტი...

პაატას ლექსი უნახავს ერთხელ. ინგასადმი მიძღვნილი, ისიც ბავშვური, გულუბრყვილო. ჩირეკა ჩემთან, პაატას სკოლიდან გარიცხვას მოითხოვდა. მერე მეც დამემუქრა, სამსახურიდან მოვახსნევინებ თქვენს თავსო, სკოლას ვერ უძღვებითო. რას იზამ, მინისტ[illegible]ცოლია. ისე ვიფრინე, ენაჩაკარდნილი გავარდა კაბინეტიდან. ეს იყო აურზაური არაფრის გამო. ეს იყო ულაქმი, გაზულექმული, ცხოვრებისაგან განვაკრებული დედაკაცის ქვეშეცნეული, მაგრამ ყალბი ცდა, რომ მის ცხოვრებას რაიმე ადამიანური აზრი მისცემოდა, შეეთხზა ვალდებულება და მერე შეესრულებინა კიდეც...

მე დირექტორს ეთხოვე, პაატას წერილები მაჩვენეთ-მეთქი. — ინგამ უკანვე წაიღოო, მიპასუხა. როცა დაინტერესდი, რა მოხდა ბოლოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ უვლის და შვილისთვის მაინც მოევლოო“. ეს ალბათ ირიდიონს შეატყობინეს და მეხივით დაეცა თავზე მინისტრის წყრომა. იქნება სხვა ცოდვებიც ჰქონდა და გამოაშკარავების შეეშინდა, აღარ უნდოდა მინისტრისათვის კიდევ გაეხსენებინა თავი, და ბავშვი აღარ დაინდო, წაიყვანა. წაიყვანა და დაღუპა.

ასეთი იყო სკოლის დირექტორის დასკვნა. მე გავაფრთხილე, პაატას მასწავლებლებთან და კლასის ამხანაგებთან ვაპირებ-მეთქი გასაუბრებას. თუ გნებავთ დარწმუნდეთ, რა მაღალი ზნეობის ბავშვი იყო პაატა, მათ აუცილებლად უნდა მოუსმინოთო, დამიდასტურა.

●

სკოლის ზარის ხმამ ფიქრი გამიფანტა. კედლის გაზეთს მოვცილდი და სამასწავლებლოსკენ გავებართე. წუნარ ხეობაში მოულოდნელად მოვარდნილი ნიაღვარივით, ერთბაშად აგუგუნდა მთელი დერეფანი. ბავშვების ცალკეული სახეები, როგორც ათასი სხვადასხვა შენაკადი, იკარგებოდა ამ მოქაფქაფე, მოკისკისე მორეკვში.

სამასწავლებლოს კართან შეკუდექი. მინდოდა გამეგო, იმ მოფუსფუსე პედაგოგთა შორის თუ იყო გვანცა შელიავა, პაატას კლასის დამრიგებელი. ამ დროს უკანნიდან ვიღაც ფრთხილად შემეხო იდაყვზე. მოვიხედე და ვიგრძენი, რომ ჩემს წინ მდგომი, უჩვეულოდ ნაზი, ლიდთვალება ქალი, სწორედ გვანცა შელიავა იყო.

— მაპატიეთ, — თითქოს წაიმღერა მან, — თქვენ ზაალ ანჯაფარიძე ბრძანდებით?

— დიახ, მე ვახლავარ.

— წამბორძანდით, — შებრუნდა და მანიშნა, გამომყეეთო, — დირექტორმა მითხრა თქვენს შესახებ.

მეორე სართულზე ავედით და ისევ დერეფანს გავყეკით. ჩემკენ აღარ გამოიტეხდაეს, პატარა, კოხტა ტანი ჰქონდა. უქუსლო, ყავისფერი ფეხსაცმელები ეცვა. საქმიანად მიაბიჯებდა. ისტორიის კაბინეტის წინ შედგა, გაალო.

— მობრძანდით.

კედლები რუკებით იყო დაფარული. ბნეშენელოვან გეოგრაფიულ აღმოჩენათა და მოგზაურობათა რუკის მეზობლად, არაბთა ხალიფატებისა და რომის იმპერიის რუკები გაეკრთ, მოპირდაპირე კედელზე კი — ჯვაროსანთა ლაშქრობებისა და შუა საუკუნეების ევროპის რუკა. კუთხეში გამოჩენილ ისტორიულ პიროვნებათა სტენდი იყო, პორტრეტების ქვეშ მათი მოკლე ბიოგრაფიები ეწერა.

გვანცა შელიავა ფეხის თითებზე აიწია და ფანჯარა გამოაღო.

— თქვენ ალბათ იცით... — დავიწყე მე.

— დიახ, ვიცი რისთვისაც მოხვედით. ბავშვებს კიდევ ერთი გაკვეთილი აქვთ, მოკლენ, მე დავიბარე.

— ვინ დაიბარეთ?

— პაატას უახლოესი ამხანაგები.

— თქვენ დიდხანს ასწავლიდით პაატას? — ვკითხე მე, რადგან ძალიან ახალგაზრდა მეჩვენა და მინდოდა გამეგო, როდის დაიწყო მასწავლებლობა.

— რაც მასწავლებლობა დავიწყე. კლასის დამრიგებელი გარდაეცვალთ... ჭერა მე დამნიშნეს.

— პაატა მძაფრად განიცდიდა ხოლმე მარცხს? შენიშვნას, ორიანს...

—როგორც ყველა. ჩემთან ორიანი არ მიუღია, — გვანცამ პატარა ხელსახოცი ამოიღო და დაყნოსა.

— თქვენ რას იტყოდით, რა ნაკლი ჰქონდა პაატას? — რაღაც დაბნეულად ველაპარაკებოდი, არ ვიცოდი რა მეკითხა.

— ზედმეტი გატაცება ყველაფრით, რაც აღელვებდა, თუკი ამას ნაკლად ჩავუთვლით. პაატას ბუნებისგან გადაჭარბებული ზომით ჰქონდა მინიჭებული აღტაცების უნარი. უფრო დიდი მასშტაბით, „ვიდრე ეს საჭირო იყო“, ასე

ამბობდნენ პედაგოგები. არანორმალურადაც ეჩვენებოდათ ეს. ახარებდა ყველა სიკეთე თავისთვისაც და სხვის სასარგებლოდაც. გულუბრყვილო აღფრთოვანება იცოდა, რადგან სათნო იყო, ოღონდ ზომას ვერ იცავდა, არც ფიქრობდა ამაზე. გაივლიდა დრო და ყველაფერი შიგნით წავიდოდა, დაიხვეწებოდა. ისეთი მისალმება იცოდა, არ შეეძლო შეხვედრისას ხელი არ მოეხვია, თავი არ გაეხახუნებინა ჩემს მხარზე, თითქოს ჩემი მოკლა-პატრონობა უნდოდა, თითქოს უმწეო ვიყავი და ზრუნავდა. ასე იქცეოდა ყველასთან. ზოგიერთებს ეს აღიზიანებდა, ყალბად და ხელოვნურად თვლიდნენ სიყვარულის ასეთ გამოვლინებას. მისი ასაკისათვის ცოტა ზედმეტად განვითარებული იყო, ბევრს კითხულობდა... — გვანცა მოულოდნელად გაჩუმდა, ისე ამომხედა, თითქოს რაიმე დანაშაულში წავასწარი, — ცოდვას ჩავდივარ, — თქვა ბოლოს, — არ ვიცი, ასე რატომ ვიხსენებ პაატას, თითქოს უკვე...

ეს წარმოთქვა იმ ადამიანის ხმით, მწუხარება რომ გადაიტანა, მაგრამ ბოლოს მიხვდა, სიმტკიცე იყო საჭირო. კიდევ ერთხელ გამაოცა მისმა დიდმა თვალებმა. ალბათ არც შველს, არც ჯეირანს არ ექნება ამოდენა თვალები. როგორც ცოომილი პლანეტარიუმში, ისე დიდხანს უნდებოდა მისი გუგა შემოტრიალებას. თითქოს საკუთარი სინათლე ჰქონდა ამ თვალებს და ალბათ წყვდიადშიაც ბრწყინავდა. კეთილ სიძლიერეს აფრქვევდა ირგვლივ, ამადელვებელსა და დამამშვიდებელს ერთდროულად, თითქოს გკურნავდა და გთავაზობდა „შენი სულის ფარული წყლულებიც გეჩვენებინა, არ დაგემალა. შიშველ მკლავებზე, ნიკაპის ქვეშ და საფეთქელთან ცისფერი ძარღვები მოუჩანდა. ვხედავდი, როგორ უფეთქავდა პულსი ყელთან, თითქოსდა, არც თვითონ გიმალავდა თავისი სულის ცხოვრებას; როგორ ებადებოდა ფიქრი და გამომეტყველება. უჩვეულოდ ქალური იყო, რაღაც უცნობი ნივთიერებისაგან შექმნილი. სავსე, დაბერილ ტუჩებზე სინათლის ნაპერწკალი დაუბტოდა, ... ცა პირს გახსნიდა, ამ ნაპერწკალს კბილები იტაცებდა, ამრავლებდა და ათასწახნაგოვნად ათამაშებდა. კბილები კი ღვთაებრივი სიმღერის მეოხებით დათალილ და დალაგებულ ქვებს უგავდა. ალბათ რამდენისთვის დაუკოფია გული გვანცა შელიავას სილამაზეს, მაგრამ ამ მშვენიერებას ფხიზლად დარაჯობდა მისი დიდი თვალები, უმანკოებისა და სისპეტაკის დამცველ რაინდად რომ აქცევდა ყოველ კაცს.

აი, ასეთი ფიქრი მაფიქრებინა გვანცა შელიავამ, თითქოს უხსოვარ წარსულში დაბადებულმა, წმინდანის შუქით მოსილმა ქალმა.

— იმ ღიღს... ფიჩკულტურის გაკვეთილის შემდეგ... — სიჩუმე დავარღვიე.

— დიახ, — გისმენთო, მანიშნა.

— არ ვიცი როგორ დამთავრდა, როგორ წავიდა პაატა შინ, ინგა რას განიცდიდა, რას ამბობდა...

რაღაცნაირად მბორკავდა გვანცა, მისი თვალები ნებას არ მაძლევდა ჩვეულებრივი დაკითხვა მეწარმოებინა, გამომძიებლის უფლებები გამომემეტყველებინა. არც ვიყენებდი ამ უფლებებს, უბრალო საუბარს ვესაუბრებოდი, მაგრამ ყოველ წუთში მახსოვდა, რომ სამართლიანობის დამცველი ვარ და ეს როლი მის წინაშე უაზროდ და უმეცრულად მეხატებოდა. შეუცნობი უხერხულობა მთოკავდა, თითქოს თვითონ გვანცას უნდა დავეკითხე მე, უნდა გამოეკვლია ვინ ვარ, რა ჯურისა, როგორი ცხოვრება მაქვს გამოვლილი, ცოდვილი ხომ არა ვარ, და დაედგინა, მქონდა თუ არა უფლება სასწორი ამეღო ხელში და ადამიანთა ფაქიზი ფიქრები ან დაუოკებელი ვნებები ამეწონა. ეს კითხვა მელანდებოდა გვანცას თვალებში. უნდობლობის ელვა გაურბენდა ხოლმე სახეზე: „ჯერ ეს მიბრძანეთ, თვითონ ვინ ხართო?“ იქნებ ასეთივე შეკითხვა მოელანდა პილატეს ქრისტეს თვალებში, როცა მსჯავრის გამოტანას შეუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე სხვას გიამბობთ, — წაიჩურჩულა გვანცამ, — სულ ერთი თვის მოსული ვიყავი სკოლაში, როგორ გამაოცა მაშინ პაატამ... ხომ დაიჯერებთ, რასაც ახლა გიამბობთ? — მუდარით შემომხედა.

— რა თქმა უნდა! — მხრები ავიჩეჩე, — ახლაც და ყოველთვის.

— იმიტომ, რომ დაუჯერებელია... მაგრამ ამხანაგებს ჰკითხეთ, ვინც საავადმყოფოში ახლდა.

— მე თქვენი მჯერა, ყველაფერი მჯერა, არავისაც არ ეკითხავ... როშელ საავადმყოფოში, როდის? — ისევ გამომძიებელი ამომიტა პირიდან.

— მათემატიკის მასწავლებელს ორი გაკვეთილი ჰქონდა ზედიზედ, — ეტყობა, გვანცა ყურადღებას არ აქცევდა ჩემს შეკითხვებს, მაგრამ ეს არ მწყინდა, — პირველი გაკვეთილის შემდეგ საკლასო ჟურნალი და თავისი ხელჩანთა მაგიდაზე დატოვა. როცა დამრჩენდა, ხელჩანთა რატომღაც გახსნა და შეჰკივლა, ფული აღარ დახვდა. ხუთასი მანეთი. კლასი გაიტრუნა. ბავშვები ერთმანეთს ათვალიერებდნენ ეშვის თვალით. მასწავლებელმა კლასის დამრიგებელი მოიყვანა, ავადყოფი ქალი იყო, ქეული, გამოცდილი პედაგოგი, რუსულ ენას ასწავლიდა. მსგავს შემთხვევას არ მოსწრებოდა თავის სიცოცხლეში, ეს თავზე ცის დამხობა იყო მისთვის. ხომ გინახავთ მგლოვიარე ადამიანი, ენა რომ ჩაუვარდება მწუხარებისაგან, ძლიერ რომ დაფარფატებს, ყოველ წუთს რომ მოელი, სადაცაა გული წაუვა და დაეცემაო, მაგრამ მაინც ასრულებს თავის მოვალეობას, აკეთებს ყველაფერს, რაც აუცილებელია. რადგან არავინ არ გამოტყდა, გაფითრებულმა და ნიკაპაცახცახებულმა, ხელი გააქნია, ანიშნა მოსწავლეებს, დერეფანში გადითო. მერე სათითაოდ უშვებდა ცარიელ საკლასო ოთახში, კარს ხურავდა: ვინც ამოიღო, უკანვე უნდა ჩაედო ფული, ოღონდ ვერავინ ვერ გაიგებდა ქურდის ვინობას. როცა უკანასკნელი, ოცდამეშვიდე მოსწავლე გამოვიდა დერეფანში, მათემატიკის მასწავლებელი შეეგებრუნდა კლასში და თავისი ხელჩანთა გახსნა. ისევ ცარიელი იყო. ამით კლასის დამრიგებელმა თითქოს დაამტკიცა, ჩემი მოსწავლეებიდან ქურდი არავინ არისო. მაგრამ ამმავმა დირექტორის ყურამდე მიაღწია. დაიძახა მდგომარეობა, დირექტორი მილიციით დაემუქრა მოსწავლეებს, კლასის დახურვაც ახსენა. ჩაკეტა ყველანი ოთახში, მანამდე იქნებით მანდ, სანამ თქვენ თვითონვე არ გამოარკვევთ, ვინ არის ქურდიო. საღამოს რვა საათამდე ჩაკეტილები იყვნენ, შეშფოთებულმა შმობლებმა ეკითხეს. რა ხდებოდა კლასში იმ რვა საათამდე, მე ჯერ კიდევ არ ვიცი კარგად. მხოლოდ პაატა მოვიდა ჩემთან და მტკიცედ, როგორც პარტიელ ჭეშმარიტება, განმიცხადა: მასწავლებელო, ჩვენ კლასში დამნაშავე არავინ არ არისო. დირექტორთან წავედით, ველაპარაკეთ, მაგრამ ეს არავის არ სჯეროდა.

ორი დღის შემდეგ კლასის დამრიგებელი საავადმყოფოში დაწვინეს. დიდი ხანია კიბოთი იყო დაავადებული. ბოლოს ხელი დარია. დღე დღეზე ველოდით მის სიკვდილს. ბავშვებმა წარმოიდგინეს, რომ ამასაც მათ ბრალებენენ და უფრო მოეჭეფრნენ. ნერვიულობდნენ, გაკვეთილებს ვეღარ ამზადებდნენ, ერთმანეთზე ეჭვიანობდნენ და იბუტებოდნენ, კლასი ნელ-ნელა ირღვეოდა... მასწავლებელი ჯგუფ-ჯგუფად დავდიოდით ავადყოფის სანახავად, ეს უფრო გამომშვიდობებას ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ მოკითხვასა და ყურადღების გამოხატვას. ყოველ დილას, გაკვეთილების დაწყებამდე, დერეფნებსა და საკლასო ოთახებს ავსებდა ბავშვების შეკითხვები: „როგორ არის მასწავლებელი?... როგორ არის მასწავლებელი?“

ახლა გეტყვით, რისი თქმაც მინდოდა... წვიმიანი დღე იყო, წვიმიანი კი არა, ჰაერი რომ ნესტიანია, სუსხიანი, ალ წვიმს, მაგრამ... ნაკრისფრად შე-

---

ედიშერ ყიფიანი
ცაში ასროლილი ქუდები

ღებელი რომ გგონია ცა, ქალაქის თავზე ჩამოფხატული...

— დიახ, გასაგებია.

— მე მინდა ზუსტად წარმოიდგინოთ ის დღე... სკოლიდან გამოვედით. თავჩაქინდრული მომდევდნენ ჩემი მოსწავლეები. მართალია, ახალი გაცნობილნი ვიყავით, მაგრამ ჩვენს შორისაც გატეხდა უკვე რაღაც, სამუდამოდ დაირღვა. ამას ყველანი ვგრძნობდნი. ხვდებოდნენ, რომ თვითეულ მათგანზე შემეძლო ეჭვის აღება...

ვხედავ, აღელვებული მოაბიჯებს მათემატიკის მასწავლებელი, თითქმის მორბის სკოლისაკენ. ჩვენ რომ დაგვინახა, ხელები გაშალა და მარილი გამოიქცა. სახე აკრეჭილებული ჰქონდა, ხან იცინოდა, ხან ლაძის იყო ეტირა ბუზუარებისგან. ეს რა მომივიდაო, მოდით აქ, ბავშვებო, ეს როგორ დამემართაო, სხვა გზა აღარ დამრჩენია, ბოდიში უნდა მოგიხადოთო. თითებს იმტვრევდა, ენა ებმებოდა, თავს ძლივს უყრიდა სათქმელს. ასე როგორ აგჩქარდი ამხელა ქალო, მთელი სკოლა ავაწრიალეო. შენ წარმოიდგინე, გვანცა, — მე მომმართა, ბავშვებს ვეღარ გაუსწორა თვალი. — დღეს ქმარი ჩამოვიდა მივლინებიდან და მითხრა — ის ფული მე ამოვიღე შენი ხელჩანთიდან. ბარათიც დაგიტოვეთ. ბარათი კი მე არ მინახავს, გვანცა, არსად არ მინახავს, ეტყობა. ყურადღება არ მივაქციე, და მერე ნაგავს გავაყოლე. კინაღამ მოვკალი ქმარი, მაგრამ რაღა დროსია. ასე არ უნდა ავცუნდრუკებულიყავი. ალბათ, მაპატიებენ ბავშვები...

უნდა შეგეხედათ ამ დროს პაატასათვის, თანდათან გაუღიდდა თვალები, თანდათან გაევსო შუქით. მთელი ცხოვრების მანძილზე რომ სცდებოდა ადამიანი და უეცრად რომ მიხვდა სიმართლეს, აი, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს... — გვანცა შეყოვნდა, სიტყვას დაუწყო ძებნა.

— დიახ.

— მე მინდა ზუსტად წარმოიდგინოთ, როგორი იყო მაშინ პაატა. ღრმად ჩაისუნთქა ბავშვმა ჰაერი და სუნთქვა შეეკრა. სიხარულმა შეუკრა ალბათ სუნთქვა და ხმა აღარ ამოიღება. რაღაც წამოიძახა, რაღაც გაურკვეველი ბგერები. „ეჰეეეე", თუ არ ვიცი... აი, მოებში რომ იციან ძახილი. ქუდი მოიძრო თავიდან და ორივე ხელით მაღლა აისროლა. ქუდი ჯერ კიდევ ჰაერში იყო, როცა პაატა მოსწყდა ადგილიდან და გაიქცა. არ შეჩერებულა, ისე გამოიხედა და ამხანაგებს ხელი დაუქნია, გამომყევითო. ყველა დაედევნა...

— სად წავიდნენ?

— საავადმყოფოში.

— მასწავლებლთან?!

— კარისკაცს არ შეუშვია. პაატა მესერიდან გადაპარული და გაქცეული. კარისკაცი გამოდევნებია. სანატრებმა გამოიხედეს თორმე ამ დროს, სხვა რაღაც მოეჩვენათ, პაატა დაიჭირეს, გამიშვითო, ჩემი მასწავლებელი უნდა ვნახო, გამიშვითო, რა მოხდებაო. როცა გაუგიათ, ვინც იყო მისი მასწავლებელი, როგორ შეიძლება, ძალიან ცუდად არის, გონი დაკარგული აქვს, სულერთია, მანც ვერ გიცნობსო. უნდა მიცნოსო, აუცილებლად უნდა მიცნოსო, არ შეიძლებაა რომ არ მიცნოსო. გონზე მოიყვანეთ, გთხოვთო, გადაარჩინეთო. მორიგე ექიმთან წაუყვანიათ, თუ ნებას დაგრთავენ, შეხვალო. მორიგე ექიმს გაჭკვირვებია, რა დაგემართა. ბიჭო, ასეთი რა უნდა უთხრა, რომ იმხელა მესერზე გადმოძვერარო. თქვენ ვერ გეტყვით, მასწავლებელს უნდა ეუთხრა, გონს მოიყვანეთ, ძალიან გთხოვთო, თუნდაც ერთი წუთით მოიყვანეთ გონსო... ბოლოს შეუშვიათ ავადმყოფთთან. პაატა მასწავლებლის სასთუმალთან ჩაცუცქულა, მიალერსებია. მასწავლებელს თვალი გაუხელია, პაატამ ყურში ჩასჩურჩულა თორმე, ალბათ არ უნდოდა სხვებს გაიგო ის ამბავი. მასწავლებელი ვერ მიმხვდარა. მერე ხმამაღალა უთქვამს პაატას: ოღონ იპოვნენ მასწავლებელმაო, მის მეუღლეს წუალია, არ გაეფრთხილებიაო, ამიტომ ეგონა, მომპარესო. ძალიან გთხოვთ, მასწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელო, ჩვენზე აღარ იფიქროთ ცუდი, არავიზე აღარ იფიქროთ ცუდი, და მუდამ ისე გიყვარდეთ, როგორც გიყვარდითო... ავადმყოფს გაუღიმია, პაატას ხელი მიუკრავს ლოყაზე და დიდხანს არ გაუშვია. „მუდამო“, პაატა, შენ მითხარი „მუდამო?“ და ცრემლი წამოსცლია.

—როდის გარდაიცვალა?

— იმ საღამოსვე. სულზე მიუსწრო პაატამ.

— სიმართლე და რწმენა გაატანა. რწმენა, რაც მთავარია.

ეუცოდ გვანცა წამოდგა, ყური მიუდგა.

— ზარი დაირეკა. ახლა ბავშვები მოვლენ, — მერე მე მომიბრუნდა და წაიჩურჩულა, — ძალიან გთხოვთ, არ გაგვებრძოთ, საიდან ხართ, არ შეეშინდეთ.

— რა თქმა უნდა, თუ არ იციან უკვე.

— არ იციან, მე ვუთხარი, პაატას ჯადრაკის მასწავლებელი მოვიდა-მეთქი პიონერთა სასახლიდან, სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, მაპატიეთ! — ბავშვივით მიამტკიცებდა მთხოვა, შემომაკქერდა, მაპატიებს თუ არაო.

გამეცინა, მე თვითონ მჭირდება-მეთქი ჯადრაკის მასწავლებელი.

— ვაითუ, იცნობენ? — შეშფოთდა გვანცა.

— იქ მარტო ერთი მასწავლებელი ხომ არ იქნება, — დავამშვიდე.

კარი ოდნავ გაიღო, ლამაზმა, მრგვალლოყებიანი გოგომ შემოჰყო თავი და შემოვიდა. დიმორცხვა, ტუჩები აიცმაცუნა, მოგვესალმა. მაღალი გოგო იყო. დასრულებისაკენ მისწრაფებული სხეული გამართულად მოჰქონდა, თითქოს აზმორებდა.

გოგონას კიდევ ერთი გოგო და ორი ბიჭი შემოჰყენენ. ოთხივენი კედელთან აიტუზნენ, უხერხულობისგან არ იცოდნენ, საით გაეხედათ.

— დასხედით! — უთხრა გვანცამ და გრძელ მერხზე მიანიშნა.

თავიისუფლად ამოისუნთქეს და ახლა მერხზე ჩამოსხდნენ.

მე არ მიკითხავს გვანცასთვის, დაიბადა თუ არა ინგა, მაგრამ მივხვდი, რომ ის მაღალი, მრგვალლოყება გოგო, აღელვებისაგან მკერდი რომ აუდ-ჩაუდიოდა, თვალს რომ ვერ მისწორებდა და ალბათ იცოდა ვინც ვიყავი, ინგა უნდა ყოფილიყო. და უნებურად გამახსენდა: „თოვლზე კვალია პატარა ქოშის...“ მეორე გოგონას შედარებით უფრო ბავშვური გამომეტყველება ჰქონდა, უფრო პატარა ჩანდა ინგაზე. ბიჭებს ქოჩრები ვერ დაეყოლებინათ თავიანთ ნებაზე, საულვაშეები აბუსუსებოდათ. ერთს, წარბგატეხილს, პატარა და ჯიუტი პირი ჰქონდა, სულ სიჩუმრად და საკინკლაოდ მოპრუწული, მეორე დიდშუბლიანი იყო, უფრო მორცხვი და წყნარი ჩანდა.

— ყველანი პაატას კლასელები ხართ?

— ვკითხე მე.

— დიახ, მასწავლებელო!

თავები დამოქნიეს და წამოდგომა დაპირეს:

— დასხედით. პირველივე კლასიდან?

— დიახ, მასწ...

და ისევ წამოიწიეს ასადგომად.

— მე არ ვიცნობი კარგად... — ვთქვი და გვანცას შევხედე, — ალბათ ძალიან კარგი ბიჭი იყო.

ბავშვებმა თავები ჩაღუნეს.

— თქვენ შორის ვინ თამაშობს ჯადრაკს? — ვთქვი და გავიფიქრე, „იციან ვინც ვარ, მე კი ვცრუობ, უფრო აღარ მენდობიან“.

— მე, — თქვა წარბგატეხილმა და წამოდგა.

— ეთამაშებოდი პაატას?

— დიახ. ვთამაშობდით ხოლმე, მაგრამ სკოლაში არა, — მასწავლებლისკენ გააპარა მზერა.

— ვინ ჯობნიდა?

— ხან მე, ხან — ის.

— ის უფრო გიგებდა. — შენიშნა დიდშუბლა ბიჭმა.

— არაფერიც.

ედიშერ ყიფიანი
ცაში ასროლილი ქუდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბოლოს ხომ სამი ხელი მოგიგო ზედიზედ.

— ჰო, მერე რა, მორჩება და მეც მოვუგებ.

მხოლოდ ამათ სჯერათ, — გავიფიქრე მე. — მხოლოდ ამ პატარებს.

— შენც თამაშობ?

— დიახ, — წამოდგა მაღალშუბლა.

— რა გქვია?

— კახა.

— შენ?

— გიზო.

— შენ?

— ინგა.

— მერი.

შეკითხვა აღარ დამაცადა მომცრო გოგონამ.

— ლეგენდა, რა თქმა უნდა, გეცოდინებათ ჭადრაკის გამომგონებელზე.

— კი, მე ვიცი, ყველამ ვიცით, — თქვა კახამ და ამხანაგებს გადახედა, — ინდოეთში რომ ვიმოგზაურეთ, მაშინ არ იყო?

— ჰო, მაშინ იყო, — დაუდასტურა მერიმ.

— სად იმოგზაურეთ? — ვიფიქრე. კარგად ვერ გავიგონე-მეთქი.

— ინდოეთში, — კბილები გადმოყარა წარბგატეხილმა. მის თვალებსა და ტუჩებზე პატარა ეშმაკუნებმა დაუარეს დაელური. გახარებული იყო, მე რომ ძალიან გამიკვირდა და თვითონ კი იცოდა, რაზე იყო ლაპარაკი.

— მართლა კი არ ვიმოგზაურეთ, მასწავლებელო, — მომმართა ინგამ, — პაატამ გამოიგონა თამაში...

— აბა, თუ მიამბობ, — წავაქეზე მე.

— განა მარტო ინდოეთში, აფრიკაშიც ვიყავით, ავსტრალიაშიც... ამერიკაშიც, — წარბგატეხილს სწყინდა, ასე მალე რომ ამიხსნეს საიდუმლო და კვლავ გაოგნება უნდოდა ჩემი.

— რას ამბობ?! — გავიკვირვე ვითომ. — ალბათ ერთმანეთს ეჯიბრებოდით.

— დიახ, — თავი დამიქნია ინგამ, — ვისი ისარიც... საათი რომ არის კავშირგაბმულობის შენობაში, ის ვნახეთ, ამერიკელ...

— ათი ისარი აქვს, — ჩაურთო გიზომ.

— მეტიც! — თქვა კახამ.

— ყველა დიდი ქალაქის დროს უჩვენებს, — განაგრძო ინგამ. — ის ვნახეთ ერთხელ...

— ზოგი ისარი ლონდონზე დგას, ზოგი — რომზე, ზოგი...

— შენ მოყევი, — ინგამ სწრაფად შეხედა გიზოს და გაჩუმდა.

— მოყევი... მე ისე ვთქვი.

— პაატა ისრებს აკეთებდა და ამბობდა ხოლმე, ახლა ნეტავ რა ხდება იმ ქალაქში, ახლა ნეტავ რა ხდება იმ კუნძულზეო. და თვითონვე იგონებდა, ალბათ ეს ხდება, ალბათ ის ხდებაო...

— მერე ჩვენც გამოვიგონეთ რაღაცეები. — კვლავ ჩაერია გიზო — წარბგატეხილი, — და მერე ვეჯიბრებოდით. ისრები გვქონდა არჩეული.

— არჩეული?

— დიახ, ჩემი იყო ცისფერი, ინგასი... შენ მოყევი, ინგა, არ გინდა? მე ისე ვთქვი, მოყევი... ინგასი იყო — ლურჯი, პაატასი — ნაცრისფერი. როცა გავიღვიძეთ საათთან, იმ ქალაქზე უნდა გვეთქვა რამე, ჩვენი ისარი რომელზედაც იდგა. ვინც ვერ იტყოდა, წაგებული იყო... ინგა, თუ გინდა შენ მოყევი, მე ისე ვთქვი...

ინგას თავი ჩაეღუნა, ეტყობა, გიზომ ყველაფერი თქვა.

— ისარზე გავიღვიძეთ ხოლმე, — დაუმატა გიზომ, — ინგამ გამოიგონა ეს: ისარზე რომ გავლა შეიძლებოდეს, გავიღვიძეთ და პირდაპირ იმ ქალაქში ჩავხტებოდითო, და ჩვენც ვხტებოდით ხოლმე...

— სანამ გაიღვიძეთ, ისარი ხომ სხვა ქალაქზე გადახტებოდა? — გაუღიმე და ალერსიანი ნიშნისმოგებით თვალები მოვუქუტე გიზოს.

— ეგ არც გვიფიქრია, — თავი მოქაცა გიზომ და მომეჩვენა, რომ დამცინა.

ეტყობა, მათი თამაშის ზღაპრულ პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობითობას ვერ ავუვეი, ძალიან მიწიერი იყო ჩემი შენიშვნა და დაცინვაც ამან გამოიწვია.

უეცრად ინგა წამოდგა. ძაღლაგებდა, თავს ძლივს იკავებდა, რომ ტირილი არ წასკდომოდა.

— მასწავლებელო, შეიძლება? მე...— გვანცას უყურებდა.

— წადი, ინგა, დედა გელოდება, წადი, — შეეშველა, რომ უხერხულობა შეემსუბუქებინა.

— ღიახ, ღიახ, მელოდება...

უკანასკნელი სიტყვა უკვე დერეფანში თქვა. სწრაფად გაიკეტა კარი.

— მაპატიეთ, ახლავე დავბრუნდები, — თქვა გვანცამ და უკან გაჰყვა ინგას.

ბავშვები დაიძაბნენ, თვალებში მიყურებდნენ. ალბათ ელოდებოდნენ, რომ უცნო სტუმარი გაიკვირვებდა ინგას საქციელს, იკითხავდა, რა დაემართოო. მერე გავიგონე, გიზომ როგორ წასჩურჩულა კახას: „ინგას ჰგონია, რომ მხოლოდ მაგას უყვარდა პაატა“. „არაფერიც არ ჰგონია, უყვარდა და უყვარს“. — უპასუხა კახამ.

— ჩხუბობდით ხოლმე პაატასთან? — ვკითხე ბიჭებს.

— ხანდახან, — მერხიდან წამოიზლაზნა გიზო, რადგან მას შევყურებდი.

— შენც გიჩხუბია? — კახას მივმართე.

— წელს არა, შარშანწინ ვიჩხუბეთ უკანასკნელად.

— ინგა და პაატა თუ ჩხუბობდნენ?

— არა, ისე, ხანდახან ებუტებოდნენ ერთმანეთს.

— შენ, მერი?

— არა, მე და პაატას არასოდეს გვიჩხუბია.

— ბავშვებო, წადით თქვენც, — ვუთხარი მე და წამოვდექი.

წამოიშალნენ, კარისაკენ გაემართნენ.

— ნახვამდის, მასწავლებელო.

— ნახვამდის.

— მასწავლებელო, — გამობრუნდა ჩემსკენ გიზო. — მასწავლებელო, მეშვიდე კლასელებს მიიღებენ?

— სად, გიზო?

— წრეში.

— რა წრეში? — გავოცდი მე.

— ჭადრაკის წრეში.

— ა, ჰოო, კი... მე მგონია, მიგიღებენ. მაგრამ, გიზო, მე ალარ ვმსახურობ იქ. მიდი და, მე მგონი, მიგიღებენ, თუ კარგად თამაშობ.

— რა ვიცი. — ისევ კარისკენ გაემართა.

— გიზო, მოიცადე, საქმე მაქვს, — შევაჩერე მე, — იმ დღეებში, გიზო, ბოლო დღეებში, თქვენი კლასელებიდან ხომ არავის უნახავს პაატა?

— კახამ ნახა. კახა! — დაუძახა გიზომ. კახამ ოთახში შემოიხედა, — კახა, მოდი. შენ იმ დღეს, წინა დღეს, ხომ იყავი პაატასთან?

— ჰო, ვიყავი, — კახა მე მიყურებდა, — მეორე დღეს თბილისის ზღვაზე უნდა წაესულიყავით ყველანი, და მივედი, იქნებ პაატაც წამოვიდეს-მეთქი.

— მერე, კახა?!

— აუცილებლად წამოვალ, თუ გამომშვესო, ძალიან გაეხარდა.

— კიდევ რა თქვა, კახა?

— რა თქვა? ისო, სად იკრიბებითო, მალე დავბრუნდებით თუ საღამომდე იქ ვიქნებითო.

—„ვიქნებითო“, ასე თქვა, კახა, თუ „იქნებითო“, აბა გაიხსენე.

— „ვიქნებითო“, — გაიმეორა კახამ. — ჩვენი კლასი მიდიოდა. შავიკრიბეთ ღილით, მაგრამ ალარ წავსულვართ. იმიტომ, რომ მასწავლებელი მოვიდა და გვითხრა, პაატა...

— გასაგებია, კახა. იგ რამოდენა ჩანთა გაქონია, მთელი კლასის წიგნებს შენ დაათრევ?

— ჩანთა კი საკმე აქვს, მაგრამ თავი? — გაიღრიჭა გიზო და კახას გაეცალა.

— ნახვამდის, მასწავლებელო, — თავი დამიკრა კახამ.

— ნახვამდის.

ედიშერ ყიფშიანი
ცაში ასროლილი ჭოჭეგი

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში გვანცა მობრუნდა.

— თქვენ გაუშვით ბავშვები?

— დიახ, მემძინება მათთან საუბარი.

— მე მეშინოდა, მაგრამ თქვენ ძალიან კარგად ესაუბრეთ, მადლობელი ვარ, რომ ჩემი უნებური სიცრუე არ გაიარეთ... უფრო კი იმისათვის გიხდით მადლობას, რომ ინგას არ აგრძნობინეთ, არ გამოაცალკეეთ სხვებისგან. დაბრძანდით!

წასვლას ვაპირებდი, მაგრამ დამიმორჩილა მისმა სიტყვამ, ალბათ შექება მესიამოვნა, ანდა, თვით გვანცას სიახლოვე მიზიდავდა. იგი თავის გარშემო აფრქვევდა თბილ ძალას, როგორც აყვავებული ცაცხვი სურნელებას, და ძნელი იყო საკუთარი ნებით გასცლოდი იქაურობას. ვგრძნობდი, რომ თანდათან მიპყრობდა ცნობისმოყვარეობა. მალულად ვათვალიერებდი გვანცას, თითქოს ამ შეხვედრის შემდეგ უკვე შეუძლებელი იყო ბოლომდე არ გამეგო, ვინ იყო ეს ქალი, რა ფიქრები ებადებოდა, რა უყვარდა, რაზე ოცნებობდა, თითქოს უამისოდ უკვე ვეღარ ვიცხოვრებდი. თან ვფიქრობდი, რომ სისულელეა-მეთქი. ბევრი ლამაზი ქალის გაცნობისას მომჩვენებია-მეთქი ასე. მაგრამ პირველად ვხედავდი ქალს, თავის სილამაზეზე მეტად რაღაც უცნობი თვისებით რომ მიმიზიდა. იქნებ ეს ცნობისწადილია? ერთ-ერთი ძლიერი ვნება ვნებათა შორის.

— შეგწუხეთ, მაპატიეთ, — ვუთხარი მე.

— არ შეგწუხებივართ, — მიპასუხა უბრალოდ.

მინდოდა მეთქვა, რომ შეიძლება კვლავ მოვსულიყავი მასთან ან გამომეძახნა, მაგრამ რატომღაც ენა არ დამემორჩილა.

— ძალიან კარგი მოსწავლეები ბავშვი.

— კარგები არიან, — დამეთანხმა და მოულოდნელად თავისი დიდი თვალებით შემომხედა, — თქვენ გყავთ ბავშვი?

— არა, არ მყავს.

მინდოდა მეთქვა, მე ჯერ კიდევ ულრუნველ ცხოვრებას ვეწევი-მეთქი, მაგრამ ბათ ასე ეუბასუხებდი სხვებს, სხვა ქალებს, მაგრამ გვანცას ვერ ვუთხარი.

იგი კარადასთან მივიდა. დიდხანს აწვალა კარი. მერე გაზეთში ზერელედ გახვეული ქუდი გამოიღო, ლურჯი, კარტუზიანი ქუდი იყო. ხელახლა დაუწყო გახვევა. ვიფიქრე, სისულელეს ვეკითხები-მეთქი, მაგრამ მაინც ვკითხე:

— ეგ ის ქუდი ხომ არ არის?

— დიახ, ის ქუდია!

— პაატას ქუდი?! მაღლა რომ აისროლა?!

სწრაფად გამიძრინა გონებაში მარტივმა ვერსიამ: პაატა და მისი ამხანაგები გაიქცნენ. მათემატიკის მასწავლებელთან განშორების შემდეგ, გვანცამ შეამჩნია მიწაზე დაკარდნილი პაატას ქუდი, აიღო და მეორე დღეს სკოლაში მოიტანა... ეზრი აქ გამიწყდა.

— პაატას ქუდია, გაიქცა, ბავშვებიც მაშინვე დაედევნენ და დაავიწყდათ. მე მოვიტანე სკოლაში, მაგრამ მეორე დღეს პაატა არ მოსულა. მერე დამლაგებელ ქალს სადღაც შეენახა და ვეღარ იპოვა. დაიკარგა. ახლა იპოვა. ტირილ-ტირილით მომიტანა.

მინდოდა მეკითხა, რატომ ახვევთ, სად მიგაქვთ-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე. საერთოდ, შევამჩნე, რომ გვანცას შეკითხვებს ვერ ვაძლევდი, ვერიდებოდი. ან თუ რამეს ეკითხავდი, ვგრძნობდი, ულოგიკო იყო, უშნოდ ვაბამდი სიტყვაზე სიტყვას, ვულწრფილობა და სიზუსტე აკლდა. იქნებ გვანცას წინაშე გაუცნობიერებლად ვმალავდი ჩემს პროფესიას, არ ვამზეურებდი, ზედმეტად არ ვახსენებდი.

ფრთხილად ეკიდებოდა გაზეთის შეკერას. თითებსა და ხელისგულს შორის მოაქცია გაზეთის ერთი კუთხე და თითების ერთდროული და სწრაფი მოძრაობით გაჰყვა, გარშემოუარა. მერე მაგიდაზე დადო და ხან აქ, ხან იქ, ხელი გადაუსვა, თითქოს საბოლოო შესწორებები შეჰქონდა თავის ქმნილებაში.

და ისევ დაჯდა. ამომხედა, მზად ვარ მოგისმინოო. ეტყობა, ეჩქარებოდა, მაგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამ რადგან არ მომინიშნებია მივდივარ-მეთქი, წასვლა აღარ დამასწრო.

— მეტს აღარ შეგაწუხებთ, — თავი დავუკარი მე,— კარგად ბრძანდებოდეთ.

— ნახვამდის, — მითხრა მან და წამოდგა, კიდევ ერთხელ შემომხედა, ახლოს იყო და მის გუგებში ჩემი თავი დავინახე — პატარა, შეცბუნებული კაცი. მერე შეტრიალდა გვანცა და თითქოს თან წამიღო, დაატყვევა ის პატარა კაცუნა.

დერეფანში გავედით. კაბინეტის კარი დაკეტა.

— მაპატიეთ, მე სამასწავლებლოში უნდა შევიარო.

— ნახვამდის, ძალიან ცუდია, ასეთ ვითარებაში რომ გაიცნობ ადამიანს.

— მე, თუ არ ვცდები, უნივერსიტეტიდან მახსოვხართ. პირველ კურსზე ვიყავი, როცა თქვენ ამთავრებდით. ნახვამდის! — გაიღინა მკრთალი, სიზმარული ღიმილით, თითქოს ბურუსი იდგა ჩვენს შორის.

და წავიდა.

თავი მეხუთე

თითქმის ყოველ დილით ვრეკავდი საავადმყოფოში, მეორე კვირა ილეოდა, ბავშვი კვლავ უგონოდ იყო. წუხელ, კლინიკური სიკვდილის შემდეგ, რაღაც სასწაულით გული ისევ აუმუშავებიათ. მორიგი შეტევის მოგვრიების იმედი აღარავის აღარ ჰქონდა. ეს დასასრული სიახლოვეს მოასწავებდა.

ხანდახან საკუთარ თავს შეეკითხებოდი: პაატა რომ ყოფილიყო გულღრძო, აეყია ბიჭი, ათასი მამაძაღლობის ჩამდენი, აკლებული რომ ჰქონოდა ქუჩაც და სკოლაც, ყველას რომ ზიზღით მოეხსენებინა, ასევე განიცდიდი თუ არა მაშინ მის უბედურებას? და ვგრძნობდი, რომ შეიძლება უფრო მძიმე ყოფილიყო ეს ჩემთვის, რადგან ღღეევანდელ ტკივილს დაემატებოდა ფიქრი იმაზე, თუ რატომ გაიზარდა პაატა ასე უზნეო, შეუძლებელი იქნებოდა ეს პაატასათვის დამებრალებინა და მისი სიკვდილი მაშინ ნამდვილად სხვების ბრალი იქნებოდა. სამაგიეროდ, სინანული იყო ახლა უსაზღვროდ დიდი და — აუხსნელი სირცხვილის გაცდა, რომ მას ყოველ წუთს სიკვდილი ელოდა, მე კი ამის მიზეზის კვლევა ჩვეულებრივ, სამსახურებრივ საქმედ გამეხადა, ხელფასსაც კი ვიღებდი. მაგრამ ძალას მმატებდა იმედი იმის დადასტურებისა, რომ პაატას ეს ნაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული. საოცარი ის იყო, რომ გულში ვიქადნიდი,

პერტს კი დაუდგენია, რომ ეს სიმუ-ლანტობა არ იყო. სახის უეცარი წამოსიება თურმე ძლიერი ნერვიული შოკის მიზეზი აღმოჩნდა. და ირიდიონი საბოლოოდ გაუთავისუფლებიათ. ერთი სიტყვით, ომში წასვლისა და სიკვდილის პანიკური შიშს გადაურჩენია. ფრონტზე ისე უნდა წაეყვანათ, რომ არ აღელვებულიყო, არაფრის არ შეშინებოდა, ეს კი ალბათ ძნელი მოსახერხებელი გახლდათ.

1945 წელს თბილისს სამშობიარო საავადმყოფოში მუშაობს, შენობის ნაწილი სამხედრო ჰოსპიტალს ეკავა (საბუთებში არ არის აღნიშნული, რა საქმიანობას ეწეოდა საავადმყოფოში). ომის დამთავრებისთანავე ეყრება პირველ ცოლს. საავადმყოფოდან ხსნიან სამეფურნეო ნაწილის უფროსთან ერთად „სამსახურებრივი მოვალეობის ბორო-ტად გამოყენების გამო“. ქაღალდებიდან ჩანს, რომ ირიდიონ მენაბდე უფროსს ძალდატანებით ჩაუთრევია ამ დანაშაულებრივ საქმეში. ორმოციანი წლების ბოლოს მსახურობს სამშენებლო ტრესტის ტრანსპორტის განყოფილებაში. ამავე პერიოდს ემთხვევა მისი ხელმეორედ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. ირიდიონ მენაბდე დიდმის მასივების მშენებლობაზე მუშაობდა, მისი განკარგულებით და ხელმძღვანელობით თვითმცლელები სილას ეზიდებოდნენ შორეული კარიერებიდან. ირიდიონ მენაბდის მაშინდელი „საქმე“, ჩემი აზრით, უნდა შეიტანონ ფსიქოლოგიის სპეციალურ სახელმძღვანელოში იმის სამაგალითოდ, თუ რა ფანტაზიას უღვიძებს ადამიანს უფროსისადმი მონური შიში: მშენებლობის მთავარი ინჟინერი მიმხვდარა, რა ადვილი მოსაზელი ცომიც იყო ირიდიონი, რა ოოლად შეიძლებოდა მისი ხელით ნარის გლეჯვა. გაუთთხია კაბინეტში,... ცუდად მუშაობო, დაურეშუნებია. და დამუქრებია, — მოგხსნი და პასუხისგებაშიც მიგიცემო. საგანგებოდ მიგზავნილ კაცს კი ვითომ შემთხვევით წამოსცდენია ირიდიონთან, მთავარი ინჟინრის რისხვაშ-ლოდ ქრთამი თუ დააცხრობსო. ირიდიონმა იცოდა, რომ არ მუშაობდა ცუდად, მაგრამ სამართლის ძენა არ დაუწყია. ფიქრს შესდგომია, როგორ ეშოვნა ფული. და შიშს, ერთი წუთით, გამომგონებლის ნაპერწკალი გაუელვებია მის გონებაში: ირიდიონი მოლაპარაკებია ზაჰესის დარაჯებს, არ დარიდებია მოსალოდნელ მსხვერპლს და გვიან ღამით, რამდენიმე საათით ააშვებინა თურმე კაშხალი, წყალსაცავიდან დაძრული წყალს დიდმის მშენებლობის მიდამოებში ჩამოუტანია უამრავი სილა... მღვრიე მტკვარმა ჩაიარა, სილა დარჩა, ვითომ თვითმცლელი მანქანების მოტანილი, ინჟინერს კი ფული დარჩა.

დანაშაულის გრძნობამ კი არა, შიშმა ადარ მოასვენა ირიდიონი; თავზარს სცემდა იმის წარმოდგენა, რომ მილიციამ და პროკურატურამ უკვე ყველაფერი იცოდა, დინჯად იკვლევდნენ საქმეს, აგროვებდნენ ირიდიონის სამხილ საბუთებს და ნიშნისმოგებით ელიმებოდათ, ფიქრობდნენ, ირიდიონმა არაფერი იცის იმ შავი ღრუბლებისა, მის თავზე რომ იკრიბებაო. ირიდიონმა კი იცოდა, ყველაფერი იცოდა და უნდა დაესწრო მილიციისათვის, უნდა დაესწრო, ვერ აიტანდა ამ ნერვების დამფლეთავ ლოდინს. ხომ შეიძლებოდა, მის დასაპატიმრებლად მოსულ მილიციელს ერთი წამით მაინც ჭგონებოდა, რომ ირიდიონი ახლა უარს იტყვის ყველაფერზე, არ აღიარებს დანაშაულსო. ამ ერთი წამისა სიკვდილივით ეშინოდა. და დაასწრო, გამოცხადდა, დამშვიდდა. თავისუფლად ამოისუნთქა. მრავალწახნაგოვანი იყო ირიდიონის შიში, მაგრამ ყველაზე დიდი — თვით შიშის შიში იყო. ორი წელიწადი ციხეში იჯდა, ალბათ სულ სახედასიებული. მერე ამნისტიამ მოუსწრო. 1950 წელს ხელმეორედ ქორწინდება, ცოლად მოჰყავს მაკა ხერგანი. 1956 წელს გადასახლებაში გარდაცვლილი დედ-მამის რეაბილიტაციის ცნობას იღებს. ამჟამად მუშაობს რესპუბლიკის ერთერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროში. დიდი საავტომობილო გარაჟის გამგეა. მისი მანქანები მეტწილად ქიმიურ-ფარმაკოლოგიურ ქარხნებს ემსახურებიან, სამკურნალო პრეპარატების ნედლ მასალას ეზიდებიან ქვეყნის სხვადასხვა რაიონებიდან. ერთი წლის წინათ სამინისტროს უკანასკნელი გაფრთხილება მიიღო ცუდი მუშაობის გამო. აჭკამად დაჭკანკალებს თავის ადგილს...

პროკურორის კაბინეტისკენ გავემართე, ვიღაც მოხუცი კაცი იჯდა მასთან. სათვალე მიეკოსა ცხვირზე და დაენებით დამაკვირდა. როგორც აღეძრა, ასევე სწრაფად გაუქრა ჩემდამი ინტერესი. სათვალე მოიშორა და მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილმა ცერა თითები ერთმანეთის გარშემო დაატრიალა. ისე ჩუმად იყო, თითქოს თქვა ყველა სათქმელი, მაგრამ ეუხერხულა წასვლა, პროკურორსა და მას შორის კიდევ უნდა ითქვას ერთი-ორი სიტყვა, კიდევ უნდა გაცვალონ რამდენიმე რეპლიკა, რომ მერე ღრმად ამოისუნთქოს, ხელები მაგიდაზე დაარტყას მსუბუქად და თქვას. — ეჰ, წავალ ახლა, ბევრი საქმე მაქვს დღეს, იქ უნდა გავიარო... და სხვა.

— ზაალ, რამე ხომ არ არის ახალი? — დამისვა პროკურორმა თავისი მუდმივი შეკითხვა, რომლის პასუხს ხშირად არც ელოდებოდა ხოლმე, — ალბათ იცნობ ბატონ ლევანს, — და ხელისგულები ისე შეაბრუნა მოხუცისაკენ, თითქოს სკამზე დაჯდომას თთავაზობდა.

მივესალმე მოხუცს და უეცრად მიცნადი, ვინც იყო — ძველი იურისტი, პენსიონერი, ერთ დროს საქართველოს მართლმსაჯულების პირველ კაცად მონათლული, ლევან ანდრიაძე.

— როგორ არა, მე ვიცნობ, — კიდევ ერთხელ დავუკარი თავი მოხუცს.

ისევ მიიღო სათვალე ცხვირთან და ისევ ამომხედა. ხელი გამომიწვდინა, მე თვითონ რომ უნდა მომეძებნა და ჩემს ხელში მომექცია.

— შენც გაგიცნობენ, ბიძიკო, ახალგაზრდა ხარ ჯერ.

— უმცროსი იურისტია, გამომძიებელი, მსოფლიოს ალაპარაკებას აპირებს ერთ-ორ წელიწადში, — მეგობრული ირონიის უფლება მისცა თავს პროკურორმა.

— ალაპარაკებს კიდეც. — ახლა იმდენი „ასალაპარაკებელი“ ამბები ხდება, რომ თუ გამოიძიე...

— ყოველთვის ხდებოდა, ბატონო ლევან!

— ხდებოდა, მაგრამ ახლა ნამეტანი აიშვეს თავი. რაღაც დაემართათ ადამიანებს, ყველგან, მთელ დედამიწაზე. სასამართლო პიულენები მომდის. შენ წარმოიდგინე, ქრონიკებს ვეღარ ვკითხულობ, გლახად ვხდები. მე რომ დანაშაული შემაძრწუნებს, ა? რა უნდა იყოს. ეჰ, წავედი ახლა, — ღრმად ამოისუნთქა მოხუცმა და დამჭკნარი ხელები მოსწავლესავით დაიწყო მაგიდაზე, — პრეზიდიუმში უნდა გავიარო, საპატიო წევრი ხარო და არ მასვენებენ.

— მოითმინეთ, ბატონო ლევან, პატარა საქმე მაქვს და მე წაგიყვანთ. იქით მივდივარ.

— აქ არის შენი მანქანა? მოვიცდი მაშინ.

— ახალი ხომ არ არის რამე, ზაალ? — გამომეორა შეკითხვა პროკურორმა.

— სკოლაში ვიყავი გუშინ...

— ჰო.

— წინა დღით ამხანაგი ყოფილა ბავშვთან...

— ჰო, მერე?

მელაპარაკებოდა და თან რაღაცას ეძებდა მაგიდის უჯრებში.

— თბილისის ზღვაზე წასვლა შეუთავაზებია მეორე დილისთვის, როგორც ამბობს, ძალიან გაეხარდაო, დაჰპირებია, აუცილებლად წამოვალო...

— შენი ვერსიის წინააღმდეგ იკრიბება ღრუბლები, ოქმი ხომ შეადგინე?

— არ დამიკითხავს ბავშვები, ზერელად გავესაუბრე. მერე თუ დამჭირდა, დავკითხავ.

ედიშერ ყიფშიანი
ცაში ასროლილი ჯუდები

— გაესაუბრე, არ გაესაუბრე, უნდა დაგეკითხა. სხვა?

ჩემი წასვლა ეჩქარებოდა პროკურორს.

— მინისტრი და მისი მეუღლე უნდა გამოვიძახო.

პროკურორმა ამომხედა და ერთი წამით შეაჩერა მზერა.

— დასაკითხად?

— დიახ.

— აუცილებლად მიგაჩნია?

— დიახ, — დავიბენი, — მეუღლე მაინც...

— დაკითხე მეუღლე, მინისტრს თავი დაანებე, თუმცა... ეგ შეიძლება უარესიც იყოს.

— დავიბარო, თუ მე თვითონ მივიდე?

— შენი ტაქტის ამბავია.

— ისე გამოვუძახებ, როგორც ყველას ვიძახებ.

პროკურორმა ერთხელ კიდევ ამომხედა, ახლა ცოტა განცვიფრებული მომეჩვენა.

— ჯერ საქმე ადგილიდან არ დაგიძრავს, მიხედე სხვა რამეს. მინისტრი არსად გაგექცევა, — ცოტა ხნით დაფიქრდა და განაგრძო, — საიდან მოგაგონდა მინისტრი? ბავშვს მისი მეუღლე დაჰყვება სოლაში, იმ ფიზკულტურის დაკვეთილზეც მეუღლე იყო. აქაოდა, ისეთ საქმეს ვიკვლევ, მინისტრიც კი გამოვიძახეო, ეს გინდა?

— იროდიონ მენაბდე იმ სამინისტროს თანამშრომელია.

— ვიცი! — მომიპრა მკვახედ.

— სხვა რამეს რას მივხედო, როცა ყველაზე საჭირო მოწმეებს ვერ ვიძახებ.

— მაინც?

— საატას დედა არ მინდა შევამფოთო, თქვენც იცით, რა დღეშია... ვცდილობ, უომისოდ გავარკვიო ყველაფერი.

— მაგ ჯენტლმენობამ საქმე არ გაგიფუჭოს. კიდევ?

— მამინაცვალზე თქვენ თვითონ ბრძანეთ, შეაგროვეთ საკმაო სამხილი, მიაკვლიეთ დანაშაულის სრულ შემადგენილობას, მერე გამოვიძახოთ კიდევ ერთ დავაკავოთ კიდეც... ახლა თუ მინისტრის ოჯახიც აღარ მოვიშველიე... — გავჩუმდი და მხრები ავიჩეჩე.

ლევან ანდრიაძემ ხელი მაღლა ასწია, ტუჩები აიკმაცუნა, მერე სიტყვაც მიაყოლა.

— ბიძიკო, მისმინე... — შეყოვნდა, ეტყობა, სიტყვასა და სიტყვას შორის დაავიწყდა სათქმელი, — გამოიძახე ის შენი მინისტრი, ქვეყანა არ დაინგრევა.

მე წასასვლელად გავიწიე.

— დღის ბოლოს შემოიარე ჩემთან, — თქვა პროკურორმა.

●

შორიდანვე დავინახე — ჩემი კაბინეტის წინ იროდიონ მენაბდე იცდიდა. ადგილზე ტოკავდა, ორნაბიჯიან ბოლთას სცემდა. როცა დამინახა, კაბინეტის კარის სახელურს ჩაეჭიდა და გაღება სცადა.

— მობრძანდით, მობრძანდით! — ნიშნისმოგებით მომმართა, თითქოს ემუქრებოდა.

— გამარჯობათ, დაგიბარათ ვინმემ? — კარი გავაღე და შევედი.

დაუპატიჟებლად შემომყვა.

— არავის დავუბარებივარ, მაგრამ, მგონი, ვიღაც აპირებს.

— ვინ?

— ალბათ — თქვენ, როგორც გადმომცეს.

— ვინ გადმოგცათ?

— ვავიგე.

— ჯერ არაფერს არ ვაპირებთ. ჯერ ვიკვლევთ საქმეს. დაბრძანდით, რაკი თქვენი ნებით მოხვედით.

— საინტერესოა, რა არის გამოსაკვლევი, ვის რა უფლება აქვს ჩემს პირად საქმეებში ხელები აფათუროს და საღეჭ საგნად გადამაქციოს? — მძიმედ დაეშვა სკამზე, ნიკაპი წინ წამოსწია და ჰალსტუხი შეისწორა, თითები უკანკალებდა.

— იქნებ თქვენს პირად საქმეებში თქვენ თვითონვე აფათურებდეთ ხე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებს, ეს ჯერ მე არ ვიცი, ჯერ ვიკვლევ.

— ერთი მითხარით, რას იკვლევთ. რა მაქვს დაფარული, რომ გამოიკვლიოთ?

— სწორედ იმას ვიკვლევთ, გაქვთ თუ არა რამე დაფარული!

— რატომ მაინცდამაინც ჩემსას. აი. ქუჩაში რომ კაცი მიდის, — ფანჯრისკენ ხელი გაიშვირა, — რატომ იმის ცხოვრებას არ იკვლევთ?

— ქუჩაში რომ კაცი მიდის, პაატა ხერგიანის მამინაცვალი არ არის.

— იცით, რა გითხრათ, ახალგაზრდავ, ჩემს წინაადმდეგ ცუდი ენები ამოძრავებულა და ერთი მეც მკითხონ. როგორ ავამძრავებ ენას.

— კი, ბატონო, გკითხავთ! — თვალს არ ვაშორებდი.

შეცბუნდა, არ ეამა ეს საწუველი. სკამის ხურგს გადაეყრდნო. გაქმეული ხელების თითები ძლივს სწვდებოდა მაგიდის კიდეს.

— რა უნდა მკითხოთ, ბატონო ზაალ, — სინანულით თქვა, მე მიცოდეზდა, ასე ღრმად რომ ვცდებოდი, — ბავშვს ძილ-ღვიძილში გზა-კვალი აებნა და კარის მაგივრად ფანჯარას მიადგა. მე რა უნდა მკითხოთ.

— ფეხსაცმელი ჩაიცვა, შარვალი, და მერე აებნა გზა-კვალი?

— არ ჩაუცვამს, ბატონო, ჩაცმულს ჩაეძინა, წიგნს კითხულობდა.

— მე მაქვს თქვენი რაიონის პოლიკლინიკის ცნობები, იმ ექიმისა, ბავშვს რომ მკურნალობდა ხოლმე ავადმყოფობის დროს: პაატა სავსებით ნორმალური ბავშვი იყო.

— ნორმალური იყო, აბა...

— არც ავი ზნე სჭირდა, არც მთვარეული ყოფილა. ძილ-ღვიძილში რომ წამომდგარიყო, ვთქვათ, საპირფარეშოში შესასვლელად, ემართებათ ხოლმე ეს ბავშვებს, იგი გაიმეორებდა სიფხიზლეში ათასჯერ გავლილ გზას, ფანჯრისაკენ არ შებრუნდებოდა და, მით უმეტეს, არც დადაბიჯებდა.

— აბა, რა მოხდა, რატომ. გადავარდა?

თითქოს ტყუილი წამომაცდენინა და ახლა უნდოდა უფრო ღრმად შემეტოპა.

— რომ გადავარდა, ამაში ჩვენ ეშვი არ გვეპარება. ეს დაამტკიცა ჯერ ექიმმა, მერე ტექნიკურმა ექსპერტმაც ივარაუდა, რომ ფეხსაცმელზე ამოღარული ზოლი იმ გაწყვეტილ მავთულზე დაცემისაგანაა დაჩნეული. მაგრამ რატომ გადავარდა, როგორ გადავარდა, ეს ჯერ არ ვიცით.

— მაინც, თქვენ რას ფიქრობთ? — თვითონვე დააფრთხო საკუთარმა შეკითხვამ, გაშეშდა პასუხის მოლოდინში.

— ჯერ არ ვიცი.

და უეცრად ლომის სითამამე მიითვისა:

— თქვენისთანა გამომძიებელი ვერც ვერასოდეს გაიგებს მაგას...

— ამიხსენით, თუ შეიძლება.

— იმიტომ, რომ... თვალი და ყური შუბლზე გაქვთ გამოსხმული, — მაგრამ თქვა თუ არა ეს, უკან გადაიხარა, თითქოს გარტყმას ვუპირებდი.

— შუბლი ყველაფერს არ უჯერებს თვალსა და ყურს.

— ეგრე უნდა იყოს, მაგრამ არ არის ეგრე. როგორ შეიძლება დაუჯეროთ იმ კახპის ნაუბედარს, მითხარით, როგორ? და არ დამიჯეროთ მე! — ახლა მაგიდას გადმოაწვა და ქვემოდან ამომყურებდა, — რა, უფრო შთაგონებით ლაპარაკობს. თუ სირინოზის ხმა აქვს და, იმიტომ.

— ვინ კახპა, არ მესმის!

— ჩემი მეზობელი, ბატონო, ეთერ მუჯირი, რატომ ცოლად არ მოვიყვანე ქალბატონი, — გასცინა ვითომ, — თურმე უნდა მეთხოვა ეგ კახპა, ოჰ, ოჰ, როგორ შევცდი, როგორ დავიღუპე თავი, სამარის კარამდე არ დამავიწყდება... არადა, მართლა დაღუპვას მიპირებს, ბავშვის სიცოცხლის ხელყოფას მაბრალებს თურმე.

ედიშერ ყიფშიანი
ცაში ასროლილი ჯოდები

„სისხლის სამართლის ტერმინები ჯერ კიდევ ახსოვს“ — გავიფიქრე გულში, მერე ფრთხილად შევეპარე:

— მე არ ვიცი, რა ჯურის ქალია ეთერ მუჯირი, მაგრამ, მგონი, თქვენ ცოლად მოყვანას უპირებდით ერთ დროს...

— ვინ გითხრათ?! — ისე აუთახთახდა ლოყები, თითქოს ვიღაც უხილავმა გიგანტმა შეანჯღრიაო.

— თქვენ თვითონვე თქვით ამ წუთში... პირველ მეუღლესთან შვილი არ შეგეძინათ, ალბათ ამიტომაც გაშორდით.

— ვინ გითხრათ-მეთქი? ეგეც მე ვთქვი ამ წუთში? — გიგანტი არ ეშვებოდა, თითები ჩაეკონა აბურძგნილ თმაში და გადასაყლაპად გამზადებულ სიტყვებს აყრევინებდა პირიდან.

— მერე ეთერ მუჯირს დაუახლოვდით, თქვენს მეზობელს, აპირებდით მასთან შეუღლებას, მაგრამ გადამწყვეტ წუთებში შეკრთით: ეთერ მუჯირი ქმართან გაყრილი იყო და...

— თვითონ ჩამოგიკაკლათ?

— და სამი წლის მანძილზე მასაც არ შესძენია ბავშვი. თქვენ კი მემკვიდრე გინდოდათ, შვილი გენატრებოდათ...

— ვის ამოგლეჯეთ ეგ პირიდან?!

— და მაკა ხერგიანი შეირთეთ, შვილიანი ქალი. იმედოვნებდით, რომ მასთან ბავშვი გაგიჩნდებოდათ. ამოგლეჯა რა საკადრისია. თქვენმა მეზობლებმა მიამბეს. პირიდან ამოსაგლეჯი აქ არაფერია.

მინდოდა გამეგრძელებინა, მაგრამ თავი შევიკავე, სხეა დროისათვის მოვიტოვე, ვერსია კი ასე გრძელდებოდა:

„მაგრამ გადიოდა წლები, შვილი არ გიჩნდებოდათ. თქვენ ეშვმა შეგიპყროთ. ეშვი თანდათან ძლიერდებოდა, ყალიბდებოდა, და ერთ მშვენიერ დღეს დარწმუნდით, რომ უშვილობა არც პირველი, არც მეორე ცოლის ბრალი არ იყო. თქვენ აღმოჩნდით ბუნებისაგან განწირული, სამუდამო უშვილობა რომ გამოგიტანათ განაჩენად. საბოლოო თავზარი ექიმებმა დაგიცეს, ბუნების განაჩენი დაადასტურეს, ბეჭედი დაუსვეს. იმ დღიდან შეიცვალა [illegible] თქვენი ცხოვრება, გამოააშკარავეთ თქვენი ნამდვილი ხასიათი. შესტიროდით ბედს, რომ ასეთი ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე, მრავალი გაჭირვებისაგან ოლოდ თავდახსნილი, საკმაო ქონების პატრონი (საიდან მოვიგონე ეს?) ასე უსამართლოდ დაისაჯეთ, როდესაც ყველა „ძალღ-მამაძაღლს“ შვილი ჰყავდა, და მანამდე ასე თუ ისე დაფარული უკუღმართობა, სულის სიღრმეში განაბული თქვენი უხამსობა და უზნეობა (ხომ არ ვცდები?) გამოფხიზლდა, ამხედრდა, გულსა და გონებაში შეიპრა, თვალებსა და სახეზე გამოიყონა, ხელები და თითები გაგიბრუეთო, რომ მათ ვერ შეეგრძნონო, როდის რას გააკეთებინებდით. და თქვენი სიძულვილის პირველ მსხვერპლად თვალში გაგეჩხირათ ბავშვი (იქნებ ცილს ვწამებ?) შვილს რომ ეძახდით და თქვენი შვილი რომ არ იყო, არ იყო ის სანატრელი შვილი, არასოდეს რომ აღარ გეყოლებოდათ“.

— ხომ ვთქვი, ხელებს აფათურებთ-მეთქი ჩემს სულში, ისეთ ამბებს ჰყვებით, მე თვითონ არ მახსოვს კარგად.

— გახსენებთ! — ვეთახარი მშვიდად.

— მერე რას ჰგავს ეს, ბავშვი სიკვდილის პირას არის მისული, სიკვდილის პირას კი არა და... ყველაფერი გათავებულია, გათავებულია... — ხელი ჩაიქნია, — და თქვენ იმის საშუალებასაც არ გვაძლევეთ, რომ მოვუაროთ და ვიზრუნოთ. თითქოს ელოდებოდით, როდის მოხდებოდა ეს, რომ დაცხრომოდით თავზე ისედაც თავზარდაცემულ მშობლებს.

— რა მოხდებოდა?

გაჩუმდა, თითები გაშალა და გააქნია.

— რას მეკითხებით, ვერ მივხვდი.

— თქვენ ბრძანეთ, რომ თითქოს მე „ველოდებოდი, როდის მოხდებოდა ეს“, მე გეკითხებით, რა მოხდებოდა-მეთქი, რას გულისხმობდით?

— რა მოხდებოდა და... რაც მოხდა! — უეცრად სახე შეუსივდა.

— ჰოდა, რა მოხდა, გეკითხებით, თქვენ რას ფიქრობთ, რა მოხდა.

ტუჩ-კბილი აუღრღნდა, მაგრამ ხმას ვერ ღებდა. დაბნეულობა და ზიზღი ეხატა სახეზე. მერე თითქოს ზიზღმა სახის ყველა ნაოჭიანან და ნაკვთიდან განდევნა დაბნეულობა და თვითონ გაბატონდა.

— თქვენ გავიწყდებათ, რომ დაკითხვაზე არ ვარ მოსული, — თქვა ბოლოს, — მით უმეტეს, პასუხს არ გავცემ ეგეთ მიამიტურ შეკითხვებს. მაგ ხერხებით თქვენ მურაბის ქურდ ბავშვსაც ვერ გამოტეხავთ... ნუ მაწყვეტინებთ სიტყვას, როცა სიმართლეს გეუბნებით...

— გისმენთ!

— რა ჰუმანურობაა-მეთქი ეს, რომ ბავშვი ასეთ დღეში იყოს და მშობლებს პროკურატურაში არბენინებდნენ? სირცხვილია!

— თქვენ თვითონ დარბიხართ, დაკითხვაზე არ მოვსულვარო, და მართლიც ბრძანდებით. არც თქვენს გამოძახებას ვაპირებდი და არც თქვენი მეუღლის შეწუხებას ვაპირებ ჯერჯერობით.

ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო და ლევან ანდრიაძე შემოჩაჩაქდა. შედგა. შორიდან შემამოწმა, მე ვიყავი თუ არა. მერე საჩვენებელი თითი მაღლა ასწია და გაღიმებული წამოვიდა.

— რას გეტყვი, ბიძიკო, იცი? ახლა გამახსენდა... დაბრძანდით, მაპატიეთ. ხელი შეგიშალეთ, ახლავე დაგტოვებთ... სად ზის-მეთქი და, მომასწავლეს... ჰო, ბიძიკო, რას გეტყვი იცი? თამარ მეფემ მიმართა დარბაზში ეკლესიის უზენაეს მსახურებს, მაშინ მართლმსაჯულებას ეკლესია განაგებდა. თამარ მეფემ შეაგონა მათ, ყური მიგდე: „გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განნადეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემ ზედა...“ გესმის, ბიძიკო?.. „...იწყეთ ჩემ ზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთისა მბრძოლობისა. ნუ თვალ-ახუამთ მთავართა სიმდიდრისათუის, ნუცა გლახაკთა უდებ-ჰყოფთ სიმცირისათვის“. მიხვდი?

— რა თქმა უნდა. კარგი სიტყვაა.

— ჩვენ ყველანი თანაბარნი ვართ კანონის წინაშე, თამარ მეფეც, მინისტრიც, შენც და მეც. მართლმსაჯულება ისე ვერ იარსებებს. — მოხუცი შებრუნდა და კარისკენ წაჩაჭრაქდა. — მაპატიეთ, — გამოხედა ირიდიონ მენაბდეს.

ეტყობა, პროკურორმა საქმე ვეღარ მოათავა. კიბის დასაწყისამდე მივაცილე მოხუცი და ისევ კაბინეტში შემოვბრუნდი. ირიდიონმა თვალი გამომაყოლა.

— მაჩვენეთ, თუ შეიძლება. ეთერ მუჯირის ნაჯღაბნი! — და მაგიდისკენ ხელი გაიწვდინა.

— მას არაფერი არ დაუჯღაბნია, გვიამბო და ჩვენ ჩავიწერეთ.

— მაჩვენეთ, ხომ უნდა ვიცოდე, რას წერს ჩემზე?

— თავის დროზე ყველაფერს გაჩვენებთ... ან შეიძლება არც გახდეს საჭირო.

— ეგ როგორ, რატომ?

— შეიძლება აღარ გამოგიძახოთ.

— ეგრეც იქნება, დარწმუნებული ვარ, მაგრამ მე ხომ უნდა ვიცოდე, რას მაბრალებენ.

— მუჯირი არაფერს არ გაბრალებთ. თქვა ის, რაც გაიგონა და დაინახა.

— რატომ გჯერათ, რომ დანახული და გაგონილი გიამბოთ.

— არ მჯერა, გამოწმებ...

— თქვენ რაღას მაბრალებთ, რას ამოწმებთ?

— ჯერჯერობით, არც მე გაბრალებთ არაფერს.

— მაშინ რა გინდათ ჩემგან. მითხარით, რა გინდათ?! — ხმას აუწია, სკამიანად გადმოადგილდა.

— ნუ ყვირით, ამხანაგო, მე თქვენ არ გამომძიებლებიხართ, შეგიძლიათ წაბრძანდეთ.

ედიშერ ყიფიანი
ცაში ასროლილი ჟუდეკი

— ამით მაინც გამახარეთ, მითხარით, ცილისწამებისათვის რამდენი წელია პატიმრობა? მე მუჯირის ქალს ციხეში გამოვალპობინებ.

— გიმეორებთ, რომ ის არაფერს არ გაბრალებთ.

— ასეც ვიზამ. პერანგისამარაც რომ დავრჩე, ვუჩივლებ და დავაპატიმრებინებ.

— „პერანგისამარა“ რა შუაშია?

— ხომ... ხომ... — უხილავი გიგანტი კვლავ ჩაფერფლა ქეჩოში და ხმა აიცახცახებინა, — ხომ საჭიროა სასამართლოსათვის... დამცველისთვის ფული?

— თქვენ თუ უჩივლებთ, დამცველი მას დასჭირდება.

ხელი ჩაიქნია, ვითომ ამ დროს ხელს იქნევენ ხოლმე. სიგარეტი ამოიღო.

— სხვათაშორის, თქვენი ტექნიკოსი იყო აქ!

— მერე?! — შეხტა, თითქოს სკამმა წამოისროლა ეს სიტყვებიც და იროდიონიც. გაინაბა, სუნთქვა შეეკრა, თამბაქოს შეყოვნებული კვამლი მის ღია ტუჩებს შორის იზლაზნებოდა.

— შვილს გაუქურდავს, სამოცი ათას მანეთამდე წაუღია, ძალიან აღელვებული იყო.

— მაგასაც მე ხომ არ მაბრალებთ?

— თქვენი იმედი აქვს... რომ მამის საფლავისთვის ფულს ასესხებთ.

ახლა უკან დასწია სკამი და თანაგრძნობით შემოხედა.

— არ უნდა აგერჩიათ ეგ დარგი, ამხანაგო ზაალ, ისე, მეგობრულად გეუბნებით. შეიძლება მერე გამოიქქოთ, ასე ვთქვათ... მაპატიეთ ამ სიტყვისათვის, ასე ვთქვათ, გამოიბრძმედოთ, მაგრამ ახლა ძალიან გულუბრყვილოდ ცდილობთ ჩემს მხილებას... მე არც ვმალავ, რომ ფული მაქვს, ჩემი ოფლით და შრომით მოპოვებული, ოცი წელია ვმუშაობ. აი, ნახეთ, დარწმუნდით, — ჯიბიდან შემნახველი სალაროს წიგნაკი ამოიღო, გაშალა და წინ დაიდო — ჯამაგრის ყოველ თვე ხუთას მანეთს ვაკლებდი, ხუთას მანეთს ოცი წლის მანძილზე, ვერცერთ სიყალბეს ვერ მიპოვნით... ვერსად, ვერასდროს, ვერაფერში... ვასესხე, კაცს არ უნდა ... ეხმარო გაჭირვებისას? აი, კიდევ ცხობები, პრემიებს რომ ვიღებდი, — დაჭმუჭნული, გაცრეცილი ქაღალდები მოაბნია მაგიდაზე, — თქვენ არ იცით, რა არის ოჯახი, თქვენ არ იცით, რა ხდება დღეს. თქვენ იმასაც არ გრძნობთ, რომ შეიძლება ხვალ, დღეს, ამ წუთშიაც, — უნებურად საათზე დაიხედა, — ომი დაიწყოს. გაიგეთ თქვენ, რომ პარიზის მოლაპარაკება ჩაიშალა? წაიკითხეთ, რომ ამერიკის თავდაცვის მინისტრმა პარიზიდან ბრძანება გადასცა სამხედრო განგაშის მდგომარეობის შესახებ? წაიკითხეთ? იცით, ეს რას ნიშნავს? ამაზე მეტი რა შეიძლება მოხდეს?

ლაპარაკობდა. მე კი მაგიდის ქვეშ მის ფეხებს მოვკარი თვალი. მოჯღვარკულ, გაფლაშულ ყვითელ ფეხსაცმელებს, ნეკთან და ცერი თითების სახსრებთან გამობერილი რომ ჰქონდა. ფეხსაცმელები თავისუფლად ნებივრობდნენ იატაკზე, კოჭებთან გადაიგრიხებოდნენ და ერთმანეთს ლანჩებით შეეხებოდნენ, ხან კი მსუბუქად ატყაპუნდებოდნენ. უდარდელად, თავიანთი დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდნენ გაფლაშული ფეხსაცმელები. და მე უეცრად ვიფიქრე, რომ იროდიონის აღელვება ყალბი იყო. ამ ფეხსაცმელების ნებიერმა ზმორებამ მაფიქრებინა, რომ მისი პატრონი ტყუოდა და არ განიცდიდა არც ომის საშიშროებას. არც სხვა რამ ტკივილს.

— ამას ომი მოსდევს, მეტი არაფერი, — განაგრძობდა იროდიონი, — ატომური ყუმბარები ჯარხალი ან კარტოფილი არ არის, რომ დაუგროვდეთ და ფასის დაკლების მიზნით ზღვაში გადაყარონ. როდის დაინგრევა ქვეყანა. კაცმა არ იცის, თქვენ ჯერ ყმაწვილი ხართ, ასე თუ ისე, უდარდელი... მერედა, სულ ამ დღეში ვართ, კაცო! — თანდათან მიშინაურდებოდა, — ხან ბერლინის გამო ველოდით ომს, ხან სუეცის გამო, ახლა პაუერსი ჩამოაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს. რა, საბჭოთა ადამიანებზე არ მოქმედობს ეს? ჩვენზედაც მოქმედობს. იქ თუ გიჟობენ, ყირაზე გადადიან, ახალგაზრდები მაღაზიებს ანგრევენ და ყველაფერს ლეწავენ, რაღაც კრეტინობას ხატავენ, თუ სწერენ, აქაც...

— აქ რაღას აკეთებენ?

— აქ... აქ ემზადებიან გაკირვებისათვის, შავი დღისათვის. ზოგი თავისი ნაშრომით და ნაოფლარით, ზოგი დანაშაულს სჩადის, სახელმწიფო ქონებას ფლანგავს. ოცი წლის მანძილზე ერთი ზედმეტი კაპიკი არ ვიცი რა არის, აი, ახლა, ნახეთ, ამის წამკითხველი არ შეიშლება ჭკუაზე? — პიჯაკის ჯიბიდან ბაკეცილი გაზეთი ამოიღო, გაშალა, — წაიკითხე და მოვიწმალე, რა დაგვმართოთო, სამსახურში მეკითხებოდნენ. თუ არ გეძინებათ, წაიკითხეთ... და ნახეთ, — გაზეთი წინ დამიდო და თითით მიმანიშნა.

„ეს მოხდა ნიუ-იორკში“, ასეთი სათაური ჰქონდა ცნობას. აღწერილი იყო ნიუ-იორკში ჩატარებული ნასწავლსაპაერო განგაში. როგორ ჩაერა ტელეეკრანები, როგორ გაკაპ ჰაერი სირენების ყურთასმენის წამღებმა ხმებმა. თავშესაფრებში კისრისტეხით როგორ ჩარბოდნენ დაფეთებული მოქალაქეები. როგორ დაემსგავსა უზარმაზარი ქალაქი მოჩვენებას, და სხვა.

კითხვა დავამთავრე, მაგრამ თავი არ ამიწევია, იატაკს დავცქეროდი. მაგიდის ქვეშ გაფლაშული, ცერების სახსრებთან ამობერილი ფეხსაცმელები ერთმანეთს ეალერსებოდნენ, ქაღალს უყურებდნენ, თითქოს მზეზე ნებივრობდა ორი ბრმა ცხოველი. უეცრად გაშეშდნენ. მათმა პატრონმა იგრძნო, რომ მე კითხვა დავამთავრე.

— ხომ საშინელებაა? — თქვა ირონიიანმა, — ახლა მითხარით, რაც არ უნდა ჩავიდინო მე თუ სხვამ, ამაზე მეტი დანაშაული იქნება? ომზე დიდი დანაშაული არ არსებობს ქვეყნად.

— კი, მაგრამ, — ოდნავ შეეყოყმანდი, — ორმოციანი წლების ბოლოს არც პაუერსი ჩამოუგდიათ, არც სახელმწიფოთა მეთაურების თათბირი ჩაშლილა. არც ომს ელოდა ვინმე... ორმოციანი წლები რა შუაშია? — შეება.

— აი, ზაპესის საგუბრიდან რომ სილა ჩამოიტანა მტკვარმა.

ეცეცხლა. რეტიანივით წამოვარდა ფეხზე. მისი სკამი უკან გასრიალდა.

— თქვენ.. .თქვენ... თქვენ პასუხისგებაში მიგიკვლი, თქვენ მე წარსულს მიხსენებთ... როშელიც პირნათლად მოვიხადე, — აერია სიტყვა-პასუხი, — თქვენ აფათურებთ ხელებს, წარსულის დამსახურებისათვის... წარსულის დანაშაულისათვის ჩვენში არ სჩიან ადამიანს. ჩვენთან დღეევანდელი დღეა მთავარი... ბოლოსდაბოლოს, მითხარით, იმ მუჯირმა რაო? რაო? ჰო, გამილაზავს ბავშვი, შემიგინებია, დავმუქრებივარ. მაგრამ იმ საღამოს... — შეყოვნდა, ცრემლი წამოუვიდა, — იმ საღამოს მე საჩუქარი მივუტანე... აბა, როგორ, აბა, როგორ?! მშობელი შვილს არ უნდა გაუჯავრდეს? — სლუკუნ-სლუკუნით განაგრძო, გული აუჩვილდა, მაგრამ სიბრაზე არ დასცხრომია. — თქვენ როგორ იზრდებოდით? თქვენ გეტყობათ, არ გტყეპავდნენ, როგორც საჭირო იყო... — და სწრაფად გასწია თავი გვერდზე, თითქოს გარტყმას ვუპირებდი, — თქვენ ხართ... თქვენ სტუდენტადაც არ გამოდგებით. არ უნდა გესმოდეთ, რომ მე ალიბი მაქვს? არ უნდა იცოდეთ, რომ მთვრალი მივედი და დავეგდე მკვდარივით? ისე გამტყვრალი, რომ ვერავინ ვერ გამაღვიძა? ჰო, თქვენ გამაღვიძეთ. დიახ, ალბათ ვიგრძენი, რა შვილიც მოხვედით.—სახესთან აფარებული ხელით ისევ მოიგერია ჩემი „დარტყმა“. —მე ალიბი მაქვს, გესმით, ალიბი! ჩემი ძილის დროს მოხდა ყველაფერი.

თავქაფი ჩამოსდიოდა, ჩემს თვალწინ უსივდებოდა სახე. არ მეჩვენებოდა, ნამდვილად უსივდებოდა. გულში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცინა: „თუ რამე ვიცი, ვიცი ის, რომ ჩემს წინ წამდგილად იროდიონ მენაბდეა“.

— სწორედ ეგ ალიბია თქვენი დანაშაული!

— როგორ, ჰე, ამას უყურე, პირველად მესმის. დამცინი, ვაჟბატონო? — აბუყბუყდა გასივებული თავი და ჩემკენ გამოგორდა.

— თქვენ შუდამ ალიბი გქონდათ თქვენი გერის მიმართ: როცა ბავშვს უჭირდა, არ იყავით მის გვერდით. როცა ულხინდა, არ გესმოდათ მისი სიხარული. მის თვალებში თქვენ არასოდეს ჩაგიხედიათ, მის სულს არ შეხებიხართ, არ გაინტერესებდათ. მართლა გერივით გყავდათ. თქვენი საკუთარი პიროვნებით იყავით გართული... აი ეს არის თქვენი ალიბი, თქვენს წინაღმდეგ შემობრუნებული. და მარტო ბავშვის მიმართ კი არა, ყველას მიმართ გაქვთ ალიბი. თქვენს გვერდით ჩაიარა ომმა, განა ეს ალიბი არ იყო? არ გინახავთ, არ დასწრებიხართ ომს. თქვენს გვერდზე ჩაიარა ხალხის გაჭირვებამ, შიმშილმა, ხალხის გმირობამ. არ იყო ეს ალიბი? არც გშიოდათ, არც ეწყუროდათ, არც გმირობა ჩაგიდენიათ, — ალბათ მეც წამოვწეთილი, მინდოდა ყველაფერი პირში მიმეხალა ამ კაცისათვის, — როდის დაინგრევა ქვეყანა, კაცმა არ იცისო, და გინდათ მოაწროთ ცხოვრება, ჰო, განაგებია, მეორედ აღარ მოხვალთ ამქვეყნად, მეორედ სხვა მოვა და ის იცხოვრებს. გინდათ თქვენს ნაჭუჭში ჩაიკეტოთ, საკუთარი სიამოვნებისათვის იცოცხლოთ, ოღონდ არავინ არ შეამჩნიოს თქვენი არსებობა, თანახმა ხართ, ამას ნატრობთ. თქვენ ახლა ყველანი გეშინიათ: მილიციის, მართლმსაჯულების, ნაცნობისა თუ უცნობის, მაგრამ ყველაზე დიდი თქვენი მტერი ომია. ამას ბუნდოვნად გრძნობთ, ომი წაგართმევთ უდარდელობასა და გულგრილობას, ომი ამოგიშრობთ საყვარელ ჭაობს. ამ ქვეყნად მხოლოდ თქვენისთანები უნდა შეხვდნენ სისხლისმღვრელ ომებში და ერთმანეთი ამოხოცონ, ეს იქნებოდა ნამდვილ ნასანერი ომი კაცობრიობის ისტორიაში. ან, ეს არის ალიბი — შიშის ოფლის ჭაობში სიცოცხლე — თქვენი მუდმივი ალიბი ცხოვრებისა და ადამიანების მიმართ, ახლა ხომ გასაგებია, რომ ის თქვენს წინააღმდეგაა შემობრუნებული?

წვრილთვალებიანი ბურთი კიდევ უფრო გაიბერა და თვალები სულ გაუქრა, მხოლოდ ის ადგილი მოჩანდა შავი ძაფივით, სადაც ერთ დროს ტუჩები იყო. ძაფმა წრიპინი დაიწყო:

— ყველაფერი გასაგებია ჩემთვის: აქამდე მეგონა, ვერ მიცნო, აღარ ვახსოვარ-მეთქი. ახლა ეუბნი აღარ მეპარება. თქვენ პირად ანგარიშს მისწორებთ! ჰო, ჰო, რას გიკვირვეთ? შური გინდათ იძიოთ. სარგებლობთ შემთხვევით და სამაგიეროს მიხდით. როგორ ვიფიქრებდი, ასეთ ახალგაზრდას აქამდე შერჩებოდა ბოღმა გულში, მერე რისთვის? უბრალო წაკინკლავებისათვის.

მომეჩვენა, რომ მელია ცდილობდა გამძვინვარებული ლომის როლი გათამაშებინა, მაგრამ ძალიან უნიჭოდ გამოსდიოდა.

— თქვენ რამე მონოლოგს კითხულობთ, თუ რა არის ეგ? არ მესმის.

— ისე კარგად გაითამაშეთ, რომ უკანასკნელ წუთამდე ვფიქრობდი, აღარ ვახსოვარ-მეთქი. ახლა დავრწმუნდი, ჩემდამი თქვენმა სიძულვილმა დამარწმუნა... არ გახსოვთ? მშვენივრად გახსოვთ! ამ ერთი წლის წინათ სუფრაზე შემოგვესწარი. აბა, კარგად გაიხსენეთ, — გამტყუვარალი იყავი ღვინით. სუფრას შეურაცხყოფა მიაყენეთ, მე და ჩემი მეგობრები გამოგვთათხე. კინწისკვრით გაგაგდე სუფრიდან. დიახ, მე, სწორედ მე გაგაგდე, და კარგადაც გამოგლანძღე... — იროდიონს თავისი როხროხა ხმა დაუბრუნდა. — გაგახსენდათ? ძალიან კარგი... და ახლა სამაგიეროს მიხდით. ისარგებლეთ ჩემი უბედურებით და ასე ქალაჩუნურად, ვაჟკაცს რომ არ შეეფერება, სამაგიეროს მიხდით, — ჩემსკენ წამოვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და თითქოს საჩვენებელი თითიდან მესროლა სიტყვები: — მე გიჩივლებთ თქვენ! მე პასუხისგებაში მივაცემინებ თქვენს თავს, — ყვითელი ფეხსაცმელები გაავებულიყვნენ და ალრენილები მიეკედნენ, მაგრამ ახლოს მოსვლას ვერ ბედავდნენ, ადგილზეკი იმაჯებოდნენ, — არ ეკადრება ეს საბჭოთა იურისტს, არც არავის არ ეკადრება. მე აცილებას მოგცემთ. ავაკრძალვინებ, რომ თქვენ ამ დარგში ვეღარასოდეს ვეღარ იმუშაოთ. დიახ, ასე ვიზამ, — საჩვენებელი თითი დადუმდა, ალბათ ტყვიები გაუთავდა. იროდიონმა კარი გააღო, შემობრუნდა და ხმამაღლა მითხრა, რაც იქვე, ინ წუთში მოუვიდა ახრად:

— ახლავე წადალ და დავწერ განცხადებას!

●

იროდიონ მენაბდე მართალი იყო. პირველად გავეოგნდი, რას ჩმახავს-მეთქი. მაგრამ როცა ჩემი „სუფრიდან კინწისკვრით გაგდება“ ახსენა, ყველაფერი ნათლად წარმომიდგა თვალწინ.

ეს იყო შარშან, ივნისის მიწურულს. მწერალთა კავშირს იტალიელები სწვევოდნენ სტუმრად, ლიტერატურული გამომცემლობისა და პრესის მუშაკები. ჩემმა მეგობარმა, შიომ, ორი იტალიელი დაპატიჟა სადილად. მე და თაზო შემთხვევით შევხვდით ქუჩაში და ჩვენც შეგვიამხანაგა. შიო მოთხრობებისა და ორი რომანის ავტორია უკვე. მისი წიგნი რუსეთსა და უკრაინაშიც გამოიცა. ბოლო დროს ერთმა იტალიურმა ჟურნალმა თუ ალმანახმა შიოს პატარა მოთხრობა გამოქვეყნა.

იტალიელებს მოსკოველი ქალიშვილი ახლდათ თარჯიმნად, კოხტა, გამუდმებით მოქეფტტუნე. გალინა ერქვა.

ოქროყანაში ავედით, თბილისის თავზე. მართლაც დიდებული სადამო იყო. შიომ რესტორნის დირექტორი გაფრთხილა, უცხოელები გვყავს და აბა, თქვენ იცითო. დირექტორმა — „ბუნების წიაღში მოეწონებათო“, და მაგიდა აბინძურებულ ჯეჯილში გაატანინა. ჯეჯილი რესტორნის ეზოში ხარობდა. შეგადგმიდ კუნძულებივით პატარა მდელოები ხასხასებდნენ. ჩვენ ერთ ერთ „უკაცრიელ კუნძულზე“ დავსახლდით. უმეტესობა აკაციის ხეივანში სადილობდა. ალბათ ადრე მოსულები იყვნენ და მზეს დაემალნენ.

მე და თაზო დარცხვენილები ვისხედით. შიო ამტიკერობდა, ართობდა სტუმრებს. მაგრამ ორი-სამი ჭიქის შემდეგ ჩვენც გაგვეხსნა ლაპარაკის მადა. არ ვიცი, თაზო სუმრობდა თუ სერიოზულად ამბობდა, მაგრამ იტალიელებს უმტკიცებდა, ჯერ სრულყოფილი მუსიკა არ დაწერილაო. რას გულისხმობთო, დაინტერესდნენ იტალიელები. ტემპის შენელებით ან აჩქარებით ნაწარმოების ხასიათი არ უნდა შეიცვალოსო, აი, მაგალითადო, და წაიღიღინა ერთერთი არია ვერდის ოპერიდან, ისე სწრაფად, რომ საცეკვაოს დაემსგავსა. აი, ეს არ არის სრულყოფილი ნაწარმოები, რადგან სხვა სიჩქარით ვიმღერე და სულ არა ჰგავს პირვანდელსო. გალინამ უთარგმნა სტუმრებს და ბოლოს ის არიაც წაიღიღინა, ოღონდ ჩვეულებრივი სიჩქარით, თითქოს თაზოს დამახინჯებული ქართული მართლა ნამდვილ იტალიურად თარგმნა. ყველას გაგვეცინა. იტალიელმა და მისმა ცოლმა ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობად მიიღეს, არ იცოდნენ თაზოს ამბავი. ქმარი ირმოცდაათ წელს მიღწეული, მაღალი, შავგვრემანი კაცი იყო. ქალი — ქერა, ცისფერთვალება.

რესტორნის ეზოში დიდი, ჭრელთვალა ძაღლი დადიოდა, მაგრამ უწყინარი იყო. ყველა გამვლელ-გამომვლელისა ეშინოდა. ეგონა, ყველა მას ემტერებოდა. მაგიდის შორი ახლო დადგებოდა და, თუ არაფერს უწყალობებდნენ, სხვა მაგიდას მიაშურებდა. შიოს, საერთოდ, ძალიან ეშინოდა ძაღლების, როცა ის ძაღლი ჩვენი მაგიდისაკენ წამოვიდა, შიომ სკამიანად

ადგილი მოინაცვლა. ძაღლმა იფიქრა, რაღაცას მაძლევსო და თვითონაც შემოუარა მაგიდას, შიოს სახე წამოეჭარხლა, თან იცინოდა: „ამას, ძმაო, ერთ ლუკმად არ ვეყოფიო“. ძაღლი გაგვშორდა, მაგრამ შიო სულ მაღალ ბალახებში იყურებოდა, ხომ არ მოძვრებაო. უკვე კარგა შემოვრაღები ვიყავით, იტალიელი თავს არიდებდა ღვინოს, ამდენი დიდი ხანია არ მისვამსო.

ბოშორებით პატარა გოგონა მაგიდის გარშემო დარბოდა, ხელში რეზინის გასაბერი ლეკვი ეკავა, ჭრელი და ყურებფართხუნა. მოვიბოდიშე, სულ სხვა მხარეს გავემართე, შემოვუარე და იმ პატარა გოგონას მივეალერსე. მერე ვუთხარი, ცოტა ხნით მათხოვე-მეთქი შენი ლეკვი. გოგონამ დედასთან მიირბინა. „ამ წუთში დაგიბრუნებთ-მეთქი“, — ვთხოვე ქალს. ალბათ სიმთვარეზე მეტყობოდა და უარი არ მითხრა. რეზინის ლეკვი ზურგს უკან დავმალე და ჩვენი მაგიდისაკენ გამოვემართე. ალბათ გალინამ ყველაფერი დაინახა, მიღიმოდა და სხვების შეუმჩნეველად თითს მიქნევდა. შიო, როგორც ჩანს, რეზინის ძაღლის სიახლოესაც გრძნობს, წამოხტა და: „აბა, აბა, ეგეთები არ იყოსო“, გაიქცა, უფრო ჩვენ გასამხიარულებლად გაიზიადა თავისი შიში.

გალინა ჩქარობდა, სულ საათზე იყურებოდა, რვაზე ოპერაში უნდა იყვნენო, სტუმრებზე გვანიშნებდა. შიო წამოდგა და მეორედ ადღეგრძელა სტუმრები: მე იტალიაში არ ვყოფილვარ, იტალიის მიწაზე ფეხი არ დამიდგამსო, მაგრამ მინახავს გენიალური იტალიელი მხატვრების ტილოებიო, და ჩამოთვალა. ჰოდა, ეს ტილოები რომ ერთად შეკრიბო და დაალაგო, იტალიური მიწის საკმაოდ დიდ ფართობს დაფარავსო, და აი, სწორედ ეს ნაწილი, ეს ფართობი მინახავს იტალიური მიწისო. და ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ იტალიაში ვყოფილვარო. და გაუმარჯოს იტალიური მიწის ამ ღვიძურ ნაწილსო. სტუმრებმა მადლობა გადაიხადეს, საქართველოს მიწა დალოცეს, სადაც შეესანშნავი ადამიანები გავიცანითო. სტუმრის ცოლმა მიმართა შიოს, [illegible] ნებართვით, მე მაგ საღღეგრძელოს თანამემეულებს გადავცემო. მერე ხელჩანთა გახსნა და საწერ-კალამს დაუწყო ძებნა, ჩავიწერ, არ დამავიწყდესო. რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ, რა ჩასაწერიაო, თან დაიმორცხვა, თან ესიამოვნა შიოს, თაზოს კი გაეცინა: შენ ისეთი ბედი გაქვს, მოთხრობებს ხომ გიბეჭდავენ, ახლა საღღეგრძელოებსაც დაგიბეჭდავენო. მერე გადაკოცნა, არ გეწყინოსო. რა სისულელეა, უთხრა შიომ, ხუმრობა ჩემი მოგონილიაო.

წამოვიშალეთ. როცა აკაციის ხეივანში მივაბიჯებდით, თაზოს ვიღაცამ დაუძახა. გრძელი სუფრა იყო, სამმაგიდიანი. ხანში შესული კაცები უსხდნენ. უკვე შეზარხოშებულნი. ახლავე მოვალ, ბიძაჩემის ამხანაგიაო, თქვა თაზომ და წავიდა, მაგრამ შეაგვიანდა დაბრუნება. ჭიქა მიაწოდეს, საღღეგრძელო თქმეევინეს, მერე თვითონ ადღეგრძელეს, მერე დასვეს. შიომ მოირბინა, სადა ხართო, მე თაზოსკენ ვანიშნე. ბიჭო, უხერხულია, აგვიანდებათო. შევთანხმდით, რომ შიო გაჰყვებოდა სტუმრებს, ჩვენ კი მერე ჩავიდოდით ქალაქში.

— ბოლომდე, ბოლომდე, ეროდიონ! — ისმოდა იმ სუფრიდან.

— აბა, ჰე!

— დაცალე, ეროდიონ, თორემ ამ თვეში პრემიალური არ გამოგიწერ.

უჭირდა ვიღაც ეროდიონს და მაინც თავს იხრჩობდა ღვინით.

კენტად მდგომი შემამჩნიეს, ანდა, თაზომ გამცა: ახალგაზრდავ, მობრძანდით, გვიკადრეთო, მომაძახეს სუფრიდან. სხვა გზა არ იყო, მივედი. სამი პირთამდე სავსე ჩაის ჭიქა დამიდგეს წინ. თაზო უკვე მესამეს წრუპავდა. დიდი გაჯანჯლებისა და დაძალება-უარის შემდეგ ჭიქები დავცალე. და უცბად დავთვერი. თვალები დამიბნელდა. თაზოს, ეტყობა, სმა უნდოდა, ადგომას არ აპირებდა. თამადამ სუფრა გა-

აგრძელა და კიდევ ორმა ჩაის ჭიქამ მოძიწია. ეს ენა დაგვხოცავენ-მეთქი, გაეფიქრე და ხმამაღლა დავუწყე თაზოს საყვედურები: გვაგვიანდება, უცხოელები რას იტყვიან, სირცხვილია-მეთქი, თან წარამარა საათზე ვიყურებოდი, რომ ყველას შეემჩნია. ერთი-ორჯერ იმ ძიაკაცებაც ვკითხე, თქვენს საათში რომელია-მეთქი. ამ დროს ერთმა მათგანმა წამოიყვირა, ვაიმეო, ცხრაზე ცოლი ჩამოდის და რომ არ დახვდე მომკლავსო, და ასადგომად წამოიწია. აბა, საათს და დროს მოუკვდეს პატრონო, წამოიძახა თამადამ და თავის საათზე ისარი გადასწია. აბა, ყველამ გადასწიეთ, რომ ეშმაკიც ვერ მიხვდეს რა დროაო. ერთ სიცილსა და ხორხოცში დაიწყეს ისრების ტრიალი, მეზობლად მჯდარმა ღიპიანმა მანიშნა, შენც გადაატრიალეო.

ჰოდა, ვასაკე ეჩქარება, აჩვენეთ ახლა ყველამ, რომელი საათიაო, ჩაბეერდა თამადა. იგი არა მარტო სუფრაზე, სამსახურშიც ხელმძღვანელობდა თურმე აქ შეკრებილთ, მათი უფროსი იყო. ისევ ატყდა ხორხოცი, აქეთ-იქით გადაწევ-გადმოწევა. ჯერ მეზობელმა მომიტანა თვალებთან თავისი საათი, — პირველის ნახევარზე იდგნენ ისრები, მერე მეორე მეზობელმა — ხუთს ოცი წუთი აკლდა, მერე სამმა, ხუთმა ერთად... შვიდი საათი, თორმეტის ხუთი წუთი, ცხრა საათი, სამის ნახევარი, ოთხის ხუთი წუთი, ათის ნახევარი... მკლავებგაშლილი ისრები, ხელებგაფარჩხული ისრები, წარბებმოღუშული, ულვაშებაწკაპილნი, უაზრო, უგულო, ყეყეჩი ისრები... გონება დამიბნელდა, უამრავი ფერადი წერტილით ამომევსო თვალები, ვგრძნობდი, რომ ვალი მერეოდა, ახეზე ხელები ავიფარე, ყურები სიცილ-ხარხარმა ჩამინგრია. როხროხებდნენ ციფრები, თავგასაკიბული ცხრიანები, ღიპიანი ექვსიანები, უტვინო ოთხიანები...

— აა, თვალმაქცობ, შე ყურუმსაღო?! რატომ არ დაატრიალე ისრები! — მიიჭრა თამადა იმ მოქალაქესთან, სადგურზე რომ აგვიანდებოდა, — მოიტა შენი საათი, მოიტა, მოიხსენი, მოიხსენი-მეთქი ახლავე!

საათი წაადრო მაჯიდან, შემობრუნდა და ჯეჯილსაკენ მოისროლა. მერე საკუთარი მოიხსნა და ისიც მიაყოლა.

— უუუ, უუ! — აგუგუნდა სუფრა.

მომეჩვენა, რომ თავის ქალა გამებზარა.

სათითაოდ წამოიწეოდნენ ადგილიდან, საათებს ყანაში ისროდნენ და მერე სკამებზე ეხეთქებოდნენ მოწყვეტით, თანდათან ეშხში შედიოდნენ, თითქოს ნიშანი იყო საჭირო, რომ ასე გაგიჟებულიყვნენ და გაცოფებულიყვნენ.

— შენ რატომ არ აგდებ, ძმობილო?

— კაცო, რა გადავაგდო, ბაჯაღლო ოქროსია.

— ოქრო-მოქრო არ ვიცი. მე, ახლავე მოიხსენი!

— ამ ყმაწვილმა რა ქნას?

ვიგრძენი, ჩემზე იყო ლაპარაკი.

— ეპატიოს, ჯეელია.

— მერეც მოასწრებს.

— ეპატიოს არა,ის არ გინდა?

უეცრად ოქროს საათის პატრონი წამოდგა და ჯეჯილში შეგლიჯინდა. ჩაცუცქდა. ჩაიკარგა, აღარ ჩანდა. მალე ისევ ამოილანდა ყანიდან და გამოიქცა. სამი თუ ოთხი საათი დაყარა მაგიდაზე. თავისას ხელზე იკეთებდა და თან იცინოდა. ეს იროდიონ მენაბდე იყო.

— ეე, ეეე, ეგეები არ ღიყოს!

— ეუუ! — კვლავ გაყრუედა იქაურობა.

— აბა, მაჩვენე, აბა, ერთი ხელი მონაკიღებინე!

ეს ისევ თამადა იყო. საათი გამოვლიჯა იროდიონს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხეს შეახეთქა, მერე მიწაზე დავარდნილს ქუსლი ჩასცხო, აიღო და წინ დაუგდო.

— ესეც შენი ოქროო, ჩაიდე, გაიხარე.

იროდიონს სახეზე სიმწრის ოფლმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაასხა, მაგრამ მაინც გაუღიმა უფროსს.

ახლა საათების მტვრევა დაიწყეს, ზოგი ბოთლით ცდილობდა დამტვრევას, ზოგი ისეც ხეს უნთქავენებდა. ჩემს გვერდით მჯდომმა სადღაც ქვა მოძებნა, საათი სკამის კიდეზე ჩამოსდო დასაკლავ ქათამივით და ჩასცხო და ჩასცხო ქვა. სულ ზედ დააფშვნა. მომელანდა, რომ ცოცხალი არსება მოჰკლეს.

უეცრად წამოვვარდი და გავიქეცი, ძლივს მივასწარი ეზოს გადაღმა მირბენა, გული ამერია. მეგონა, ვკვდებოდი, ცა თავზე ჩამომენგრა, თვალთ დამიბნელდა და სადღაც გადავეშვი, უძირო, უკიდეგანო. სამკარაში. დედამიწა წარღვნასავით დაეფარა უთვალავ წუთებს. ეხლებოდნენ წუთები უხილავ ზღვდეებს და იმსხვრეოდნენ, იფშვნებოდნენ წამებად, წამის მეასედებად და მემილიონედებად. მერე, თითქოს რაღაცამ დაფრთხოო, მუმლივით წამოიშლებოდნენ, წამოფრინდებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, ჰაერში ერთდებოდნენ საუკუნეებად, უსახელო, უსიცოცხლო ათასწლეულებად და მერე ისევ იფანტებოდნენ. თვალგაუკვლევ ფერფლად ეფინებოდა წლები დედამიწის ქერქს. დრო დანგრეულიყო, დაქუცმაცებულიყო, და მე ეტივტივებდი მიწაზე შრეებად დადებულ, ზამბარებად გადაბმულ წამებზე, და ვეძებდი ჩემს დროს, სიცოცხლის თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო დღეს, ყველაზე უარეს დღეს. ოღონდ საკუთარს, ჩემსას. მაგრამ არსად იყო. ყველაფერი განცალკევებულიყო. აღარავის და აღარაფერს აღარ სურდა მის მსგავსს შეერთებოდა. ფერფლი კი ცვიოდა, ცვიოდა... და მე თანდათან ვიფარებოდი შავი, გაზიწზლული მუმლით... უეცრად შემოჰკრეს დიდი, გაბზარული ზარი. ეს ჩემი თავის ქალა იყო...

თვალები გავახილე.

ბარბაც-ბარბაცით მივაღწიე სუფრამდე... შეძახილები მომესმა, ვითომ სიხარულისა და შეგებების. თაზო არსად ჩანდა. ორივე ხელი დავაყრდნე მაგიდას, წონასწორობა რომ არ დაშეკარგა.

— ყურადღება! — დავიძახე მე. — ერთი წუთით მომისმინეთ, ბატონებო!

მიჩუმ-მოჩუმდნენ, აბა, რას იტყვისო.

ცალ-ცალკე შეეთვალიერე თვითეული მათგანი, მერე თავი დავხარე და თამადისაკენ შევბრუნდი:

— თქვენ ბარბაროსები ხართ!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მე განვაგრძე:

— თქვენ ველურები ხართ, ბატონებო, ტყიდან გამოვარდნილი ქაჯები ხართ... გაფურთხებთ ყველას, ფუჰ, ასეთ ქართველებს!

სვავების გუნდივით წამოიშალნენ, აყაყანდნენ, აირივნენ.

— მე შენ გასწავლი ჭკუას! — წამოიყვირა თამადამ და ჯიბეზე ხელი გაიტლო. ვიღაცამ გააკავა.

— მოითმინეთ, ნუ წუხდებით! — დაუძახა ირიდიონმა თამადას და ჩემკენ გამოემართა. შედგა, მომეჩვენა, რომ მთელი ოქროყანის ჰაერი შეისრუტა. ისე აუხრიალდა ყელი, და მერე ერთბაშად შემომბერა ის ჰაერი:

— გა-ეთ-რი-ეე! — არაადამიანური ხმით დაიღრიალა მან და ხელი მკრა, თავის უფროსს მომაცილა, „გადაარჩინა“.

— ველურები ხართ! — გავიმეორე მე.

— გა-ეთ-რი-ეე! — კიდევ მკრა ხელი და უფროსს გახედა.

— ველურები ხართ!

— შე მამაძაღლო, შე! — უფროსს შესცქეროდა, როცა ეს მითხრა, მაგრამ თითს მე მიქნევდა.

ახლა თვითონ ირიდიონს აკავებდნენ.

— ნამდვილად — ველურები!

— ლა-წი-რა-კო! — დამბრიალა თვალები და ეს ებრიალებული თვალებიც უფროსს დაანახვა.

— ნაღდი, პირწავარდნილი!...

იმ ღამეს თაზო ვეღარ ვნახე. შინ არ იყო მისული. მეორე დღეს შევხვდი. საათების დასჯა არ გაუგია, ეძინა თურმე, მე კი ვერ ვამჩნევდი სუფრაზე. მერე სად წავედი და როგორ აღმოვჩნდი ღილით ჩემს ლოგინში, არ მახსოვსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის ბოლოს პროკურორმა გამომიძახა.

— ზაალ! — მომმართა მან და მაგიდიდან ქაღალდი აიღო, — ამდენ ხანს ვერ იპოვნე დამნაშავე, ახლა კი ისეა საქმე, რომ მგონი შენ თვითონ გაძლევენ პასუხისგებაში! — გაიღიმა და ქაღალდი გამომწოდა.

— ბოლოს რას წერს, რა მინდაო?

— წინ რას წერს უკვე იცი? ისიც იცი, ვინ წერს?

— დიახ, ვხვდები.

— ზაალ! — გამაფრთხილებელი კილო მოიერგო, — ნამდვილი დამნაშავესავით წამოგცდა: თუკი იცი, ვინ წერს და რას გაბრალებს, ესე იგი, შენ ამას ელოდებოდი...

— თვითონ მითხრა ყველაფერი და თქვენთან წამოვიდა.

— ზაალ! ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიძახე. ოქმზე ხელს ვაწერინებ. თავისუფალი ხარ-მეთქი, ვეუბნები. დგება. დღეს შედარებით დამშვიდებულია. შვილის წერილი მიუღია: ჩემზე ნურაფერს იჯავრებ, ღმერთივით ვცხოვრობთ მე და ჩემი მეუღლეო.

— კაცო, ახლა მეც რამე ხათაბალაში არ გამხვიოთ, ფული იმ კაცმა მასესხა, მე ხომ არ გამისესხებია? — მიხსნის იგი და თვალებში შემომქქერის, — ახლა ისე არ გამოვიდეს, რომ ვთქვათ, ჩემს დირექტორს ცოლი ღალატობდეს, ვთქვათ, მთავარ ბუღალტერსაც ცოლი ღალატობდეს, მთავარ ინჟინერსაც, და დაიკონოთ, რადგან ეგრეა, გინდა თუ არა, შენც გდალატობს ცოლიო.

ტელეფონის ზარი წკრიალებს. ყურმილს ვიღებ.

— გისმენთ! — ტექნიკოსს ვანიშნებ, რომ წავიდეს.

— ახლა კარგად ისმის, — ამბობს თაზო, — ზაალ, რაზე გირეკავ — მარსელ მარსოს ნახვა გინდა?

— როგორ არ მინდა, ძალიან მინდა!

ფრანგი მიმი მარსელ მარსოა ჩამოსული თბილისში, სულ ორი კონცერტი უნდა გამართოს. ბილეთები ერთი კვირით ადრე გაიყიდა.

— მაშინ საღამოს შვიდ საათზე ჩემთან იყავი.

— ასე ადრე იწყება?

— ცხრაზე იწყება, მაგრამ მოდი შვიდზე. ერთ ადგილზე უნდა გავიაროთ კიდევ.

— სად იშოვნე ბილეთები? ტრამვაის ბილეთის ყიდვა არ იცი.

— მელიტა გვპატიჟობს.

— მელიტა?! — თითქოს ყურზე ადრე გულს ესმის ეს სახელი, რადგან ნაი ახსენდება და გამალებით იწყებს ძგერას.

— ჰო, მელიტა. ბილეთები იშოვნა, ფელი, რა თქმა უნდა, მე გადავიხადე. ნაიც მოდის. — ამბობს ბოლოს და ჩუმდება.

— კარგი, მოვალ, გმადლობთ, — ყურმილს ვდებ და აღელვებულ[illegible] ჯარასთან მივდივარ.

●

შვიდის ნახევარზე უკვე თაზოს სახლის შესასვლელთან ვდგავარ. კარის ვაღებას აგვიანებენ. დაკაკუნებ სახლის ძველი პატრონის ინიციალებს „დ. ს“. მინდა გავშიფრო, თითქოს რამე ქარაგმა იყოს: „დოსიე“, „დასი“, „დაისი“, „დაუსრულებელი“... „დასტა“, — ამა, კიდევ ერთი სიტყვაც! „დოსტი“ — კიდევ ერთი, — „დასაწყისი“ — ამ დროს კარი ღება, — „დასასრული“, — ვფიქრობ და გულში მეცინება, აი, დღევანდელი საღამოსათვის შესაფერისი და სიმბოლური სიტყვა მოფრინდა-მეთქი ბოლოს.

— გმადლობთ, ლუსია, სულ შენ გაწუხებ.

— სანამ თაზო წამოდგება და თავის რეტლეზებს ჩაიცვამს!... ოჰ, როგორ გამოპრანჭულხარ, ცოლს ხომ არ ირთავ დღეს?

— არა, ლუსია, ძალიან მინდა, შენ მოგეწონო. ვფიქრობდი, დღესაც ლუსია გამიღებს-მეთქი და...

— ო, რა მატყუარა ხარ, რა მატყუარა, — ხვდება, მაგრამ სიცრუე სიამოვნებას ჰგვრის ლუსიას.

— როგორ გეკადრება.

— მაშინ მომწონხარ! შენი მიზანი მიღწეულია.

— ო, რას ამბობ, ლუსია, მე დღეს უბედნიერესი კაცი ვარ ქვეყანაზე, — თეატრალურად ვშლი ხელებს.

— რა კარგია, რა ადვილად გაგაბედნიერე, ყველა რომ ამას ჯერდებოდეს.

— ამა, სხვა რაღა უნდათ? — ვითომ ვბოროტდები.

— შენ იცი, რაც უნდათ, წადი ახლა...

— შენ ძალიან კარგი გოგო ხარ, ლუსია, ბევრი არ არის შენი ღირსი, დაიმახსოვრე ეს.

— არავინ არ არის ჩემი ღირსი, — ეღიმება. — შენს გარდა. წადი ახლა...

სარკმლებიანი კარის დარაბები მიხურულია. ეტყობა, სძინავს თაზოს. ვაკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნებ. მერე ოდნავ ვაწვები კარს. დარაბა ჭრიალ-ჭრიალით იღება. ოთახის გრილი ჰაერი მეცემს სახეში. დაერიდებლად შეედავარ, მაგრამ თაზოს არ ეღვიძება. და მეც ვისუსტები. საიდანღაც სევდიანი მუსიკა ისმის. თაზო ტახტზე გაშხლართული, მაისურისა და ტრუსის ამარა. ზურგზე წევს. პირი გახსნია. თითქოს უგემრიელეს ლუკმას აწოდებენ შესაჭამელად და სიამოვნებისაგან თვალებიც დაუხუჭავს. ცოტა უხერხულობას ვგრძნობ, მძინარეს რომ თავზე დავდგები. მაგრამ რაღაც იდუმალი განცდა შეუფლებია: ცოცხალი ადამიანის გაერდით ხარ. მან კი არ იცის, რომ იქ ხარ. ალბინებისას რომ დავეტოვებინე ოთახში, მაშინ სხვაა. მაგრამ ახლა სულ ახლებური ელფერი აქვს ყველა ნივთს: თაზოს წიგნებს, მაგიდაზე მიტოვებულ, აღლაგებელ თეფშებს, კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს, კუთხეში მძინებელ გიტარას. თითქოს ყველაფერი ეს იყო ოდესღაც, ახლა კი აღარ არის. იყო ოდესღაც და მაგონდება: აი, აქ დავდიოდი მე, აქ ვხვდებოდი თაზოს, აქ გადავიხადეთ მისი დაბადების დღე, მე იქ კუთხეში ვიჯექი, მელიტა — აი, იქ. აი, ის პიანინოც, ის მაგნიტოფონი... აუ, როდინდელი ამბავია, რა კარგი იყო ის დრო...

პირველად ვხედავ მძინარე თაზოს. ვგრძნობ, რომ აი, ამ წუთში, ახლაე გავაღიღებ, მაგრამ რატომღაც ვახანგრძლივებ გარინდებასთან განშორებას. ამ კაცს, ტახტზე რომ წევს, რომ ფშვინავს და არაფერი აზრი არ უჭაჭანებს ამჟამად თავში, უყვარს ნაი? ეს ფიქრობდა ძილისწინ ნაიზე? ამ შუბლქვეშაა ის საიდუმლო, მე რომ მიმალავს?...

... უეცად მფრთხობს ჩემი ფიქრები. ვხედები, რომ სადღაც მიტყუებდა, და უხაროდა — ამყვა, მომნდოო.

პიანინოსთან ვჯდები და ცალი ხელით თაზოს საყვარელი მელოდიის აწყობას ვცდილობ. ფრთხილად ვუკრავ.

— ყოჩაღ! — მესმის ტახტიდან.

თაზო დგება, იზმორება.

— უკვე ზვიდა?

— თითქმის.

საიდანღაც ისმის ჩუმი, მწუხარე მუსიკა.

— დიდი ხანია მოხვედი? — თაზო ყურადღებით მაკვირდება.

ინერვ შიშობს, რამე ხომ არ შევატყვე მძინარეს, რამე საიდუმლო ხომ არ ეწერა სახეზე.

— ამ წუთში შემოვედი, — ვეღარ ვითმენ და პირდაპირ ვეკითხები, — მე ვინ მპატიჟებს, შენ თუ მელიტა?

— ნაი რატომ გამოგრჩა? — თაზო აცცამს.

— ნაი არ დამპატიჟებდა.

— მართალი ხარ, ნაის არ გახსენებიხარ. — თითქოს შოლტი გადმომიჭირა. — მაგრამ ნაის ახლა ვნახავთ ჩვენ. კონსერვატორიაში უნდა გავუაროთ, ცხრის ნახევარზე უმთავრდება ლექციები.

— მე არ წამოვალ!

— უნდა წამოხვიდე, საჭიროა!

— ვისთვის? — ისე ვახლი ამ სიტყვას, მეჩვენება ხელი გავარტყი-მეთქი.

თაზო ერთხანს მიყურებს, მერე პირსახოცს იღებს და საბაზანოსაკენ მიემართება.

— სულელი ხარ, სულელი კიდევ არაფერი, ცოტას წაიგიჟიანებ.

— მე არა ვარ გიჟი, შენ იცი, რომ ამ წუთში მაინც არა ვარ.

— ეგ უნდა დამიმტკიცო, ისე...

— დამტკიცებულია უკვე.

— არა, სერიოზულად გეუბნები, დამიმტკიცე, რომ გიჟი არა ხარ. უბრალოდ, საინტერესოა, როგორ დამიმტკიცებ.

— კარგი, სანამ პირს დაიბან, მოვიფიქრებ.

— მაგით ვერ დაამტკიცებ. შენ გგონია, გიჟები არ ფიქრობენ?

თაზო გადის. ახლა ნივთებს აღარა აქვთ ის იდუმალება, გაუბარალოდნენ თითქოს: ჭიქა მხოლოდ ისევ ჭიქაა, სკამიც ისევ სკამად იქცა. მაშინ სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, როცა თაზოს ეძინა. მაშინ იყო ჩემი მოგონება, სკამის მოგონება, თვით თაზოს მოგონებაც, რადგან ეძინა და აღარავითარი კავშირი აღარ ჰქონდა ამ ქვეყანასთან. და, რაც მთავარია, არ იცოდა, იქვე, მის სასთუმალთან რომ ვიდექი, რომ შემეძლო გავსულიყავი და თაზოს ვერასოდეს თავის სიცოცხლეში ვერ გაეგო ჩემი იქ ყოფნის ამბავი.

სიჩუმეში ისმის მტირალა მუსიკის ხმა.

— რა არის ეს, რადიოა? — გავძახე თაზოს.

იგი ოთახში ბრუნდება, შიშველ მკლავებს იმშრალებს პირსახოცით.

— ეგ ის არის, შენ რომ იცი, — ეღიმება თაზოს, — შეკვეთილი მუსიკა.

— ძია ალექსანდრეს ოთახიდან ისმის? შეუდგინე ის საპანაშვიდო კონცერტი?

— შევუდგინე და მივართვი კიდეც. ხომ გეუბნებოდი...

— ბიჭო, ცოცხლად მარხავ კაცს? ახლა მართლა რომ მოკვდეს, შენ დაგბრალებენ.

— აბა, აბა, მისტერ ჰოლმსო! — თაზომ ახალი, ცისფერი პერანგი გამოიღო გარდერობიდან, — ხომ გეუბნებოდი, ჩავიდიქრე-მეთქი რაღაცა. ძია საშას ისეთი ფაქიზი სმენა აქვს, ზაალ, რომ ბევრ კომპოზიტორსაც შეშურდებოდა, მაგრამ თვითონ არ იცის ეს. როგორც იმ ქალმა არ იცოდა... ამას წინათ იყო გაზეთებში, თვალდახუჭული თითის შეხებით რომ გრძნობს ფერებს. ძია საშასთვის სულ უცხოა მუსიკის სამყარო, აქა-იქ შემთხვევით თუ მოუსმენია, მაგრამ მის სულში არ ჩაღწეულა. თუ გემო გაუგო, და იმდენს უკრავს, რომ, მგონი, გაუგო, — თაზოს ეცინება, — არ მოეშვება, სანამ სიახლის სურნელს არ დაკარგავს მისთვის ნაწარმოები. დაკარგავს და, დარწმუნებული ვარ, სხვას მოითხოვს.

— ისევ სამგლოვიაროს?

—ჰე მგონი, უკვე სულ ერთი იქნება მისთვის. დიდი ოსტატების ნაწარმოებები ყოველთვის არის რაღაც ღვთიური, სულ ზეპირად რომ იცოდე, მაინც გამოუცნობი რჩება შენთვის მისი აღნაგობა. გამოუცნობი რჩება, რა მოქმედებს შენზე, რა იწვევს ასეთ ძლიერ ემოციას. თუ ამას ეზიარა ძია საშა...

— აღარ მოკვდება? — დამცინავად ეკითხები.

— არა!

— ასეც ვიცოდი. შენ ისევ გადატრიალებას ახდენ, მედიცინას ჭუსიკოთ ცვლი.

— არა, ზაალ... აქ მარტივი პეშმარიტებაა. ძია საშასთვის, ამ სამოცწელს გადაცილებული კაცისთვის, დღემდე უცნობი იყო მუსიკის სამყარო, მისი სული კი, მისი ფსიქიკა და სმენა, ბავშვობიდანვე ელოდებოდა ამ სამყაროსთან შეხვედრას. მაგრამ ისინი არ შეხვდნენ ერთმანეთს. ასე მოხდა, რას იზამ. ახლა, მიუხედავად ასაკისა და ძმიმე ავადმყოფობისა, თუ ისინი ერთმანეთს შეხვდებიან, სხეული გამოძეგნის იმ ხელუხლებელ, სრულიად ახალ ძალასა და ენერგიას, აქამდე რომ მიძინებული იყო, და ადამიანი გადარჩება. სასწაული ეს არის, მეტი კი არაფერი! შენ არ იცი, ზაალ, რა ჯადოქრობაა მუსიკა. მით უმეტეს, როგორ მოქმედებს ეს ჯადო ქართველ კაცზე. რაღაც საოცრებაა ეს ჩვენი ხალხური მრავალხმოვანება... ერთხელ სოფელში დიდ სუფრაზე დავთვერი და ჩემთვის რაღაც წაიღიღინე, მგონი, ვაგნერის „რიენცის“ შესავალი იყო. მოულოდნელად გვერდზე მჯდომი გლეხი შემობრუნდა, კისერი მოიღერა, წარბი აზიდა და პირველი არ ამიწყო? პირველი და მეორე თქვესო? შვიდმა ბანმა ახადა ჭერი. ალბათ იფიქრეს, რაღაც სხვა კუთხის სუფრულია, ჩვენთვის უცნობი, სიტყვებიც არ ვიცით, მაგრამ რა მოხდა მერე, ხმების აწყობას რა უნდაო. ისეთი აღტაცება იშვიათად განმიცდია, სულ ახლებურად ჟღერდა კლასიკა, სისხლის გადასხმასავით იყო, — თაზო ჩუმდება, სარკეში იყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება, მერე ყელთან გასკვნილ ჰალსტუხს ხელის ერთი ჩაქნევით იხსნის და მე მაწოდებს, — თუ ძმა ხარ, გამიკეთე, — ვდგები და ხელებს ჰალსტუხიანად კისერზე ვხვევ. — ეჰ, ზაალ, შენ არ იცი, რა ღვთისაგან შერისხულები ვართ ქართველები. იქნებ იმიტომაც არ ვიკლავთ თავს ქრისტეს სახელის ხსენებით. ასი, ორასი, ოთხასწლიანი ბატონობა არაბების, მონგოლების, თურქებისა და სპარსელების... რამხელა დაღი დაგვაჩნიეს. გვაწოოკეს, გვეწლტეს, გვშალეს... აი, რამე ასოს წაშლა რომ გინდა სუფთა ხელნაწერში, წაშლი საშლელით, მაგრამ ასო მაინც ჩანს. მერე დანით ამოგზეხეკა გულმოდგინედ, დახედავ, მელნის კვალი აღარ არის, მაგრამ ასო მაინც ჩანს, მაინც იჭვრიტება. ასე იყო ჩვენი ერის საქმე... ჰოდა, რამდენმა ქართველმა, კომპოზიტორად, ფიზიკოსად, თუ ასტრონომად დაბადებულმა, იმის გაგებაც რომ არ ჰქონდა, ფლის ფლობის უნარს შესწირა მთელი თავისი ძალა და ნიჭი, რომ ერთს ათი და ოცი მომხვდური აეკაფა... ნობელის პრემია რომ მიიღეს ამასწინათ ამერიკელმა ფიზიკოსებმა ლიმ და იანმა, მოჰკარი ყური?

— არა, არ ვიცი.

— ჩინური წარმომობის ამერიკელები არიან. მიკო სამყაროს ასიმეტრიულობა დაამტკიცეს. ეს გადატრიალება იყო ფიზიკაში. ჰოდა, ერთმა მეცნიერმა შენიშნა: ლისა და იანს აღმოსავლური ხელოვნების ასიმეტრიულობა დაეხმარა ამ აღმოჩენაშიო, „სიმეტრიულად აღზრდილი“ დასავლელი ფიზიკოსები არასოდეს ეშვნ არ შეტანდნენ სამყაროს ასიმეტრიულობაშო. ჩვენი ხელოვნება? ოდესღაც, გენიალურ ქართველ ხუროთმოძღვარს ალბათ შეეშინდა, ღმერთი არ გამირისხდეს ასეთ სრულყოფას და ასეთ პროპორციებს რომ მივაღწიეო, და დათმო სიმეტრია, ორნამენტი ტაძრის კედელს ცენტრში აღარ ჩააქსოვა. ჯვრის ორი ფრთა სხვადასხვანაირად მოაჩუქურთმა — ხომ ხედავ, ღმერთო, რა უსუსური ვარ, შენს სრულყოფილებას მოკვდავმა ვერ მივაღწიეო. წადი, ნახე სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე ორი სარკმელი, თითქოსდა, არაფერი განსხვავება არ არის მათ შორის, მაგრამ თუ დააკვირდები, არაფერი მსგავსება არ არის ჩუქურთმებს შორის. ჰოდა, ვინ იცის, იმ ხუროთმოძღვრის შთამომავალს დღეს მთელი მსოფლიო გაეოცებინა...

— შენ ჰალსტუხის გაკეთება უნდა ისწავლო! — ვეუბნები თაზოს და ვანიშნავ, სარკეში ჩაიხედე, თუ მოგწონს ჩემი გასკვნილი-მეთქი.

— ვერ ვისწავლე და, რა ვქნა, — მპასუხობს გულუბრყვილოდ.

— ჰოდა, ჯერ ჰალსტუხის გაკეთება ისწავლე. — მინდა გავაბარაზო.

ერთბაშად ხედავს, სახე უკაპასდება.

— ო, რა ცინიკოსი ხარ! — და უცბად მართლა ბრაზდება, — რომ იცოდე, ეგეც იმის ბრალია, იმ ოთხასწლიანი ბატონობის...

— ვიცი, თაზო, ვიცი, რომ იმის ბრალია, — შემრიგებლურად მივმართავ, — მეც ბევრჯერ მიფიქრია ამაზე.

— მაშინ მაკოცე, ორივემ ნაწყენი დავრჩები!

ხანდახან ისე გაბავშვდება, მე თვითონ ვგრძნობ ხოლმე უხერხულობას. გადაკოცნეთ ერთმანეთი. მერე ორივეს გაგვეცინა.

— დეიდა ნინო არ არის გაგიქეცული? — მახსენდება უეცრად.

— გაგიქეცული კი არა, მემდურის, ხმას აღარ მცემს, თუ ჩემს ქმარს ჭკუა ეღრძო, შენ რა ეშმაკები ჩაგისახლდა სულშიო. საშას კი ვერ უშლის დაკვრას, არ განერვიულდეს და ცუდად არ გახდესო. და როცა ამ სამგლოვიარო მუსიკას სახეზე ღიმილმორეული უსმენს ძია საშა, უი, უიო, წამოიძახებს, ყურებზე ხელებს აიფარებს და გარეთ გამოვარდება.

თაზო ფეხსაცმელებს იპრიალებს. მე სიგარეტს ვაბოლებ.

ედიშერ ყიფშიანი
ცაში ასროლილი ჭუდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, მართლა: იცი, თაზო, მეტოქედ რომ გაგიჩნდი? მეც დავიწყე აღმოჩენები.

— რა აღმოაჩინე?

— გუშინწინ იროდიონ მენაბდე იყო პროკურატურაში, იმ ბავშვის მამინაცვალი...

— როგორ არის ბავშვი?

— უარესად, თუ იმაზე უარესად შეიძლება ყოფნა.

— არ მოვიდა გონს?

— არა. ერთი კვირა კიდევ შეიძლება იცოცხლოსო.

— შენ თუ გაარკვიე რამე?

— ვერაფერი. მივიზლაზნები.

— სწორ გზაზე მაინც თუ მიიზლაზნები.

— მე მგონი, კი. იმ ირიდიონისგან ყველაფერს უნდა ელოდო. ჰოდა, გუშინწინ იყო-მეთქი ჩემთან. იცი, თაზო, ვინ არის ეგ კაცი? გაგიკვდები, რომ გითხრა.

— აბა, გამაგიგე!

და თაზოს ვახსენებ ოქროყანის რესტორანში გატარებულ შარშანდელ საღამოს და სამმაგიდიანი სუფრის ერთ-ერთ წევრს.

— ის არის? — რას ამბობ. სახე სულ არ მახსოვს. საერთოდ, არავინ არ მახსოვს, მაგრამ რა საზარლად მღეროდნენ, ო. რა გულისამრევად მღეროდნენ, ნამდვილი რეციდივისტების სიმღერა იყო.

— შენ, თაზო, ესკიმოსების მოსამართლედ გამოდგებოდი. ორ მოკამათე მხარეს, მომჩივანს და მოპასუხეს, სიმღერაში აჯიბრებენ ესკიმოსები, ვინც უარესად იმღერებს, დამნაშავედ უნდა აღიაროს თავი. შენ, რა თქმა უნდა, მთავარ მოსამართლედ აგირჩევდნენ.

— შენ კი, შენი დღე და მოსწრება, სულ დამნაშავე იქნებოდი, — სიცილს ვერ იკავებს თაზო, — თქვი ახლა, რა აღმოაჩინე?

— რა აღმოვაჩინე იცი, თაზო — ვყოვნდები, ვფიქრობ, როგორ ვუთხრა, და ბოლოს ვეუბნები სრულიად უბრალოდ,

— ალიბი აღარ არსებობს, თაზო.

— რა თქვი?

— ალიბი-მეთქი, აღარ არის, აღარ არსებობს. თუ დღეს ყალბად და უწესოდ ცხოვრობ, თუ სიმართლეზე თვალებს ხუჭავ, მაშინ არა მარტო შენს საკუთარ დანაშაულში, ყველა დანაშაულში მიგიძღვის ბრალი.

— ესე იგი, გამოდის, რომ.. .

— მოიცა, და კიდევ რა აღმოვაჩინე, იცი? თუ არავის არაფერს არ უშავებ და მხოლოდ შენი თავისათვის ძოგაქვს ზიანი, ისე უკუღმართად ცხოვრობ, რომ სიცოცხლის დღეებს იკლებ და სულსაც იხრწნი, მაინც დამნაშავე ხარ...

— ეგ სულ ვერ გავიგე.

— ... რადგან საზოგადოების წევრი ხარ, და თუ წევრები გაიხრწნენ, საზოგადოებაც გაიხრწნება.

— ესე იგი, რადგან მე აქამდე მოვიყვანე საქმე, საკუთარი ოჯახი არ შემიქმნია და ქუჩა-ქუჩა ქალებს ვედები, რადგან არსად არ ვმსახურობ და არც მაინდამაინც ვსწავლობ, რადგან არაფრით არ ვეხმარები საზოგადოებას, ყველა დანაშაულში მიმიძღვის ბრალი?

— კი!

— აი, ის ბავშვი რომ გადმოვარდა, იმაშიც?

— აუცილებლად!

— მომილოცავს. ძმაო! — თაზო დგება და ხელს მაგრად მართმევს, — მომილოცავს. დამნაშავე აღმოგიჩენია და ჩუმად კი ხარ. ახლავე მაპატიმრებ, თუ ჯერ კონკერტი ვნახოთ?

— ასეა, თაზო, მე ასე მჯერა.

— მე კი მგონია, რომ სიკეთის გვერდით დანაშაულიც უნდა არსებობდეს, საზოგადოება მუდამ ფხიზლად და დაძაბულად იქნება მაშინ. თუ ცოტაა ბოროტება, სამაგიეროდ ძლიერია, თუ სუსტია სიკეთე, სამაგიეროდ მრავალია. მათ შორის წონასწორობა არასოდეს არ მყარდება, ხან ერთი ძლევს, ხან მეორე. ასე მეჩვენება, რომ ბოროტება თანდაყოლილი თვისებაა ადამიანის, სიკეთე

— შეძენილი.

— სიცრუეა! პირიქით, სწორედ სიკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეა თანდაყოლილი და ბოროტება შეძენილი, მაშინ სიკეთე არ იქნებოდა მრავალი და ბოროტება მცირე, როგორც შენ თქვი.

— მოდი, ეს კამათი გადავიტანოთ უმაღლეს სასამართლოში, თორემ გვაგვიანდება, — თაზო ჰიჯაკს იცვამს.

დეიდა ნინო აკაკუნებს კარზე, თან იძახის:

— თენგიზ, შვილო, ჩქარა, ალექსანდრე გიხმობს, ჩვენი თანამგზავრი გამორნდა ცაზე, და ალბათ არ იცის, დაუძახეო.

გავრბივართ. თანამგზავრის ასე იოლად დანახვა ვერც წარმომედგინა.

— ოღონდ, თენგიზ, თუ გინდა რომ შეგარიგდე, — მოგვდევს უკან დეიდა ნინო, — წამოიღე ის ფირი, დედაშვილობას.

— წამოვიღებ, თუ აღარ უნდა.

— უთხარი, რომ გეჩრდება, ვითომ ძალიან გეჩრდება.

— ვეტყვი, დეიდა ნინო.

ოთახში ვიქრებით, როგორც დიდი კროსის მონაწილეები სტადიონზე. ძია ალექსანდრე საწოლზე წამომჯდარა, ფანჯრის რაფას გადაყრდნობია და ცას ასცქერის პატარა დურბინდით. საწოლი ალბათ, დეიდა ნინომ მიაგორა ფანჯარასთან.

—მოდით, ჩქარა, მოდით! — უკვე მის გვერდით ვართ, მაგრამ მაინც გვაჩქარებს. — ჰა, გაიხედე, თორემ გაქრება სადაცაა, — ეუბნება თაზოს და დურბინდს აწოდებს, — ხედავ? ე, იმ ტოტს გასწვრივ, ხედავ?..

— ვხედავ, ძია საშა, მგონი, ვხედავ. ო, ახლა მართლა ვხედავ!

ელბაქიძის დაღმართი სავსეა ბავშვებით. ცისკენ ხელებს იშვერენ. პირდაღებული ბიჭუნა გაოგნებული იყურება მაღლა, ეტყობა, ჯერ ვერ მიაგნო თანამგზავრს. აღმართზე ტროლეიბუსი ამოდის. მძღოლი სელას ანელებს, სარკემელიდან ცას აპყურებს. მერე ხალათის სახელოს უსვამს მინას და ხელახლა ცდილობს თანამგზავრის დანახვას, ქათამივით თვალებატრიალებული. ზემოდან საბარგო მანქანა ჩამოდის მისაბმელძარიანი, ორივე ძარის სიგრძეზე ტრამვაის ლიანდაგები აწყვია. მიწამდე გადმოღუნულან, ქანაობენ, გრანატის ქვაფენილს ეხლებიან და წითელი ნაპერწკლები სცვივათ. საბარგო მანქანის მძღოლიც სვლას ანელებს, ნაპერწკლები ქრება.

დიდი ვარსკვლავივით ანთებულა თანამგზავრი, თითქოს ზეგზაგით მიფრინავს, თითქოს რაღაც ახალმა აზრმა გაუელვა თავში კოსმოსს. თანამგზავრს ახლა ადამიანის წონა ტვირთი მიაქვს და ყველაზე აუცილებელი ხელსაწყოები ადამიანის მომავალი გაფრენისათვის. ნეტავ როდის მოხდება ეს? ვინ იქნება ის პირველი კოსმონავტი?

— აჰა, გაიხედე, — მეუბნება თაზო და დურბინდს აწოდებს.

კოხტა, თეატრალური დურბინდია, ალაგ-ალაგ აცვენილი სადაფის ფურცლებით მოვარაყებული. ხელმეორედ ძლივს ვპოულობ თანამგზავრს. ქუჩაში ყიჟინა მატულობს. ბავშვები ზემოთკენ გარბიან, თანამგზავრი თანდათან ეფარება თვალს და ფეხდაფეხ მისდევენ.

— ამასაც მოვესწარი, — ამბობს ძია საშა და ცდილობს ბალიშისაკენ შებრუნებას. თაზო ეშველება; — ნუ წუხდები, თენგიზ, მე თვითონ მოვახერხებ.

ძია საშა ყავარჯნებს იმარჯვებს და საწოლზე დგება. საბანზე მიაბჯენს. მოლანდებას ჰგავს, მაგრამ ისეთი ძლიერი ცეცხლი უნთია თვალებში, ლომს მონუსხავს. ნელნელა იხრება და ძვრება საბანქვეშ.

—ახლა თუ გამასეირნებთ, მადლობელი ვიქნები. — მე და თაზო რკინის საწოლს ძველი ადგილისაკენ მივაგორებთ, — ამის შემდეგ ადამიანი გაფრინდებაო.

— ჯერ ცხოველს გაუშვებენ, ძია საშა, — ეუბნება თაზო.

დურბინდს უკან ეუბრუნებ ძია საშას. ხელში ატრიალებს, თითქოს პირველად ხედავდეს.

ედიშერ ციფციანი
ცაში ასროლილი ქუდები

— ესეც იხილა ამ უკბილომ. — ეალერსება თითქოს.

— ეს დურბინდი კოლექციონერია, — ეუბნება თაზო, — ცოცხალი ჩეხოვი უნახავს, მესხიშვილი უნახავს, არა, ძია საშა? შალიაპინი...

— სარა ბერნარი, — იძახის სამზარეულოდან დეიდა ნინო.

— ილია ჭავჭავაძე ,— უმატებს ძია საშა, — ნინოს დედისეულია. დიდი თეატრალი ქალი იყო თურმე.

— ნიკოლოზ მეორეც უნახავს მარინეს თეატრის ლოჟაში, — შემოდის დეიდა ნინო.

— მაგ ღირსებას ნუ დაუკარგავ, — დასცინის ძია საშა.

— მერე ის ჯოჯოხეთიც აჩვენა თქვენმა ძია საშამ.

— რა ჯოჯოხეთი? — ეკითხები თაზოს.

— ფრონტზე ჰქონდა ძია საშას.

— წავათრიე, — ეღიმება ავადმყოფს, — რად მინდოდა, დღემდე არ ვიცი. ალბათ გენერლობაზე ვოცნებობდი — მტრის პოზიციებს გავხედავდი სათვალთვალო პუნქტიდან. პაპანაქებაა სროლაში ოცეულის მეთაურმა მინახა და ჩამომართვა, ახლა ბალეტისთვის ცალიაო? ჰოსპიტალში დამბრუნეს.

— იმ ნაღმით რომ დაიჭერით, ძია საშა? — ეკითხები მე.

— ჰო, ნეტავ ეს ნატეხიც, — ზურგისკენ მიაქვს ხელი, — მეორე ფეხში მომხვედროდა.

— ახლაც გაწუხებთ?

— იმდენი ხანია მაწუხებს, რომ აღარც მაწუხებს. ეშინია გამოსვლა, ვერ მოვკალი ზემდეგი ალექსანდრე ფირცხალავა და ფაშისტებმა არ დამსაჯონო. ამას ომი ჯერ გათავებული არ ჰგონია.

— პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა. — გავუღიმე ძია საშას.

— ჰო, იმის მაგივრად, რომ გამოვიდეს, გაიხედ-გამოიხედოს, ნახოს რა ხდება ამ ქვეყანაზე, არის თავისთვის არხეინად. არც ცივა, ჩემო ბატონო, არც იყანგება... კაცო, ამას წინათ წავიკითხე, უანგარიშიათ თურმე ეს მეორე მსოფლიო ომში, ყოველ სამ წამში ერთი ადამიანი კვდებოდაო, მიკვირს, იმ დანარჩენ ორ წამში როგორ გადავრჩი ცოცხალი... თქვენ რას ჩურჩულებთ მანდ, ხომ არ გეჩქარებათ სადმე?

— ცოტა კი გვეჩქარება, ძია საშა, მაგრამ...

— წადით მერე, რას მერიდებით?

— მაგრამ თუ შეიძლება... — თაზოს ეძნელება თქმა, — იმ ფირს წავიღებ, დამჭირდა უცებ.

— სტყუი, ნინო დაგარიგებდა, სტყუი!

სკამზე გაზეთგადაფარებული პატარა მაგნიტოფონი დევს. ახლაღა შეეჯინე. ძია საშა ხელს ადებს ზემოდან.

— მიეცი, საშა, რა ოხრად გინდა, მოგიტანს მერე, — ანჩხლობს დეიდა ნინო.

— მართლა მჭირდება, ძია საშა, — უღიმღამოდ ცრუობს თაზო.

— სინდისს გეფიცები, ნინო, თუ აწი შენი შინ ყოფნისას დავუკრა, წახვალ სადმე და მაშინ დავუკრავ.

— ან მაშინ რა ეშმაკად გინდა, რას იტყვის ხალხი, ცოლი წინასწარ პანაშვიდს უხდისო.

— ეს პანაშვიდი არ არის, ეს მუსიკაა!

თაზო თვალს მიკრავს.

●

კონსერვატორიის შესასვლელთან ვდგავართ. კედელში ნახევრად შეფლულ სვეტთა თავებზე ვერძის დაგრეხილი რქების მსგავსი, მოოქროვილი ჩუქურთმები დახლართულა. რამდენჯერ მოვსულვარ აქ, რამდენჯერ ჩამიგლია ამ ქუჩაზე, იქნებ ნაის მოვკრა-მეთქი თვალი. მაშინ ესეც საკმარისი იყო ჩემთვის. საოცარია, ახლაც ასეა. ახლაც მხოლოდ მისი ნახვა მინდა, მისი ხმის გაგონება. ამაზე მეტი ბედნიერება ვერც წარმომიდგენია. მაგრამ ვიცი, თუ ვნახე, თუ შევურიგდი და ისევ დავუახლოვდი, სურვილები გამრავალფეროვნდება, ფრთე-

ბი მოუძლავრდება, როგორც მაშინ, პირველად...

— შეგიდეთ, ბარემ აუდიტორიის წინ დავუცადოთ, რომ ვინმემ ლაპარაკი არ გაუბას.

მორჩილად მივყვები თაზოს, რადგან ჭამედე მოვედი, ახლა სისულელეა ბავშვური სიჯიუტის გამოჩენა. ისიც შეეშზულისა და ნაძალადევის. რა ფიქიზად მოიხსენია თაზომ ნაი, ეს კი არა თქვა, „ვინმესთან ლაპარაკი არ გაგაპასო“, „ვინმემ არ გაუბას ლაპარაკიო“.

ის პირველი, ამაფორიაქებელი ღელვა მიპყრობს, თაზო რომ ნაის გაცნობა იყო დაპირებული და ერთად რომ დავყოლიდით ქუჩებში, იქიდან სადმე გადავეყაროთ-მეთქი. და ეს ეთქვა ნართლა ყველაფერი პირველად ხდება, თითქოს სიზმარში ვნახე უცნო გოგო, თავი რომ დამავიწყა, რომ ავედევნე ლანდივით, თვალს რომ ვერ ვუსწორებდი მის გამოხედვას, — მზეზე ამოსულ მზეს — და ჰაერში რომ გადნა, გაქრა და ხელებგაწვდილი დავრჩი. მერე ვუამბეს სიზმარი თაზოს და მითხრა, ეგ სადაური სიზმარია, ეგ გოგო ნამდვილად არსებობს, წამო წამომყეკი, გაჩვენებო.

და ახლა მივყვები, რაღაცის მეშინია, ჩემზე ძლიერის, არამიწიერის, და ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ, როგორ იზრდება იმ ღვთიური არსების მიერ გარშემო მომოფრქვეული უხილავი მიზიდულობა. უკანსკნელი მდაბიოსავით ვეჭვიანობ ჩემს წინ მიმავალ გიგანტზე, გმირთა გმირზე, რომელსაც საკუთარი თვალით უნახავს ის ქალღმერთი. მე კი მხოლოდ სიზმრად მომეელინა. თუმცა ქალღმერთს არ გამოეპარებოდა ჩემი სიზმარი. ეცოდინება, რაც ვნახე. იქნებ თვითონ მომალანდა თავი და მისი სურვილით ვდგამ ახლა ყოველ ნაბიჯს?

კონსერვატორიის კარისკაცები, ეს სცილები და ხარიბდები, იცნობენ თაზოს და მისი წყალობით მეც შევდივარ შენობაში. მარმარილოს კიბეზე მივიწევთ სულ მაღლა და მაღლა. ყოველი კუთხიდან ქეერს ჰაერივანი ჰნგები. ვუახლოვდებით ოლიმპოს მწვერვალს, წკრიალებს ზარი და აუდიტორიის კარიდან, ვით სიმღერა, გაჰყოდის ნაი.

მას ეურჯ-წითელი ვკვიანებით მოხატული კაბა აცვია (თავისი ღვთიური სიშიშვლე ვილური ყვავილებით დაუფარავს). უქუსლო ყავიისფერი ფეხსაცმელები უფრო ამბავშვებს. ჩემი დანახვა ერთობს და უხერხულობის დასაფარავად თაზოს ეუბნაა. თაზოს მკლავქვეშ მალავს თავის ხელს (სელი ნისლით შეიბურა ქალღმერთი, ჩემთვის უხილავი შეიქმნა, მხოლოდ გმირთა გმირ თეზეოსს ძალუძს მისი ჭვრეტა), მაშინვე გრძნობს, რომ თავის დაუმცირებლადაც შეუძლია ყურადღება მომაქციოს, ჩემი იქ ყოფნა აღიაროს, და მესალმება (გრძელთითება ოქროსფერ ხელს მიწვდის, მუხლზე ვეცემი და ვეამბორება).

—„ დავაგვიანეთ, ახლა მანქანა თუ გვიშველის“, — ამბობს თაზო. ისინი კიბეზე დაეშვნენ. მე კი, მგონი, დავაგიწყდი ორივეს. (თეზოსიც ნისლში გახვია... და ოლიმპოს კალთებიდან დაეშვნენ).

პირველი სართულის დერეფანში დგანან, საკონცერტო დარბაზის კარებთან. ნაი უჩვეულოდ გამოცოცხლებულა. ვიღაცაზე ანიშნებს თაზოს.

— ის არის, თაზო, ის არის, მე ვიცნობ. აბა, დაეწიე და გაახსენე... თუ ის არ აღმოჩნდეს.

— რა მოხდა? — ვეკითხები ორივეს.

— მართლა დავეწევი, საინტერესოა, — თაზო გარბის.

— რა მოხდა? — ვიმეორებ შეკითხვას და ვამჩნევ, ხმა სულ ჩამიქრა. რამდენი ხანია, აუ, რამდენი ხანი, მარტო არ დავრჩენილვარ ნაისთან.

ნაი ჩემსკენ არ იხედება, შორს, დერეფნის ბოლოს, თაზოს გასაცქერის, მაგრამ პასუხს მაშინვე მაძლევს:

—გუშინწინ ვიდექით ზემოთ, დერეფანში, ფორტეპიანოს კლასის პედაგოგებთან. ესაუბრობდით. მეზობელ ოთახში მეოთხე კურსის სტუდენტი უკრავდა ლისტის „მეორე რაფსოდიას“. შეკაშ-

ედიშერ ყიფიანი
ცაში ასროლილი ჭიდები

ნიე, რომ თაზო ყურადღებით უსმენდა. როცა საფინალო აკორდები დაიწყო, თაზოს უფრო მეტად დაეძაბა სმენა. სტუდენტმა კარგად შეასრულა მთელი ნაწარმოები, ოღონდ უკანასკნელი, დამამთავრებელი აკორდები არ დაუკრა...

„აქამდე როგორ ვითმენდი, ნაი, შენი ხმა რომ არ მესმოდა?“

— ყველანი გაგიზუმდით და ველოდით დამთავრებას. თაზო შეშფოთებული იყო. ამბობდა, რას შვება, რატომ არ ამთავრებსო, თანაც რამდენჯერმე თვითონ წაიღიღინა ის დამამთავრებელი ნოტები, წარამარა ყურებზე ივლებდა ხელებს, თაზოს ხომ ყურები სტკივა, ალბათ რაღაცნაირად გაუღიზიანდა, მოსაღოდნელი რომ აღარ ჩაესმა... ბოლოს გავარდა თაზო, გაეკიდა იმ სტუდენტს, რომ დაებრუნებინა. მაგრამ სტუდენტი უკვე წასული იყო. აღელვებული ამოვარდა კიბეზე, შეავარდა ოთახში და მთელი ძალ-ღონით თვითონვე აიღო ის აკორდები, ამის შემდეგ დამშვიდდა მხოლოდ. გაოცებულნი იცინოდნენ ჩვენი პედაგოგები. საინტერესოა, არა? მე მგონი, ცოტა მთვრალი იყო თაზო.

„საინტერესოა, არა?“ როგორ გამეხარდა, ნაი, ეს მომართვა, მთელ შენს ნაამბობში მხოლოდ ეგ ორი სიტყვა მეკუთვნოდა მე“.

თაზო ჩვენსკენ მოიჩქარის გაღიმებული. „ის იყო!“ — შორიდანვე ამცნობს ნაის. სამივენი ქუჩაში გავდივართ.

— უცბად ფანჯარა გააღო ქარმაო,— ჰყვება თაზო, — ყვავილების ქოთანს მიეხეთქა და წამოვეარდი, იატაკზე რომ არ დამსხვრეულიყოო, მერე აღარ დავუბრუნდი ინსტრუმენტს, მეჩქარებოდაო.

— უთხარი, შენ რომ დაამთავრე მის მაგივრად? — ეკითხება ნაი.

— კი, ვუთხარი. რატომღაც დიდი მადლობა გადამიხადა, ვერ მივხვდი, დამცინა თუ გააფრინა.

ჭავჭავაძის დაღმართზე მანქანას ვაჩერებთ. ნაის მძღოლის ყვერდზე ვსვამთ.

— ხუთ წუთში უნდა მიგვიყვანო ფილარმონიასთან! — აგულიანებს თაზო. მძღოლს.

— ერთში იყოს! — სიტყვა არა აქვს დამთავრებული მძღოლს და ჩვენ უკვე რუსთაველზე მივქრიგავართ.

— კარგი რა, თაზო, ცოტა ნელა! — ეშინია ნაის.

იგი ჩემს წინ მიფრინავს. კვალდაკვალ მივსდევ, შემიძლია ოდნავ გადავიხარო, ხელი ჩავუდო და შევაჩერო, მაგრამ შემოკრეფილი ნიავისაგან დარხეული, უცხოდ მბზინავი თმა თითქოს შრიალებს: „არა, არა, არა“. უცხო და სუსტ მხრებზე მოფარფატე დამფრთხალი საყელო კანუწყვეტლივ იმის ცდაშია, ახლოს არ მიმიკაროს. ეს უცხობობაა, რომ გიზიდავს და ღამეებს თეთრად გათენებინებს. და ყველაზე უბედური და დაჩაგრული გგონია თავი, სანამ იმ საყელოს არ დააცხრობ, არ მიაყუჩებ...

მელიტას განაწყენებულ, მსუსხავ თვალებს და საყეედურს გამოვყავარ ფიქრებიდან:

— რა ამბავია, რადგან დაგვიანება არსებობს ქვეყნად, ამიტომ უნდა დაიგვიანოთ, არა? ახი იყო, შევსულიყავი.

ტანზე მჭიდროდ ატმასნული, ნაცრისფერი კაბა აცვია. ორივე ხელზე ვერცხლის სამაჯურები უელავს. წინ მიგვიძღვის. სავსე, კოხტა თეძოებს ქვეყანას ახარებს. ყვავილებისა და ხეების გრილი სურნელით გვხვდება ფილარმონის ბაღი. მიყვარს ეს ბაღი. ბევრი საღამო დამამახსოვრა აქ ჩატარებულმა კონცერტებმა.

საზაფხულო თეატრის სავსე დარბაზი უკვე ჩაბნელებულია. თავდახრილები მივიკვლევთ გზას რიგსა და რიგს შორის. ვსხდებით — თაზო, ნაი, მელიტა, მე. და თითქოს ჩვენ გველოდებოდაო, ფარდა უხმაუროდ იხსნება. გრძელკაბიანი კონფერანსიე ქალი გვაცნობს მარსელ მარსოსა და მის პარტნიორს — პიერ ვერის. მერე აცხადებს პირველ ნომერს:

— „ქარის წინააღმდეგ“.

ცარიელ სცენაზე გამოდის მარსელ მარსო. მაყურებელი ტაშით ეგებება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქეიფოდ ცნობილ მსახიობს. მარსოს თეთრი და ვიწრო შარვალი აცვია, კიბეებზეკით წვივებზე შემოკრული. თეთრი წინდები და ფეხსაცმელები, თეთრი გადმოშვებული ხალათი, მკერდზე ზოლებგავლებული. ტუჩებისა და ქუთუთოების გარშემო თეთრი საღებავი აქვს წასმული. მთელი შუქჩრდილები მხოლოდ სახეზეა თავმოყრილი, ჩაშვებული თვალების, ტუჩების, წარბებისა და თმის მეოხებით. წარბის ოდნავი შერხევაც მთელ გამომეტყველებას უსხვაჩაირებს. ერთი ზედმეტი წამწამიც შეუცვლიდა ალბათ იერს.

მარსელ მარსო, ანუ ბიპი — მსახიობის შექმნილი პერსონაჟი -- ადგილზე დგას, მაგრამ სრული შთაბეჭდილებაა, რომ დაფიქრებული მიაბიჯებს გზაზე. უეცრად ამოვარდება ქარი, ბიპი სიარულს ანელებს. ქარი თანდათან ძლიერდება. ბიპი ძლივს მიიკლეკავს გზას. თვითეული ნაბიჯის გადადგმა ძვირად უჯდება. ბიპი მთლიანად წინ გადახრილა, თითქოს დანდობილად წევს ქარის შემხვედრ ზვირთებზე. უეცრად ქარი ჩადგა, ბიპი ვარდება, კინაღამ იატაკზე იშხლართება, დარბაზი იცინის... ისევ განახლდა ქარი, უფრო ძლიერი და მსუსხავი. ბიპს სუნთქვა უჭირს. იხრჩობა, უკან-უკან იწევს, თითქოს ტანისამოსაც უფრიალებს, თითქოს თმასაც უწევს, ბოლოს მძლავრობს ქარი და ბიპს ფოთოლივით დაითრევს სცენიდან, კულისებში ისვრის. დარბაზს ტაში აყრიებს.

— მშვენიერია!

— კარგი იყო!

— ადგილიდან ფეხი არ მოუცელია. კაცო!

ისმის მაყურებელთა შეძახილები. კონფერანსიე ქალი აცხადებს:

— „ციბე“ -- და ფეხსაცმლის ქუსლების სწრაფი კაკუნით კულისებში იმალება.

ბიპს იღლიაში ტროსტი ამოუჩრია და კიბეზე ადის. ეტყობა, დამრეცი კიბეებია. მარცხენა ხელით სახელურს ეჭიდება. ერთი მარში აათავა, შემობრუნდა, ახლა მეორე მარშს მიყვება, შემობრუნდა, მესამეს აჰყვა, ბიპი, რა თქმა უნდა, იატაკზე დგას, მაგრამ მე და მელიტა უნებურად მაღლა ვიყურებით, სრული ილუზიაა, რომ ბიპი თანდათან მიიწევს ზემოთ. და მეც წინ და უკან ვირხევი, როგორც კიბეზე ასვლისას. აღწია სასურველ სართულს ბიპმა. დარეკა. ვიღაცამ კარი გააღო, ბიპს ხელი ჰკრა და საფეხურებზე დააგორა. დარბაზში წამოიკივლეს კიდეკაც. ახლა კი აირბინა ბიპმა კიბე. დარეკა. კიდევ ჰკრეს ხელი და სულ ბოლომდე ჩამოგორდა, იატაკზე მოადინა ზღართანი. ტაში უფრო ხანგრძლივი იყო. მაყურებლებს გემო გაეხსნათ.

— დიდი მსახიობია, — ამბობს თაზო,

— მოგწონს, ნაი?

— ძალიან!

-- ძლიერ ვიშოვე ბილეთები, —ახსენდება მელიტას.

— გმადლობთ, მელიტა, — ჩავჩურჩულებ.

— მე რა შუაში ვარ?

კონფერანსიე ქალი აცხადებს:

— „პარკი“.

ვემზადები კიდევ მეტი სიამოვნებისათვის, კონცერტი ჯერ ახალი დაწყებულია. ვათვალიერებ ხალხს. ისინიც ჩემსავით აღფრთოვანებული არიან, თუ არა. უეცრად კისერი მიშშდება: მარცხნივ, მეორე იარუსის ლოჟაში, ზის ირიდინნ მენაბდე. მის გვერდით კი... ნამდვილად ჭკუაზე შევიშლები, მის გვერდით ეთერ მუჯირი მოკალათებულა. აი, კონცერტი თუ გინდა, ეს არის. ირიდინნი ციხეში დალპობით ემუქრებოდა, ახლა მტრედებივით ჩამომსხდარან ქანდარაზე. ორივენი ყბებს აქნევენ, ალბათ, კანფეტით იტკბარუნებენ პირს. რა ამბები ხდება ამ ქალაქში? ნამდვილად რაღაც ხდება და მე არაფერი არ ვიცი. საიდან შემოუარა ირიდინნმა?! რამხელა დანაშაულს უნდა გრძნობდეს, რომ სამტროდ გადაკიდებული ადამიანი დაიმეგობრა. შემდეგი ნაბიჯი დღესავით

ედიშერ ყიფიანი
ცაში ასროლილი ჟუდები

ნათელია — ეთერ მუჯირი მოვა ჩემთან და უარს იტყვის თავის ჩვენებაზე. ვერ მოგართვეს, არაფერი არ გამოვა, ქალბატონო. მაინც საიდან შემოუარა ოიროდიონმა? ცოლად წაყვანას ხომ არ დაპირდა? ერთია აშკარა — ოიროდიონი ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, შეწუვეტოს გამოძიება. ან ნამდვილად დამნაშავეა ბავშვის წინაშე, ან სხვა დანაშაულის გამომზეურების ეშინია.

— სათ იყურები? — ჩამჩურჩულა მელიტამ.

... ბიპი პარკში ზის და ქალს ეხვევა. ეალერსება, კოცნის. მერე ზურგით ბრუნდება მაყურებლებისაკენ და ვიდაცის ნაზი და გრძელი თითები ამოტივტივდება მის კისერზე, თმაში იმალება, საყელოში უძვრება, ეს მარსელ მარსოს თითებია ქალის თითებად ქცეული...

მხოლოდ ეს ეპიზოდი ვნახე „პარკიდან“, ისევ ლოკისკენ გამექცა თვალი. ყველაზე მიკარგული ლოკა აურჩევია ოიროდიონს, იქითკენ შემოხვევით თუ აიხედავს კაცი.

— „საკანი“, — აცხადებს კონფერანსიე.

... ჯანდაბას მაგათი თავი, ასეთ კონცერტზე მოუწდათ ჩემი საგონებელში ჩაგდება? ხვალ ყველაფერს გავიგებ. სწორედ ხვალისათვის მყავს გამოძახებული ეთერ მუჯირი, მაგრამ, როგორც ჩანს, თავისი ფეხითაც გეახლებოდა. ი, ეს არის სწორედ პირადი ანგარიშის გასწორება — ასეთ კონცერტზე ასეთი ელდა. როგორღა ვუყურო მარსელ მარსოს?

ჩაბნელებული სცენა ოდნავ ნათდება. ბიპი ზის, სახე ხელებში ჩაუმალავს. ნელნელა სწევს თავს მაღლა. ნელნელა დგება და ვხვდები, სცენის განათება ბიპის გაღვიძებას ნიშნავს. უნდა ვიგულისხმო, რომ იგი ისევ წყვდიადშია. ბიპი ფრთხილად მიიწევს ავანსცენისაკენ. უეცრად რაღაცას ეჯახება. შუბლზე ხელს ისვამს, მგონი, სისხლი წამოუვიდა. მერე შიშით აღმართავს ხელებს და აფათურებს, უნდა გაიგოს, რას დაეჯახა. უეცრად შეშდება. ორივე გაშლილი ხელისგული ერთ სიბრტყეს მიეკვრება. ფრთხილად ანაცვლებს ხელებს მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ. კედელია? არა, ბიპმა მუშტები მოკუმმა, მათ შორის ცხვირი გაჭყო, აშკარად ჩანს, რომ საკნის გისოსებს ჩასჭიდა ხელები, ცდილობს გაძვრეს გისოსებს შორის, ფეხს ჰყოფს, მაგრამ მხოლოდ მუხლამდე გამოაქვს გარეთ. ისევ შლის ხელისგულებს და მარჯვნივ მიიწევს ფეხაკრეფით, იმედი აქვს, რომ საკანს სადმე კარი ექნება. დაფათურობენ, დაეძებენ გაშლილი ხელისგულები გასასვლელს. მეზობელი კედელი მოიარა თითებმა, მერე უკანა კედელზე გადაინაცვლა, თანდათან შეშფოთება იპყრობს ხელებს, თანდათან აჩქარება ეტყობა, მესამე კედელიც უკაროა, მეოთხის იმედიღა დარჩა. თითქოს ეალერსება ბოლო კედელს თითები, თითქოს თხოვს, იმედი გაუმართლოს. გასასვლელი დაახვედროს. ყველაფერი ამაოა. ბიპი სასოწარკვეთილია. უეცრად გადაწყვეტილებას იღებს. მიდის პირველ კედელთან, გისოსებს ხელებს ავლებს და მთელი ძალღონის დაძაბვით მათ გაღუნვას ცდილობს. სახეზე ღვარად გადმოსდის ოფლი, იქანცება, მაგრამ არ ეშვება, მთელი სხეულით ებრძვის რკინას. და იმარჯვებს.

გახარებული, აღტაცებული ძვრება გაღუნულ გისოსებს შორის. სახეს ბედნიერების სხივი უნათებს. განთავისუფლდა, მთელი ცხოვრება წინა აქვს. თავაღერილი მიაბიჯებს წინ ბიპი. და უეცრად ისევ რაღაც მაგარს ეჯახება. თავზარდაცემული, ქურდივით აპარებს ხელებს და ათივე გაშლილი თითი კვლავ ერთ სიბრტყეს ებჯინება. ერთმანეთს მისდევენ ხელები. ზემოთ და ქვემოთ, მარჯვნივ და მარცხნივ დაფათურობენ... ისევ საკანია! რომლის შიგნით პირველი საკანი იყო მოთავსებული... ისევ ყრუ კედლები. წინ კი ფოლადის მსხვილი გისოსები. ბიპი სახეს ხელებში მალავს და ქვითინებს. სცენა ბნელდება...

დარბაზი ისე შეეპყრო მარსელ მარსოს თამაშს და ბიპის ტრაგედიას, რომ ტაში კანტი-კუნტად გაისმა, მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე გაძლიერდა და თავსხმა წვიმად იქცა. მე მივხვდი, რომ დასაწყისში სცენის განთება ბიპის გაღვიძებას კი არ ნიშნავდა, ეს იყო ბიპის დაბადება, და მერე მთელი მისი ცხოვრება საკნადქცეულ ქვეყანაში.

ფიქრმა, პატრონის დაუკითხავად რომ ათას ღობე-ყორეს ედება და, მით უმეტეს, მტკივნეულ დაღს ადვილად არ ავიწყებს, ისევ იროდიონი ამომტიტიტივა თვალწინ. მაშინვე ლოკისკენ ავიხედე და იმ საღამოს კიდევ ერთხელ დამტოვა სახტად იროდიონმა. წამომდგარიყო, პიჯაკის ღილებს იკრავდა აჩქარებით, სცენისკენ ნახევრად ზურგშებრუნებულს წარბები მოღუშვოდა, მეტად უკმაყოფილო თუ შეშფოთებული ჩანდა. მგონი, სახეც შესივებოდა. ეთერ მუჯირიც იდგა, თმას ისწორებდა, რაღაცას ეუბნებოდა იროდიონს, თან სცენისაკენ იყურებოდა, ალბათ დარჩენა სურდა. იროდიონი ლოკიდან გავიდა, ეთერს ხელი დაუქნია და ორივენი თვალს მიეფარნენ. ლოკა დაცარიელდა .

— „ეამთლის მოთამაშენი“! — აცხადებს კონფერანსიე.

გასასვლელისაკენ ვიყურები. იროდიონმა და ეთერმა ლანდებივით ჩაიარეს და ბაღში გაუჩინარდნენ.

რა იყო ეს? ეჩქარებოდათ სადმე თუ კონცერტი დაიწუნეს? ნამდვილად დაიწუნეს — არც სიმღერა შერჩათ ხელთ, არც ცეკვა. იქნებ მისი მინსტრია დარბაზში და იროდიონმა თვალი მოჰკრა? ადვილი შესაძლებელია. ანდა, მე დამანახა... ო, მე თუ შემამჩნიეს, მაშინ ნამდვილად უნდა შეფუცხუნებულიყვნენ ეთერ მუჯირი და იროდიონი. მაგრამ იქნება... ვითომ? ... არა, შეუძლებელია!... ვითომ „საკანმა“ აიძულა იროდიონი? წარმოუდგენელია. მარსელ მარსოს „საკანმა“?! დაუჯერებელია-მეთქი. თუ ასეა, ნამდვილი შექსპირი გთამაშობელა და ეგ არის, ნამდვილი — „სცენა სცენაზე“... თუ მართლა ასეა, მაშინ, მოდი, ბატონი იროდიონ, ამ დიდი ყანწით... ოღონდ ბოლომდე უნდა დალოთ, მეჩქარებაო და რომელი საათია, არ გამაგონოთ, მოუკვდეს პატრონი დროსა და საათს... ამ დიდი ყანწით, მოდი, ხელოვნებას გაუმარჯოს!

თავი მეშვიდე

ჩემი ვაგონი მეცხრე ნომერია. ზედა ხარიხაზე ვწევარ. ღია კუპეებიდან წყაროებივით მოედინება ქალების მინაზებული ხმები, კაცების ხორხოცი, ბავშვების ლიკლიკი, ჩემთან ერთდება და იმღერევა, გარკვევით არაფერი მესმის. მხოლოდ მეზობელი კუპე არ მიმალავს თავის საიდუმლოს. მექორწინეები მოდიან, ქუთაისელ თენგიზს ცოლად მოჰყავს თბილისელი ქეთინო. ქალაქში აწილი სუფრა გრძელდება. „სანამ გვრაბში არ შევიმალებით, თამადობას ვერავინ წამართმევს“,—ჩიჩმებს პატარძლის მაყარი. და მატარებელი თავაწყვეტილი მიჰქრის წიფის გვრიბისაკენ, ალბათ არ მოსწონს თამადა. მექორწინეები ხმების შეწყობას ცდილობენ. „ცოტა დაბლა დაიწყე, კაცო“.. „მეორე სართულზე ხომ არავინ ცხოვრობს? უნდა გავისროლო!“ — ხუმრობს ვიღაც.

ძილი არ მეკარება, ერთი კვირის წინანდელ ამბავზე ვფიქრობ. ჩემს კაბინეტში ვიჯექი და დადგენილებას ვწერდი იროდიონ მენაბდის დაკავების თაობაზე. უკვე აღარ შეიძლებოდა მისი თავისუფლად პარაპში, ეთერ მუჯირთან „დამეგობრებამ“ მაფიქრებინა, რომ იროდიონი ჩემი მიგნებული კვალის დასაფარავად ზრუნავდა, ან ჯერ ყველასთვის უცნობი დანაშაულის მიჩქმალვას ესწრაფვოდა.

ოთახში ჰაერი არ იძრწოდა. სიგარეტის ცისფერი კვამლი ძაფივით გაბმულიყო საფერფლიდან ჭერამდე, თითქოს სიგარეტიც და საფერფლეც ზედ ეკიდა. ქაღალდზე თავდახრილმა თვალი მოვკარი, როგორ შეიახა ეს ძაფი, აიბლანდა. ავიხედე, ვიღაცას ოდნავ შემოეღო კარი, შავ მუშამბაზე წითელფრჩხილებია-

ნი თეთრი თითები მოჩანდა მხოლოდ. მობრძანდით-მეთქი, დავიძახე, თითები გაქრა, კარი ბოლომდე გაიღო და ეთერ მუჯირი შემოვიდა. სევდიანნი თვალები, ვისი ჭკუით, გულის სიღრმემდე ჩამაწვდინა, დაჯდა და, ვითომ თქვენ რატომ უნდა შეგაწუხოთ ჩემი მწუხარებითო, ღიმილი მიწყალობა. გულმოდგინილი კაბა ეცვა, ჰადა ჰა, სადაც იყო უნდა ჩამოვარდნოდა სამხრეები. წუწუნი დაიწყო, თითებს იმტკრევდა, ეს რა დამემართაო, მაგრამ თქმა უძნელდებოდა. მეც ხმას არ ვიღებდი, მისთვის მისწრება იქნებოდა მეკითხა: „რა მოხდა, რამ აგაღელვათ“, მაგრამ წინასწარ ვიცოდი ყველაფერი და ცნობის წადილი მაჩუმებდა, აბა, როგორ გამაცურებს-მეთქი.

და გამაცურა: დიდი ხნის წინათ

-დიონმა ენით აუწერელი შეურაცხყოფა მომაყენო, ახლა, შურისძიებით დაბრმავებულმა, მისი უბედურება გამოვიყენე და თქვენს წინაშე ვიცრუეო, მაგრამ მერე სინდისმა შემაწუხა, არ მომასვენა და აქ მომიყვანო, ახლა როგორც გნებავთ დამსაჯეთ, ოღონდ იცოდეთ, რომ ყველაფერი ტყუილი გითხარითო. როგორ გეკადრებათ-მეთქი, თქვენი ყოველი სიტყვა მეზობლებმა დამიდასტურეს, თქვენ ზუსტი ცნობები მოგვაწოდეთ და ამისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ-მეთქი. როგორ თუ დაგიდასტურეს, ეს შეუძლებელიაო, ჩემს გარდა არავის მოუსმენია და მაკა ხომ არ გეტყოდათ, ის ჯერ არც დაგიკითხავთო. ნიშნისმოგებით გავუღიმე და ვკითხე: „მაშ, თქვენს გარდა არავის მოუსმენია? აბა, მითხარით, რა არ მოუსმენიათ თქვენს გარდა?“ ტირილი სცადა. არ გამოუვიდა. „იქნებ მარსელ მარსოს კონცერტმა ჩაგაგონათ, რომ ვითომ არაფერი მოგისმენიათ?“ — ახლა კი იკადრა თავისი ბუნებრივი ემოციის გამოხატვა, თვალები გაუფართოდა, ენა დაება.

მე ავუხსენი, რომ ტყუილად გარჯილა, პროკურატურა ბოლომდე გამოიძიებს ამ საქმეს. ეს უბრალო წაკინკლავება არ არის, რომ თქვენმა დღევანდელმა განცხადებამ საქმე შეწყვეტოს-მეთქი.

ისევ აწუწუნდა, თქვენ უნდა გაითვალისწინოთო, როგორ გართულდა ცხოვრებაო. ადამიანს დაწყვეტაზე აქვს ნერვებიო, ანგარიშს ვეღარ აძლევს თავის თავს, თუ როდის უღალატებს ნებისყოფა, როდის დაუბნევდება გონება, და ახლობელსაც კი გაიმეტებს დასაღუპავადო. წამოდგა, შშრალ თვალებს ისრესდა ხელსახოცით, იმედი მაქვს, უყურადღებად არ დასტოვებთ ჩემს განმარტებასო.

გამაგიჟებს ეს ხალხი; ყველა ცოდვას ცხოვრებას რომ აბრალებენ, დაძაბულ დროსა და საუკუნეს, ვითომ ცხოვრება სხვა იყოს, ადამიანები — სხვა.

... ვაგონის სიღრმეში ჩოჩქოლია. მატარებელი ხაშურიდან გასულა. ვიღაც კოლორატურა გაჰკივის უცნო ენაზე. თანდათან უახლოვდებიან ჩემს კუპეს, გამოჩნდნენ აჭრელებულ ტანისამოსიანი, ჩემოდნებით და ზურგჩანთებით დატვირთული ტურისტი ქალები. ერთი მათგანი ლამაზია, თავზე ქთქთათა ნაბდის ქუდი ახურავს, ზედ ცისფერი მძივი დაუბნევია. უბოდიშოდ იხდის ფეხსაცმელებს და გასავათებული წვება. ნიკაპზე ამოსადები სირმით ქუდს თავდაღმა ჰკიდებს. ქუდს მაშინვე ავიწყდება პატრონი და ვაგონის რიტმს ემორჩილება, ქანაობს.

საერთო ხმაური ერთბაშად გუბდება, თითქოს ჩქარდება ხმაური. მატარებელი წიფის გვირაბში შეიჭრა.

— აჰ, მაცალეთ, ერთი სადღეგრძელო უნდა მოვასწრო, — ისმის მექორწინეთა თამადის ხმა, — ჯერ შუა გვირაბამდე არ მიესულვართ, ზარს არ დაურეკავს, კიდევ მე ვარ მასპინძელი... ამ ორი ოჯახის დაახლოებას გაუმარჯოს...

— აი, წუხელ, — ისმის ქალის მანაზებული ხმა, — ქეთინოს დღეობაზე... დღეობა კარგად იყოს... ქეთინოს ქორწილზე გავიცანი ის ბიჭი...

... გავიდა თუ არა ეთერ მუჯირი, პროკურორმა გამომიძახა. მივხვდი, რი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთვისაც მიბარებდა: მე უკვე გამზადებული ქონდა უწყებები მინისტრისა და მისი მეუღლის გამოსაძახებლად.

— ზაალ, არ იფიქრო, რომ პატივს არ გცემდე და არ გაფასებდე, როგორც იურისტს და როგორც უაღრესად კეთილშობილ ახალგაზრდას, — ცდილობდა სასხვათაშორისოდ ეცნობებინა ჩემთვის თავისი გადაწყვეტილება. — მაგრამ ხომ იცი, ყველაფერს თავისი დრო აქვს, შენ ცოტა ადრე გარგუნა ბედმა რთული შემთხვევის გამოძიება. მოდი, სხვას გადაეცეთ ეგ საქმე.

ვიგრძენი, ბეჭებში ცივი ოფლი დამეძრა.

— იროდიონ მენაბდის განცხადებას აკმაყოფილებთ?

— რა შუაშია მენაბდე?!... საქმე ძალიან გაჭიანურდა, ზაალ, არც სწორად არის წარმართული, მენაბდე რა შუაშია.

უეცრად მივხვდი, ვინც იყო შუაში.

— ადგილის დათვალიერება ზერელედ ჩაატარე, წინასწარი გამოძიებაც ზედაპირულია, ეჭვმიტანილი აქამდე არ დაგიკავებია.

— აქამდე არ მქონდა საბაბი, დღეს დავწერე დადგენილება.

— დღეს უკვე გვიანაა, ზაალ. ერთი წუთითაც არ გეგონოს, შენს უნარში ეჭვი მეპარებოდეს, მე მხოლოდ გამოცდილებას გიწუნებ. ეს კი შენი ბრალი როდია, მე იმიტომ გადავწყვიტე, სხვა გამომძიებელს გადაეცეს ეგ საქმე, რომ...

— მინისტრი არ გამოვიძახო დასაკითხავად!

— შენ გესმის, რას ამბობ? — მაგიდაზე დაარტყა ხელი.

— და მისი მეუღლე არ შევაწუხო...

— ასე მიცნობ, ზაალ? — გამიღიმა მოულოდნელად.

— დიახ, მინისტრი რომ არ გამოვიძახო დასაკითხავად.

— სისულელეს როშავ! — ისევ დაარტყა ხელი მაგიდაზე და სპირტის თერმომეტრის სვეტივით თმის ძირამდე აუვარდა სიწითლე.

— ...რომ ჩვენს პროკურატურას, ანუ თქვენ, მისი რისხვა არ დაგატყდეთ!

— რა გულუბრყვილო ყოფილხარ, რა გულუბრყვილო, მართლა არა ხარ ღირსი, იურისტი გერქვას.

— შეიძლება, მაგრამ თქვენ მინისტრის ხსენებამ შეგაშინათ!

— შენ მეუბნები მაგას? ასეთი პატოსანი კაცი? ვფიცავარ სინდისს, თუ ყურებს ვუჯერებდე.

— ყურები არაფერია, გულს ხომ უჯერებთ?

— აუჰ, აუჰ, აუჰ, როგორ ვცდებოდი თურმე, როგორ ვცდებოდი.

ზუსტად ასე თქვა, თავიც გააქნია.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — კარი გავიხურე.

მეორე დღეს თვითონ შემოვიდა ჩემთან და შემირიგდა. ახალგაზრდობით მოგვიდა, მაგისთვის როგორ დაგკარგავო. ნამდვილად შეცდომები დაუშვი და იძულებული ვარ, ასე მოვიქცეო.

შვებულებაში გამიშვით-მეთქი, ვთხოვე. მელიტა, თაზო და ნინი ზღვაზე იყვნენ წასულნი, და ძალიან გულდაწყვეტილი ვიყავი. ახლა კი, რადგან საქმე გამომაცალეს ხელიდან, შესაძლებლობა მეძლეოდა თავს დავსხმოდი მათ. აჰ, აჰო, შეიცხადა პროკურორმა, რა დროს შვებულებაა, საქმეებში ვიძირებითო. მერე ჩაფიქრდა და, ერთი კვირით წადი თუ გინდა, დაისვენე, მეტს ვერ მოგცემო.

ვაგონმა მიიძინა. მექორწინენი ალბათ სხვაგან გადაბარგდნენ, ჩამი-ჩუმიც აღარ ისმის მათი კუპედან. ტურისტ ქალს ღრმად ჩასძინებია, ნაბდის ქუდი კვლავ ქანაობს, თითქოს უქმ წამებს ითვლიდეს. ლურჯი ნათურის უცხო შუქი იდუმალებას ამინავებს ჭერზე და თითქოს მაღლა ეწევა, ამსუბუქებს. შორეული ხმები მესმის, ბავშვობის-დროინდელი ქარის ზუზუნი, ღელის წყლის ჩუხჩუხი ქვებზე, ურმის ღერძის ჭრიალი. უკვალოდ არ გამქრალა ეს

ედიშერ ყიფიანი
ცაში ასროლილი კუდები

ხმები, ჩემს მეხსიერებაში დაიმარხა, აღმოცენდება ხოლმე, მწვანე ხმაურად შრიალებს სულში და ჩემს ვინაობას და სადაურობას მახსენებს.

სადღაც სარკმელი დაუტოვებიათ ღია, ნესტიან სუნნელებად იქრება ვაგონში ყვირილს ხეობის წყვდიადი.

„შეცდომები დაუშვიო“, რომ არ ვცდებოდე, ალარც ვიარსებებდი. ღმერთი იმიტომ ალარ არსებობს, რომ არაფერში არ სცდებოდა, ადამიანებს იმიტომ შეეპარათ ეჭვი მის არსებობაში. შეცდომების ჩამდენ ღმერთს, ყოველსშემძლეს, მაგრამ ადამიანურს, ალბათ, დღესაც იწამებდა ყოველი ჩვენგანი. „შეცდომები დაუშვიო“, ვითომ დაბადებულიყოს ვინმე და უშეცდომოდ ეცხოვროს.

ის ღმერთი, მე რომ მწამს, ნამდვილად უშვებს შეცდომებს — ბოროტებასაც ანიჭებს თავის კეთილ თვისებებს; გონიერებას, გამჭრიახობას, ნებისყოფას, შენიღბვის არტისტულ უნარს — ესმახურება პატარა ბიჭივით, ვიწრო სარკმელში რომ გადააძვრენენ ხოლმე ქუდდები. და მერე წუხს ღმერთი, რას არ იგონებს თავისი შეცდომის გამოსაწორებლად, ხანდახან სახესაც კი უსვებს დანაშაულით შეშფოთებულ კაცს, რომ ადამიანებმა ადვილად ამოიცნონ იგი.

იროდიონს ჩემიც კი შეეშინდა, ხელმოუწერელი ბარათი მივიღე მისგან, პატიებას მთხოვდა: „... იმედი მაქვს, არ გადამემტერებით, ზედმეტად გავცხარდი და დაუფიქრებლად დავწერე განცხადება თქვენი აცილების შესახებ, ნუთუ ამის გამო შურს იძიებთ?“

ეს არაფერი, სამინისტროს ერთმა თანამშრომელმა სასაცილო და თან სატირალი ამბავი მომითხრო იროდიონზე: ერთი ავტოინჟინერი თურმე რას არ კისრულობდა, რომ დიდი გარაჟის გამგედ დაენიშნათ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია, რამდენჯერმე გამოაბარუნა მინისტრმა კაბინეტიდან. ამ ადგილზე იროდიონის კანდიდატურა დაასახელეს, როგორც მცოდნე და გამოცდილი სპეციალისტისა. მინისტრი დასთანხმდა. იროდიონი კი, თითქოს საკუთარი სიკვდილის ამბავი გაიგოო, ლოგინად ჩაგდო იმ ავტოინჟინერის მოსალოდნელმა რისხვამ. მაინც დანიშნეს იროდიონი, ის ინჟინერი კი, თითქოს სასეიროო, თანაშემწედ გაუფორმეს. „და ახლა უნდა ნახოთ, რა ხდება. მთელი სამინისტრო ამაზე იცინის: იროდიონი მონასავით ემსახურება თავის თანაშემწეს, სულ თვალებში შესცქერენებს, რამე არ ვაწყენინოო, ყველას გვეჩვენება, რომ იმ თანაშემწის შიშით თავს არ იჩენს, განგებ ცუდად მუშაობს იროდიონი. საცოდაობაა პირდაპირ...“

ლურჯი ნათურის საიმქვეყნო ციმციმი ატივტივებს კუბეს, მთელ ვაგონს, და მაღლა-მაღლა მიმაფრენს. ასე იმიტომ მეჩვენება ალბათ, რომ ძილი თავისი სამეფოსაკენ მეწევა. უთოუოდ ქვეშევრდომებს გადახედა ამ შეაღამეს და თვალში დავაკლდი. ქუთუთოები შეხურება, ნაპერწკლებად გარბენილი აზრი ისევ მიხელს თვალებს და სასთუმალზე მისვენებული გული ისევ წამოვარდება. დიდი გუგები მიცქერენ. სულ ახლოს მოდიან, ორივეში ვჩანავარ, როგორც სტერეოსკოპის ფოტოსურათზე, და მესმის საამოდ აღელვებული ხმა. შორს, შორს მიწკრიალებს კბილების მბზინავი, სველი მესერი, ბოლო არ ეჩანს... კარტუზიან ლურჯ ქუდს ახვევს ქალაქში გვანცა. ცოცხალი არსებებივით იშლებიან და იკეცებიან თითები. ეს პაატას ქუდია, ცაში რომ ასროლინა დიდმა სიხარულმა. მინდა ვკითხო გვანცას, რატომ ახვევს, საღ მიაქვს ქუდი, მაგრამ ვერ ვბედავ.

— ნეტავ რისთვის ისვრიან მაღლა ქუდებს?

გვანცა მერხზე მსვამს, თვითონ დაფუსთან მიდის, ჩემსკენ ტრიალდება და მიხსნის :

— მაღლა ასროლილი ქუდი ფრენის სურვილს ნიშნავს, ზაალ.

— იქნებ ადამიანები ერთ დროს დაფრინავდნენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნებ, ვინ იცის, — მოსწონს ეს აზრი გვანცას, იღიმება, — დაფრინავდნენ და უსაზღვროდ ბედნიერები იყვნენ. ახლა კი, როცა უსაზღვროდ ბედნიერები არიან, ფრენის სურვილი შეიპყრობთ ხოლმე.

— და ქუდებს ცისკენ ისვრიან.

— ჰო, ზაალ, ცისკენ.

— გვანცა, ხომ შეიძლება ბოროტმა კაცმაც განიცადოს უსაზღვრო ბედნიერება? მაშინ?

— ქუდს მაღლა ისვრის ის, ვისაც სიხარულისაგან აღარ ახსოვს არაფერი. ბოროტ კაცს კი ყოველთვის ახსოვს თავისი ბოროტება, ის არასოდეს არ აისვრის ქუდს ცაში.

— ნეტავ, მე მეწვიოს ისეთი ბედნიერება, რომ...

— გეწვევა, ზაალ, აუცილებლად გეწვევა... მე დიდი ხანია ვფიქრობ ამაზე. ქუდის მოხდა მისალმებისას ალბათ გათანაბრებას ნიშნავს, როგორც იარაღის შეხსნა მოლაპარაკების დროს, შინ შესვლისას — მასპინძლის და სტუმრის გათანაბრებას, „ქუდზე კაცი" კი, უთუოდ მეფისა და უბრალო მეომრის ომში გათანაბრებას...

— ცაში ასროლილი ქუდი?

— ბედნიერებასთან გათანაბრებას!

— შენ საოცარი გოგო ხარ, გვანცა.

— მე ჩვეულებრივი ვარ.

— ამ წუთში ისეთ სიხარულს ვგრძნობ...

— მე თქვენ უნივერსიტეტიდან მახსოვხართ...

— მართლა, გვანცა?

— პირველ კურსზე ვიყავი, როცა თქვენ ამთავრებდით.

— მართლა, გვანცა? მართლა გახსოვარ?

— თუ არ ვცდები...

— რა კარგი ხარ, გვანცა.

— მაპატიეთ, მე...

— როგორ აფრქვევს სითბოს შენი ხმა.

— მე სამასწავლებლოში უნდა გავიარო, ნახვამდის.

— გვანცა, გვანცა-ა! დამიცადე, გვანცა, მხოლოდ ერთ სიტყვას გეტყვი. მე ვერასოდეს ვერ გავბედავ შენს სიყვარულს... ოღონდ ეს მალაპარაკე სულ, მეტი არაფერი მინდა, გვანცა, ნუ მიდიხარ, დამიცადე, გესმის, გვანცა! სათაკენ... ეგ ქუდი სადღა მიგაქვს?

გვანცა შეჩერდა, მაგრამ არ შემობრუნებულა, ზურგით იდგა ჩემსკენ. თითქოს მერყეობდა. მერე ნელა, სულ ნელა შემობრუნა თავი — ღრუბელივით გვერდზე გაიზლაზნა შავი თმა და ნელნელა ამოკაშკაშდა ბადრი მთვარე.

— წამოხვალ ჩემთან?

— გვანცა!

— წამოხვალ იქ, სადაც ეს ქუდი მიმაქვს?

— გვანცა!

ჩვენ ქალაქის თავზე მივფრინავდით. ქვემოთ ძარღვივით ფეთქავდა ცისფერი მდინარე და თავბრუდამხვევი სიმაღლე სუნთქვას მიკრავდა, მაგრამ უჩვეულო ნეტარებას ვგრძნობდი. გვანცას ჩიტების გუნდი ასდევნებოდა, ხან გვერდზე ჩაუქროლებდნენ და გაასწრებდნენ, ხან მზის მცხუნვარებას უჩრდილავდნენ. ჩვენმა ლანდებმა გადაირბინეს სახლების სახურავები და ახლა მინდორ-მინდორ მოგვდევდნენ. გვანცამ ჩემსკენ გამოიხედა. მერე ხელი გაიშვირა ქვემოთკენ:

— აი, იქ!

დაბლა დავეშვით და ბროლივით აბრეშუმიალებულ, ბრგვალ სასახლეს მივადექით. გვანცამ მაღალი კარი გამოაღო. დიდხანს, დიდხანს იღებოდა კარი, და მერე იქიდან სამარისებურმა დუმილმა გამოიხედა. გამოიხედა და იქვე შეჩერდა, თითქოს თავისკენ გვისრუტავდა.

გვანცამ მაჯაში ხელი ჩამჭიდა და წამიყოლია. სიბნელეში მივაბიჯებდით, ზღვის ნიჟარასავით შუოდა წყვდიადი. შემეშინდა, რამეს არ წამოვდებოდი, ან სადმე არ გადავჩეხილიყავი. მაგრამ

ედიშერ ყიფიანი
ცაში ასროლილი ქუდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვანცას თითების გზნეული სითბო ყველაფერს მავიწყებდა. უეცრად შეჩერდა. რბილმა თითებმა გადმომცა მისი სურვილი, მეც იქვე შევჩერებულიყავი. გაისმა ნაპერწკლის ტკაცანის ხმა და იისფერი ბინდი ამოვიდა, იისფერს ნელ-ნელა ყვითელი შეერია. იმატა, იმატა შუქმა, ბოლოს ცისფერმა შუქმა გაიწკრიალა და გათენდა. თვალმა ძლივს გააღწია ვეება დარბაზის კუნჭულებამდე, მზერა ძლივს ასწვდა ცისფერ გუმბათს, ზედ რომ აქა-იქ თეთრი ღრუბლები მიირწეოდნენ. და უეცრად მივხედი, რომ სასახლეს ჭერი არ ჰქონდა, მისი გუმბათი ცის უსასრულო გუმბათი იყო, მოწკრიალე ცისფერი შუქიც უსასრულობიდან მოდიოდა. გადაიარეს თეთრმა ღრუბლებმა და მე განცვიფრების ყიჟინა აღმომხდა, მთელი სხეულით, მთელი არსებით ავფარფატდი ზეციცისკენ, ალარ მახსოვდა მიწა, მეგონა, სამყაროში დაკარგული სხივი ვიყავი, აღტაცებული სხივი, თავისთავზე უფრო საოცარი რომ დაინახა და მისკენ გაიტყორცნა: მთელი ცა მოჭედილი იყო მომწვანო, მეწამული და ცისფერი ქუდებით: ციმციმებდნენ ქუდები, თვითეულის გარშემო მკრთალად ვარვარებდა ჰალო, თითქოს რაღაცას ლაპარაკობდნენ ქუდები და ძალიან უნდოდათ, მთელ დედამიწას მოესმინა მათი ამბავი, მთელ სამყაროს, თითქოს ეივეივებდნენ, როგორც ოქროს ჩიტები, ხეზე შემოსხდომის წინ ჰაერში შეჩერებულნი და მოფარფატენი.

— რა არის ეს, გვანცა?! — შევყვარე გაოგნებულმა, — სად მომიყვანე, სად ვართ, მითხარი!

გვანცას ალერსის სურვილით ავსებოდა თვალები:

— ეს ჩემი ცაა, ზაალ, მაღლა ასროლილი ქუდების ცა!

— შენი ცა? — პირდაღებულმა კვლავ ვარსკვლავებადქცეულ ქუდებს ავხედე. — მერე მოდის ვინმე ამ ცის სანახავად?

— პირველი შენ ხარ, ზაალ, დღეის შემდეგ ყველა იცლის, ამიტომ მოგიყვანე.

გვანცამ ქალაღდი გახსნა და პაატას ქუდი მაღლა აისროლა. ქუდი ჩუმი შრიალით აფრიალდა, წავიდა, წავიდა, მისმა სუსტმა ნიავმა ჩამოაღწია სასახლემდე. ლურჯი ქუდი თანდათან მკრთალდებოდა, მაგრამ სინათლე ემატებოდა. ციურ გამჭვირვალებას იძენდა, ბოლოს კომეტასავით გამოფარჩეა შუქი, ცაზე მიმობნეულ უამრავ ქუდებს შორის მოძებნა თავისი ადგილი და აციმციმდა, თითქოს მაშინვე ალაპარაკდა. გვანცა ოცნებიანი თვალებით აჰყურებდა ახალ ქუდს, ბავშვივით გახსნოდა ალისფერი ტუჩები.

— გვანცა, ეს ზღაპარია? მითხარი, ზღაპარია ეს?

— ეს სინამდვილეა, ზაალ. ყველა ქუდი როდი ჩერდება ცაზე, ჩერდება მხოლოდ ის, დიდმა ბედნიერებამ მაღლა რომ აასროლინა პატრონს.

— არა, ეს ზღაპარია ალბათ.

ჩემი ნაკრისფერი ქუდი მოვიხადე და, რაც ძალა და ღონე მქონდა, ცისკენ ავაბზრიალე. დაკრილი ფრინველივით აფარფატდა და ძირს დაეფერთხა. გვანცას გაეცინა... მისმა სიცილმა აწკრიალა სასახლის კედლები, დიდი ზარივით შეთრთოლდა დარბაზი.

— ხომ გითხარი, — ნიშნისმოგებით იღიმებოდა გვანცა.

დავიხარე, ჩემი ქუდი ავიღე და წმენდა დავუწყე.

— არ დაისვრებოდა, დაანებე თავი.

მრცხვენოდა, უხერხულად ვგრძნობდი თავს. თითქოს ერთბაშად გამიმჟღავნდა ჩემი სიიდუმლო, აქამდე დიდი გაჭირვებით რომ ვფარავდი, და ყველამ გაიგო, რა ღარიბი გული მქონია... რომ არასოდეს, არასოდეს არ განმიცდია თავდავიწყება.

— გვანცა, მოდი, გამოვაცხადოთ ყველა ქალაქსა და სოფელში, ყველა ქუჩასა და ეზოში: „ყურადღება, ყურადღება! გთხოვთ ყველას, ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას, თუკი სადმე შეხვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებით სიხარულისაგან თავდავიწყებულ ადამიანს, ან თუ ცხოვრება თვითონ მოგანიჭებთ მოულოდნელ აღტაცებას, გვაცნობეთ, გვაცნობეთ, გვაცნობეთ! ჩვენი ცა აგროვებს ბედნიერებას, მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერებას!"

— და ქვეყნის ყოველი მხრიდან გვაცნობებენ?

— დიდი თუ პატარა, ქალი და კაცი.

— და იქნება უთვალავი ბედნიერება, და მერე თანაბრად გავუნაწილებთ ყველას, ყველას, ვინც გულნატკენია თავისი ცხოვრებით.

— დათა კავთიაშვილს!

— ვისა?

— დათა კავთიაშვილს.

— მაგასაც და სხვებსაც. და ამ ცის სანახავად ივლიან ბავშვები, დილიდან საღამომდე, დილიდან საღამომდე... სასახლე სავსე იქნება მაღლამაცქერალი ბუთხუზა ბიჭებით და კნაჭა გოგონებით. და მე ვუამბობ მათ ყველა ქუდის ისტორიას, ყოველი ბედნიერების გაჩენის მიზეზს...

— რა კარგი ხარ, გვანცა!

— მე...

— რა ულევი სითბო გაქვს...

— მე... უნივერსიტეტიდან მახსოვხართ....

— მართლა გახსოვარ, გვანცა?

— პირველ კურსზე ვიყავი, როცა თქვენ ამთავრებდით.

— გვანცა!

— მაპატიეთ, მე სამასწავლებლოში უნდა გავიარო.

— გვანცა, გვანცა, სად მიდიხარ, დამეცადე, მხოლოდ ერთ სიტყვას გეტყვი, გვანცა-ა...

თვალები გავახილე. ვიღაც ახალი მგზავრი იდგა და შემკრთალი შემომყურებდა. კუპეს სარკმლიდან იისფერი ცა მოჩანდა. გათენებულიყო. მარილიანი, მსუყე სუნი ვიგრძენი.

— უკვე ზღვასთან ვართ?

— დიდი ხანია.

სასწრაფოდ დავიწყე ჩაცმა, რომ პირდაპირ სარკმლიდან ზღვა დამენახა. ტურისტი ქალი ღრმა ძილში იყო. სირმით თავდაღმა დაკიდებული მისი ნაბდის ქუდი ისევე ქანაობდა.

თავდახრილი მივუახლოვდი სარკმელს, რომ ერთბაშად ამეხედა და ზღვის მთელი სიდიადე ერთბაშად შემეტკბო.

დასასრული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრელი ფორგალი

დავუშვათ, დადგა წუთი მკაფიო,
აშოისილა სიცოცხლის შრენი
და დაბურდული ჭრელი ძაფივით
ტოტზე ქანაობს ცხოვრება შენი.

ცისფერი ალბათ ბავშვობას ნიშნავს, —
აუხდენელი ოცნების ბწკარებს,
ყვითელი ფერით აბამდი ნიშანს
განშორებებს და შეხვედრებს მწარეს.

მწვანე იისფერს გადასლართვია,
შვილის თვალებში ამ ფერებს ეძებ,
და გეჩვენება — ასი ნათია
ასი ტაიჭით გადმოდგა სერზე.

და გეჩვენება — მოდის ვარძია,
მოაქვს სიგრილე ათასი მდვიმის,
მოდის დაღლილი მშვიდი კაცივით
და გვირგვინივით მოგართმევს ღიმილს.

გაგახსენდება: ლექსებსაც წერდი,
თოკზე ეკიდე, როგორც მთასვლელი,
ბოლოს ყოყმანით დასვამდი წერტილს:
იქნებ... ეს არის უკანასკნელი...

და გეშინოდა, რომ სადღაც დარჩა,
რომ ვერ მიაგენ, რაც მთავარია,
დროშისთვის ქარგე წითელი ფარჩა,
გაფრინდა, როგორც ჭიამაია.

გტკიოდა გული და არცკი გახსოვს,
სად დაბურდა ჭრელი ფორგალი,
ცხოვრობდი ასე, მიწასთან ახლოს
და ფიქრი მარცვლე, როგორც ხორბალი.

დღეს კი დაგიდგა წუთი მკაფიო,
გრძნობ, გადასწორდა მდინარის შრენი
და მზის ჩასვლისას ჭრელი ძაფივით
ტოტზე ქანაობს სიცოცხლე შენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

თითქოს ცისფერი კვერცხები ჩიტის
იშოვეთ სადღაც და მე მახლიდით
და სიფრიფანა ნაჭუჭებს იქით
წიოდა ვიღაც სუსტი ძახილით.

ასედაც იყო თითქოს საჭირო,
მეგონა ჯვარზე ვიყავ გაკრული,
და სიყვარულის გადასარჩენად
არ მეყოფოდა ძალა ზღაპრული.

და არ შემეძლო მეთქვა „გაჩერდით"!
უბრალო სიტყვა, მიხსნიდა რაიც...
და მე ვამჩნევდი, ო, მე ვამჩნევდი,
რომ... ბედნიერი ვიყავი მაინც.

მრცხვენოდა ამის და თვალებს ვხრიდი,
ჩუმად ვუმზერდი ჩასაღელულ დაღმართს.
...ელეგანტური, სასტიკი, მშვიდი,
აი, ასეთი მახსოვხარ ახლაც.

●

იცხოვრე ისე, როგორც ეკრანზე
და ნუ იფიქრებ,
რომ დარბაზიდან გიყურებს ვიღაც,
ვინც მთელს სიცოცხლეს აჩუქებდა
ერთ წვეთს წვიმისას,
რომელიც ოდნავ შეგეხო მხარზე...

იარე შენი ახალი ქუჩით,
იცეკვე მაღალ, ლამაზ ქალებთან
და დაურიგე საოცარი შენი სინათლე
მათ, ვისაც იგი არასოდეს არ დასჭირდება
ისე ძალიან,
როგორც მიწას მარცვალი პურის.

იცხოვრე ისე, როგორც ეკრანზე...

●

მე ოკეანის სიღრმეებში დავბორიალობ —
მაღალი თევზი
მშვენიერი, გრძელი ზოლებით
და ვოცნებობ ჩემს მეთევზეზე,
ცივი და მღვრიე სევდა მიპყრობს
ოკეანეში,
ვით უსიცოცხლო, უცნობ კუნძულს,
წყალში ჩაძირულს.

და გული მიგრძნობს,
რომ არსებობს ქვეყნად მეთევზე,
უდაბნოები, მთვარე, ქარი,
თეთრი ნაპირი
და მშვენიერი, უსახელო მდინარეები.

მათ სურნელებას მაგრძნობინებს
ლამაზი ბადე,
თუ მებადურის უფერული,
მკაცრი თვალები,
რომელსაც ვეძებ — უსახელო,
მაღალი თევზი,
ოკეანეთა სიღრმეებში მოხეტიალე...

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაჭანრებულ მორს გადააბიჯა გიომ, შეჩერდა, ანთებული სიგარეტი ქუსლზე მიიყლიტა და წიფელს ახედა.

— რას იტყვი, ივარგებს? — ჰკითხა ტყისმცველმა.

— ტოტიანია, — თავი გააქნია გიომ, — მანქანას კი დამიზვეპავს, მაგრამ რა ბარაჭა ექნება!

— მაშინ ერთხელაც ავუყვეთ,—თქვა ტყისმცველმა, ცული მეორე ხელში გადაიტანა და ბილიკზე გაიზლაზნა. გიომ აწლიოკებული ღიპის ყლორტები გვერდზე გადასწია, თავდაღუნული გაძვრა ბარდში და ბილიკის გასწვრივ, ხელების ქნევით აედევნა ტყისმცველს. მზე ხანდახან გამოიხედავდა ხოლმე მწვავედ, მერე ისევ ხშირ ფოთლებში კანკალებდა და ციმციმებდა. ირგვლივ ჭრელი ჩრდილი ეყარა და ნეშოს სურნელით გაყღენთილ, ჩაგუბებულ ჰაერს მარტო შემოკრული ნაჯახის ბუბუნი არხევდა. გიო კარგა ხანი აკვირდებოდა, მაგრამ ვერაფრით გაიგო, საიდან მოიროყეოდა ეს ხმა — კლდეები ექოს გამოსცემდნენ, თითქოს საგანგებოდ მალავდნენ თავდაპირველ კვალს.

— ლაზარე, შემოგეპარა ვინმე? — ღიმილით ჰკითხა ტყისმცველს.

ლაზარე ტყისმცველის კვალობაზე სიტყვაძუნწი კაცი იყო, გვიან გაიღო ხმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგენი ის ტყისმჭრელები არიან, ქვეით რო ვნახეთ, ჩავაკებაზე.

— ხმა რომ სულ სხვა მხრიდან მესმის?!

— ეგრეა და მე რა ვქნა!

გიო მიხვდა, ტყისმცველს გაბრაზებამდე ბევრი არაფერი აკლდა: მთელი ორი საათი დაეხეტებოდნენ აღმა-დაღმა, ხევის პირ-პირ, რამდენი დასანომრი ხე ნახეს, მაგრამ დანომვრა მაინც ვერ მოხერხდა — საიდანაც არ უნდა დაეკრათ ნაჯახი, კენწერო ხევისკენ იწევდა. ხევი კი ღრმა იყო, ვიწრო და ჩაფერდებული. გზა ვერსაიდან უდგებოდა და, შეშას ვინ დაეძებს, კენწეროს გამოტანაც ვერ ხერხდებოდა. ორი ხე, როგორც იქნა, მოინიშნეს — ცულით ჩამოთალეს დაშაშრული კანი, თეთრად გააცინეს და ნომერი და ზომა მიაწერეს ქიმიური ფანქრით. ორივე ხე ერთ მანქანასაც ძლივს დაუწევდა რესორებს. კიდევ ვერთი ხე იყო საჭირო და სწორედ იმ ერთმა ხემ დასწყვიტათ მუხლი, ნეშოს სურნელში სწორედ იმ ერთმა ხემ შეურია ოფლის მომჟავო სუნი. ხევს გადაღმა, ორიოდე ნაბიჯზე მშვენიერი, უტოტო შავრცხილა და წიფელი გარინდულიყო აგვისტოს მწვანე თაკარებში, გზაც უდგებოდა და ნაჯახიც, მაგრამ ის უკვე ტყეკაფის გარეთ იდგა, ამიტომ ნატვრის თვალითაც არ იხედებოდნენ იქით — ტყისმცველი ვითომ კანონის კაცი იყო, გიო—უარესი და, დიდი ხნის კეთილი ნაცნობობაც არ აძლევდათ უფლებას ლარის გამრუდებაზე ჩამოეგდოთ სიტყვა.

სიბერით წაქცეულ, ჩალეწილ ხეებს ხმელი, ობმორეული სოკოები დახვეოდა. ნეშო შრიალით იზნიქებოდა ფეხქვეშ, ნაბიჯს რომ გადაადგამდნენ, დაძეკილი ნეშო ნელ-ნელა იშლებოდა და იბურთებოდა... მზე ხშირ ფოთლებში გამოკრთებოდა ხოლმე და წოწკებზე გაბმულ ახლაბუდას ვერცხლით ავსებდა. ამ ფრაზს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ირგვლივ სქელი ბურუსი იწვა.

ბილიკმა სამანქანო გზა გადასერა. ეს გზა სულ ახლახან გაეყვანათ — რაიონის რომელიღაც ორგანიზაცია შეშის დამზადებას აპირებდა და წალდდაუკარებ ტყეში ბულდოზერები მოაყარეს. ჯერჯერობით საცდელადაც არ გაეკლო მანქანას ამ გზაზე, სამაგიეროდ, ტრაქტორებს მიენგრ-მიენგრიათ იქაურობა — ფესვებიანად მოეგლიჯათ ვეება ხეები, ტოტებიანად დაეთრიათ და ერთიანად ჩამოეღოთ გზის ნაპირები. ისე დაეღარათ საგულდაგულოდ მოსწორებული გზა, ერთი შხაპუნა წვიმა, მხოლოდ ერთი და საცალფეხო ბილიკადაც აღარ გამოდგებოდა მთელი თვის ნაჯახირალი: გზა მკვეთრად დაქანებული იყო, თანაც ნაშალსა ჰგავდა და ერთბაშად ჩაიტანდა ხევში, ლამად აქცევდა.

გიომ საათს დახედა და ტყისმცველს მიუბრუნდა:

— ის ორი ხე ხომ არ მეკმარა, ლაზარე?

— გულშიაც არ გაივლო, — თქვა ლაზარემ, — იგეთ დროს შემოგაკლდება შეშა, იგეთ დროს გიყელებს, ძაღლი რო არ გაიგდება გარეთ. ამოდენა ტყეში, დავიჯერო, ერთ საჩვენო ხეს ვეღარ მივაგნებთ?!

გზა განაგრძეს. ისინი ახლა წვრილიანში მიდიოდნენ. ამ წვრილიანის იქით ეკლესიის ნანგრევები ეგულებოდათ. იცოდნენ, იქ საშეშე ხეს ვერ ნახავდნენ. სამაგიეროდ, წყარო იყო იქ, ყინულივით ცივი და ახლადამობინებულ ბალახზე განაბული ნამივით სუფთა და კამკამა, ოქროსფრად რომ გადატეხავს ხოლმე მზის სხივი. წყაროს დეუღაბის თაღი ჰქონდა გადაყვანილი, არავინ იცოდა როდინდელი, თამარის წყაროს კი ეძახდნენ. მივიდოდნენ თამარის წყაროსთან, ჩაიმუხლებდნენ, პეშვით დალევდნენ, მერე უსიტყვოდ წამოდგებოდნენ, შეხედავდნენ ერთმანეთს, ბარემ ერთიც ჩავუყვეთ თავქვეო და. ალბათ ამით დამთავრდებოდა ეს დამქანცველი დღე...

კარლო კოპეტრიძე
მოთხრობები

ეკლესიის ნანგრევები მალე გამოჩნდა. თაღჩამოქცეულ ეკლესიის კედლებში ათასი ჯიშის ხე ამოხეთქილიყო. კედლებში ამოსულ ხეებს დუღაბიდან ქვები გადმოეყარა, ნაპრალებით დაეღარა ოდესღაც შვეულით გასწორებული, ბეწვს რომ არ გაამრუდებდა, ისეთი კედლები.

ახალ სახლს იშენებდა გიო, მთელი ზაფხული წელში გადაწყდა კაცი: იმდენ ხათაბალას გადაეყარა, სანანებლად ექცა საძირკვლის გათხრა — უმნიშვნელო რაღაცის შოვნას კინაღამ კვირეებს ახარჯებდა, ბოლოს და ბოლოს იშოვნიდა ხოლმე და ხან მშენებლობაში გამოუცდელობას აბრალებდა, ხანაც — საკუთარ უგერგილობას: ფულის შოვნა თავისთავად, მაგრამ დახარჯვაშიაც ბეღოვლათი ვყოფილვარო. ახლა ეკლესიის ნანგრევთან შეჩერდა, კედელს გახედა, თვალით გაავლო ლარი და გულს შემოეყარა: „ჩემი კალატოზები ისეთ უტიდურებს გადამყრიან, მგონი თავიდან ასაშენებელი გამიხდეს სახლი — უხეირო გუთნისდედასავით მიმრუდებენ კვალს. თითქოს ნახაზზე ნაჩვენები ზომით იწყებენ ფანჯარას, დაამთავრებენ, მერე შეამოწმებ და სუნთქვა ჭირს — ქვემოთ სწორია, ფანჯრის ჭერს გაზომავ და ათი სანტიმეტრი სხვაობა. არ ვიცი, როგორ ჩაჯდება ჩარჩო! მანუგეშებენ, ლესავში გასწორდებაო. ამ ოხრებმა შვეულის ხმარება არ იციან, ადამქმის თარაზო კი უზასიათო კაცივით არის — როცა არ მოელი, მაშინ ურევს. ეს ეკლესია ათასი წლის წინათ აშენა მარჯვენადალოცილმა ვიღაცამ, სამწუხაროდ ვიღაცამ— და სცადე ერთი, იქნებ დაუწუნო რამე ან — ლარში, ან — ხაზში... ზოგჯერ რა ბედნიერებაა უკან დახევა!..“

გიომ ერთხელ კიდევ მოატარა თვალი ეკლესიის ნანგრევებს. საერთოდ შენიშნული ჰქონდა, ეკლესიასა და ციხის ნანგრევებს ნეკერჩხალი და ცაცხვი ეტანება, თითქოს განგებ ეტანებიანო... ახლაც ასე იყო: ეს ხეები სჭარბობდნენ.

ეკლესიის ირგვლივ მოზრდილი, ბეჩქებიანი მინდორი დაცემულიყო. აქა-იქა უშველებელი, კრიკინით გაბმულ-გაბმობმული კაკლის ხეები იდგა. ისიც შემჩნეული ჰქონდა: ასეთ კაკალს თითქმის არავინ ბერტყავდა არასოდეს, ამიტომ აღარც ნაყოფს იმეტებდა ისე, ბარის კაკლებმა რომ იციან — სამტყუპებით დამძიმდებიან ხოლმე. კაცის ხელი ხესაც დაკლებოდა. რამდენჯერ გაუგია გიოს, კაკალი თუ არ ისხამს, ხალხათი ისე უნდა დაალეწო ტოტი, გარკვილს დაემგვანოსო; დაიჯერე და მომდევნო შემოდგომაზე ნახავ, როგორ გაგიხსნის შუბლსაო...

დაცემულ მინდორზე ხეშეში ბალახი მოდებულიყო, მყრალა და ჭყიმი კი ნაგალავნარს ედგა კვალში...

წყარო უგემური ეჩვენა. გაიფიქრა, ამსიგრძე ზაფხული გდის, ასეთი ცივი წყალი არ დამილევია და, ალბათ, იმისი ბრალიაო.

გიომ სახეზე შეისხა წყალი და წამოდგა:

— წავიდეთ, ლაზარე.

ლაზარე უსიტყვოდ წამოდგა.

თავქვე დავშვენენ. ისევ ხეებს ათვალიერებდნენ, ხეებსა და გზას, მანქანა თუ მიუდგებაო.

ლაზარე ხმობაშეპარულ, ვეება წიფელთან შეჩერდა:

— ხეც ამასა ჰქვია!

— აუ3! ოც მანქანაზე არ დაუა!

— შენ შუშა იკითხე!

— ჯაგრცხილას გვერდზე მიაყენებს, არა?

— ულაპარაკოდ. მითხრეს, გაასაღე ო, მაგრამა ვიდრე აემ ქუდზე მუხის ფოთოლი მიკეთია, ნაჯახს ვერავინ დააკარებს!

— რა ამბავია?! — გაოცდა გიო.

— თან ვიარით და გეტყვი.

ისევ გზა განაგრძეს; მკვეთრი დაქანება იყო და ძალუნებურად უჩქაოებდნენ ნაბიჯს, ჩრდილით დაჩაგრულ ბუჩქებს ეჭიდებოდნენ, წელს გადაიქნევდნენ ხოლმე უკან, თავს მაგრად იბჯენდნენ მხრებზე და ქუსლებს გამეტებით ურტყამდნენ მიწას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ციყვები მყავს იქა, — თქვა ლაზარემ, — ამ რაკრაკს ისევ აღმართი მირჩევნია.

— მართლაც!.. სადა გყავს ციყვები?

— ემანდ, იმ წიფელზე, ეხლახან რო გაჩვენე.

— ბალღობის აქეთ ნაღდი ციყვი აღარ მინახავს. ბეერს მოუყარე თავი?— გაეღიმა გიოს.

— იცოცხლ! ის იმოდენა წიფელი ფუღეურად არის ქცეული. რატო არ გამრავლდებიან რა, თხილი არ აკლიათ და კაკალი!

— შენ ეგა თქვი!

— აღარ ვიცი, მაგათი ყარაული ვარ თუ ტყისა. თოფიან კაცს რო დავინახავ ხოლმე აქეთ ამოვლილსა, გულზე აის ჩამწკვანებული მთა მაწვება, არ მიაგნოს-მეთქი... მეტი არაფერი მინდა, ერთი თითი დააკაროს ვინმემ!

— ნაღდი ციყვი სხვა რამეა!

— ამალამ ჩემთან დარჩი ქოხში და, რო ირიგრაკეს, სანახავი გიჩვენო, სანახავი, სამარემდე არ დაგავიწყდეს!

— რომელ ქოხზე მეუბნები, ტყისმჭრელებისა?

— ტყისმჭრელებისა რა თავში მიხლია, ჩემი არა მაქ, იმასთან, წიფლიანის თავში?!

— ის ქოხი კი არა, მშვენიერი სახლია. ეჰ, ციყვს ზოოპარკშიც ვნახავ, ნეტავი შვილები მაჩვენა, თვეზე მეტია იმათი მონატრული გავხდი. მგონი როგორ გაიტლიკეს ენა, იმ მამაძაღლებმა!..

ორი გოგონა ჰყავდა გიოს, ორი ცქვიტი გოგონა: უფროსი სამი წლისა იყო, უმცროსი — თითქმის ორი წლისა. ერთმანეთს არაფერით ჰგავდნენ, ხასიათითაც ხომ ისე განსხვავდებოდნენ, როგორც ეს წამოშლილი ტყე განსხვავდება გადატრუსული ტრამალისაგან. პატარა ჭირვეული იყო, დიდი კი დამთმობი და ისეთი კეთილი, ოთახ ალავე აწუხებდა. ღმერთმა დამიქალოს და, რა ვიცი, ქვეყანაზე თავს როგორ გაიტანსო. თუმცა იმის დაქალებამდე იმდენი წელი ჩამოვლიდა კიდევ, შეიძლება ს

ჰქვია, რისკენაც ასე მიილტვის მომაბეზრებელ ხმაურიდან გაქცეული კაცი: ნახევრად ტიტლიანა გოგო-ბიჭები, მდინარის პირას გაფენილი სარეცხი, ბინდ-ბუნდში აბღავლებული საქონელი და ციცინათელებით სავსე ღამე. მერე ტყემალი, ჩაყვითლებული და ჩანაკვერჩხლებული ტყემალი, წითელი ტყემალი. როგორ უნდოდა გიოს ტყემლის ყვავილობისას ენახა იმერეთი, მაგრამ ვერ ახერხებდა, იმ დროს თავის სოფელში ჰქონდა საქმე, ვენახი იყო მისახედი, და შაბათ-კვირას იქით გარბოდა გულხეთქებით...

ლაზარეშ ხელმოჩრდილვით ახედა წიფელს:

— კაი რამეა მგონი!

გიომ უხალისოდ ჩაილაპარაკა:

— რაც არის არის, გამიზომე და დამინომრე.

— აი, ნახავ, დაგრჩება კიდეც.

— მაგას რა სჯობია!

— კაცო, რამდენჯერ ავიარ-ჩავიარეთ და, თვალები რამ დაგვიბრმავა, რო ვერ დავინახეთ?!

— რა ვიცი!

ლაზარემ ნომერი ჩაიწერა:

— ბილეთს როდის აიღებ? — გიოს მიაჩერდა.

— დღესვე.

— საღამოზე გადმოხვალ?

— არა, მოგიცდი.

— მაშინ ლევანას გასძახე.

ლევანაც თბილისში მუშაობდა და ისიც შაბათ-კვირა კახეთის გზაზე იყო გაკრული. იმასაც მოხუცი დედის მეტი არავინ ჰყავდა სოფელში. ცოლშვილზე კი რატომღაც არ ფიქრობდა ჯერჯერობით. ვინ არ ჩასჩიჩინებდა, რა ღმერთი გიწყრება, რატომ არ გატოკდები, აღარ გედროვებამ, მაგრამ ყურს არ იბერტყავდა. დედამისს კაი ხანია მოსწყენდა ხვეწნა-ჩივილი და ერთბაშად შეურიგდა შვილს უცოლოდ ჩამობერებას. იცოდა გიომ, ეს დაუდევრობა ერთ დღეს ტრაგედიად ექცეოდა ლევანას და მაინც აღარაფერს ეუბნებოდა ამის თაობაზე, იმ პარასკევსაც ერთად წამოვიდნენ თბილისიდან, გზაშივე მოიფიქრაკეს, ვიდრე მზიანი დღეებია, „ბარემ შეშა დავამზადოთო...

ჯერ გიოს უნდა დაენომრა ხეები: ლევანა ფეხს იტკივებდა და ქვევით დარჩა, შოფერთან. სატყეო მეურნეობის „ვილისით“ ამოვიდნენ ტყეში და უკან დაბრუნებასაც იმით აპირებდნენ. შოფერს ასეთი მგზავრობა მობეზრებული ჰქონდა და ჩრდილში წამოწოლა ამჯობინა ისევ: იწვა გულაღმა, შესაქცეროდა ჩამოხურულ ხეებს და გოგობზე ლაპარაკობდა. ტყეში მარტო შეშას ხედავდა და ლაზარე ტყისმცველს, გაზითაც რომ ძლივს აძრობდნენ სიტყვას.

— ჰაი, ლევან!

— ჰე, ჰეი! — გამოეპასუხა.

— გზას ამოჰყევი, გზასა!

— მოვდივარ!

ექო გუგუნით აწყდებოდა კლდეებს, მერე იშლებოდა, მიშრიალებდა და მიჩურჩულებდა ტყეში.

— წავედი, ლაზარე, — თქვა გიომ და ჩაფიქრდა: ძახილის შემდეგ რაღაც უჩვეულოდ მოესმა ნათქვამი, — წავედი, ლაზარე, მადლობას მერე გეტყვი.

— არ დაგავიწყდეს — გაეღიმა ლაზარეს, — სად მოიცდი, მანქანასთან?

— ტყისმჭრელებთან მირჩევნია, გამოველაპარაკები ვინმეს.

— ჩვენს შოფერთან თავი არ აგდევს?

— მაგას შინაცა ვნახავ.

— ეხლა არ გამახსენდა, მეზობლები რო ხართ?! წასვლისას ჩამოგივლი და დაგეხმაურები.

— რა ვიცი, იქ კი არ დამტოვოთ!

— აბა, რას ამბობ?!

ტყისმცველმა ცულს ფხა გაუსინჯა ცერით, წიფელზე მიაყუდა, ქუდი მოიხადა, ბალახებზე დადო და გულაღმა გაიშოტა. გიომ სიგარეტს მოუკიდა, კიდევ ერთხელ გახედა ტყისმცველს და ბილიკს დაუყვა.

— ნამწვი ჩააქრე და იგრე გადაადგე! — დაუძახა ლაზარემ.

გიო შეჩერდა, მიტრიალდა:

— აღარ მოგწყინდა, კაცო, დღეს მერამდენედ მეუბნები?!.

ნელა მიდიოდა გიო. ავარდნილ ხეებს თვალს შეავლებდა, უკვირდა: ხეებქვეშ მიწა ისე იყო მოსცვეპილი, ბუჩქიც არ ხარობდა. მიდიოდა გიო და ნაგოლვი, გამხმარი ბალახის აფუყებული, წვეტიანი თესლი ფეხსაცმელებში უძვრებოდა. დრო და დრო შედგებოდა, ჩამოჯდებოდა ბექზე, წაიძრობდა ფეხსაცმელს და საგულდაგულოდ ბერტყავდა.

ტყის ამ მხარეს წიფელი ჭარბობდა და აკი წიფლინასაც ეძახდნენ. წიფლნარს ხედაზე რცხილაც გამოერეოდა ხოლმე, რცხილა და ფოთრიანი პანტები. ფოთრი წიფელზეც ხშირად უნახავს, მაგრამ ის წიფელი ყოველთვის ისე იყო დაბერებული, წაქცევას აღარაფერი უკლდა.

არსად ჭაჭანებდა ჩიტი, ისინიც სიცხეს გაესავთებინა ამ ტყესავით.

გიო თანდათან უახლოვდებოდა ტყისმჭრელების ქოხს — თანდათან ახლოვდებოდა ნაჯახის კაკუნი. „შუა ზაფხულში ფოთლიან ხეს რომ ჭრი, სინანული გეძლება — შენს თვალწინ უჭკნება ფოთოლი. ზამთარში სხვაა, ხეს წვენი არ გადმოსდის და გამხმარი გგონია. მაშინ მკვახედაც ხვდება ნაჯახი, ისე შეგიკანებს ძვლებს, ისე შეგაძაგძაგებს, სულ დაგიკარგავს თვლემის ხასიათს. ზაფხულში კი რბილად ხვდება ნაჯახი— იშვიათად ასხლტება ხოლმე და დანაფოტებითაც ადვილად ნაფოტდება. ციყვები ჰყოლია ლაზარეს, — გაეღიმა გიოს, — ციყვები მყავსო?! კარგია, თავისი რომ ჰგონია ციყვები, მაგრამ ტყეც რომ თავისი ჰგონია?! კარგია ციყვები, მშიშარა ციყვები უფრო ცქვიტები არიან. შიშით გამოფხიზლებული კაცი რამდენი მინახავს, დავკვირვებივარ და შემინიშნავს — ორი დღე უსაუბრია გაბმულად, უძილობა თავისთავად და, უბრალოდაც არ უხსენებია ძილი... გამოზაფხულდება და სოფლისაკენ იშვიათად იყურება ლაზარე — ტყეში დაეხეტება, ეტყობა, გასართობი აპოვნინა უსაქმურობამ: ციყვები, მშიშარა ციყვები!.. გაზაფხულზე მაინც რა საცოლიანი ვაად კვდება ხე — ერთს ჩაარტყამ ნაჯახს და დაიძრება კიდეც წვენი. მერე რომ წაქცევ, ხედავ: მოიპარება წვენი, ზეთივით იწელება წვეთი, მიწას დაეცემა და ქრება მაშინვე; წედანდელი ნაწვიმარი რომც იყოს, შეხებისთანავე ისტუტავს“ — ფიქრობდა გიო და რატომღაც იმ ვეგეტარიანელი ინდოელის ამბავი ახსენდებოდა, ერთხელ ცოლის ძმა რომ მოუყვა. გიოს ცოლის ძმა რუსთავის ქიმიურ ქარხანაში მუშაობდა ინჟინრად, ინგლისურს გამართული ლაპარაკობდა და პრაქტიკაზე ჩამოსული ინდოელი გაატანეს თბილისში, ქალაქი დაათვალიერებინეო. მუზეუმებიც დაატარა, ქველი უბნებიც, მთაწმინდაზეც აიყვანა, ფუნიკულიორიდანაც გადმოახედა. უნივერსიტეტშიც ჰყავდა, სპორტის სასახლეშიც, მაგრამ ვერაფრით ააღელვა თავდაჯერილი და... ინგლისელების მაგინებელი ინდოელი. ბოლოს! იფიქრა, მოდი, ჩვენებურ ბაზარსაც ვაჩვენებო და ვერის ბაზარში ამოაყოფინა თავი. აქ კი გადაირია ინდოელი: თვალებზე აიფარა ხელი და ბუტბუტით გავარდა ქუჩაში — თურმე საქონლის ხორცი დაენახა და იმაზე დაჰკარგოდა ფერი. მოკლედ, მაშინვე ტაქსი დაიჭირა ინდოელმა და რუსთავისაკენ გაუტია. ერთი სიამოვნება მაინც მოაკლო სამწვადისა თუ საკატლეტე ხორცის დანახვამ: თაგორის „გიტანჯალი“ ვეღარ მოისმინა ქართულად... ქართულად, ოღონდ ინგლისური კომენტარებით...

ტყისმჭრელების ქოხი მალე გამოჩნდა: უხეიროდ დადგამ, ტოლიც უხეიროდ გადაეხურაო — ულურსმნოდა და უყაირათოდ. ამით ეტყობოდათ, თვალი გაქცევაზე რომ ეჭირათ. გვერდზე დაუდევრად მიეფარებინათ ფოთლიანი ტოტები; კარწინ — კონსერვის ქილები, გაზეთის ნახევები და ათასი ნაგავი ეყარა.

ქოხის ახლო-მახლო არავინ ჩანდა.

კარლო კოპეერიძე
ბოთხოეეი

ტყის სიღრმეში აკაკუნებდნენ ნაჯახს და აღრჭიალებდნენ ხერხს. ეს ხმა სხვადასხვა მხრიდან ისმოდა და სხვადასხვანაირ ექოდაც იფშვნენებოდა ჩრდილით სავსე მდუმარებაში.

გიო მორზე ჩამოჯდა ჩრდილში და ქოხს გახედა: ქოხის ირგვლივ მოზრდილი ახო გაეტეხთ, აღარსად იდგა დასაბერებელი ხე. ფენა-ფენა ეყარა ტრაქტორგადავლილი, ჩალეწილი ტოტები— მის გატანაზედაც არავის ეზრუნა. აქ ყველაფერს დაუდევარი, უგულო კაცის კვალი ეტყობოდა. „წინ აღარავინ იყურება, — ფიქრობდა გიო, — ამ მხრივ ბრმები არიან ყველანი და, ტყისმცველს რაღას თხოვ! კაცი საკუთარ გვარსაც ვერ დაგიწერს უშეცდომოდ და წარსულის უცოდინარობაზე რაღას ედავები! ეს საბრალდებელო სკამზე დასაბრძანებელი ტყისმჭრელები ისე გადაქცევენ ხოლმე დანმრილ ხეს, გვერდით მოზარდი რომ უდგას, იმას დაეცეს და თან ჩაიტანოს. რა მექნა, ხელს ხომ არ შევაშველებიო. მართლა და მართლა, მხარს ხომ არ შეუშვერდაო, ესარჩლებიან. ამ გამოსარჩლებაში ნაგდურდება ის, რასაც მამულის სილამაზეს ვეძახით, რითაც ასე გვეამაყება გაუმეულ სუფრაზე. ესეც შენი დიდი ლაფანჭამია!.. ყველაფერი დღევანდელობის თვალით იზომება, შვილებისა და შვილიშვილების სამშობლოსაკენ აღარ ვიხედებით და, უკან იხევენ ტყეები — შირაქში შემოჭრილი უდაბნო მალე კვეტარის ციხეს მიადგება. ასე თუ გაგრძელდა, ისე გავშიშვლდებით, საკუთარი თავისა შეგვრცხვება. ვიდრე ამგვარი გრძნობის ნატამალი გაგაჩნია, კაცი არა ხარ, დაიფარე ტყე, მეტს არავინ გთხოვს და მაგიერი მაინც გადაუხადე, აკი დასაბამიდან დღემდე შენ გიფარავდა, შენი ერთგული და უღალატო მფარველი იყო. შენი დღენი სულ გიჭირდა, მას კი ამ ერთხელ უჭირს! ამ დიდ ლაფანჭამიების ხელში განკითხვის ჟამი დასდგომია ჩვენს სული წმიდასა და კეთილ ანგელოზს! იყვირე, სანამ დაყვირება შეგიძლია, სანამ პირში სული გიდგას, საკუთარი სინდისის წინაშე მაინც მოიხადე ვალი! [illegible] მინდა, მეტი არაფერი, მხოლოდ ერთი დღით მჭონდეს მბრძანებლის კეერთხი და, მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა მამულის სიყვარული — ტყეების სიყვარული! ბალახივით ითიბება ტყე, ჩაგდება, თავს ვეღარ იკავებს ფერდობი და მაღლა იწევს მდინარის კალაპოტი! დადექი და ჯებირები აშენე: იქნებ ასი წლის შემდეგ მაინც გაგახსენდეს, რომ ეს მშენებლობა, ეს ამდენი ჯაფა შენი დაუდევრობის ბრალია!“ — გიო წამოდგა. სახეზე ხელი მოისვა, თავი გააქნია სინანულის ღიმილით და ისევ დაჯდა.

ქოხის იქით, ფერდობზე კაცი ამოვიდა. ხელში ელექტროხერხი ეჭირა. ქოხწინ ფრთხილად დადო ხერხი, ქოხში შეიხედა და ფეხაკრეფით წამოვიდა გიოსაკენ.

— გამარჯობა, — ისიც მორზე ჩამოჯდა, — პაპიროსს ვერ გამაბოლებინებ?

— გაგიმარჯოს, რატომაც არა!

გიომ სიგარეტის კოლოფი მიაწოდა:

— სადაური ხარ? რაღაც არ მეცნობი?

— ახმეტური. მოსაკიდებელიც ვექნება.

ახლა ასანთი ამოიღო გიომ ჯიბიდან:

— დღიურად მუშაობ?

— ხელშეკრულებით. — გრძელი ნაფაზი დაარტყა.

— როდის გადის ვადა?

— ჩემი ნება არ არის! — გაეღიმა ტყისმჭრელს, — როცა მომეპრიანება. მაშინ შავუბერავ შინისაკენ; არა, ბიჭო, ამათ შევეჭმენებინ!.. მაგრამა. რაც მამეხსიოთება, იმას ვაკეთებ და გიეი ვარ, საგარეო ტანისამოსი ჩავიცვა?

— მაინც როდის აპირებ აბარგებას?

— გიომაც მოუკიდა სიგარეტს.

— ერთ თვეშიო.

— ცოტა მალე დაიკარგე აქედან, თორემ შენ რა ტყე გაგიძლებს! — გაეცინა გიოს.

ტყისმჭრელი ჩადგმული ბიჭი იყო, ჯანით სავსე, დაკუნთული, შავად ულაპ-

ლაპებდა მკლავები. მზემოკიდებული სახე ალაგ-ალაგ აქერტლოდა. გიო დააკვირდა: გამეტებით მოეფხანა.

— კოღო იქნება ბლომად.

— ღამე, იცოცლე, დივიზიობით!

— დღისით? — ჰკითხა გიომ და უაზროდ გაიხედა ქოხისაკენ, — დღისით რაო, ვისვენებთო?

— ვინლეებთო. ალბათ დღისითაც ილესამენ კბილებსა, მაგრამა ამოდენა ხეებს ებრძვი და კოღო რო დაგგლეჯამს, იმას რაღას იგრძნობ! წავალ, თორემა ამიყვირდებიან ბიჭები, — წამოდგა ტყისმჭრელი, — მაიტა ერთი პაპიროსიც მამე.

გიომ სიგარეტის კოლოფიდან ორი ღერი ამოიღო, ხალათის ჯიბეში ჩაიდო, დანარჩენი ტყის მჭრელს მიაწოდა:

— აჰა, გკონდეს.

— შენა, კაცო?!

— იოლად გავალ ამ ორი ღერითაც, ბევრს არ ვეწევი.

ტყისმჭრელი ისევ დაჯდა:

— რა საქმეზე ამოსულხარ აქა?

— ხეები დამინომრეს.

— ბევრია?

— ორ მანქანაზე დავა.

— დამუშავება ჩემზე იყოს, გრუშკაპიკი არ მინდა შენი. ერთი ტიკუორა ღვინო გამაყოლე, ორიოდე სამწვადეცა და ჩემზე იყოს დანარჩენი. დანომრილნი ვერ გავამსებთ მაშინასა და აბა, გაიხედ-გამოიხედე, ეს ტყე განა ხელწერილით მაბარია! შენ მარტო პურმარილი არ დაგავიწყდეს!.. როდის ამოხვალ?

— ალბათ, ორ დღეში.

— ეგრე, როგორც გითხარი, მარტო პურმარილზე მოგიწევს გატოკება... წავალ, თორე აყვირდებიან ბიჭები! ვიდრე იქ არა მნახავენ, როგორა გგონია, კუდზე იტრიალებენ?.. შენ პაპიროსიც გამაყოლე და, ჩემი თავი მოგიკვდეს, გული დაგწყვიტო! ყოჩაღად იყავი!..

ცას ახედა გიომ — ცა ისევ ლურჯად იდგა ხეების თავზე.

ტყისმჭრელი თვალს მოეფარა, ხმელი ტოტების ლაწა-ლუწი კი დიდხანს იკაწრებოდა ცხელი დღის მყუდროებაშიც.

გიოს შვილები გაახსენდა ისევ — „თვეზე მეტია აღარ მინახავს, მგონი გადავავიწყდი უკვე. მათთვის ახლობელია ის, ვინც რძეს მიაწვდის და გულში ჩაიხუტებს — ბავშვებში მხოლოდ სიანლოვე ბადებს სიყვარულს. ღმერთო, როგორი უსუსურები არიან! ხელებში შემოგაყურებენ, შენი არსებობა მათ არსებობას ნიშნავს, ამიტომ უფლება არა გაქვს, საკუთარ სიცოცხლეს დაუდევრად მოექცე, ბეწვის ხიდზე დაიწყო სიარული. ალბათ ამის მიზეზია: ცოლ-შვილიანი კაცები დამთმობნი არიან, შეუარცხყოფასაც ადვილად იტანენ და — დამცირებასაც. უსაზღვროდ გრძელ დუმილში მიაბიჯებენ დაფიქრებული მამები, მათთვის სინანული და წუხილი იმ დუმილივით უსასრულოა. მათთვის დღე-ღამესავით ნაცნობია ბავშვის ტირილით გამოწვეული, მარადიული სევდა... შვილისადმი სიყვარულში კარგა ხანს ვერ გაეერკვე, ვუყურებდი აკვანში ჩაკრულ შვილსა და ეჭვიანობა მტანჯავდა — მგონი არ მიყვარდა?! იმას კი ვამჩნევდი — რაღაც უჩვეულო მოხდა ჩემს ცხოვრებაში. სხვასაც ვერ ვკითხე ამის თაობაზე, ვაითუ, გულცივობა დამწამონ-მეთქი. ჟყლოპინში, ტიტიში, უაზრო შეკითხვებში გადიოდა დრო და ერთბაშად აღმოვაჩინე — საოცრად მეცოდებოდა შვილი, უსუსური შვილი. და სწორედ ეს იყო სიყვარული, სწორედ ეს იყო იმ გრძნობის სათავე, ნაღვარივით რომ მოვარდება ხოლმე და მთელი ჩვენი სიცოცხლე მორეკავს ჩაირევას, დახრჩობას გვიქადის. მას შემდეგ ვერა ვგრძნობთ საკუთარი შვილების ნაკლს, ამ მხრივ თხუნელასავით სიბნელეში მივიკვლევთ გზას, და ის გზა ჩვენი შეცდომების დასასრულია: ყველაფერს იკლებ და თმობ, შენს შვილს შენზე უკეთესი ბედი რომ ჰქონდეს. ამ ბორკილს ჩვენსავე ხელით ვკეტავთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ ცდილობს გახსნას, ვინაიდან ასეთი რამ შეუძლებელია. მამაჩემი ისე წავიდა იმ ქვეყანაში, დაუმთავრებელი სახლის მეტი ვერაფერი დაუტოვა შვილებს — არ დაცალდა და რა მისი ბრალია! მე ვჩქარობ — არ მინდა შვილი-შვილებმა გიიზიარონ პაპის ბედი: სახლს ვაშენებ, თუ მოვასწარი და ავაშენე! ამის ხარჯზე ხელშესახები სიყვარული მოაკლდათ შვილებს — თვეზე მეტია მამა აღარ უნახავთ, ასე გაგრძელდება კიდევ ორ თვეს და ალბათ დავიწყებასაც ადვილად მოახერხებენ... ყველას საკუთარი სადარდელი აწვალებს, მე კი კეთილი სადარდელიც მაქვს — სანატრელი შვილების ღიმილი! ამ განადგურებულ ტყეში ვარ ახლა და ჩემს მოღიმარე შვილებზე ვფიქრობ. ღმერთი არა მწამს, ჩემამდე არავინ მოუშვა ღმერთი და აკი ვერც შევძელი მეწამა; და მაინც წამომცდება ხოლმე: ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი საწყალი შვილების ღიმილი!..“

გიომ ამოიოხრა და თავი ასწია — ტყეზე თეთრი ღრუბელი მოცურავდა. ხალათის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა. ნაჯახის კაკუნი ხერხის ხრჭიალი და დაცემული ხის გუგუნი ახლა მოსწვდა, ფიქრიდან რომ გამოაღწია. მიაყურადა, იქნება ლაზარეს ან ლევანას ხმა გავიგონო. ხმა მოესმა კიდეც, მაგრამ სიტყვები გაარჩია და მიხვდა, ტყისმჭრელები ლაზღანდარობდნენ. ხასიათი წაუხდა, იფიქრა, არც მაგთი მანქანა მინდა, არც არაფერი, ავდგები და შინ წავალო. წამოდგა, ცოტა ხანს იყოყმანა და ისევ მოწყვეტით დაეშვა.

ელექტროხერხმა ფუტფუტს მოუხშირა — ალბათ კუჭრს მიადგა.

ფოთლის შრიალი და სოკოს სუნი, გიოს ტყეს ახსენებდა ყოველთვის. იქ, ქალაქის ქუჩებში სიარულისას ნაურმალში მოკივკივე ჭრელი ჩიტების, არყნარში გაცინებული შავი კუნელის, ფოთოლგაცვენილი, ნეშოსფერი ზღმარტლისა და მუხებზე გაბმულ-კამობმული, წითლადახორხლილი ღიჭის იდილიად ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც ბავშვობისას უნახავს, ომის წლებში, ოცდაექვსაკილომეტრიან ბერიკაცებს რომ დაჭყეტბოდა პანტა-მაჟალოზე. როგორც ეტყობა, ეს ნანატრი მშვენიერება იმ მძიმე დროს გადაჰყვა, იმ დღეებთან ერთად ტყის პირველყოფილებაც დაიკარგა... ახლა ბულდოზერი ამობღოტბებულა ეფრანში, უბდეული, უჯიუტია, გაუვერანებია აქაურობა, მერე საწვავი შემოლეგია და წიფლის ჩრდილში გაყუჩებულა.

გიომ უკანასკნელ სიგარეტს მოუკიდა და, ნაფაზი რომ დაარტყა, მაშინ იგრძნო მძაფრი წყურვილი. იფიქრა, ტყისმჭრელებს გავძახებ, კკითხავ, წყაროა საით არისო, მაგრამ აღარ დაუხმაურებია ტყე: იცოდა, აქ ახლო სადღაც იქნებოდა წყარო — ტყისმჭრელები ისე არსად დაიდებენ ბინას. მიიხედ-მოიხედა და გამორჩეულად დატკეპნილ ბილიკს გააყოლა თვალი: ხევისკენ ეშვებოდა, ხევიც ახლო იყო, ვიწრო და ჩაფერდებული ხევი.

ბილიკს რომ დაადგა, წყურვილი უფრო მიეძალა. ახლა მხოლოდ ცივ, კამკამა წყაროზე ფიქრობდა: გაბზარული კლდიდან გამოჩუხჩუხებს, ოდნავ გაივაკებს და გუბედ იქცევა. იმ გუბეში უეშველად გდია ახლადმოწყვეტილი, გაყვითლებული ფოთოლი და გაუთავებლად ტრიალებს. მივა კაცი, ჩაიმუხლებს წყაროსთან, ფოთოლს ფრთხილად ამოიღებს, მოშორებით გადაგდებს, ორივე ხელით დაეყრდნობა ვიღაცის მიერ ზომაზე დადებულ ბრტყელ ქვებს და ვიდრე დაეწაფებოდეს, ჯერ საკუთარ სახეს ხედავს წყალში; დაეწაფება, მოციმციმე რგოლები დაიწყებენ კანკალს, სიგანეში გაიწევენ, ეედევნებიან ერთმანეთს და სახეც ქრება.

— მამი! — ბავშვის ხმა მოესმა.

გიო შეჩერდა. მერე ეგონა, მომეჩვენაო, სიგარეტის ამოლებული ნამწვი გადაადგო და გზა განაგრძო.

— მამი! — ბავშვი ტიროდა.

გიო შემობრუნდა. დაინახა: ქოხწინ პატარა ბიჭი იდგა და ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი — შავგვრემანი,

ბუთხუნა ბიჭი იყო — მარტო ტრუსი ეცვა. გიო ჩქარი ნაბიჯით წავიდა ბიჭისაკენ. ბიჭმა მალე დაინახა და ტირილი შეწყვიტა, ცნობისმოყვარედ მიაჩერდა. გიო დაიხარა, თავზე ხელი გადაუსვა:

— რა გქვია, შვილო?

— დათო, — ცოცხლად უპასუხა და დოინჯი შემოიყარა.

— ჰოო, პაპის სახელი ვრქმევიან!

— პაპას დათა ჰქვია. ვენახშია ჩემი პაპა... წყალი მინდა.

— წამო, დავლიოთ, მეც მინდა წყალი.

ბიჭი ხელში აიყვანა და ბილიკზე გავიდა.

— მაშ დათო გქვია, ჰა?

— დათო მქვია, მამაჩემს კიდევ რეზო ჰქვია.

— მამაჩემს რეზო არ ერქვა. სად არის მამაშენი?

— შეშასა სჭრის. ბევრ შეშასა სჭრის.

ბულდოზერს რომ გასცდა, სიგარეტის ნამწვი გაახსენდა. შეჩერდა, მალე იპოვნა — ისევ ბოლავდა, ფეხით გასრისა და ბილიკზე გავიდა. ხელში ბავშვი ეჭირა და თავდადმართზე ფრთხილად ეშვებოდა.

— არ გცხელა, დათო?

— ჯერ მწყურია.

უცებ ჩაქანდა ბილიკი, მაგრამ არაფერი იყო საშიში — საფეხურები კოხტად და სიმედოდ ამოეჭრათ ბარით; გვალვაც ზედ დატანებოდა და ის საფეხურები ტინივით გაემაგრებინა, დაებზარა.

გიომ ბიჭს მკლავებზე დახედა — კოლოს ნაკბენი ღიაწოთელ მარცვლებად დაჰყოროდა. გაუკვირდა, ნეტა ამის მამას რა ძალა ადგია, აქ რას მოარბენინებსო.

ხევში ჩავიდნენ, თეთრ ხვიჭაზე ცოტაც გაიკლანა ბილიკი და წყაროს მიადგა: ნამეწყრალიდან ჩამოლოვლოვებდა წყარო. იმდენხანს ეკლო, ღრმად ჩაეჭრა მიწა და შიგ ჩაკარგულიყო. ეტყობა, დიდხანს ედინა ასე — ზვეიდან ჩადუნასა და მიწის ფათალოს გადაევლო. აქეთ-იქით წვრილი არყის ხეებიც წამოშლილიყვნენ. ვიღაცა მადლიანს ცაცხვის ქერქი დაედო ღარად. გრძელ ირკალებოდა წყარო და თეთრ ხვიჭაზე ეცემოდა თეთრად, თეთრად ისროდა ზხეფებს და თეთრ ბუთულებს აყრიდა ნაპირებს. ღარის გვერდით ნატეხარი იდო, სუფთა, გაკრიალებული ნატეხარი. იქვე ბალო დაერჭოთ, ბალოზე თხელი ფიცარი მიეკრათ და იმ ბალოზე წაეწერათ ქიმიური ფანქრით: ვინც ეს ღარი აგლიჯოს, ვინც ეს ნატეხარი გადაგდოს ან დაამტვრიოს, ვინც აქაურობა დაანაგვიანოს, მე იმისი აგრე და იგრეო. ეტყობა, მერე გახსენებოდა ზრდილობა: დალიე და შეგერგოსო?!

„რა ხალხია! — გაიფიქრა გიომ, — იციან, აქეთ არასოდეს მოხვდება ქალი და აუშვეს ენა და საწერ-კალამი!“ ბიჭი ღიმილით დასვა მიწაზე და ნატეხარი აიღო, თან თვალი მოატარა ირგვლივ: მართლაც ცოდვა იყო იქაურობის დანაგვიანება, ისე დაესუფთავებინათ ეს კლდეებში შევარდნილი კალოსტოლა კუთხე. მთელი დღე რომ აქ მჯდარიყავ, მზე არსაიდან მოგადგებოდა.

— მწყურია, — თქვა დათომ და გიო ფიქრიდან გამოიყვანა.

ნატეხარი მოაპიპინა გიომ და ბიჭს მიაწოდა:

— დალიე.

ბიჭი ხარბად დაეწაფა წყალს, ორიოდე ყლუპი მოსვა და ტუჩები გააწკლაპუნა, დაიღრიჯა.

— ძალიან ცივია? — ჰკითხა გიომ.

კიო, თავი დაუქნია დათომ და ისევ დაეწაფა. გიო მოხრილი იდგა და ორივე ხელით უმარჯვებდა ნატეხარს. უკვირდა, ასე მწყურვალს როგორღა ეძინა.

ბიჭმა რამდენჯერმე შეისვენა და, როგორც იქნა, ხმა ამოიღო, ღარ მინდაო. მერე გიოც ხარბად დაეწაფა წყალს: ნატეხრის მომტვრეული კუთხიდან აწყდებოდა მოქანავე წყალი და მკერდზე ჩამოსდიოდა წურწურით. ამ გაგანია

სიცხეში, მაინც უსიამოდ აჟრჟოლებდა, ისეთი ცივი იყო წყალი. ბიჭი კი ამ დროს გაოცებული მისჩერებოდა, ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა, თითქოს ახლა გამოერკვა, ახლა მიხვდა, უცხო კაცთან რომ იყო.

გიომ ნატეხარი შეუშვირა წყალს, გარეცხა და ისევ ღარის გვერდით დადო, წყალი რომ გადაივლო ხელებზე, მაშინ მიხვდა, ბიჭს ამ წყლით ვერ გაგრილებდა.

— მცხელა, დათო? — ჰკითხა.

— მცხელა, — და ხელები გაუწოდა, ამიყვანეო.

„ასე მალე გაშინაურება ობლებმა იციან. ოღონდ გული უჩვენე, თავზე ხელი გადაუსვი და კალთაზე დაგებღაუჭება. ღმერთმა დაიფაროს და, ვინ იცის, რა ამბავია ამის თავს“.

ბიჭი ხელში აიყვანა და ხევს დაუყვა.

— ზღაპარი გიყვარს, დათო?

— მიყვარს. დათა პაპამ იცის ზღაპარი.

— ციყვების ზღაპარი მოგიყვე?

— პატარა ციყვებისა?

— ჰო, პატარა ციყვებისა.

— პატარა ციყვების ზღაპარი მინდა.

— კარგი, მოგიყვები: შორს, ძალიან შორს, შენი სოფლის იქით, ორი პატარა ციყვი დაცუნცულებდა ტყეში. იცუნცულეს, იცუნცულეს და ცუნცული რომ მოსწყინდათ, თქვეს: მოდი, ვნახოთ, ამ მწვანე მთის იქით რა არისო. თქვეს და გზასაც გაუდგნენ. მიდიან, მიდიან და მგელი არ შემოხვდათ, დიდი, შმერი მგელი?!

— ვინა ხართო? — ჰკითხა მგელმა.

— ვინა ვართ და ციყვებიო.

— საით გაგიწევიათო?

— ამ მწვანე მთის იქით უნდა გადავიხედოთ, ვნახოთ, იქ რაღააო.

— მშია და უნდა ჩაგახრამეწოთო,— თან პირი დააღო მგელმა.

ციყვები ატირდნენ.

— რა გატირებთო? — დაყუნცდა მგელი და ისე ეუბნება.

— ჩვენ რომ შეგვჭამო, დედა გაგგებს და ისიც ატირებსო.

— მამა არ გყავთო? — დაინტერესდა მგელი.

— მამა გვყავს, მაგრამ იმდენი ნანგრევი, რაც არ გვინახავს, გზაზეც რომ შეგვხვდეს ვეღარც კი ვიცნობთო.

მგელმა გაიცინა...

— როგორ გაიცინა მგელმა?

— აი ასე, მომხედე! — პირი დააღო გიომ, — ასე გაიცინა, მგლურად. გაიცინა მგელმა, წამოდგა და ეუბნება ციყვებს: თქვენ კარგი ციყვები ყოფილხართ, წადით, ნახეთ, ამ მწვანე მთის იქით რა არისო. მე კი წავალ, მოვძებნი თქვენს მამიკოს და იმას შევჭამ, ისა ყოფილა შესაჭმელიო. ესეც შენი ციყვების ზღაპარი! ხომ კარგი ზღაპარია?

— არ მიყვარს ასეთი ზღაპარი.

— ეჰ, არც მე მიყვარს, მაგრამ რა ვქნა!..

წყარო ჩრდილში მიდიოდა — კლდის ძირს მიჰყვებოდა. მერე ნელ-ნელა დასცილდა კლდეს, მზეში გამოვიდა და დაგუბდა. გიომ ბიჭი ისევ დასვა მიწაზე. ერთხანს აკვირდებოდა წყალს: წყალი ისევ ისეთი წმინდა, გამჭვირვალე იყო. მზის სხივები ირიბად ეცემოდა გამდინარე გუბეს და ფსკერის ფერადი ხვინჭა ათას ფერს ირეკლავდა, ზღაპრულ, აკანკალებულ ფერს. თითი რომ ჩაყო წყალში, ეთბილა. ბიჭს ტრუსი გახადა, შიგ ჩასვა: მუხლამდე ძლივს მისწვდა წყალი.

— ხომ არ გეშინია?

— არა.

წყალს ასხამდა სიცილით, ბიჭიც ხითხითებდა.

მერე ამოიყვანა წყლიდან, კუბოკრული პერანგი გაიხადა, შეუმშრალა ტანი, ხელში აიყვანა და უკან დაბრუნდა.

ლამაზად იდგნენ დიდ-დიდი წიფლები, ლამაზად აფენდნენ ჩრდილებს. ეს ვიწრო ხევი, ხვინჭიანი ბილიკი, ნესტიან წაფერდებაზე ჩაბუდებული ხავსი, თეთრად მბზინავი კენჭები, წყაროს მოგუდული ჩხრიალი და მთელი ეს გარინდული ტყე, იმაზე უფრო მშვენიერი ეჩვენა, ვიდრე ოდესმე ენახა ან გაეგონა...

ბიჭმა ქოხში შეირბინა, თითი გაიშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა აყუდებული ფიჩხისაკენ, შემობრუნდა და თქვა:

— აი მამიკოს მატაციკლეტი!

გიომ მოტოციკლეტს დახედა: ახალი იყო, მაგრამ ტყეში თრევისაგან ისე დაკაწრულიყო, საკუთარი ფერი ძლივს შერჩენოდა.

— კარგი მოტოციკლეტია, — თქვა გიომ და მორის ჩამონაჭერზე ჩამოჯდა. ბიჭმა მოწყენილმა შეხედა.

— მოდი აქ, დათო.

— მშია, — თავი დაღუნა დათომ.

გიო ქოხიდან გამოვიდა, ნაჯახის კაკუნს მიაყურადა და ბიჭისკენ მიტრიალდა:

— მამაშენს რა ჰქვია?

— რეზო.

— ჰაი, რეზო! — გასძახა.

— ჰოუ! — მაშინვე გამოეპასუხა, ახლოდან მოესმა ხმა.

— ქოხთან გამოდი, ქოხთან! — და ისევ შიგნით შებრუნდა.

ცოტა ხნის შემდეგ აჩქარებული ნაბიჯის ხმა გაიგონა. ის ხმა თითქმის მაშინვე მიაწყდა ქოხს...

— გიო! — ქოხწინ მაღალი ბიჭი იდგა, ისე ერბინა, ოფლი ასკდებოდა, — მოჩვენებაა, კაცო?!

გიომ ხელი ჩამოართვა:

— სულ იმას ვფიქრობდი, ეს ვაჟკაცი ვიღაცას მახსენებს-მეთქი. რამ გამომაჩერჩეტა?!

— ეხლა ამოხველ?

— დილას აქეთ აქა ვარ.

— ახმეტელი ბიჭი რაღაცას მიედ-მოედებოდა და ვანა ჩაეუკვირდი?! მთელი თვეა გაუთავებლათა ყბედობს და აღარც ვუსმენ! როგორა გყავს ცოლ-შვილი, რას შვრება?! რამდენი წელია, ერთმანეთის ხმა აღარ გაგვიგია!.. ის კი გავიგე, სახლს აშენებსო, გადმოსვლა მინდოდა, მაგრამ ისეთი ბორკილი მადევს, როგორ გითხრა, რა ვიცი! — ხელებს იფშვნეტდა.

— დათოს შია და ჯერ ამას მივხედოთ, ლაპარაკს მერეც მოვასწრებთ.

— გაიცანი კიდეც?!

— არკი ვიბანავეთ! აქ რათ წამოგიყვანანა?

— მაგას არ გეუბნებოდი? ცოლი გამიხდა ავად, გურჯაანის საავადმყოფოში ჩავიყვანე ერთი კვირის წინ. მას მემრე ასე ვართ: დავსვამ მოტოციკლეტზე და მოვბღუელობთ ტყეში. მა რა ვქნა, ჩემიანები ავადმყოფს ადგანან თავზე და ბიჭს ვინღა მმიხედავს, მეზობელი?.. ჩემს თვალქვეშ თუ არ ვიყოლიე, არ გამოდის! არ ვიმუშაო და...

— მშია, მამი! — მუხლზე მოეხვია დათო და ახედა.

— ახლავე, შვილო!

— რა უნდა აუამო?

— ტაფამწვარს მოვუფიშფიშებ.

— ვაჰ, მოგიფიქრებია?!

— გაჭირვება უარესს მოგაფიქრებინებს!

— მოდი, მე ცეცხლს დავანთებ, — თქვა გიომ.

— ჩვენ არ გვეშოვება და მეზობელს თხოვე შეშა, — გაეცინა რეზოს.

გიო ჩაფიქრდა.

— ასანთი ხომ არ გინდა? — ჰკითხა რეზომ.

— მაქვს. ეგ კი არა, მაჩვენე სად რა გეშოვება და მერე შენ შენს საქმეს მიუტრიალდი, დათოს მე მივხედავ.

რეზოს გაეღიმა, თავი ნელა დაიქნია:

— როგორც შენ გინდა.

გიომ წოწკები წაამტვრია ქოხის გვერდზე აფარებულ ფიჩხს და ლევანას ძახილიც მოესმა:

— გელოდებით, გიო!

გიო არ გამოპასუხებია.

— მგონი შენ გეძახიან, — უთხრა რეზომ.

— ვიცი.

— მივდივართ, გიო! — განმეორდა ძახილი.

არც ახლა გამოპასუხებია გიო, თავისთვის კი ჩაილაპარაკა:

— რა მიარბენინებთ, ნეტა, შინ რა დარჩენილთ?!

მუნჯი მოძღვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო სკოლა რომ დავამთავრე, უმაღლესში ჩაბარებაზე არც მიფიქრია. მინდოდა, ჯერ სალდათი მომეკლო და მერე მეცადა ბედი, მით უმეტეს სწორედ იმ შემოდგომაზე მიწევდა გუდანაბადის აკვრა. ამ ჭკუაზე ჩემი ჯგუფელი სამი კიდევ სხვა დადგა და კინაღამ დავიხოცენით მთქნარებით. რა აღარ არის მოსაწყენი და, ბანაობაც მალე მოგვბეზრდა, მაღაზიის წინ მზესუმზირას კნაწაკნუწიც და, ძნელი დასაჯერებელი კია, „ბაში-აჩუკის“ კინოზე სიარულიც... მაინც ვერაფერს გავაგებინებთო და შინაურები აღარაფერს მეუბნებოდნენ, მეც ისე მოვეშვი, ძილმა ისე მომთენთა, ხელის გატოკება მემკვლელებოდა, არც საშველს ჰქონდა გემო და აღარც სასმელს. ასე ვიყავ მანამდე, სანამ ჩვენს ხეზე ბულდოზერები და ამწეები არ მოაყარეს, ახალი ხიდი უნდა აეშენოთო. ერთ დღეს შამაჩემს ვეუბნები, რამდენი ხანია ხიდის პროექტი შეავადგინე და საზეიმო ვითარებაში გადაეცეი დამკვრელ მშენებლებს, მოდი, ჩავიელი ობიექტზე, დავხედავ, ალმადაშა აწყვებენ თუ გარდიგარდმო-მეთქი. იმაზედაც მცხელოდა, ვაითუ, ბურჯები ან ზომაზე ნაკლები დაეჭირათ, ან — ზომაზე მეტი, ანდა, დასწყეველოს ღმერთმა, სულაც დავიწყებოდათ! ხაზვაზე ცოტა უკაცრავად ვარ და, შეიძლება ვერც გარკვეულიყვნენ ჩემს პროექტში. ისიც საფიქრებელია: არ სცოდნოდათ პროექტის წაკითხვა. მეხვალე კაცი არა ვარ და, მაშინვე ჩავიარე მშენებლობაზე. ეხედავ: უცხო ხალხი ტრიალებს. ჩვენთან თითქმის ყოველი მეორე ბიჭი შოფერია და შოფერებიც კი უცხოები იყვნენ. ერთი ბერიკაცი ცემენტს ურევს ხრეშში, ისეა მოფამფალებული, ნიჩაბს რომ მოიქნევს, თუ ის მოქნევაა, მგონია, თან გადაჰყვება. გულმა აღარ მომითმინა, მივეხმარე. ეგრე, შვილო, ეგრე, ძალა შენშია, მე რას მაწვალებ და მასაცოდავებ. დადექი და იმუშავე, დავიჯერო, ფული ყორეულ ასაქუჩებელი გაქვსო?

გულზე რაღაცამ გამკრა, შემეშინდა, აღარ გადამეფიქრებინა და მაშინვე ვკითხე:

— უფროსი რომელია?

— აის ყმაწვილია, ალასტული, — ამწეს ჩრდილში დაყუდებულ საკნიან ბიჭზე მეუბნება.

მივედი იმ ალასტულ ბიჭთან, ხელი მოვიჩრდილე და ავძახე:

— სამუშაოზე არ მიმიღებ?

— რისი გაკეთება შეგიძლია? — ეღიმება: ამით ვატყობ, გაეხარდა.

— „გრძელ ვირსა“ ვთამაშობ ,მაგრათ, უცვლელი კაპიტანი ვარ.

— აღარ გადათქვამ? — ახლა ეცინება.

— რას ამბობ?

— ესე იგი, გაქცევაზე არ იფიქრებ, ხომ?

— გამქცევისა რა მეტყობა?!

— რას გაიგებ! ჭაური ხარ?

— ყველანაირად.

— კარგი. წადი ტანისამოსი გამოიცვალე...

გამოვიცვალე ტანსაცმელი და ვფიქრობდი: გუბის თავკომბალებიან წყალს ვეზიდები ედროებით, მერე იმ ედროებით ცემენტს მოვამტვერებ, ფიცარსაც ვაწედი ხელოსნებს, ბულდოზერის ჩანგალსაც ვდებ მანქანით მოტანილ ბეტონის კოჭებს და წყობისად ვაწყობთ... ხალხი არა გვყოფნის და რასაც მეუბნებიან, ყველაფერს ვაკეთებ.

მზის ჩასვლამდე მუხლი არ ჩამიხრია. ოფლის ნიაღვარმა შემაწუხა ღა, იმდენ წყალსა ვსვამდი, შარვლის ზეგა ღილი ამაწყდა.

შებინდებისას ამოგანგლული, დაქანცული და მშიერი დავბრუნდი შინ, კინაღამ სასპორტე დავაცარიელე. ედიდჩემმა: ღმერთო, შენ მიშველეო. მამაჩემმა: ნახავ თუ ჩვენი კუც არ დაეწიოს კურდღელსაო. ამან უფრო გამაბრაზა: იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს მივდიოდი სამუშაოზე, ინჟინერი უძილობისა და გოცებისაგან თვალებ!. იფშენტდა.

სერგო ერქვა ინჟინერს, თბილისელი იყო. ის რომ ქოხში ცხოვრობდა, უჯიშო ქათმებსაც არ აკადრებდა ჩვენი კოლექტივის თავმჯდომარე. ბრიგადირივით დონიშვმოყრილი კი არ მოგვჩერებოდა — დაიმკლავებდა ხელმე და რატო ჩვენზე მეტს არ მუშაობდა, ღონე იყო ცარიელი — რასაც ხელს დასცემდა, გათავებული იყო მისი საქმე. უკადრისს არაფერს იტყოდა, სხვას წამოსცდებოდა რამე და, ისე იჭერდა თავს, თითქოს არ გაუგონიაო. დადიოდა და დააპტებდა წეროსავით. მარტო ერთი ნაკლი ჰქონდა, ყოველდღე გადაკრულში გახლდათ: არც აქეთ იყო, არც-იქით!

ბიჭებმა მალე გაიგეს ჩემი ამბავი და ჩამომაკითხეს: თუ გულწრფელად აღიარებ დანაშაულს, გავითვალისწინებთ შენს უმწიკვლო წარსულს, უზომო დამსახურებას საზოგადოების წინაშე და გასატეხთო. სასამართლოს აცილება მივეცი, ოფიციალურად მოვითხოვე, ინჟინერს გაერჩია საქმე. ინჟინერმა უხუცესთა საბჭოს გადასცა განსახილველად, ვინმეს პატიისნება კიდევ თუ შერჩენია, ისევ ეგენი არიანო. პირველად რომ გავიცანი, იმ ბერიკაცის ხელში აღმოჩნდა ჩემი ბედის სასწორი.

— რას ვემართლებიან, ეს ლაწირაკები? — იკითხა უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარემ.

— მეტი საქმე არა გაქვს, დინგს რას ურევ ლაფშონ? — მოვახსენე.

— მშობლები არა ჰყავთ?

— რამდენიც გინდა.

— ტყუილია!

— გულახდილად მოგახსენებთ, მოსამართლენო.

— მშობლები მოიყვანონ, — თქვა და ლამს ცემენტი მოაფრქვია ნიჩაბით.

— მშობლები რათ გინდა? — ამწეს ემანქანე ჩაერია საუბარში.

— ამათ რა დაუშავეს, — თქვა ბერიკაცმა, — ისინი არიან საზვეპები, ეს ტლაპიანი ნიჩაბი იმათ უნდა დავუშვიბინეთ კინკრიხოშინ! — ჩემს ძმაკაცებს მიუტრიალდა, — რას დეეთრევით, შვილო, რა გინდათ ამ ბიჭისაგან? თქვენ ხო ხართ და ხართ ხვადაგები, ამას რაღას ერჩით, ნახოს ერთი, რა გემოსია საკუთარი ოფლით ნაშოვნი ლუკმა! დამეკარგენთ აქედან, თორემ, ცუდათ ვიცი გაჯავრება!

ცოტა შეხლა-შემოხლის შემდეგ უხუცესთა საბჭომ დაადგინა:

მუხლი პირველი: — მშენებლობაზე მეორედ აღარ მოეთრიენენ უსაქმურები, საშიშია, სხვასაც არ გადაედოს იმათი მოქნარებაო.

მუხლი მეორე: — თუ მართლა ახალგაზრდები არიან, ამდენს რაღას აბოლებენ? არ უნდა გააბოლონო.

მუხლი მესამე: — მშობლებს დაეკალოთ, წელიწადში ერთხელ მაინც მიხედონ დასაქორწინებელ და გასათხოვარ შვილებსაო.

მუხლი მეოთხე: — გათხოვილებსა და დაქორწინებულებსაც არ აწყენთ მიხედვაო.

მუხლი მეხუთე: — ეხლანდელმა გამოსაზრდელებმა ხომ საერთოდ არაფერი იციან. ეს სალამი რაღაა, სალამი მაინც ისწავლონო.

მუხლი მეექვსე: — პირველი მუხლი ჩამოტანილ იქნას სულ დაბლაო...

ბიჭები ყოველდღე ჩამომაკითხავდნენ ხოლმე და ისეთ მწარე-მწარე რაღაცეებს მეუბნებოდნენ, გული გასკდომაზე მქონდა. ერთხელ ფეხი გამიცურდა. დამინახა თედომ და ხითხითებს, ჩვენს სახედარს ნალი გასცეთიაო. ფიცრის ნახეთქს დაეწვდი და გამოუდექი. კურდღელივით ბიჭია, რას დაეწვი!..

მაგრამ, იმ დღეს რომ მოშავდევდნენ, ცას ვეწიე — მოლარეც მოპყვათ ფეხდაფეხ. საკუთარი თვალით დაინახეს. ბლომა ფული რომ ჩავაყუდე ჯიბეში.

პაპლო ოთაბარიძე
მოთხრობები

— რამდენი დღის ნამუშევარია? — დაინტერესდა თედო.

— ორი კვირისა.

— არა, მართლა?!

— გეუბნებიან, დაიჯერეო?

— ვინ მოგასწავლა?

— არავინ.

— პატრიოტიზმის საქმეა? — ქირქილებს რეზო.

— აუცილებლად.

— დედა დაიფიცე!

— წადით, წადით, დაიძინეთ! — ხელი გავიქნე და ხარაჩოზე ავხტი, ხელოსანს მიხმარება სჭირდებოდა.

— შენ ცემენტს მიმიხედე! — დამიძახა ინჟინერმა, — აუჩქარე, თორემ გაიყინა!

— მე რაღა ვქნა? — იკითხა ხურომ.

— აგერ არა ვარ, — თქვა ინჟინერმა და შემობრუნდა.

ხარაჩოდან რომ ჩამოვდიოდი, ინჟინერს წვაჩურჩულეს:

— ეგენი იგრე გაილურსნენ, აი, ნახავ, მალე შეგეხვეწებიან, სამუშაოზე მიგიყიეო. მაგათ ხასიათს მე მასწავლი?!

— აშენდები კიდეც! — ჩაფეძრდა ინჟინერი, — რაც მე უსაქმური მეგულება, იმის მეათედს რომ წაავლონ ყურში ხელი, ამისთანა ხიდს დღეში რატო ორასს არ ავაშენებთ!..

— მშენებელო! — თედო მეძახის,— ჰეი, მშენებელო, არ დავაყირავოთ პირველი ხელფასი?

— შენ ქუდი ხომ არ გიჭირებს? — აბანოშიც ძლივს მოვახდევინებთ ხოლმე ქუდს.

— ტრადიცია, ლეღვო?

— მე გაგატრადიციებ შენა!...

ბიჭებმა ილაპარაკეს, იბუზღუნეს, იჩურჩულეს, მეორე დღეს კი... მეორე დღეს სამივენი ვვერდით მედგნენ და გაკკიოდნენ: აბა, ჩქარა ფიცარიო! ცემენტს წყალი ალაპარიო, დაბდუროო!.. კალატოზი ქაფჩას ეძებს, წეღან კოლექტივის თავმჯდომარე იყო აქა და იმან ხომ არ გააყოლა ხელსაო!.. ე, სახადო, ეხლა არ ავზოლე იმოდენა ცემენტი, ჭამთ თუ ყლაპავთო!... შე ოხერო, მშენებლობაზე მოდიხარ და ნიჩაბი შენ რო გრჩება, თავია ეგეცაო?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენდება და ინჟინერს ტაო აყრის, ოფოფები არ დაეხვევნენო და, ჩვენს გზაზე აწყდება თვალი. ერთ დილით აკი მუხლი მოეკვეთა — ბიჭებს მოველაპარაკე, მერე დავწერნაურდი, მოვიღრუბლე და ვეუბნები:

— ვითომ ეგენიც ხალხნი არიან! ჩამოვიარეთ ძაღაჩის წინ, ვიღაცა მკვდარგამრავლებულმა რაღაცა თქვა, შებრუნდნენ და, კარგათ მეყოლე!..

მოკვდა კაცი:

— რა ხასიათი ჩამიმწარეს! ვიფიქრე, მთელი ორი თვით ადრე დავამთავრებ-მეთქი... რა იმედი მქონდა! მაგისთანა მუშებს სადღა ვიშოვი!.. წამო დაველიჭეები, იქნებ აქეთ მოვატრიალო როგორმე!.. მოიცა, ასე აჯობებს: დავურეკავ მილიციას, იმ ვიღაცას, ბიჭები რომ გადამირია, თხუთმეტ დღეს ავკიდებ, დედას ვუტირებ, აქ ვამუშავებ და მოვაბრახუნებ ჭკუაზე...

ამ დროს არ გამეცინა?! — ვერ უყურებ ჩემს წვინტლიან ძმაკაცებს, რა ფასი ადევთ?!

— ხანდახან ასეც უნდა! — ინჟინერსაც გაეცინა.

მოსახვევში ხმაურით გამოჩნდნენ ბიჭები. მალე სხვა მუშებიც მოვიდნენ და დაიწყო რია-რია.

ვვერდით ძველ ხიდზე მანქანა რომ მიინჯღრეცა, თედო გაექანება, ხელით ანიშნებს, გაიჩერეო და საქმიანად ეუბნება შოფერს:

— ბოდიში, საით მიგეჩქარება?

— თელავში. რა გინდა?

— ძალიან ხომ არ გაგვიანებ?

— არც ისე, — შოფერს ჰგონია, სახალტურო საქმე გამიჩნდაო.

— თუ არ გეჩქარება სამი თვის შემდეგ წამოსულიყავ, დალოცვილო, ახალ ხიდზე გაგელა არა ჯობია!

ვიცინით. ინჟინერი ხელებსა შლის, ეს რა ოქრო-ბიჭები გადმომიგდო ღმერთმაო. შოფერს კეთილად ეღიმება და, ისე განაგრძობს გზას, გვგონია, ხელი რომ დავუქნიოთ, მანქანას გადააყე-

ნებს და ცემენტის საზიდარში შეებმეა. ამწეს მემანქანე და მებულდოზერე ხმაურში ვერ იგებენ, რაზე ვიცინით, ჩამოვლენ დაბლა, პირში გაიჩრიან პაპიროსს და გვეკითხებიან:

— არ შეიძლება, დამკვრელებო, ჩვენც გავიცინოთ?

მერე თვითმცლელები დამტვრეულ ქვას მოიტანენ, ძარას ხრიალით აიშვერენ და ახლა შოფრები მოითხოვენ ანგარიშის ჩაბარებას:

— აბა, დაფასებულო მოქალაქენო, გადმოალაგეთ, ვის რაზე დაკაბგვინეთ აქეთ გამოვლის ხალისი?..

მთელი ზაფხული მხიარულად, ჯანის დაუზოგავად ვიმუშავეთ... არც ფეხბურთი დაგვიკლია და არც ბანაობა გვქცევია სანატრელად. ოფლი გვაწუხებსო და თავები გადავიხოტრეთ ოთხივემ. საქმიანის ზეით გავშიშვლდით და თეთრადაც გადაგვძარა კანი — გავშავდით, გავშავდით, რომ მაზუთში ნაგორავები ეგოონებოდით!..

რა ეშმაკობასა და გასართობს არ ვიგონებდით, მაგრამ ისიც გვბეზრდებოდა. ბოლოს ისეთ რაღაცას წამოვკარით ხელი, კინაღამ ქვეყანა გადავიკიდეთ: ღირდა თუ არ ღირდა, ყველაფერზე საპალეოს ვდებდით: დღეს ინკინერი გადახუხავს თუ არაო? შესვენებამდე ხუთო რამდენ კაცს თხოვს პაპიროსსაო? ხიდი რომ დამთავრდება, პირველი ვინ გაიცლის ზედ და ინკინრის გარდა სხვას თუ დააჯილდოვებენო? **მაღაზიაში რას** დაგვიფასებენ ხუთმანეთიან რეპროდუქტორსო? აის ფოტოკორესპონდენტი მართლა სურათების გადასაღებად მოდის თუ ექვსასმარკიანი ცემენტის სათხოვნელადო? ინკინერთან ხუთი გოგო ცალკ-ცალკე რომ ჩამოდის ქალაქიდან, რომელი იქნება ნაღდი საცოლეო?... არაფრიდან საპალეოს მიზეზს გამოვადნობდით ხოლმე და ვხოცავდით ხალხს სიცილით. იმდენი მომდუარავი გაგვიჩნდა ინკინრის ჩათვლით, ერთი იმპერიალისტური ომის გასაჩაღებლად ნამდვილად კმაროდა, ოღონდ უიარაღობა **გვ**ეშლიდა ხელს.

ჰოდა, ყველაფერზე სანაძლეოს ვდებდით: წაგებულს პურმარილი უნდა მეპატრონისა, ოღონდ იმ პურმარილს ოთხს გარდა, ესე იგი, ჩვენს გარდა ყბებს ვერავინ მოუქცევდა, ხომ იცით, მორიდებული ჯილები ვართ და მოწმეების შეწუხება თავაზიანობად არ მიგვაჩნდა.

სექტემბრის ბოლოს ხიდზე უკვე მანქანები დასრიალებდნენ და დადგა კიდეც წაგებული სანაძლეოების **განაღ**დების სეზონი. ვინ **როდის წაადგ და** რაზე წაადგ, ჩამოწერილი გვქონდა, ისე რა ტვინი დიმახსოვრებდა ამდენ სიბრძნესა და ნაბოდვარს?

მოვილაპარაკეთ და შეეთანხმდით: ათზე ნაკლები სანაძლეო არცერთს არა გვაქვს წაგებული, რაოდენობას პატრონი მოუკვდეს, ყველამ ორ-ორ პურმარილზე მოვიქაჩოთ თავი და ამით მოვრჩეთო. კენჭი ვუყარეთ და პირველად მე მომიწია, მე კი არა, პირველად ჩვენს ვარიებს დაუდგამ მშვენიერების სამყაროდან მარადიულ მდუმარებაში გადასვლის ჟამი.

რაკი ამგვარი თავყრილობის სადღეგრძელო პირველად ჩემს ოჯახში უნდა აწეულიყო, საყოველდწმიდოს ფეხზე ადგომით დალევაც ჩემს ბერქვეშ უწევდა. სკოლაში რომ არ მესწავლა „ლოღიკა“, ვერაფრით ვერ გამოვიტანდი ამ ჭეშმარიტ დასკვნას...

ჭიქა უხალისოდ ავწიე — „ერთი ეს დალეული მქონდეს ახლა და მერე მომკლა“!

— შენს თამადობას გაუმარჯოს, თედო!

— სიცხემ ხო არ აგიწია?!

— მაშინ რეზოს მიეულოცოთ.

ის უარესად გადაირია:

— მაგდებ და ეგ არი!

— მეტი რა გზაა, — თავი გავაქნიე. — ისევ...

— შოთას მოეშვით! — გაეცინა შოთას.

კარლო კოგეერიძე
ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲔᲑᲘ

— რა ჯანდაბა ვქნათ, ის მაინც მითხარით? — ჭიქა დავდე.

— შენ რა, ჭალი მოგედება ენაზე?— მეუბნება თედო.

— მოვიფიქროთ რაღაცა.

შვიდი დღეა ერთსა და იგივე სადღეგრძელოს ვიღეკუნებით. ისე მოგვგეზრდა, მკვდარი სხვათაშორის რომ ახსენოს ვინმემ, იმას მოვიმიზეზებთ და ავღრიალდებით. უცხო ხალხში ორი თვეც შეიძლება იუფროსო, იმას რაღა სჯობია გოგოც თუ ურევია — მოკლეკაბიანი, მუხლებდალოცავილი გოგო.

გულხელდაკრეფილი ვსხედვართ და ერთმანეთს ვთთვალიერებთ, ხმას არ ვიღებთ; გულში კი, ვიცი, ყველანი ერთი აზრისანი ვართ: რა სანაძლეო აგიტყდა, მეინდაურივე, რა შიშშილის ეშმაკი შემოგეფეთა, ჰა?! ჭირი თავისთავად და გრძელ ქეიფზე მოსაბეზრებელი ცოტა რამე თუ მეგულება... საკუთარი მოწადინებით რომ გადაეშვები გავარვარებულ საკირეში, სხვა აღარ უნდა დასვა საბრალდებულო სკამზე.

— მეტი ვერაფერი მოვიფიქრე, ბიჭებო — მასპინძელი ვარ და ისევ მე უნდა დავკდე ალჩუზე — წავალ, მამაჩემს დავუძახებ, აექ მუშაობს, შინავენახში.

— არ გამოვა, — თქვა რეზომ, — სანაძლეოს პირობა დაირღვევა.

— რა პირობაზე ამბობ? — უთხრა თედომ, — შენც, ხომ იცი, გურგვალი ბეჭდით დაამტკიცე, აი! წადი, დაუძახე.

— არ ივარგებს, — ხოტორა თავი მოიქექა შოთამ, — ცოტა ხანს ჩავუშტერდეთ.

— მაშინ ასე ვქნათ, — დაფიქრდა თედო, — ასე ვქნათ: ნარდი ვითამაშოთ ოლიმპიური სისტემით და წაგებული ვაკურთხოთ პრეზიდენტად. საინტერესო რამეც იქნება და მაგარი რაღაცაც.

— ჩემსკენ აპირებთ კეხის შემობრუნებას? — გაბარაზდა შოთა.

— საიდანაო?

— ისე მომაგებინებთ, ვერც მიეხვდები. მემრე, ის დაგავიწყდა, გამარჯვებულები რო ჯდებიან სუ მაღლითა, ქანდარაზე.

— შენ ეხლაც ქათმები გელანდება!

— ვერ მოახვედრე: ინდაურები.

ასე მიეედ-მოვედებით და უცებ არ გვესმის:

— აბა-ბა-ბა-ბა!

ჭიშკრისკენ გავიხედეთ: მუნჯი ნიკა მოდის.

— აბა-ბა-ბა-ბა! — შემოაღო ჭიშკარი, გაშლილ სუფრაზე მსხდომნი რომ დაგვინახა, ხელი ხელს შემოჰკრა და, როგორც იცის ხოლმე, ისე გაიღიმა: ლამაზად, ღონივრად, მთელი სხეულით.

ყველანი ფეხზე წამოვხტითო. მოვიდა, ხელი ჩამოგვართვა, მე ტორიც დამკრა მხარზე, ვითომ მეფერებოდა და კინაღამ ცალი გვერდი კი ჩამათალა. მერე სუფრას გადახედა, თვალი ჩამიკრა და ფეხმორთხმით ჩაჯდა.

მუნჯი ნიკა ჩემი ნათესავია — დედაჩემის ალალი ბიძაშვილი. გაღმა ცხოვრობს. ამისთანა გამრჯე ძნელია იმ არემარეში სხვაც ნახო ვინმე; ორი კაცის საქმეს თამაშობით აკეთებს. თუ გაბარაზეს და მკლავები გაშალა, მტრისას და ავისას, მე შენ ვეტყვი გააგებინებ რამეს. ფუთინანი მუშტი აქვს და თავი თუ არ გიყვარს, ნუ მოერიდები. თანაც ისეთი კეთილია, სულს ამოიღებს და ჩაგიდგამს. თავაუღებელი მუშაობა იცის, რა წარამარა ლაპარაკით მოსცდება, რა! ან შეკითხვებით მოგაბეზრებს თავს?! ვიდრე საკუთარ სამუშაოს არ მორჩება. არ იცის, დასვენება რასა ჰქვია, მერე კი ჩვენთან გამორბის ხელის წამოსაშველებლად. უფრო ხშირად პარასკევ საღამოს შემოახმაურებს ხოლმე ჩვენს ჭიშკარს და იკითხავს, ხვალ და ხვალზეით რა გვაქვს გასაკეთებელიო. დატრიალდება, აახმაურებს აქაურობას — მუშაობაც ბარაქიანი იცის და ჭამასმაც. მარტო ერთი ძმა ჰყავს, ექიმი, გაცილებით უმცროსია, ცოლშვილიანი და ამოდენა კაცს ისევ პატარა ბიჭივით ეფერება. რაკი ექიმია ხშირად ღამეც იძახებენ ავადმყოფთან, ორ ნაბიჯზეც რომ იყოს, მაინც გაჰყვება ნიკა. თუ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაადვიძეს და მერე გაიგო ამა და ამ ღამეს შენმა ძმამ ესა და ეს ავადმყოფი ნახაო, ვაი ხესა და ქვას, დალეწავს იქაურობას. ძალიან ეამაყება ექიმი ძმით. რატომ არ იამაყებს რა: თვითონ ყველაფერს იკლებდა, სტუდენტ ძმას კი ცივი არ მოაკლო და ცხელი, კაცად აქცია.

— მაგან თუ იცის, ნიკა რო ჰქვია?— მკითხა შოთამ.

— არა მგონია. საიდან ეცოდინება, წერა-კითხვაზე უმძრახად გახლავს.

— მერე, რატო არ ისწავლა? ქალაქში სამაგისო სკოლაც ხოა?

— ვიდრე პატარა იყო, უპირდათ. წამოიზარდა და ფეხი ვეღარ მოაცალეს ვინეს, ვენახი და სახლკარი არ ეთმობა.

ნიკამ ღვინის ჭიქას დაადო თითი და მხრები აიჩეჩა, მეპატარავებაო.

აივნისაკენ შევტრიალდი:

— თლილი ჭიქა ჩამოიტა, დედი! — გავძახე, — ჩამოიტა, ე, ნიკა გვესტუმრა!

ნიკამ დაინახა დედაჩემი და წამოხტა, ჭიქა გამოართვა და მამაჩემზე ანიშნა, სად არისო: რომ გიგო, შინავენახშიაო, ხელი ჩაიქნია, ეგეც არაფერიო. ჩვენი შინავენახი ორასი საჟენიც არ არის. მამაჩემი ერთ დღეს სხლავს კიდეც, წალამიც გაჰქვს, სარსაც უდგამს, მავთულსაც უჭიმავს, ძირსაც უთოხნის; მერე გუთანში ცხენს აბამს და ნაზოურგსაც შეუკრავს ხოლმე. რა კაცის საქმეა, თორემ გადაკავებასაც მზიურ მოასწრებდა, იგეთი ყოჩაღი მამა მყავს!

ნიკამ სავსე ჭიქა აიღო, ხეივნისაკენ გაიხედა და სულმოუთქმელად დალია.

მეც ჭიქას მივწვდი:

— აბა ბიუბეო, დავიწყეთ, მრუდე ვაზებს გაუმარჯოსო.

— რაო, თამადობს?! — თვალები დაჭყიტა რეზომ.

— რა გაგიკვირდა, ნახე, როგორ ითამადოს!

ბიუბები ნიკას არ იცნობდნენ და იმიტომ გაოცდნენ.

მუნჯმა ჭიქა აიღო, ჯერ დეზებიანი მამალი დაგვანახა, მერე — კრუხი და იმ კრუხის წიწილებიც, აბა, ბა, ბაო დალია.

— რა მინდაო? — წამოქიმუნჯა შოთამ.

— ეს მამალი და ეს დედალი რომ არ ყოფილიყო, ეს წიწილებიც ხომ არ იქნებოდნენო? ჰოდა, ჩვენს მშობლებს გაუმარჯოსო.

მშობლებს გაუმარჯოსო და ჩვენც დავლიეთ.

ღვინომ მადა გაგვიხსნა, კიტრ-პამიდორსაც ვეცით და შემწვარი ვარიებიც გავხლიჩეთ.

ცოტა ხნის შემდეგ მუნჯმა გზაზე მიმავალი კაცი დაგვანახა, თავი გვერდზე მიაბრუნა, ელამივით გამოგვხედა, მერე დაცალა ჭიქა და გადმოპირქვავებული დაახალა მიწაზე.

—ეს კიდევ იმ კაცს გაუმარჯოს, ამ გზაზე რომ აივლ-ჩაივლის და ელამი თვალით არ შემოგვხედავსო. ვინც ელამი თვალით შემოგვხედავს, — ჭიქა მოვიყუდე, დავცალე და მეც გადმოპირქვავებული დავახეთქე მიწაზე, — ასე დაეცალოს სახლკარიო.

— ვერ უყურებ! — გადარეულია თედო, — ე ვინა ყოფილა, ე?!

— მე კიდე ის მიკვირს, ეგრე მოდაზე ვინ აცმევს?! — მეკითხება შოთა.

— წედან არ გითხარით, ძმა ექიმი ჰყავს-მეთქი?

— მართალია, გამახსენდა!

სიწყნარეა სუფრაზე. ღვინო გვეკიდება, მაგრამ ჯერჯერობით არა ვდგებით ჭინჭყლის ხასიათზე.

მუნჯმა სავსე ჭიქა ასწია: თვალს ხუჭავს, გაშლილ ხელს ლოყაზე იდებს და თავი მოწყვეტით უვარდება ზედ. — აბა, ბა, ბა, ბაო, — ღვინოს პურზე აღვენთებს.

— ვინც ამ ქვეყნიდან წავიდა, მათი მოგონებისა იყოსო.

ბიუბები ნიკას კი არა, მე მომჩერებიან გაოცებულები.

მუნჯი კი ახალ სადღეგრძელოს იწ-

ყებს: ჩვენი სახლისკენ იხედება და ღიმილით სწევს ჭიქას.

— შემდეგი, ბიჭებო: ამ ოჯახის ჭერს გაუმარჯოსო!

— მუნჯი მე ვარ, ეგ კი არა! — იცინის თედო, — რამდენჯერ მითამადნია და აბა თუ გამხსენებია ჭერი?!

— როგორ უხდება ღიმილი! — მეუბნება რეზო, — რამდენი წლისა იქნება?

— ოცდაათზე ცოტა მეტისაა.

— ამას რომ ენა ჰქონდეს!...

შარშან სართველოდ ჩემმა სტუდენტმა დამ ქალაქიდან თავისი შეღებილი ამხანაგები ჩამოიყვანა. რთველს რომ მოვრჩით, ეზოში გვინდოდა სუფრის გაშლა, მაგრამ აივანზეც არ დაგვაყენა წვიმამ. გახურდა პურ-მარილი, ცეკვა-თამაში, სიმღერა და, ამ დროს ისეთი ხმაურით გაიღო კარი, თითქოს ფეხი ჩკრესო. გაიღო კარი და ნიკა შემოვიდა. უცხო ხალხის დანახვაზე, ზღურბლთანვე შეჩერდა: მაღალი, მხარბეჭიანი, ქალაქელივით ფერდაწმენდილი... დაინახეს გასათხოვარმა სტუდენტებმა და კიბიდან წამოცვივდნენ. ნიკამ თავი დაუკრა სუფრას, წამოვიდა და ხმაურით რომ დადგა დედაჩემის გადაწოდებული სკამი და ხმაურითვე დაჯდა, ყველაფერს მიხვდნენ სტუმრები, ხასიათი მოეშხამთ: იმხიარულეს, მაგრამ იმ მხიარულებას წინანდელი ლაზათი აღარ ჰქონდა.

ღვინო მოგვეკიდა. გვიყურებს მუნჯი და იცინის; ხედავს, რომ ვემორჩილებით თამადას და ის უხარია, თავს აქეთ-იქით ისვრის, თან რიტმულად აყოლებს:

— აბა, ბა ბა! აბა, ბა, ბა! ოო, ოო, ოოო!..

— რას გვიბრძანებს? — რეზო მოგჩერებია.

— მღერის.

— ეგ კი ვერ გამოუვიდა!

თედოს თვალები აუპარპალდა, ბარბაცით წამოიმართა:

— ტაში დასცხეთ, ბიჭებო, ერთს ჩამოვუვლი მარტო.

— არიქა, რეზო, ახლო ხარ, არ გაუშვა! — ვიყვირე.

თედომ უმნო ცეკვა იცის: გაშლილ ხელებს, დატრიალდება და ჩაბუქნავს: რომ ჩაბუქნავს, უეცველად წაიქცევა, წამოიწევს იდაყვებზე და ელოდება, როდის ამაყენებენო. წამოვაყენებთ და ისევ: დატრიალდება, ჩაბუქნავს და გულალმა გაიშხლართება; წამოიწევს იდაყვებზე და საწყლად მოგვჩერებია, მომეხმარეთო... პირდაპირ გული გვაქვს შეშფოთული მაგის ძუნძულითა თუ რა ჯანდაბა ჰქვია!..

თედოს ჯერ ვეხვეწეთ, ვემუდარეთ და რაკი არ გასჭრა, ძალით დავსვით.

ნიკამ ჭიქა მოაპპინა: თედოსაკენ გაიშვირა ხელი. მერე, სახეზე შემოიხახა წრე. საჩვენებელი თითები ერთმანეთს გაუხახუნა, აბა, ბა, ბა, ბა, ბაო — მომიჯახუნა ჭიქა და დადგა.

— ესაო თედო, შენ გაგიმარჯოსო.

— მეტი არაფერიო?

— ცალკე გეტყვი.

— ეხლა ვისი გერიდება?!

— ცოტა უხერხული მგონია.

— თქვი, კაცო?! — წამოხტომიაზეა.

— კეთილი და პატიოსანი: შენ რომ ქმაკაცი გყავდა, ასე რო იყავითო, — მეც საჩვენებელი თითები დავაზომე ერთმანეთს, — მემრეო, ის გოგო რო იყოოო, იმ ბიჭის საცოლეო, — სახეზეც მოვიტარე ხელი, — რა ვიცი, ქმაო, ვისზე ამბობს, მაგრამ, შენ რატომღა ეკურკურებოდიო?! არადა სულ სხვა თქვა, — კარგ მეორენახეკარს გისურვებო.

ადუღებულ წყალში რომ არჯაკელს ჩაგყრით ხოლმე, ისე ჩაიფუფქა თედო. რეზომ ვერაფერი გაიგო, შოთა მაშინვე მიხედა, სადაც ვურტყამდი და ახარხარდა.

ნიკა იზმორება, ხელებს იფშვნეტს და ახალ სადღეგრძელოს ამბობს: თვალებში ჩასჩერებია შოთას, თავის ჭიქაზე წკაპურტს ურტყამს, ჯიბიდან ნელა იღებს ცხვირსახოცს. რატომღაც ისევ ნელა იღებს ჯიბეში, თავს აქნევს, მკერდზე იბრაგუნებს მუშტს და სვამს — ღვინო გაკვარებია და არ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი საქმეო, — აბა, ბა, ბა, — სულ ასე მაგარი ბიჭი ყოფილიყავიო.

— რა მითხრა? — მეუბნება შოთა.

— შენ რაღა მოგვიდა! — ვითომ ვუბრაზდები, — ვერ მოგითმენია ცოტახანს?!

— ეხლა მითხარი.

— არ გინდა, რათ გინდა?

— თუ ძმა ხარ!

— გეტყვი და შენს თავს დააბრალე: ერთ სულიერს ასე რო უთვალთვალებდიო, — მეც ჩავაშტერდი შოთას, — ეს რო გქონდა დალეულიო, — ჭიქას წკლიპურტი მივარტყი, — მემრეო აეგრე, ჯიბეში რომ ჩაუცურე ხელი, შენ კაცი ხარო, რატო ჩემი ღმერთი არ გაწყრა, რატო იქ არ ვიყავიო?! ის კი ადარ უთქვამს, რა ამოაცალე ჯიბიდან.

ახლა თედო ხარხარებს, რეზო ისევ დაბნეული გვიყურებს. ნიკა მღერის:

— აბა, ბა, ბა-აბა, ჰა, ჰა-ოო, ოო, ოო! — თვალებს ხუჭავს და თავს აქეთ-იქით აქნევს.

— მართალი თქვა, ამწინებზე, მიეკარე რაღაცა, — შეწუხებულია შოთა, — ამან საიდანღა გაიგო, კაცო?!

— გამოასწორე თორემა, ეს იგეთი კაცია, იცოდე, ცუდად შეგიყრის ქვეყანას, — მუჯლუგუნსა ვცემ თედოს.

რეზო ბარბაცით წამოდგა:

— ჯდომითაც დავიღალე და სმითაც. წავედი, ბიჭებო.

— მაბა გიცხონდა! — თედო მაჯაში წაეფრინდა, — შენ იგრე გინდა გასტოპო მღვრიე ხვეი, ფეხი არ დაგისველდეს, არა? დაეგდე, რევაზ წყალობიჩ, თორემა, წამოგიხტი და წითელი პარასკევი დაგიყენე!..

დედაჩემმა სუფრას რამე-რუმეები შემოუმატა, ცივ-ცივი ღვინოც ამოგიღო ქვევრიდან, შემობარი ისევ უკან ჩააბრუნა; ასე არა სჯობია ბიჭებო, ასე მშვიდად თუ იქნებით სუფრაზე, ვინ გიშლით ქეიფსა და დროსტარებასაო. გაბადრული გვეუბნებოდა. ამისთანა გახარებული ერთი მაშინა ვნახე, ხიდის მშენებლობაზე რომ დავიწყე მუშაობა და ერთხელ კიდევ მაშინ, პირველი ხელფასი რომ ჩავდე „დონ-კიხოტის“ წიგნში.

მუნჯი ცივ ღვინოს ისხამს:

— აბა, ბა, ბა, ბა, — ჩასჩერებია ჭიქაში და ყვითელი ჯაჭვი რომ ქრება, იმას უყურებს, ტუჩებს ილოკავს, მერე რეზოს უკრავს თვალს: მარჯვენა ხელს წინ იშვერს, თითებს ფარჩხავს და ასე სწვავს მაღლა, თავს ზემოთ, საულვაშეზე ისვამს თითს, გულზე ირტყავს მუშტს და სვენებ-სვენებით სვამს: ამ ხელა ბიჭი გაიზარდე, გული გქონდეს მაგარი, სხვა ყველაფერს ეშველებაო.

— ეხლა მე წამიგდებს ფეხქვეშ, — ჩაილაპარაკა რეზომ.

— არც მე მეეჭვება, — ეცინება თედოს.

— თქვი, ბარემ, რა მითხრა?

— ეს მაინც გადავდოთ სახვალიოდ, — პამიდორის სალათას ვაკეთებ მშვიდად, ვითომ მშვიდად, მეშინია, თითი არ ჩავითალო და ხოკერა გოგრასავით სავსე პამიდორს მარტო სამად ვჭრი.

— შენ ხელადა არ დაგიშვა თავში! — მემუქრება შოთა.

— ავდგე და კედელზე მიგატყლაპო? — თვალებს ჭუტავს თედო.

— იგრე ვატყობ, თუ მართლა არ ვთქვი, სამართალში მიმამორევთ! მე, ძმაო, რეზოს გულითვინ საცინელ ვერ გავიხდი თავსა. ბევრი არაფერი უთქვამს: იმოდენა კაცს სახეში რო შემოჰკარი, გული არ გქონდა, შე ოხერორო?! — დავლიე და ისევ სალათას მივუტრიალდი.

— ნაღდი ამბავია, — ამბობს რეზო, — არ უნდა შემომეკრა!

— ვის შემოჰკარი? — ჰკითხა თედომ.

— ეგ მარტო მე და მუნჯმა ვიცით!

— რაკი მუნჯმა იცის, ვითომ ქვეყანასა სცოდნია! — თედო კვდება სიცილით, შოთაც, ნიკა კი მღერის:

— აბა, ბა, ბა-ოჰო, ჰო, ჰო-ოო, ოო, ოო!..

კარლო კოტეარიძე
მოთხრობები

ჩვენ ღვინის ჭიქებით ვსვამთ, ნიკა — ჩაის ჭიქით, იმასაც მოერია სიმთვრალე: სადღეგრძელო მოუხშირა. ახლა უკვე ჩემი ჯერია, ვნახოთ, რას მეტყვის: აივანზე გადმომდგარი დედაჩემი დამანახვა, თითი დამიქნია, შუბლზე მაკოცა, ტორი დამკრა, ვითომდა გეფერებით და მხარი კი ჩამთალა კინლიმ. მერე მიწა აიღო, სამი თითით დაფშვნა და მარილივით მოაყარა ბალახებს, ბიჭებზეც მოატარა ჭიქა და ხვნეშით დალია — დედა გიყვარდესო, მიწაო, ძმაკაცებიო, შენ კი გენაცვალეო.

— მეუბნება არც შენა ხარ კაი კაციო, მაგრამ ნათესავი ხარ და სახედარში ხო არ გადაგცვლიო. დედაშენი თუ კიდევ გაგიჯავრებია, აემ მიწასავით დაგშშნიო. არც ეს ბიჭები მიწყენინოო...

— მაშ შენ ჩვენზე ქრისტიანი ხარ? — წამოდგა თედო.

— ეგრე გამოდის.

— რა გამოდის ეგრე! — გაბრაზდა შოთა, — შენ თუ არ ჩაურაკოკე, მაგან საიდან გაიგო. ჯიბეში ხელის ჩაცურების... ჩვენ რო ვიცით?!.

— მე რა ვიცი, საიდან გაიგო! იმკვირია აქეს ქორწილი და მაშინ შევაპარე.

— სადაური მუნჯი ირთავს? — მკითხა თედომ.

— მუნჯი კი არა, ბრმა არ გინდა?! ფიზიკაში ორიანი რო გამოგიწერა, იმისი გოგო მიჰყვება.

— ვინა, ბიჭო, თამრიკო?! — ცოტაც და გაგიჟდება თედო..

— ჰოო, თამრიკო!

— კოოპერატივის საწყობის გამგეს არ გაჰყვა, მურმანასა და ამას გაჰყვება?!

— ვითომ რატომ უნდა გაჰყოლოდა. ნაქურდალი ფულით რომ დაიდგა „ვოლგა“ — იმიტომ? ვინ გდია ის აფერისტი, შინაური არ გაეგება, გარეული, მეზობელი და მეგობარი! მემრე კიდევ: შენ თუ მთელი დღე არ გამოირთვები ხოლმე, რითი სჯობიხარ ნიკას?! წადი, ნახე ერთი, როგორი სახლკარი და მამული აქვს! აბა, ორივემ ერთად ჩაიხედეთ სარკეში, მაიმუნების ნაჩალნიკო, მაშინ გაიგებ რატო მიჰყვება! რა ძალიან გაგიკვირდათ, არ ვიცი?! მამიან ... ოცი წლის მზეთუნახავი, აქაოდა, ქონება აქვსო, სამოცი წლის ქალაქელ ლუდის გამყიდველს რო გაატანა, ეს ამბავი იმაზე უარესი გგონია?!.

— გეყოფა, — თქვა თედომ, — გამოუშვი ხარები, თითი მომიკაკვია. მაგრამ მე მაინც რაღაც მეეჭვება?!

— რა გეეჭვება, ბიჭო, შენა გგონია, თამრიკოს მამამ ტაში დასცხო. კაცი თურმე თოკით დასაბმელი გახდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო და თვითონვე იკისრა მაჭანკლობა, ჩვენ მოგვადგა კარზე, ქალის ჭკუა სად გაგონილა, მეც გამიგიჟდა, მაშველეთო. მამაჩემს ეწყინა, მეტი სახუმრო ვერაფერი მოიგონეო. მაგრამ, მალევე მიხვდა, არ ეხუმრებოდა და, კარგი, მოველაპარაკებიო, დაპირდა. მოკლეენ, საქმე გაიჩარხა! შენ კი წამომეტყლარეე და მეეიკეიკები, ბატონო თედო, მურმანაო და ისაო. მურმანა კაცი რო იყოს, თავის ავადმყოფ დედას დას გაატანდა მზოთევში? ისიც დაგავიწყდა: თამრიკო ქალია და თვითონ იცის, ვინც ელამაზება და ვისაც დაადებს მკერდზე თავს! ეგრეა! წადი და სამართალი ეძებე! მურმანა, მე მაგისი!.. აკი უთქვამს კიდეც, მე ხელი მკრა და უყურებთ, ვის მიჰყვებაო, თელავში დაიჭირა ნიკას ძმამ, ექიმი როა, იმან და იგრე აცვლევინა ფერი, სანამ პირში სული უდგას, უწინ ტყვიას იკრავს შუბლში, სანამ ვინმე გაახედებს თელავისაკენ. არაფერი მენატრება, ნიკამ იცოდეს ეს ბოლო ამბავი! მურმანაო?!. ეგ მათხოვრობით აშენებული. ეგა!... ნათესავი არ გამილანძღა თავისი ჭკუით! ჯერ სალდათიდან დაბრუნდე, მანამდე ციხეში ჩახეთქებული თუ არ დამხვდა, უმარილოთ უნდა შეეჭამო!..

— ქალის ჭკუა სად გაგონილაო?! — იკრიჭება თედო.

— მაშა, ქალის ჭკუა სად გაგონილაო?!

— თავიდანვე მაგით დაგეწყო და აღარ აგაყვირებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკა გრძნობს რაზედაც ელაპარაკობთ, — გალმებული მოგვჩერებია.

— საიდან გაიცნო? — ისევ თედო მეუბნება.

— თამრიკოს მამიდა ნიკას მეზობელია. ბალლობიდან იცნობენ ერთმანეთსა.

— ჰოო.

— იქიდან არის კარტი ჩაწყობილი!

— საკითხი დაზუსტებას მოითხოვს, — თქვა რეზომ, — დაჯერებით მჯერა, მაგრამ, მოდი ნიკასა ვკითხოთ.

— ვკითხოთ და ვკითხოთ! — ვითომ ჯდომელა ვერ მოვახერხებდი, წამოვდექი და ხელებითა და ფეხებით ველაპარაკები, ძლივს გავაგებინე, რაც მინდოდა. მართალიაო, თავი დამიქნია, — ეგე, თუ არა გჯერათ! — ისევ დავჯექი. მე დავჯექი და შოთა ადგა:

— მზეთუნახავისა და მეღორის ზღაპარია ნაღდი!

— მთელი სოფელი ამასა ლაპარაკობს და თქვენ რა, ყველა თომა ხართ?!

— მე მეგონა სოფელიცა ხუმრობდა?! გაბრაზებული წამოვვარდი:

— რაკი არ გეჯერებათ, წამო, სკოლაში ავიაროთ და თამრიკოს მამასა ვკითხოთ. დასამალი რალაა, რა უნდა დაგვიმალოს!

— მოიტა თათი! — წამოხტა თედო.

— ჯერ ის მითხარი, რაზე იყოს? — თან ხელი გავუწოდე.

— პურმარილზე.

— როდის?

— ხვალვე. გადასჭერ, შოთავ.

შოთამ ხელი ჩაგვირტყა. ორი თითი ავათამაშე მიწაზე: ვითომ ნიკას ვეუბნები, გავიქცევით და ახლავე დავბრუნდებით-მეთქი.

მივდივართ და მივყაყანებთ სკოლისაკენ. სკოლაში არ დაგვიხვდება თამრიკოს მამა და შინ მივუცვივდებით. არც შინ იქნება და სპატარძლო მაინც გაგვიღებს ჭიშკარს...

რაღა ბევრი გავაგრძელო: ხვალ თედოსთან ვიქნებით სადილად და იმ ერთი ამხანაგის წვეულებისა არ იყოს, ვახშმადაც იქ დავრჩებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ ერისთავი

●

ხახმატელ ალუდაურებს
თაფლი ჰქონიათ ბევრიო,
პირმზითი მთების ყვავილი
არ არი, შიგ არ ერიოს.

ტკბილადამც დამილოცნიხარ
მწარე ხევსურულ ლუდითა,

ამ გზების ოღრო-ჩოღროზე
თაფლი გეზიდოს გუდითა,

ყოველ თაფლობას, შენმა მზემ,
სკას რომ სარქველი ახადო,
ალუდაურთა სიმრავლე
ფუტკარს ჭარბობდეს, ხახმატო!

●

საცალფეხო ბილიკი და
საცალფეხო ხიდი,
— ხომ ვერ გვეტყვი, ძიაკაცო,
ეს გზა საით მიდის?

და ხევსური აქეთ გვკითხავს,
— საით მიხვალთ თავად?
თორემ გზისა ვინ რა გითხრას,
გზაი ყოვლგნით წავა.

●

ზღაპარ იყო,
ზღაპარ იყო,
მთებში დევი
ჩამდგარიყო,
ცალი ფეხი
გუდანს ედგა
და მეორე —
ბაცალიგოს.

წყალში ბადე
გადაეგდო,

ბადის წვერი
გამწყდარიყო;

ზღაპარ რიყო,
ზღაპარ იყო,
ბადეს თევზი
გაპპარვიყო,
სულ არაგვში
წასულიყო,
რაც იყო და
რაც არ იყო.

ჯავთის ციხისკენ

ლექსის წაშლილი სტრიქონივით
გაწყდა ბილიკი
და ნაგზაურზე გაიარა
კატა-ბალახამ,
თითქოს უსვრიათ გზის ნაწყვეტი
მთისკენ ჩილიკით
და ალალბედზე გაფრენილა
სერის გადაღმა.

ამ გზის ნაწყვეტზე ისტორიაც
შემწყდარა თითქოს,
ციხის ბზარებში შორეული
ცის სილურჯეა...
გულიც ხომ გზების გამთელებას
ასევე ითხოვს,
როცა შიგ კედელმონგრეული
ციხე-ბურჯია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ

(პათეტიკური)

სალამი სალამს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და არმაზს;
არმაზს და ᲭᲧᲝᲜᲓᲘᲓᲡ!
ჩვენ ბევრჯერ ვიშვით
და ბევრჯერ მოვკვდით.
და როცა მოვკვდით —
ყოველთვის ვცხონდით!..

სალამი სალამს:
ნინოს და თამარს;
თამარს და ნინოს;
და ისევ — თამარს!
თევდორე ხუცესს;
პაატა რაინდს;
ცხრა ლომგულ ძმას და
არაგველს სამასს!..

ყველანი აქ ვართ!
აქ არის ყველა!
შეხედე: ცოტნეც
მოვარდა ჩორთით!
— საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
ბიᲭᲔᲑი, სწორდით!..

დიდება მამულს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და ზადენს;
ზადენს და ᲭᲧᲝᲜᲓᲘᲓᲡ...
საქართველოსთვის
ჩვენ ბევრჯერ მოვკვდით,
და როცა მოვკვდით —
ყოველთვის ვცხონდით!..

●

თიქორის წყალი და ანაკლია,
ო, რეზო! სხეულს ისე აკლია!
ფაზისის პირას ჩემი ირაკლიც
სულ სხვა ვაჟკაცი — სხვა ჰერაკლეა!..

ხოლო მდინარე — ძველი, ბერძნული —
როგორც ყვავილი თმაში შეწნული,
დაშვენებია ევქსინის პონტოს,
და სული ცქერით არის შეძრული...

სიცოცხლე! — აი, სამშობლოს ფასი!
სიცოცხლე, ერთი კი არა — ასი!
ნარბენ ბიᲭᲘᲗᲘᲗ ჩავკიდებ ხელს და
უკვდავებისკენ
წავყვები
ფაზისს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალან ბომბარი, ტურ ჰეიერდალი და სხვები

ცივი
ცრემლის
ოკეანე
მარტომ გადავცურე, ტივით.
გზები, ზურმუხტივით მწვანე,
გავაოცე სიმარტოვით.

ტრანსატლანტიკური ღრუბლის
ნაჭრით შევიმშრალე შუბლი.
ერთხელ მომელანდა მხოლოდ
სახე გაღიმებულ უფლის.

ვუფრთხილდები წვიმის მარაგს --
ცრემლად გარდაიქმნას მინდა...
თვლემს უფსკრული—მარად, მარად,
მარად საშიში და წმინდა.

ვაკვირდები ცისარტყელას —
ცის და მიწის გამყოფ დეფიზს.
მინდა ჩამოვართვა ხელი
მამით დაობლებულ დელფინს.

ცივი ცრემლის ოკეანე
მარტომ გადავცურე, ტივით...
ღრუბლის ღიმილს მიგამგვანე —
სწუხდი, ქაფის ქალღმერთივით...

●

...მაგრამ ცხოვრება რაა?
(იქნებ ცხოვრება არის
სიკვდილის გამოსახმობად ჩამორეკილი
ზარი!..)
— ზარს ნუ აწვალებ, ბიჭი!
— ახ, შე ეშმაკო, შე!
ღიაა კარი. კარები.
კარი. კარები. კარი.

— ო, ღმერთო! ეს ხომ ბავშვი...
ეს ხომ მთლად ბავშვი არის!
შეწვდა ხოტორა ბიჭი — რეკავს მეზობლის
ზარი...
ზზზზზ! — რეკავს და რეკავს!
ზზზზზ! — რეკავს და რეკავს!
ყველანი სახლში იყვნენ!.. ახლა არავინ
არის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარადიული თრთოლვა
მტვრით დაფარული მთვარის
გართმევს კიბეზე ასვლის
ღონეს და ბავშვურ ხალისს!..
საით წავიდნენ მაინც... სად იქნებიან,
ნეტავ!..
ყოველთვის სახლში იყვნენ... ახლა არავინ
არის!..

მეგობარ პოეტს

(ლაღბობით)

როგორც კარნიზი უარყო
რაიტმა ---
ჩვენც
ისე
უნდა
უარვყოთ
რითმა!

ახალი მთვარე

(სურათი)

უღრუბლო ცაზე გარკვევით მოჩანს,
რა მოაკლეს ბიჭებმა მთვარეს!

გულდაწყვეტილი
იმზირება
ახალი და
ნაკლული მთვარე...

ო რ ნ ი

1

რა შუაშია ფოსფორის შუქი: საფლავი ღამით — ზოგიერთი ანათებს მხოლოდ. თუ სიცოცხლეში არ აგროვე სხივი და სხივი, სამუდამოდ დარჩები ბნელში: საფლავი ღამით — ზოგიერთი ანათებს მხოლოდ! მე რომ მკითხავდნენ, დიდ რუკებზე, დიდ ქალაქებთან, დიდი საფლავიც უნდა აღნიშნონ, რადგან საფლავი — ზოგიერთი ანათებს მხოლოდ!..

მხოლოდ დროებით რჩებიან მარტოდ, სხვა დროს ყოველთვის ერთად არიან! ერთად არიან, ანათებენ ღამეში ორნი, რომ გზა უჩვენონ მარადისობის ბნელ წიაღიდან მომავალ წყვილებს.

ამქვეყნად ორნი — ბევრნი არიან. მახინჯი წყვილი. ლამაზი ჯუფთი. ბოლოს და ბოლოს, ეს სულერთია, რა გაგვამრავლებს — სისხლი თუ სარკე, რადგან ორივე მხოლოდ ჩრდილია: კაციც და ჩრდილიც, ქალიც და ჩრდილიც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიც გინდათ იყავით, ოღონდ რაც მთავარია — იყავით ორნი... უნდა გიჭირდეს ძილის დროს ძილი, და გაწუხებდეს მაღალი ფიქრი, სურვილი — იყო არა ათასი, ან კიდევ ერთი, არამედ — ორი:

როგორც — თვალები.

როგორც — ხელები.

როგორც — ფეხები.

როგორც — ყურები.

ან — ძუძუები.

ან — ორი ნესტო.

ან...

რა საჭიროა დახურდავება: ის, ვინც ერთია, ადრე თუ გვიან უსათუოდ გახდება ორი!..

2

და საქორწილო კიბეზე — ორნი... წამოვლენ, წავლენ — რჩებიან ორნი. სიყვარულს მუდამ იწყებენ სამნი, და აგრძელებენ სიყვარულს ორნი.

წყვილი თვალივით ლამაზი წყვილი... საწამლავი და სატევრის წვერი... და წყვილი ყური — დაცული ცვილით. მკლავი და მკლავი. ხელი და ხელი...

გადაჯაჭვული ბედი და ბედი, შეტოლებული — მიხაკი მიხაკს. წყვილი ბეღურას ლამაზი ბუდე: ცოტა ბალახი და ცოტა თიხა...

თუ მომენატრე — უთუოდ მოვალ... თუ მოგენატრო — უთუოდ მოდი... ყური არ უგდო მავანს და მავანს, მე მუდამ გელი — უთუოდ მოდი...

ორი ფრთა, ორი.

ნიჩაბი — ორი.

ბორბალი — ორი.

ღიმილი — ორი.

რეკავს და რეკავს ზარი და ზარი ახლოს და ახლოს, შორით და შორით...

ჩუმად, რა კარგი ღამეა, ჩუმად.. ჩუმად, რა ბევრი ცრემლია, ჩუმად... როგორ სჭირდება ბედნიერებას ცოტაოდენი ტკივილიც... ჩუმად!..

გადაჭდობილი ყელი და ყელი. სხვები წავიდნენ. მღერიან ორნი. ხელს მაგიდის ქვეშ... დაეძებს ხელი... ისმის ქვითინი საქსის, ვოლტორნის.

3

რა დიდებული გრძნობაა ეჭვი, როდესაც იგი სიყვარულს ნიშნავს!

თვალი, რომელსაც შეამჩნევ თვალში! ხელი, რომელიც გათბება ხელში! მხარი, რომელიც იგრძენი მხარში! ფერი, რომელიც გადნება ფერში!

ისე ძალიან მიყვარს მდინარე და მდინარეზე ბევრი ხიდები! მე სულ ამაზე ვამბობ სამდურავს: რად ვერ ავაგეთ ბევრი ხიდები!

გულს გული იცნობს, ღონეს — ღონე, ნაპირს — ნაპირი! სენას სენასთან და მტკვარს — მტკვართან აახლოებენ მხოლოდ ხიდები!

ათას ლონუელს და აბელიარს, ათას ტარიელს, ათას თინათინს (მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელი ისე ბევრია, მე ვერ ჩამოვთვლი ალბათ დილამდის) — ვიხსენებ, ვაქებ, შევნატრი, ვეძებ, ისევ ვიხსენებ, ისევ შევნატრი, ვფიქრობ შორეულ დებზე და ძმებზე: როგორ მოვიდე, როგორ, თქვენამდე!..

ჩემს თვალებს ვხედავ მეგობრის თვალში! გამითბა ხელი მეგობრის ხელში! მეგობრის მხარი ვიგრძენი მხარში! მე მიყვარს — სიკვდილს აღარას ვერჩი!..

4

შრიალებს ბნელში ყორნის ფრთა — ყორნის! აღვიძებს ტალღას ჭრიალი ბორნის! აფუვდა ცომი! ვარვარებს თორნე! ახორებს ხაბაზს ღუღუნი თორნის!

კასტანიეტის, საქსის, ვოლტორნის ისმის ღიმილი! და შორზე შორნი — კაკლებას ჩრდილში, ხავსიან ლოდზე უსიტყვოდ, ჩუმად მღერიან ორნი!..

კედელზე — შვლები და ნიამორნი! სავანა, სტეპი, და უფრო შორნი: წმინდა ელენე, პოლინეზია, ბორნეო, ბაში, ტაატი, ჰორნი!..

ყველგან — წყვილები და გულის სწორნი (ვარვარა ზვინზე წვებიან ორნი...) მოწვეთავს ციდან ლამაზი დილა! შრიალებს ბნელში ყორნის ფრთა — ყორნის!..

ვიხსენებ ყველას! შევნატრი! ვეძებ! ისევ ვიხსენებ, ისევ შევნატრი. ვფიქრობ შორეულ დებზე და ძმებზე: როგორ მოვიდე, როგორ, თქვენამდი!..

5

ბალახში ორი ხოხობი გოგავს. წყვილი საყურე სიხარულს მოგავს. წყვილი საყურე — მთვარე და მთვარე — ისევ და ისევ ტოკავს და ტოკავს.

მიაფრენს ველბოტს ნიჩაბი წყვილი. თოლიას ფრთები მძიმდება წვიმით. ღამეა! თითის მიუკარებლად გალობს და გალობს სიმი და სიმი!.. სიყვარულს მუდამ იწყებენ სამნი, და აგრძელებენ სიყვარულს ორნი!..

გახმა სამყურა, მოდის წვიმა. ღამდება ადრე. „არ მიყვარს, მიყვარს“. — არკვევს გოგონა პატარა ვაგზლის ცივ მოსაცდელში. ასე აკლდება დღეებს დღეები, ასე აკლდება ფურცელს ფურცელი... და მატარებლის სუსტი კიკვები ელისსმობს, სადღაც მიდის მესამე. იყო მესამე — ნიშნავს, იყო ნიადაგ მარტოდ... გადაიარა ბევრი ხიდი, უკან დარჩა ათასი ღამე... გადაიარა ბევრი ხიდი და მარტოდმარტო დარჩა მესამე... ათასი კაცი უმზერს წვიმას და ათას კაცში მარტოდმარტო დარჩა მესამე. გაშიშვლებული გულივით მოჩანს აკაციაზე ბეღურას ბუდე. მატარებლიდან დანახული სითბო და კვამლი აკლდება ოჯახს, — ემატებათ გათოშილ მგზავრებს. დღეს მერამდენედ გაიგონე მესამე ზარი: მიდის ღამეში მარტოკაცი, მკაცრი მესამე. იყო მესამე — ნიშნავს, იყო ნიადაგ მარტოდ. იქნებ მეოცე საუკუნე საჭიროდ არ თვლის იფიქროს ჩემზე, შენზე, მასზე, — იფიქროს ბევრზე... ისმის ვაგზალში მეორე ზარი... ორ ბედნიერზე ფიქრობს მესამე...



მესხავლებელი ასია მაკაროვნა

ასია მაკაროვნას ცხოვრების კვირა და ორშაბათი დღეები დასტამბული ასოებივით წაგაგდნენ ერთმანეთს და ყოველი მძიმის მერე ნება-ნება მირბენოდნენ შესაფერისი სასვენი ნიშნისაკენ. მთელი ტექსტი ტაატით ჩათავდებოდა ისე, რომ არსად ძახილისა და გაკვირვების ნიშანი არ გამოერეოდა.

გაზაფხულის პირს მკლავებგაწვდილ ხეებზე ტუჩებდახეთქილი კვირტების ყიყინისას ასია მაკაროვნა ძველ კლავიშებისფერ კაბას ჩაიცვამდა. დაპენტილი მატყლივით შეთხლებულ თმებს მზედაუკრავ კეფაზე დაილაგებდა და თავის კანტურით ჩაუყვებოდა ოკრობოკრო ქუჩას.

ასია მაკაროვნა ძველებური, ქონგურებიანი და ქვედაობებული სახლის პირველ სართულზე ცხოვრობდა. მის ოთახში მხოლოდ თვალახელილი და ძილმიტანებული ფანჯრისხელა ცა იცქირებოდა. ოთახს უსწორმასწორო სამკუთხედის ფორმა ჰქონდა და კედლები ნავთქურის კვამლისფერი იყო. აქ ეკიდა წელიწადის დროებისა და მათი ბუნებისეული განწყობილების ძიხედვით შერჩეული მაქმანიანი, ფარშევანგის ფრთიანი და მინდვრის ხალისიანი ყვავილებით მორთული ქუდები. მათ თავმოწონებული მხლებლებივით თან ახლდათ, შესატყვისი ფერებით შემღერებული ქოლგები. ცოტა მოშორებით წითელი ხავერდის გაფუყული პატარა ბალიში ეკიდა, ქინძისთავებით, ნემსებით და ყელსაბნევებით დაცხრილული. საწერი მაგიდის მხარე წიგნებით იყო დატვირთული. საწოლის ქვემოდან მოჩანდა ცოცხი, ათასგვარი ქილები და ყუთები.

კვირაში ერთხელ ასია მაკაროვნა

რვეულების დასტით გამოჩნდებოდა ჭეჩაში და მაშინ მეტად დაფიქრებული სახე ჰქონდა. ეს მხრებმოკანკალე, ბებრული სიფაქიზით ჩაცმული ქალი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გახლდათ. მას საკონტროლო რვეულები მიჰქონდა სკოლაში და მოსწავლეთა შეცდომების გამო, სისხლგაცრეცილ, მცივანა სხეულში ტკივილი ქარბობოლსავით დაძრწოდა. ნაწური წყალგარეული წითელი მელნით იყო გასწორებული და შეფასების გვერდით ეწერა ა. ჩ.

როცა ჩუქურთმებით დახავსებული კედლის საათი ეკლესიის პატარა ზარებივით ცხრას დარეკავდა და შავი ფრინველის მსგავსი, დიდვრემილი და ფრთებდაშვებული რეპროდუქტორი ცხრა საათს გამოაცხადებდა, ასია მაკაროვნა ბურბუშელასმაგარ ღამის ჩაჩს დაიხურავდა და ერთდაიგივე სიზმარს დაელოდებოდა.

სიზმარში მას წიკწიკა, ქათიბივით თეთრი კბილები ჰქონდა. აყვავებულ ტყემლის რტოს ჰგავდა და თვალებიდან ჩინჩრლებს აბნევდა. მძიმე, მჭიდროდ დაწნული სიმინდის ფოჩებისფერი, მოლივლივე ნაწნავი ბეჭებს შუა ჩაწოლილიყო და ძეწნასავით გრძელი, ნატიფი ხელები მაღალი სამხედროს არშინიან მხრებზე დაეწყო. ღილით ასია მაკაროვნა დაფერფლილი სახით იღვიძებდა, მივიწყებული წიგნის მტვერივით ჩამოეცლებოდა ლოგინს და გაძალტყვავებულ, ყავარჯნებივით დაკიდულ ფეხებს თბილ ქოშებში შეაცურებდა.

წელიწადში ერთხელ, გაკვეთილზე პუშკინის ტატიანას წერილის წარმოთქმისას, თბილ ნაჭრებში გახვეული, დალეული სხეული შეუტოკდებოდა და საგულდაგულოდ შენახული გრძნობა დაჭრილი ბარტყივით აფართხალდებოდა.

«Я знаю ты мне послан богом,
До гроба ты хранитель мой...»

ატირებდა სიტყვებს ასია მაკაროვნა და მერე მთელ დღეს ვეღარ წყნარდებოდა. რეცხვისა და ხმარებისაგან გაცვეთილ, ბაღნია, გახამებულ ცხვრისახოცებს მაგრად ხელები და უჯრებში კიდეებშეყვითლებულ წერილებს დაეძებდა.

ერთხელ მოსწავლე გოგონამ ისეთივე გულისკაკანალითა და გრძნობადახვეწით წაიკითხა ტატიანას წერილი, როგორც მასწავლებელი კითხულობდა. ასია მაკაროვნა თავიაღუნული იჯდა და ძალამოკრეფილი სუნთქვა ეძალებოდა. მერე ფრთხილად წამოდგა სკამიდან, რომ არ წაქცეულიყო, მერხებს მიანდო თავისი გამმხარი სხეული და რიგებში გაიარა. მოსწავლისათვის აღარაფერი უკითხავს, თავის ოდნავ დაქნევით ანიშნა დამჯდარიყო, არც ნიშანი დაუწერია. გაკვეთილი აუხსნელად მისცა ბავშვებს და ზარის დარეკვისთანავე ახლად ფეხადგმულივით გაემართა კარებისაკენ.

ზაფხულის უმოწყალო მცხუნვარების ჟამს ასია მაკაროვნა ლენინგრადში გაემგზავრა დასთან.

დიდი ხნის მერე სახლმმართველობამ მასწავლებლის სახლის კარები რომ ვეღარ შეამტვრია, ფანჯრიდან გადავიდა ბინაში და წლების მანძილზე თვალდაუკრავი და სინათლემიუტანელი ავლადიდება ეზოში გადმოყარა.

საქვეყნოდ გამომზეურდა მისი ბებრული ხელებით ნალოლიავები ნივთები. ეზოში სარეცხივით გამოეფინა ასია მაკაროვნას გაცრეცილი სულის ბნელ კუთხეებში შემალული გულისთქმა. მის სულზე და სხეულზე მძიმე დარდი. მარტოდმყოფი ქალის ცხოვრება ნახატებად და ამბებად ეყარა ეზოში და ყველა ფასდადებით უცქეროდა, თვალებით ეაჭრობდა. აქ ეყარა მისი ქუდები, კაბები, დასტა-დასტა რვეულები, ფერნაკლული წითელი მელნით გასწორებული, კიდეებშეყვითლებული წერილები, სხვადასხვა ზომის ყუთები, წვერწამახული ფერადი ფანქრები, წამლისა და სუნამოს ბოთლები. შელის ლექსთა კრებულში ჩატოვებული დამ-

ბანანა ავალიშვილი
მასწავლებელი ასია მაკაროვნა

ჭკნარი ყვავილები. ერთმა შორეულმა ნათესავმა, რომელიც განათლებული აღმოჩნდა, ტოლსტოის სანკტ-პეტერბურგში გამოცემული წიგნთა ტომეულები წაიღო.

წესრიგის დასასადგურებლად მოსულმა მილიციონერმა ფეხით გადაქცა ნივთები და უცებ ქვეშაგებიდან გამოცურებული სახატე შენიშნა. ხელში აიღო ღვთისმშობლის ნათელსახიანი ვერცხლის საგანი და გაფაციცებით დააცქერდა. გვერდზე წერტილისოდენა საკეტი მოუნახა და გახსნა, იქიდან ახალგაზრდა ოფიცერი მოტრფიალე თვალებით შემოაცქერდა მილიციონერს. მას პეწიანი ულვაშები ჰქონდა და მხრებზე მძიმე ეპოლეტები ეკიდა. ქვეშ ძლივს შესამჩნევად ეწერა: „თ-დი გარსევან ჩოლოყაშვილი, 1913 წელი“.

ასია მაკაროვნამ ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური ინტელიგენციის, სამოქალაქო ომი, ინტერვენციის პერიოდი, ფრაკებისა და აქსელბანდების, გრძელი ნოჭიანი კაბების, პირბადიანი ქუდების, ბალ-მასკარადებისა და კადრილების ეპოქა გამოიარა. იმ მოსწავლე გოგონასავით შეყვარებული იყო და თავისი ცხოვრების დიდთოვლობის ჟამსაც პირველად აყვავილებული გრძნობით კითხულობდა.

«Я знаю ты мне послан богом,
До гроба ты хранитель мой...»

მილიციონერმა ერთი კი გაიფიქრა „ეუჩივლებ ამ მამაძაღლსო“, მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რომ შარაზე გაფენილი ქონების პატრონი ცოცხალი აღარ იყო და უხმოდ გავიდა ეზოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამული ადიდე!

არცერთი ნაბიჯით სიცრუე! —
გაჰყევი იმედებს მზისას,
ადიდე,
ადიდე,
მამული ადიდე! —
ზიზღი არ დაკარგო მტრისა.
შენამდე თუ ისმის,
შენამდე თუ ადწევს
ხმა ჩვენი არაგვისა,
სიცოცხლეს სხვა ძალა
არა აქვს იცოდე,
მარტოდენ ფიქრის და ხმისა.
სულ გამარჯვებულის ღიმილით იარე,
გისმენენ,
გისმენენ.
გისმენენ ყველგან,
სამყაროს ყოველი ნაწილი ტრიალებს:
ხან ღამე დაწვება,
ხან ივლი მზესთან.
დიდ ხმაურს უსმინე —
ზარებად რომ რეკენ,
შეიცან ქარიშხლის ხმისად,
ადიდე,
ადიდე,
მამული ადიდე,
ზიზღი არ დაკარგო მტრისა!..

ვარსკვლავთცვენა

უსვად ჩამოღვრის მაისი ფერებს,
ისევ იქუხებს საგაზაფხულოდ,
და იმ ყველაფერს, —
გაფრენილ დღეებს
გაეკიდები რომ დავაბრუნო...
ბავშვობის დღეთა ნაოცნებარნო...
(ისევ წვეს ჩემ წინ ველი გრძნეული,
და ტყისკენ უყეფს ნადირს მყეფარი,
იმ ღამესავით ფერდალეული).
მთებში ამოდის მთვარე — უფალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიჩუმეში ღამე გუგუნებს,
რაღაც ტკბილია თავსასთუმალი
და აივნიდან ღამეს ვეყურებ...
მე ვფიქრობ ჩემთვის, შეუცნობელი
სამყაროს ღელვით, — ღელვის მატებით,
უცებ იძინებს მყუდრო სოფელი,
ტყეთა ლანდებით და სხვა დარდებით.
პაპაჩემს სძინავს, სოფელსაც სძინავს,
ვინ იცის სძინავთ, თუ ფხიზლობს ყველა,
განჯინაში კი, იქ, ბუხრის პირას,
თავისთვის მღერის ჭრიჭინობელა...
იმ ქოხებს მივდევ ფიქრით, მუდარით
და სადღაც ძველი ნაფეხურები
ჭრებიან, ადარც ძველი ბუხარი —
იქ აღარავინ არ მეგულებით...
და ჩემს ცხოვრებას, გზებით დაქსელილს,
გაეკიდება მღელვარე ფიქრი,
ავიხდი გულმკერდს, რომ ვნახო ჩემი,
რომ ვნახო გული გულმკერდის შიგნით...
...გადამახედეთ სამყაროს იქით,
ჩემო ფიქრებო, ნაცისკრალებო,..
ისევ ამანთეთ იმ ბრძოლის ჟინით,
ნასაყრდალებო, ნაციხარებო.
ამომავალი მზე ცას მიარღვევს
და თვალი ისევ უმზერს სიშორეს.
ული გრძნობს ყველა ძველ ნატყვიარებს
და მათზე ფიქრიც ვერ მოვიშორე.
ვერ გავექცევი ავდრიან დღეებს,
იმ ნამუხლარებს, იმ ნამქუხარებს,
იმ ნაპურალებს, მოხერგილ ღელეს,
იმ განშორების ცრემლიან ალერსს,
იმ გათენების ზარსა და გრიგალს,
იმ ფერადს-ფერადს ღამეულ მთვარეს,
მას, რაც წლებს მიაქვს,
მას, რაც დროს მიაქვს,
მშობლიურ მიწას, მშობლიურ მხარეს.
ჩემს ადიდებას ანდა დაშრობას,
იმ ენკენისთვის მარბეველ ქარებს,
ვერ გავექეცი ფერთა ვარდობას,
იმ ვარსკვლავთცვენას, ცაზე რომ ვთვალე...
უხვად ჩამოღვრის მაისი ფერებს
ისევ იქუხებს საგაზაფხულოდ
და იმ ყველაფერს, გაქცეულ დღეებს
გავეკიდები, რომ დავაბრუნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგუგუნებს და იხმაურებს!

აკა, მიიღე ეს საჩუქარი,
ცეცხლი, რომელიც დაგინთე შენ
შუაღამისას.
უსიერ ტყეში,
უხილველი სამყაროს ირგვლივ...
ენთოს ეს ცეცხლი გარიჟრაჟამდე,
სანამ ფრინველნი აიმღებიან საგალობლად
და შესამკობად ბუნების, დიდის,
სანამ მზე იგი მიახლის სხივს
ტყეებს რტომრავალთ,
სანამ შუბლს გახსნის სივრცე.—
რომელსაც ცას ვეძახით, —
სამოსი ჩვენი.
აკა, მიიღე ეს საჩუქარი,
მცირე ხნით მაინც გაგახსენებს იმას, რომელიც
კვლავ შეიძლება გაიხსენო
და გაიკვირვო!
მე არ გიძღვნი შენ,
დიდთა ძღვენთა, სრულფასოვანთა,
ჩემი სულიდან ამოჭრილი ამბორი არის,
რომ აღზნებს ამ ცეცხლს..
ცეცხლი, რომელიც დავანთე მე უსიერ ტყეში,
მზის ამოსვლამდე იგუგუნებს და იხმაურებს!...

შენ, ვისაც ხელში აგიყვანივარ...

შენ, ვისაც ხელში ნორჩი ბავშვი აგიყვანივარ,
ვინც ატირებულს მიმღეროდი ნანას, სევდიანს,
ვინც არტახებით შემბოჭე და აკვანი ნაზად დამირწიე,
ვინც დამყვებოდი, თავისუფლად მევლო მიწაზე,
ვინც შემაყვარე სამშობლოს ცა, მთა და ველები,
პირველი სიტყვა ვისაც გითხარი,
ვინც სულ პირველად დამანახე დიდრონი მთები,
დიდი ფუფაღითი — სავსე მთვარით, ვინც გამაოცე,
ვინც ალქაჯებით მაშინებდი და მაფრთხილებდი,
შენ, ვინც პირველი კოცნის ალით სული ამინთე,
შეციებულს, რომ მფუთნიდი და მივლიდი ფრთხილად,
ვინც უნდა იყო, შენ დიდი ხარ,
შენ უკვდავი ხარ!..
შენ ვისაც, ალბათ, აღარც გახსოვარ,
გადაგივიწყე იქნებ მეც უკვე,
ვინ იცის, ალბათ, ეს ამბორიც ვეღარ გაგათბობს
და შეცივებულს სამუდამო ძილითაც გძინავს,
ვინ იცის, ჩუმად გავატარეს სოფლის შარაზე,
უკანასკნელად შორეული მგზავრობის შემდეგ...

შენს საფლავს იქნებ, დავიწყების შამბნარიც კბურავს,
ერთ დროს კი, ალბათ, მოილხენდი დაირით ხელში,
იქნებ მარტოც ხარ, მოლოდინში ათენებ ღამეს,
და გახსენდება ყოველივე წარსული ნათლად,
მძიმე წუთებში არავინ მოდის, რომ განუგეშოს,
გადაგივიწყეს სუყველამ ერთად.
შენ, ვისაც ხელში ნორჩი ბავშვი აგიყვანივარ,
ვინც ატირებულს მიმღეროდი ნანას, სევდიანს,
დაგვიანებულ მადლობას და ამბორს ნოგიძღვნი,
მე შენ მიყვარხარ!..

ზაბრიელ ჭაბუშანური
ჩამოდის მთიდან

იგი ჩამოდის მაღალ მთიდან,
არხოტის მთიდან,
ჩამოდის მძიმედ, ეკრძალვის და...
— სად?... არხოტიდან!.. —
ყინავს,
დუმილი დიდი წევს ჩარგლის და შუაფხოს ხევში,
ქარებიც დაკარგულან აღმავალ მთებში,
დუმილი დიდი,
სად წაუხვალ ამ დუმილს, უცხოს,
ზეცა კი არა,
სხვა სამყარო ეძახის. უხმობს.
ის იყო მარტოდ
ღამესთან, მთებთან,
ქაოსთან, ღმერთთან,
ქარიშხლის ხმებთან,
ზეცთა გნიასთან,
სანთელთან ერთად,
უნდოდა ძილი, დიდი ხნით ძილი,
ღამე ურიცხვი ათენა თეთრად.
სახლიკაცებთან,
დაღლილ ხატებთან,
ლუდის ქვაბებთან და არტახებთან,
ნახირთან, ხევთან, მთის ჩანჩქერებთან
ის იყო მარტო...
ელოდა, იდგა, დიდხანს ელოდა,
ღამე წკვარამი უფრო ბნელობდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოდიოდა მზე მაღალ გორზე,
და მედიდურად მოიმღეროდა...

ახლა ჩამოდის მოთენთილი,
ჩამოდის დაბლა,
ფიქრით დაღლილი, შეგინგლული,
სენით მამგრალი,
როგორც ტყვე ისე ჩამოდის დაბლა,
თავმოდრეკილი, დარცხვენილი, ჩამოდის დაბლა,
როგორც ჩანჩქერი, ნაქუხარი, ჩამოდის დაბლა,
ჩამოდის მთიდან,
სულ სხვა კაცი ჩამოდის დაბლა!..
იგი ჩამოდის მაღალ მთიდან,
არხოტის მთიდან,
ლეკსები მოაქვს, თუ ლოცვანი
ჩანს ხურჯინიდან,
ეკრძალება და ჩამოდის მთიდან,
ეშვება ბინდი ცხრაკარიდან
თუ ციხიჯვრიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოთი ჯარიანაცი

დედაბერი ღობესთან მეზობლის ყმაწვილს ელაპარაკებოდა. მარჯვენა ხელს ქაქანით წაღმა-უკუღმა იქნევდა, მარცხენა კი ჰიგოსათვის ჩაეგლო, თითქოს ღობეზე გადახტომას ლამობს.

— განა ყველა დედა დედაა?... არც ყველა შვილია შვილი! ისიც მინახავს, გერი უფრო გამოდგომია დედინაცვალს! ეს ბიჭი გერი არ არის ჩემი? იცი, რა ამაგი მაქვს მაგაზე? ეჰ, ვინ დაგიფასა?

— ჰო, შორს წასულა, ძალიან შორს წასულა! — უთხრა დედაბერს მეზობლის ყმაწვილმა. ას ცალი ფეხი მუხლს ქვევით ჰქონდა მოკვეთილი, თითბრით მოსალტულ ომბოხოზე იდგა, სამაგრი ღვედი მხარზე გადაეგდო.

— მაგ ბიჭს დედა არც კი ახსოვს. დედობა მე არ გავუწიე? ახლა მთელი სამი წელიწადი ჯარში იყო.

— არ გეყურება?... ქალო, ძაღლი დაამბი, ძაღლი!... შენ გეუბნები! — გასძახებდა ბერიკაცი ენადგაკრეფილ ქალს.

ბერიკაცს ბოლო დროს ყურს დაეკლდა და არ ესმოდა ცოლის ლაპარაკი. ის უფრო აღიზიანებდა, შინაარსს რომ ვერ ხვდებოდა, თუმცა იცოდა, ცოლს უაზრო ლაქლაქი რომ უყვარდა.

— რძალო, მაგაში კი ნუ გაამტყუნებ. რა ექნა ბიჭს? სახელმწიფო სამსახურში გაიწვიეს და...

— რა სამხედრო სამსახურში? ეგეც წელს იწყვეტდა სანგრების თხრითა! შოფრად მუშაობდა, სასმელი არ აკლდა და საჭმელი. სურსათს ეზიდებო-

და, თან გოგოებს დაატარებდა აქეთ-იქითა.

— ვაჰ! — აღმოხდა შურითა და აღტაცებით ყმაწვილს და განაგრძო, — ქერის ორმაში არ ჩავარდნილა?

— იმას არ გეუბნებოდი?... ჯარიდან გამთავისუფლებული. ის იყო, ერთი კი დაგვენახეა... შენ რამდენ ხანს იყავი დედოფლთან, იქიდან რომ ვერ ამოუსწარი? აღარ გახსოვს?

— რა ვიყავი, რა?... ერთ კვირას არც კი ვყოფილვარ.

— ორი თუ სამი დღე იყო შინ. ისევ უკან იბრუნა პირი. ჩვენ ასე გვეგონა, იქნებ ქალაქში მიდის სასაყიდლებზეო. შენც არ მომიკვდე! შარაგზაზე გადასულმა გამოვეძახა: იქ ებრუნდები, სამხეერო სამსახური რომ მოვიხადეო. მამამისი ღობეს მიაწყდა, ჭიგო მოტეხა და დაუღერა, ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოს აქ ჩამოსული, შე ასეთო და ისეთო... გაეჭვივ ქვეყნიერებაზე თრეკასა და წანწალსო, განა?

— შორს წასულა. ჯერ მარტო მატარებლით ერთი კვირა უნდა იქამდე მგზავრობას. ჯერ კიდევ ბავშვობაში მივხვდი, რომ ეგ ბიჭი შორს უმიზნებდა. აკი ცხადათა ვგრძნობდი და არც იმიტომ შევმცდარვარ.

— იქ ალბათ ვიღაც ქალს გადაეყრებოდა.

— ასეც იქნება! იმ ერთ მანქანა გოგოებში მაგისთვის ერთიც აღარ ამორჩეოდა? მერედა, ერთი გაჩვენა. რძალო: ქალებით სავსე მანქანა მიჰქრის ყანაში თუ მშენებლობაზე. რა სურათია, არა? ქალები კი ერთ ხმაზე მღერიან. მაგასაც მიტი არა უნდარა, ეგეც ხომ სიმღერის გიჟია.

— რას მომატყუებს? რამდენჯერ თქვა თავისი პირით: საითაც გაიხედავ, სუფველგან თეორი და ფერადფერადი გოგოებიაო. განა, ფერად ფერადები ჩვენში არ არიან? ბუნებითი გინდა თუ ხელოვნური, დედიშობილა თუ შეღებილი? ათიოდე მარტო ჩვენ სოფელში დავითვალე.

— ქალო, რას გეუბნები: ძალიან დაადი-მეთქი, ძალი! თორემ მე ვიცი შენი! არ გეყურება ჩემი სიტყვა?

დიასახლისს თითქოს არც კი ესმოდა ქმრის მუქარა — ისევ ისე გაანჩხლებული განაგრძობდა თავნება გერის ძაგებას.

— შეხედე ერთი მაგ კუნაპეტს, მაგასა! თვითონ მუგუზლივით ჩამწვარ-ჩაშავებულია და მზეთუნახავი არ მოინდომა, — ესა თქვა ქირქილით ყმაწვილკაცმა.

— ასეა და რა ვქნა?

— ძალიან შორს წასულა მზეთუნახავითვინ! — ჩაიცინა ყმაწვილკაცმა.

— აკი ეამბობ: ბავშვობაშივე ვიგრძენი. შორი გზას უმიზნებდა... ფეხს რო აიდგავდა, ძალიან შორს წავიდოდა.

— ჰო, ჯერ ჩვენ სოფელში ქერა გოგოები რამდენია. ერთი ხუთი ჩალისფერთმიანი და... ორნიც, ტყუპები — მზისა და მთვარისა წითელთმიანები არ არიან?

— რძალო, ალბათ იქ ვიღაცასათვის პირობა ჰქონდა მიცემული და როგორ უღალატებდა?!

— ფიცი და პირობა ვიღას ახსოვს.

— როგორ არა? ჯარისკაცის ფიცი სხვაა, რძალო.

— აბა, მე რა ვიცი! ასე კი მოიქცა!

— აკი ვიგრძენი ბავშვობაში, ფეხს რო აიდგავდა ძალიან შორს წავიდოდა. აჰა და ანდე!

— შენც რაღას აიკვიატე ეგ ფეხის ადგმა, არ ვიცი?

— აი, რას ავიკვიატე, რძალო. ბავშვობაში ემანდ კაკლის ჩრდილში ვიჯექით ხოლმე. მაგაზე ხუთი წლით უფროსი არ ვიქნებოდი? ჰო, ასეა? კარგად მახსოვს, ეს ფეხი უკვე დაშავებული მქონდა. ვეუბნებოდი: ეჰ-მეთქი, ეს ფეხი რომ საღათა მქონდეს, რამდენს ვივლიდი! იმ სერებს

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ
ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲒᲐᲛᲘ

სულ ერთიანად შემოვირბენდი-მეთქი. მაშ, რძალო! ლაპარაკი უკვე კარგად იცოდა, რაზედაც გინდა გესაუბრა. იმ ხნისა იყო, ყველფერი რო ესმოდა და პასუხსაც მოგაგებდა. ახლა-ცა ვფიქრობ, რატო ვერ ისწავლა სიარული იმ ასაკში.

— მე უკვე რძალი ვიყავი ამ ოჯახისა?

— მაშ, რძალი იყავი... რა ვქნა. ტაატით არავის უტარებია. ბიჭის გადადგმას არავინ არ ასწავლიდა. თვითონ კი მარტო ფორთხვა ისწავლა.

— მაგას მართალს არ ლაპარაკობ! რაღაც არ მჯერა! — თითქოს იუკადრისა დედაბერმა.

— მართალს ვლაპარაკობ ამ ჩემმა სიყრმემ, მართალსა.

— არ მჯერა მე ეგეები.

— აი, ყური დამიგდე რძალო. ამ ჩემმა სიყრმემ — თქვა ალგზნებით და ყბაზე სილა გაილწუნა, — ჰოდა, ემანდ კაკლის ჩრდილში ვიჯექით ხოლმე. ერთხელაც ვუთხარი: ადექი, ბიჭო. ეეყოფა-მეთქი სიზარმაცე, გაიარ-გამოიარე . განა ვზარმაცობ, მეც მინდა გავიარო, მაგრამ მეშინია. წავიქცევიო. მაშინ მივხედი, ის ბიჭი ფეხს რო აიდგამდა, ძალიან შორს წავიდოდა.

ასე გაცხარებით ლაპარაკობდნენ. დედინაცვალი ქირდვით იხსენიებდა გერს, რომელმაც მოხუცები ამ ყოფაში მიატოვა. არც შიათ და არც წყურიათ, მაგრამ... დამჯდარიყო სახლში ლაშაზთა, შეერთო სოფელი ქერა გოგო და აგერ, ამ შემოდგომაზე ქორწილი გადაეხადა.

ბერიაკი გიგლა ნეკერჩხლის კუნძზე იჯდა. ზოგჯერ ფიქრსა და ოცნებებიდან გამოერკვეოდა, დაუტატანებდა ენადგაკრეფილ დედაკაცს. დროდადრო ზანტად იმზირებოდა მდინარის გალმა. ხედავდა გზასა და ხიდის ყურეს შემოდგომის რუხ-ყვითელ წიაღში. გზისპირას ლაფისფერად შეღებილი ფარდული იდგა. თავზე წვერწამახული, ბუჩქნარით აღივებული კორტოხი წამოდგომოდა და ფარდულის შიგ შედგმულად მოჩანდა. იქ ეგზეკუტორები ყოველთვის ირეოდნენ. მომსვლელ-დამხვდურნი და გამცილებლები ერთხანს ფარდულთან ბანცალობდნენ, მერე კი სიმღერით მოდიოდნენ სოფლისაკენ. ზემოთიდან მომავალი გზა არ ჩანდა. ავტობუსი უჩუმრად შეიპარებოდა ხიდის ყურესთან, ფარდულთან ზლაზვნით ჩერდებოდა. დაბა-ქალაქის გზა კი ქვემოთისაკენ იდო. ჯაგცხელასა და შვინდლარწას ოლეებს გასწვრივ.

გიგლამ სამჯერ მოვლო ახმაურებული გზები პირველი მსოფლიო ომის დროს. სამი ჭრილობა ჩამოიტანა: გერმანელებმა ფეხში დაჭრეს ნაღმით, ოსმალებმა ტყვიით ხელის მტევანი გაუხვრიტეს შუათითსა და არათითს შორის, თეთრგვარდიელებმა ყვრიმალი გაუჩეხეს.

ბერიაკის მეხსიერებაში იღვიძებს წარსული, ოსმალეთის ფრონტი. ეფრეიტორმა ყარსის ბრძოლებში მიიღო გიორგის ჯვარი ჯილდოდ. შემდეგ დაიჭრა ჯოროხის ხეობაში და „გრუზინსკი ცერკოვში“ გაგზავნეს. ძველისძველ ქართული საყდრის გვერდით იყო საველე ჰოსპიტალი. იქ შეხვდა გიგლა მოწყალების დას, თერგელ კაზაკ გოგოს, რომელმაც მოხიბლა ყმაწვილკაცი. წმიდა მარიამის ქალთა სასწავლებლიდან წამოსულიყო ომში მოხალისედ. ტანმორჩილი იყო, ეუფუნა შუქი უცალებდა თვალებში და ლაპარაკისას მიამიტად გული ყელში ეჩრებოდა. იყო წრფელი და მზრუნველი. დაჭრილები ძმებივით ექცეოდნენ.

მდინარის გალმა დაბა-ქალაქიდან მომავალი მანქანა ოლეებს გამოპყვა და დგანდგარით გაჩერდა. მგზავრები ჩამოვიდნენ. ზოგნი ფარდულთან დაყოვნდნენ, ზოგნი კი ხიდის ყურესთან ბორცვებს მიეფარნენ, რომ სოფლისაკენ მომავალ ბილიკზე გამოსულიყვნენ. გზადაგზა ბილიკი იტოტებოდა, ზოგმა მარჯვნივ გაუხვია და ზოგმა მარცხნივ. მათი უბნისაკენ მიმავალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცალფეხოს ორნი შერჩნენ. მაღალი ჯოხის ბიჯგებით მიდიოდა. დაბალს კი ტკბილი ეკიდა ზურგზე. ხშირად ჩერდებოდნენ და თითქოს მიდამოს ათვალიერებდნენ.

„აღმა-ჩაღმა“ მოსიარულენი იქნებიან — ბერიკაცი ასე ეძახდა ტურისტებს, რომლებიც ძველი ციხისა და საყდრის მოსათვალიერებლად ამოდიოდნენ ხოლმე მათ ხეობაში.

ბერიკაცმა კვლავ ჩაყვინთა ოცნებებში. ჰო, ასე იყო: იგი საველე ჰოსპიტალში იშუშებდა ჭრილობას. მსუბუქად დაჭრილები საყდრის გვერდით კარავში იყვნენ მოთავსებულნი. ჰოსპიტლის მოსამსახურეებს ეძმარებოდნენ, ზოგჯერ ახლო-მახლო ტყეებშიაც დადიოდნენ კენკრასა და სოკოს საკრეფად.

ბერიკაცი ძრახავს თავისთავს — ადამიანებთან ურთიერთობაში მოუხეშავი იყო, ასეთად დარჩა ბოლომდე. იგი თითქოს ყველასთან სამხედრო „უსტავით“ იხდიდა ვალს ურთიერთობაში. ეკეთებოდა ყველასთვის უცნაურ კაცად ჩანდა, მხოლოდ ერთმა, მეზარბაზნე ტიხონმა მიაგნო მის ხვაშიადს, ჯერ დაარწმუნა საკუთარ გრძნობაში გიგლა, აღაგზნო მოწყალების დისადმი სიყვარულით, როცა ეს გრძნობა საუკარაოზე გამოუტანა.

მხიარული მეზარბაზნე და მოწყალების და ზოგჯერ გიგლას თანდასწრებითაც კი ლაპარაკობდნენ ეფრეიტორის უბრი სიყვარულზე. ქალი ყოყმანებდა გიგლას მშანთავ გამოხედვას და მეზარბაზნის ნაზ, მოქალიკე სიტყვებს შორის მოქცეული. პირველს წინშო, მეორეს კი გაბუტული წყრომით ეპყრობოდა.

ერთ ღამით სავსე მთვარე არე-მარეს რომ აკაშკაშებდა, ქალი იქვე, მდინარეზე ჩასულიყო წყლის ამოსატანად. გიგლა შორიახლოს დაელოდა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ქალმა, შიშნეულმა თრთოლვამ რომ გაუარა და მასთან ახლოს, სულ ახლოს მივიდა.

— გყარაულობდი, — აღმოხდა ეფრეიტორს.

— არ ვიცი რა ვქნა? ახლა ომია... მაგაზე ფიქრი როგორ შეიძლება. ღმერთი არა გწამს? მეშინია შენი.

—საშიში კაცი რო არა ვარ.

— მეშინია... — გაიმეორა ქალმა — მეზარბაზნე მატყუებს.

— მართალს გეუბნება!

— მატყუებს შენზე იოლი ლაპარაკით... შენ ორი გიორგი ხარ, — ქალური ზრუნვით შეეხო ეფრეიტორის მკერდზე გიორგის ვერცხლის ჯვარს — თქვენ ერთმანეთს ჰგავხართ. შენც მედგარი ხარ და ძალოვანი... მეზარბაზნე, მეზარბაზნე კი გალაზღანდარებულ სიყვარულზე მელაპარაკება, სხვა კაცზე, სხვა ეფრეიტორზე.

ეფრეიტორმა ქალს ხელი მოჰხვია.

— თავი დამანებე! ხომ გითხარი. მეშინია... ახლა ომია... რამდენი საშინელება ვნახე, რამდენი ჯარისკაცი დაიღუპა ჩემს ხელში. ზრუნვას არ ვაკლებთ, მაგრამ მაინც იღუპებიან. ჩვენი ჰოსპიტალი ყველგან სასაფლაოებს ტოვებს. სულ ერთია, უკან ვიხევთ თუ წინ მივდივართ, ვმარცხდებით თუ ვიმარჯვებთ... ღმერთს ფიცი და აღთქმა მივეცი, ამ ქვეყნიდან უნდა წავიდე თუ მოვესწარი ომის დამთავრებას. წავალ მონასტერში.

ეფრეიტორი ქალს ტლანქად იკრავდა მკერდზე.

ხეების ვარჯების მიღმა, მთვარით განათებულ სივრცეში საყდრის უჯვრო გუმბათი მოჩანდა. ქალი იქით იღერებდა ყელს და თანაც კიცხავდა ეფრეიტორს:

— ნუ ცოდავ, ქრისტიანო! ნუ წაიწყმედ სულს! — იგი დრო და დრო სწვდებოდა ეფრეიტორს მკლავში და პირჯვარს აწერინებდა. მერე დაუსხლტა, პირქვე დაემხო და აქვითინდა.

ეფრეიტორი შეცბა. გაქცევებული

ადგა თავზე მტირალ ქალს, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ბოლოს, როგორც იქნა, წამოაყენა.

— ღმერთო! მომიტევე ცოდვანი ჩემნი!

ბერიკაცი ოცნებიდან მაშინ გამოერკვა, მოგზაურნი ეზოს კარს რომ მიადგნენ. ჰო, ისინი იყვნენ: მადალს ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა, მეორეს მხარზე ზურგჩანთა მოეგდო და წინ მოუძღვებოდა გაბედული ნაბიჯით.

— რა დგემართა, ბიჟო? — ჰკითხა დედაბერმა მეზობლის ყმაწვილაცს, — ასე რამ გაგაოცა?

— აბა, შეხედე! — ტაში შემოჰკრა და ომბოხოზე ციბრუტივით შემოტრიალდა

— საოცრება გინდა მაჩვენო?

— ანდე, თუ არა!.. აკი ამ წუთში მასზე ელაპარაკობდით. გერი ჩამოგავიდა პატარძლითა. მიდი, მიდი მეეგებე, რას გაჩერებულხარ?

დედინაცვალს უეცრად მოერია გრძნობა. ეცა ქალს ვიშვიშითა და ქოთქოთით. ეალერსებოდა და დაფოფინებდა, გარს უვლიდა, თვალიერებდა. კიცხავდა გერს და რძალს ქალობას უქებდა.

ბერიკაცი იქვე იდგა შეცბუნებული: ცოლის საქციელი ახვედრებდა, რომ მის ვაჟშვილზე ერთი ციდათი მაღალი, კაცურად ჩაცმული, შარვალ-ხალათიანი ქალი რძალი უნდა ყოფილიყო. ქალს თმაც კაცურად ჰქონდა შეკრეჭილი. კუშტად იცქირებოდა მაღალ ღაწვებსა და ამობურცულ შუბლს შორის ღრმად ჩამჯდარ წვრილ, ჩხი ა თვალებიდან.

გერმა ზურგჩანთა კარებთან ჩამოდო თითქოს ხელი მოინაცვლაო და დამხვდურთ მიმართა:

— გაიცანით... ჩემი ისმეა.

ქალმა სამივეს ხელი ჩამოართვა.

— მადროვეთ ცოტა ხანს. ამ ... სამხარის გავამზადებ, — თქვა დედაბერმა, სასიყვარულო აღტყინება რომ დაუცხრა.

— იჩქარე, დედი, ბოლო ავტობუსს უნდა გავყვეთ, — უთხრა გერმა.

— რატომა? — იკითხა მეზობელმა.

— ვერ გავიგე, რას მოასწავებს შენი ნათქვამი? საით მიეშურები? — გაიკვირვა დედაბერმა.

— ტურისტებთა ვართ ჩამოსული. ჩვენ ჩვენი მარშრუტი გვაქვს... ჩვენებს ქალაქში უნდა დავეწიოთ. ხომ ვერ ჩამოვრჩებით?

— ჰოო! — თქვა ყმაწვილკაცმა. აკი ვიცოდი!

— ვიშ, ვიშ!... ღმერთმანი, მოხუცს ნე გაგეგებინებთ, თორემ განრისხდება. — შეეხვეწა დედინაცვალი გერს, — კიდევ კარგი, რომ ამ ბოლო დროს ყურს უფრო დაეკლდა და ვერ გაიგონა შენი ნათქვამი.

მეზობელმა ბიჭი განზე გაიხმო.

— მაშ უნდა წახვიდე?

— უნდა წავიდე. ძალიან კარგად მოვეწყვე ქალაქში. სამუშაოცა მაქვს და საცხოვრებელიცა. აბა, სოფლად რა დამრჩენია? მე შოფრად ვმუშაობ, ნასტია კი ბრიგადირია მშენებლობაზე.

— აკი ასე ვიცოდი. შენ იცი შენი საქმისა.

დედაბერი სამხარის მზადებით იყო გართული. ბერიკაცი ნეკერჩხლის კუნძს დაუბრუნდა. იცქირებოდა მდინარის გაღმისკენ, სადაც შარაგზა დაბა-ქალაქისაკენ მისდევდა ჯანგრეხილასა და შეინდლარწას ოლეებს. ვერ მიმხვდარიყო, რომ მისი ვაჟიშვილი და პატარძალი „აღმა-ჩაღმა“ მოგზაურები იყვნენ და საღამოჟამს იქაურობას გაეცლებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიყური

მთვარე დაღამებისთანავე სწრაფად ამოვიდა მთაგრეხილის მიღმიდან. ბრგეალი და ყვითელი მთვარე, დაბა-ქალაქი ირიბი შუქითა და ჩრდილით ავსო. აილანძნენ კრამიტის სახურავიანი, აივნიანი სახლები, მაღალი ვერხვები და გუმბათოვანი ჯადრები.

მნათობს წინ მთელი ღამის სავალი გზა ედო დაბა-ქალაქის ცაზე. დილით ეწერთან დაათენდებოდა რკინიგზის სადგურის უბანში, სადაც ყოველი წლის შემოდგომაზე რაიონის საოფლო-სამეურნეო გამოფენას აწყობდნენ.

დაბა-ქალაქის მიმდებარე უბანში, ადრე სოფელი რომ იყო და მხოლოდ ახლახან შეერთებოდა დაბას, ერთ-ერთი სახლის აივანზე სუფრას სამნი უსხდნენ. დიასახლისი სტუდენტი ქალიშვილის სანახავად ქალაქში წასულიყო, ამიტომაც სუფრას ქალის მზრუნველი ხელი დაკლებოდა.

მასპინძელს სავსე დოქი გვერდით მიედგა. მორიგი ჭიქის შესმამდე თვითონ უვსებდა სუტმრებს სასმისს და უგრგრალოდ ამბობდა სადღეგრძელოს. სტუმრები ჯერ არ იყვნენ შეესული სმის ეშხში, სადღეგრძელოდან სადღეგრძელომდე დუმდნენ, უხერხულად და მოთმინებით ელოდნენ მასპინძლის ამეტყველებას. მასპინძელს კი სალაპარაკოდ კრიჭა ერთი ბოთლის დალევის მერე ეხსნებოდა, მაგრამ ამ საწყაოსთვის ორიოდე ჭიქა უნდა მიემატებინა, რაკი წერტში ნაყიდ წყალწყალა ღვინოს სვამდა.

იმ ღამით მასპინძელი მაინც ალაპარაკდა, მაგრამ მონათლული ღვინის წყალობით კი არა, არამედ შემაცბუნებელი და შემაშფოთებელი სინამდვილით, რომელმაც დღეს პირისპირ, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ზმანებას, მოჩვენებას შეჰყარა.

„— ოჰოჰო, ჰო! ოჰოჰო, ჰო! — თეთრონი ულაყის ჯიხვინი აღშფოთებდა ხალხს — ოჰოჰო, ოჰოჰო!“ — — იძახდნენ აქეთ-იქიდან.

ამაყად კისერშემართული ცხენი ადგილზე როკავდა, ფაფარი მუხლების კვირისტავებამდე ჩამოშლოდა, ჯიხვინებდა და ფრუტუნებდა. გვაჯი გრძნობდა, ცხენის დაძაგრული კუნთები სხეულიდან ამოხტომას ლამობდა, თრთოდა და ცახცახებდა, სივრცეში გაანევას, ჭენებით დაღლას ესწრაფვოდა. მყესები აწყვეტას ეშურებოდა.

გვაჯი მიჰყვა ცხენის ჯიხვინს, მაქებარ შეძახილებს და ....მასაც აღმოხდა: „ოჰოჰო, რა ცხენია! რაშია ნამდვილი!“

— „ოჰოჰო, რა ცხენია! რაშია ნამდვილი!

თეთრონი სადავეს ართმევდა მხედარს. მხედრის მარცხენა ლოყაზე კიბორჩხალასავით გართხმულიყო ნაიარევი.

გვაჯი შეკრთა, მხედარს დააკვირდა. მხედარმა სადავე მარცხენა ხელში გადაიტანა, ცხენს კისერზე ხელი მოხვია და წამსუმალ მოახტა. თეთრონი ყალყზე შედგა. ხალხი რიდითა და მოკრძალებით ჩამოდგა. გვაჯი გაოგნებული იდგა წრეში, ცხენის პირისპირ. ყალყზე შემდგარი თეთრონი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა მისკენ, თითქოს პირისახეში ტორებსა სცემდა.

— ჰაი, დედასა... ჯოღორისკუა! — დასჩყივლა მხედარმა და მათრახი გააწუილა. სადავე მიუშვა, ქუსლი ჰკრა — გაფრინდა, ირაო შეკრა.

— ოჰოჰო, ჰო! რაშია ნამდვილი, რაში! — იძახდა ხალხი და ტორტმანობდა.

თეთრონი ეწერს გაეკრა.

— თხუთმეტი წელიწადი შესრულდა... ტყვედ დღევანდელ დღეს ჩავვარდი, — თქვა სინანულით მასპინძელმა და სტუმრებს ჭიქები შეუვსო.

გიორგი მაისურაძე
ბოთხროგები

— ჰოჰ, ალუაში რომ მოხვდი? — თითქოს ბოდვში მოხდაო, შეარბილა მასპინძლის ნათქვამი გრძელცხვირა, შავშავმა კაცმა.

— შავი დღე იდგა, შავი! იმ დღიდან უკუფმა დატრიალდა ჩემი ცხოვრების ბორბალი... თავზე კორიანტელი გადაგვდოდა, გვიშენდნენ ყუმბარებსა და ნაღმებს. თვითმფრინავები გვბომბავდნენ. კაცი ქვემძრომად რომ ქცეულიყო, თავშესაფარად სოროსაც კი ვერ იპოვნიდა, ისე იყო დედამიწა გადახნული. გავარვარებული ჰაერი ფილტვებსა გვწვავდა.

გრძელცხვირა, შავშავ კაცს ყურთასმენა მასპინძლისადმი ჰქონდა მიპყრობილი. თანაგრძნობით გამოხატავდა სინანულსაცა და განცვიფრებასაც. მეორე სტუმარი, ვეება კაცი თვლემდა და ყვინთავდა საკუთარ უჯმაჯურ გარსში. ზოგჯერ თვალს დაჭუეტდა. წარბებს გაიკლაკნდა, თითქოს თვალწარბით უსმენსო, თითქოს ბაგშვური სიბეჯითითა და ახირებულობით საკუთარ თავს დახუჭობასას ეთამაშებაო.

— მეტყვიამფრქვევე ვიყავი, — განაგრძობდა გვაჯი, — მეორე ნომრად ჩემი სეხნია. გვაჯი კოლონაია მყავდა. ჰაი, დედასა! ჯოღორისკუა გვაჯი! ის რომ არ აჩქარებულიყო, ალუაში ჩავარდნას გადავრჩებოდით, ალბათ სხვანაირად წავიდოდა ჩემი ცხოვრება.

— ჰოჰ, აჩქარდა? — იკითხა საყვედურით გრძელცხვირა, შავშავმა კაცმა და გაფაციცებით მიაპყრო ყური.

— მტერს ირიში ირიშზე მოჰქონდა. სულ უფრო ახლოსა და ახლოს მოიწევდა. თქვენ რომ გიცქერთ თითქმის აი, ასე ვხედავდი მათ სახეებს. იმ დღეს ზედიზედ ხუთი ირიში მოვიგეთ. ხუთწყებად დავაწვინეთ მტრის რიგები. კიდევ ერთხელ გვეკვეთენ. ამ დროს მომხვდა ტყვია მხარში. კიდევ შემეძლო ბრძოლა, მაგრამ ტყვია გამოგველია. „ტყვია გამოგველია, გვაჯი“ ვეკითხები. „გამოგველია“ — მპასუხობს იგი.

— ვაი, ამ დღეს!

— კიდევ დაგვატყდა თავზე მტერი ცეცხლი. იჩქარა გვაჯიმ. ჯოღორისკუა! კვამლში გაეხვია მიდამო. ლანდად ვხედავ გვაჯის, უკან იხევს. პირისახეს მარიდებს. ვეძახი და ხმას არ იღებს. ისევ კვამლმა დაფარა იქაურობა. მაშინ მეორე ტყვიაც მომხვდა.

გვაჯი შეტოკდა, თითქოს იმწამს მოხვედრილიყოს ტყვია. შემდეგ ომის გარდასულ ხმაურს დააყურა. ცხენის ფრუტუნი მოესმა. გამოკრთა გამოფენაზე ნანახი თავმომწონე მხედარი. მარცხენა ლოყაზე ნაიარევი კიბორჩხალასავით რომ გართხმოდა.

— აჩქარებულა, ძალიან აჩქარებულა, გვაჯი, შენი სეხნია. — უთხრა გრძელცხვირა, შავშავმა კაცმა.

— გრძნობა დაკარგე, — წამოიწყო მასპინძელმა დაყოვნებით, — რომ გამოვერკვევ, ვხედავ: ვიღაცას ზურგზე მოკიდებული მივყავარ ჩაქჩაქით. „შენა ხარ, გვაჯი?“ — ვკითხე. „მე ვარ“ — მიპასუხა. „რატომ მიგყავარ მზის დასავლისაკენ? ამის თქმაღა მოვასწარი, კვლავ მიმეხადა გრძნობა.

— ვაი, ჩემო თავო! — აღმოხდა მოსაუბრეს.

უჯმაჯურმა წარბები შეაფრთხიალა, მაგრამ იმწამსვე თვლემას მინებდა.

— იმის მაგივრად რომ ჩვენებთან გამოვეყვანე, ზურგით წამიყვანა ტყვეობაში მზის დასავლეთით. შორიახლოს გეომანელები სროლითა და ყაყანით მოგვდევდნენ. როგორც იქნა, მივაღწიეთ რკინისგზის სადგურს. ძალ-ღონე მოვიკრიბე, მინდოდა ალიყური მეტკიცა, მაგრამ გამექცა. ამის შემდეგ აღარსად შემხვედრია. არ ვიცი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. ბიჭები შემიდგნენ მხარში და სატვირთო მატარებელში ამიყვანეს. მას შემდეგ რამდენი გაჭირვება და ვაიუბედურობა ვნახე! სად არ ვეთრიე: ტყვეც ვიყავი და პარტიზანიც, მშიერიც ვიყავი და მწყურვალიც. რამდენი წელიწადი გავიდა, სანამ შინ დაბრუნდებოდი.

— ის შენი სეხნია მარტოდმარტო

თუ ვერ გაექცა მტერსა და ტყვედ მაინც ჩავარდა, უკან დახევაში რომ დაგბრძარებოდა, ალუდან ხომ მაინც ვერ გახვიდოდით? — ჰკითხა გრძელცხვირა, შავშავმა კაცმა.

— რაღა იქნებოდა ამაზე მეტი? იჩქარა, ეტყობა შუა გზიდან მოაბრუნა სვინდისის ქენჯნამ. აი, ზურგზე რომ წამომიკიდა, მაშინ ჩავვარდით ტყვედ. იქნებ გაგვეცწრო, თავიდანვე რომ ცდილიყო ჩემს წაყვანას?

— იქნებ მკვდარიც ეგონე და თავიდანვე იმიტომ აღარ მოგეშველა.

— მკვდარი კი უნდა ჩავეგდე იმათ ხელში?

— გვაჯი! — მოისმა ძახილი ორღობედან.

— ვეღარ გამოასწორა შეცდომა. კაცს თუ გასწორავ, მერე რაღას დაიხსნი? ასეა — თქვა გვაჯიმ.

— ვიღაც იძახის. — ამოიძახა უჯმაჯურამ.

— გვაჯი! — კვლავ მოისმა ძახილი.

მასპინძელმა და სტუმრებმა დააყურეს.

— მართლაცდა ვიღაც იძახის, — თქვა მასპინძელმა.

— ჩამოდი აქ ერთწამს! — მოისმა ორღობედან.

— რომელი ხარ მანდ? — ჰკითხა გვაჯიმ გვიან სტუმარს, როდესაც ადგა და აივნის მოაჯირს გადაეყუდა. — რომელი ხარ? ხმა ამოიღე!

— მე ვარ... ჩამოდი აქ ერთ წუთს.

— ამოდი ზევით. რომელი ხარ? ხმაზე ვერა გცნობ.

სამგზავრო მატარებელი რახრახით გავიდა სადგურიდან. მიძინებული ქალაქი აახმაურა.

— ამ მატარებელს მოჰყვებოდა, — თქვა გრძელცხვირა, შავშავმა კაცმა და მოაჯირისაკენ გადაიხარა.

ორღობეში ცხენმა დაიფრუტუნა.

— ცხენოსანი ყოფილა, — თქვა უჯმაჯურამ.

— ცხენოსანია უთუოდ, — გაეპასუხა გრძელცხვირა, შავშავი კაცი.

გვაჯის თვალწინ დაუდგა საკოლმეურნეო გამოფენაზე ნანახი თეთრონაგვი თავისი მხედრით, მარცხენა ლოყაზე კიბორჩხალა ნაიარევი რომ გართხმოდა. გვაჯი კიბეზე ფეხათრეული ჩავიდა.

ორღობეში მართლაცდა თეთრონი გამოჩნდა. მხედარი ცხენს ძლივს იოკებდა. ცხენი ღობესთან მიაგდო. გვაჯიც მივიდა ღობესთან. ერთხანს მდუმარედ უცქერდნენ ერთმანეთს. ბოლოს გვაჯიმ ჰკითხა:

— რა გინდა, კაცო, არ იტყვი?

— მე ვარ, ვერ მიცანი? — ჰკითხა მხედარმა და მისკენ გადაიხარა. პირისახე ახლოს, სულ ახლოს მიუტანა.

— ჩემმა მზემ, ვერ გიცანი?!

მხედარმა გადაიხარხარა.

— ეჰა, კარგად დამაკვირდი. მე ვარ გვაჯი კოღონაია.

— გვაჯი კოღონაია?.. ასეთს არავის ვიცნობ.

— კიდევ კარგი, რომ შენი სახელი და სახელოვნება ჩემთვის არ დაგნანებია... ჰო, მე ვარ გვაჯი კოღონაია, ვისზედაც ამ წუთში ლაპარაკობდი. ახლა ხომ მიცანი?

— რას ამბობ, კაცო?!

— მაინც არ გჯერა? რატომ არ შეიძლება ვიყო გვაჯი კოღონაია? ასეთი კაცი არ არსებობს ქვეყანაზე? ნუ არსებობს. შენ ხომ ასე დამარქვი. ბაზრობაზე გიცანი და ახლა მოგაკვლიე... აგერ, რა ხანია აქ ვარ ორღობეში და ვისმენ შენს ლაპარაკს. განა, გვაჯი კოღონაიას არ მარქმევდი? ჰო და მეც ისა ვარ, ვიზედაც შენ ლაპარაკობდი.

— ის კაცი, ვიზედაც მე ვლაპარაკობდი საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპულა, — უპასუხა გვაჯიმ ყოყმანით.

— მკვდრეთით აღვსდექი!

გიორგი ვაისუბაძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ როგორ შეიძლება? შენ ხუმრობ, ამხანაგო!

— ჰო, ასე მოხდა, მაგრამ მე შენთან გვაჯი კოღონაიად კი არ მოვედი, არამედ იმ კაცად, რომელსაც შენ მიცნობდი და სინამდვილეში ვარ კიდევაც.

— ჰო... ვხედავ. რომ მოსვედი.

— მე ვიყავი თუ შენ ტყვიამფრქვევზე მეორე ნომრად? მიპასუხე! — ჰკითხა ცრუ სენნიამ.

— მე ვიყავი.

— ტყვედ ჩავარდნის დროს ვინ დაიჭრა?

— შენ დაიჭერი, — უპასუხა ნამდვილმა გვაჯიმ.

— ვის ვინ მიჰყავდა ტყვეობაში ზურგმოკიდებული?

— მე მიმყავდი.

მხედარი ცხენიდან გადაიხარა და სილა გააწნა.

— ეს ის ალიყურია, გვაჯი, რამდენიმე წლის წინათ რომ უნდა მეტიცა შენთვის... გაპატიებდი, მაგრამ შენ თვითონ ხომ არ მაპატიე... გვაჯი კოღონაიას?

— ღმერთმა დაწყევლოს, გვაჯი კოღონაია... ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია... ავჩქარდი... ავჩქარდი!

მხედარმა თეთრონი მიაბრუნა და ორღობეს ჭენებით გაუყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაშვილობა

მადლობას გუხდი იმ ჩემს წინაპარს,
რომ არსებობდა სხვაგან კი არა,

არამედ ამ ცის და მიწის შუა.
გადმომცა სისხლი და მიწილადა
განუკურნელი ერთი იარა
და მეზობლისთვის საჭირო ჭკუა.

არაფერსა ვთხოვ მაღლა ზენაარს,
მე დაბადებაც მეყოფა ბედად,
ველზე ვბიბინებთ მე და ბალახი.
ქართული ჩემი დედა ენაა,
გორია ჩემი ადგილის დედა,
ხოლო თბილისი — დედაქალაქი.

დო-რე-მი-ფა-სო-ლა-სი

მარტოდმარტო ვარ.
რა ცივია ჰაერი ამ დროს.
ხელი ტკაცუნებს, ვერ ისვენებს,
რაღაც ეჭვი აქვს.
მე არ მიმეღავნებს,
მაგრამ ვიცი, ვიღაცას ნატრობს,
ის შენი ხელის ჩამორთმევას
გადაეჩვია.

თეთრკბილებიან პიანინოს
მოვსინჯავ რიდით,
შენი აჩრდილი
ოდესმე აქ თავს დამხაროდა.

და რომ ერთ კლავიშს
მხოლოდ ორჯერ შევეხო თითით,
შენს ლამაზ სახელს
გამოვიწვევ სხვა სამყაროდან.

❀

არავინ იცის
ეს თამაში რით დამთავრდება,
ვის სასარგებლოდ
გადაწყდება გაფლანგვა მელნის.
ღირს კი წრიალი
ბობოქრობა ახლა ამდენად, —
ამას მსაჯული გაარკვევს მერმისს.

ჩემი ოცნების
თეორო კოშკო, ნუთუ მენგრევი,
ნუთუ ხელებს იმ
იმედისკენ ამაოდ ვიწვდი,
რომ ერთი-ორი
ლექსით დარჩა დუტუ მეგრელი,
როგორც ნუგეში ჩემთვის და სხვისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ხვალ უკეთესი იქნება დარი,
მამშვიდებს ჩემი ეჭვი და რწმენა...
ოღონდ გათენდეს და შენი ვალი
კვლავ მქონდეს, როგორც მქონია ძველად.

ხვალ უკეთესი იქნება დარი
ვისაც მზესთან და მთვარესთან სურდა!..
ოღონდ მივიდეს ნაპირთან ნავი. —
ოღონდ... უჩემოდ მივიდეს თუნდაც.

საგაგაფხულო

ახლა საითაც უნდა გაფრინდე
შენ არავისში არ შემეშლები...

ყოჩივარდებმა გადაგირბინეს —
შეგაბეს ყელზე ლურჯი ეჟვნები,

ახლა საითაც უნდა გაფრინდე
შენ არავისში არ შემეშლები.

●

თვალს უკეთესს რას დავადგამ,
ან უკეთესს რას მაჩუქებ.

მეჩვენება, გაზაფხული
ისევ ჩემთვის უკრავს ბუკებს.

შემარიგე ველის ყვავილს,
შემარიგე ჩემს მომდურავს.

მიწაზე თბილს რას დამიგებ,
ცის უკეთესს რას დამხურავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშეფოსრით, ქალბატონო!



თვალუწვდენელი მინდორი. დიდი კოპიტის ქვეშ გაშლილია სუფრა. წვეულებაზე შეკრებილ შავჩოხიან ყმაწვილებსა და გრძელკაბიან ქალებს შორის განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა ერთი ყელშეღერებული გოგონა, თავმოდრეკილ კორნეტს რომ შეჰყურებს ღიმილით.

ეს გოგონა მე მიყვარდა.

ფოტოსურათი ძველი და გაცრეცილი იყო. პირველად ბებიას არქივში წავაწყდი ამ სურათს და ქალის ვინაობით დავინტერესდი. მას ერქვა სალომე და ბებიას ყმაწვილქალობის მეგობარი იყო.

ექვსი წლის ბიჭი უგონოდ შეყვარებული ფოტოსურათზე საშინლად ვეჭვიანობდი გრძელულვაშა კორნეტზე.

●

სუფთად და მხიარულად თოვდა.

ბებია მისი მეგობრის სახლამდე მივაცილე და წასვლა დავაპირე.

— გია, თუ შეგიძლია ორი საათის შემდეგ გამომიარე. ახალ წელს შევხვდები და წამოვალ. თუ არ შეგიძლია?..

— არა, გამოგივლი, მაგრამ...

— თუმცა... მოდი დარჩი ჩემთან ერთად...

— მაღლა ამოგყვე?

— ხო, რა მოხდა ასეთი, ორი საათი არ გაგიძნელდება ჩემს ბებრუცანებთან. ბებია მუდარით შემყურებდა.

— კარგი, ამოვალ.

ბებიას ძალიან გაეხარდა და შუბლზე მაკოცა.

— წარმომიდგენია, როგორ გაუკვირდებათ... სხვათაშორის იცი ვინ იქნება დღეს ნინოსთან?

— ვინ?

— ქალბატონი სალომე... შენ რომ გიყვარდა.

— რაა?

— გახსოვს ფოტოსურათზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამეღიმა, ისეთი გრძნობა დამეუფლა ბავშვობაში გაგონილ მელოდიას, მივიწყებულ და ხავსით დაფარულს, ხელმეორედ რომ მოისმენ.

●

პატარა მაგიდას სამი მოხუცი ქალი მისხდომოდა. ისევ ის გრძელი კაბები, ისევ გოგონები, ასე მობერებულნი... ადარსად იყო კოპიტი, ულვაშებიანი კორნეტი.

„კორნეტი მე ვიქნები". — გადაეწყვიტე და სათითაოდ ვეამბორე ხელზე მოხუცებს.

ქალები ძალიან გაახარა ჩემმა მოსვლამ, გაახარა და გააოცა.

ბებია ამაყად და ბედნიერად იღიმებოდა.

სათუთად გაშლილ სუფრას მივუსხედით. ოთახი პატარა და იისფერი იყო.

— სალომე სად არის? — ეკითხა ტანტმა.

— სარკის წინ კეკლუცობს ალბათ.

— ოხ, სალომკა, სალომკა, осталась такой же взболомошенной, — წამოიღუღუნა ქალბატონმა ელენემ.

— მან არც კი იცის, რომ აქ ძველი თაყვანისმცემელი ელოდება.

„როგორ?" — გაკვირვეს ქალებმა.

ბებიამ ფოტოსურათის ამბავი მოუყვა.

ყველა გამხიარულდა.

ზარის ხმა გაისმა და ოთახში ჟრიამული ატყდა.

— სალომკა, სალომე!

ამ დროს ერთი ბუტერბროდი ავწაპნე. მგელივით ვიყავი მოშიებული, ქალები კი ვახშამს არ ეკარებოდნენ.

ოთახში მინიატურული, ამაყი გარეგნობის მოხუცი შემოვიდა, თაფლისფერი თვალები მოავლო ოთახს და მეც შემომხედა.

დაუმთავრებელი ბუტერბროდი მაგიდაზე დავდე და გამოტენილი პირით ვეამბორე ხელზე. სევდა ვიგრძენი: „ეს არის ის ყელშეღებილი გოგონა, მე რომ მიყვარდა!?".

სალომე მოხდენილად ჩამოჯდა სკამზე და მოხუცების საუბარს შეუერთდა. სკამის ზურგს არც კი ეხებოდა. ულამაზესად გამართული იჯდა დედოფალივით.

„დიდხანს გასძლებს, ნეტავ?" — გავიფიქრე და წელში გავსწორდი. მაგრამ მალე ისევ მოვეშვი და სკამის ზურგს მივეყრდენი.

ნინომ ფოტოსურათის ამბავი გაიხსენა.

ქალმა გაიღიმა:

— წარმომიდგენია, როგორ მოეწყინა...

— გიას! — დავასწარი.

—მე ვიცოდი თქვენი სახელი.

— მე არა ვარ მოწყენილი.

— ძალიანაც კარგი, თუკი არ მოგეწყინათ.

ნინომ გიტარა მოიტანა. სალომემ ორიოდე აკორდი აიღო და გაჩერდა.

— გთხოვთ, სალომკა, იმღერე რამე!

— თუ ეს ახალგაზრდა რაინდი არ იქნება წინააღმდეგი...

— როგორ გეკადრებათ, მე...

— ხომ არ დაგველია ჯერ ცოტა?

— ღმერთო, სულ დამავიწყდა! — წამოხტა მასპინძელი.

კინაღამ ჟრჟოლამ ამიტაცა, ერთი ბოთლი ლიქიორი რომ შემოიტანეს.

— გიას არ ველოდით და მხოლოდ ეს გვაქვს... თუმცა კონიაკიცა მაქვს, მაგრამ ალბათ გია არა სვამს კონიაკს, თანაც ნახევარი ბოთლია, უკვე გახსნილი. და ვერ ვაკადრებ სტუმარს.

„მაკადრეთ, მაკადრეთ-მეთქი" — დავიგმინე კინაღამ, მაგრამ ბებიამ გამომიყვანა ამ მდგომარეობიდან.

— არაუშავს, ახალი წლის ხათრით. დღეს შეიძლება დალიოს.

კონიაკის დანახვაზე გავმხიარულდი. სალომემ უცებ მძლავრად ჩამოკრა ხელი სიმებს და ჩემსკენ შემოტრიალდა.

— Мальчик ты мой дерзкий...

მას წვრილი, მინაბაზეი ხმით აჰყვა ქალბატონი ტანტი, მშვენივრად მღეროდნენ.

ბებია თვალებში შემომციცინებდა, ღელავდა, კმაყოფილი ვიყავი თუ არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალომემ დაკვრა ისევ უეცრად შეწყვიტა, როგორც დაიწყო და გაიცინა.

— გრიფი დგას ძალიან მაღლა, ძნელია... თითები მეტკინა. გია, გვითხარი რამე!

— მომისმინე, თამრიკო — მიუბრუნდა ბებიას ელენე — Саломка кокетничает с твоим внуком.

ბებიას გაეცინა.

— და შენ გახსოვს, როგორ აწვალებდა ლევან ციცაშვილს?

— სულაც არ ვაწვალებდი. — იწყინა სალომემ.

— Нет, мучила! — დაასკვნა ელენემ.

სალომე გაფითრდა.

— მე კი მახსოვს, მისი დაღუპვის ამბავი რომ გაიგე, წარბიც არ შეგიხრია.

— არ გრცხვენია, ლენიკო, — უსაყვედურა ბებიამ, — სალომკა ძალიან განიცდიდა.

— ის კი გიყვებოდა! — დაიკივლა ქალმა. ეტყობა თვითონაც მოსწონდა ის ლევან ციცაშვილი.

— მე სალომეს ვეთანხმები — სუსტი ხმით წარმოსთქვა ტანიტმა.

— როგორ ამბობ ამას, ნიტიკო! — აღშფოთდა ელენე.

„ვაიმე, ახლა საუკუნის წინანდელი ანგარიშების სწორება რომ დაიწყონ“... — გაიფიქრე და წამოვდექი.

— ქალბატონებო, სანამ ახალ წელს მოგილოცავდეთ, მე თქვენი საღღვრძელო მინდა შეესვა.

მშიერი ვიყავი და სასმელმა ძალიან იმოქმედა.

— Сядьте около голубой чашки, она вам так идет! — მითხრა სალომემ.

მე სხვა სკამზე გადავბარგდი.

— იცით რას მეძახის, გია? — თქვა ბებიამ.

— რას?

— «Осколок ренесанса!»

სალომე დაღონდა. ბიტარა გვერდზე გადადო და ლიქიორი მოსვა. ისევ წელგამართული იჯდა.

— თქვენს ნებართვით, სიგარეტს მოვწევ.

თამბაქოს ნისლში ატიტვიტდნენ დაღლილი, დადარული სახეები.

ერთხელ ბებიას ზანდუკი გავხსენი და ძველი უსარგებლო ნივთებიდან, შორეული იდუმალი სურნელი ვიგრძენი. მას შემდეგ ეს სურნელი კეთილ სევდასა მგვრის.

ახლაც ასეთი რაღაც განვიცადე.

მოხუცები ცოტა არ იყოს დამნაშავედ გრძნობდნენ ჩემს წინაშე თავს. განსაკუთრებით ბებია. მე სადღეგრძელობს მოვუხშირე. ქალები შეთვრნენ და მოიწყინეს.

წამოვდექი, პატეფონი ჩავრთე და ერთ-ერთი ფირფიტა დავდე.

ხრიალით გაისმა ამ ქალებივით მოხუცი ვალსის მელოდია.

რიგრიგობით ვაცეკვებდი სუყველას. ფრთხილად დავატარებდი ოღრო-ჩოღრო პარკეტზე და სულ მეშინოდა, ღმერთო, ფეხი არ დავბიჯო უცაბედად-მეთქი.

შემდეგ ბებია მივიწვიე.

— ხომ არ მოგეწყინა? — ჩამჩურჩულა.

— არა, პირიქით.

ვალსმა გაახალგაზრდავა ქალები. ბებიაც სხვანაირი იყო. არასოდეს მინახავს ასეთი

„ბებია, ბებია“! — გავიფიქრე და ხელზე ვეკოცე. შემდეგ სკამთან მივაცილე და ქალბატონ სალომეს წინ იმ კორნტიეით მოვიდრიეე კისერი.

აქშენინებული, აბრდღვიალებული მოხუცები მაგიდას მიუსხდნენ და ჩვენ მოგვაჩერდნენ.

ოთახში მივიწეებულმა წარმტაცმა სურნელმა შემოქონა.

მსუბუქად წამომყვა. ნართლაცდა მშვენივრად ცეკვავდა. ოდნავ ატორტმანებდა მხოლოდ მოხუცებულობა და დალეული ლიქიორი.

— ჩქარა, ჩქარა, — დაფაცურდა მასპინძელი და ახალი წლის გონგმაც ჩამოჰკრა. ატყდა ჭიქების რაკა-რუკი.

ლაშა თაბაშვაშვილი
ბუნდოვანით, ქალბატონო!

ხვევნა-კოცნა და სურვილების გამოხატვა.

ქალებს ცრემლიც მოერიათ.

მოხუცები სათითაოდ გადავკოცნე და ჭიქა დავცალე. ქუჩიდან სროლის ხმა ისმოდა.

— ახალი წლის კანონადაა, აქ ყოველთვის ისვრიან — გაიღიმა ნინომ.

მე ჩემი მთვრალი ჭკუით გადავწყვიტე სასიხარულო სიურპრიზი გამეკეთებინა ქალებისათვის, რათა უმამაკაცობა არ ეგრძნოთ.

სპორტული „სტარტის“ პისტოლეტი ამოვიღე და მთელი ჯერი ძივუშვი ჭერში. თან შტერულად ვიღიმებოდი.

მოხუცები კინაღამ სკამებიდან გადმოცვივდნენ.

ბებია ძლივს ითქვამდა სულს შიშისა და უხერხულობისაგან.

— როგორ შეიძლებოდა ასე მოულოდნელად, გია? — ენის ბორძიკით მითხრა და გაღიმება სცადა.

მხოლოდ სალომე დარჩა კმაყოფილი, კარგი მოგონებები აღმძრა ამ სროლამო.

მალე ყველანი სახლებში დავარიგე და ჩემს მეგობრებთან გავაგრძელეთ ქეიფი.

სუფთად და მხიარულად თოვდა.

●

გავიდა ზამთარი, ასე უჩვეულოდ თოვლიანი თბილისისათვის. გაზაფხულის თავბრუდამხვევმა სურნელმა მძაფრად ააჩქეფა სისხლი მოდუნებულ ძარღვებში.

მე შემიყვარდა ერთი გოგონა, მაგრამ გაცნობას ჯერ ვერ ვბედავდი.

არცა ვჩქარობდი, მინდოდა გამეგრძელებინა უცნობობის წარმტაცი პერიოდი.

გაზაფხულის ერთ-ერთ საღამოს სასაფლაოზე მომიხდა წასვლა ამხანაგებთან ერთად.

მარმარილოს ლაბირინთების გავლით ის-ის იყო გარეთ უნდა გავსულიყავით, როცა თეალი მოვკარი გათლილ ლოდში ჩასმულ, წარმტაცი ქალის სურათს.

ლოდზე დამადებისა და სიკვდილის წლები არ ამოეკვეთათ. და ეს გასაგებიცაა, ქალბატონ სალომეს არ უყვარდა, როცა მის წლოვანებას გებულობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.nplg.gov.ge

●

შუაღამისას გამეღვიძება ზოგჯერ
და სიბნელეში ყრუ ტკივილივით მივლის:
ტირიფის ნედლი ტოტი ვიყავ და მომჭრეს,
როცა გაუჩნდა ცეცხლი ოცდაორ ივნისს.

შუაღამისას გამეღვიძება ხოლმე,
შავი დუმილის შემეშინდება უცებ...
მომეჩვენება, თავზე მეცემა ხომლი,
მომეჩვენება, ხელებს მიკრეფენ გულზე.

მერე სარკმელთან გაიშრიალებს ტოტი,
მივაყურადებ მძინარე შვილის ფშვინვას
და დავრწმუნდები, რომ განთიადი მოდის,
რომ ეს ხანმოკლე მდუმარებაა, შინ ვარ.

მ ე ს ხ ე თ ი

გადახრუკულო მთებო, ბორცვებო,
ათასი წელი სულში მესხედით,
მზეში ვიწვოდი ჩუმი ოცნებით
და ამ ოცნებას ერქვა მესხეთი.

ჩამონგრეულო ციხევ აწყურის,
გადარჩენილო გულო ვარძიის,
მე თქვენი სისხლით ვიყავ მორწყული
და გორდა ხმლების ჭარმა მარწია.

დაუშრეტელო წყალო ფოცხოვის,
საფარის ცაზე ისევ მზეს ხედავ...
ასპინძის მიწავ, მარად ცოცხალო,
ხომ იწოდები ისევ მესხეთად!

მინდა გეახლო და მოგეფერო
და შენს დაღლილ ცას ისე შევხედო,
რომ გათქმევინო: არ ვარ ბებერი
და ძველებურად ისევ ვმესხეთობ.

ქაღალდის ყვავილები

ქაღალდის ყვავილები ელავენ ვიტრინებში,
მოწყენით ელავენ ფერადი ფურცლები...
მე ვიცი, ისინი უთუოდ იტირებდნენ,
რომ შეიძლებოდეს ტირილი უცრემლოდ.

არავინ კითხულობს: ყვავილებს ინებებთ?
ფერადი სიცრუე არავის სჭირდება
და სდუმან ვარდები და გეორგინები,
როგორც დახოცილი ფერადი ჩიტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოღამება კველ ციხესთან

მზექალა და თინა ჭინჭარაულებს

მზემ ვერ გაუძლო მწუხრის იერიშს,
გათხოვდა,
ცხრა მთა გადაიქროლა,
მზითვად წაიღო დღე ბედნიერი
და ჩვენ მაყრებად არ გაგვიყოლა,
ობლად შემოვრჩით ნანგრევს ციხისას,
საღამომ სევში ჩრდილი ჩაქსოვა,
ნისლი — ხირიმის ერთი გასროლა,
ლეგა კრავივით მთამ შეიხიზნა.
გარბოდა სხივი შემკრთალ შველივით
და ირგვლივ შავი ფერფლი ეყარა,
თქვენ კი წუხილი დღის გაფრენილის
და თმებში ღამე შემოგეპარათ.
და როცა სხარტად ძირს ვეშვებოდით.
მკერდს გვიგრილებდა ნიავი ფრთებით,
ხედნიდა ქარი ცირცელს შეფოთლილს,
თეთრ ქუდს გვიქნევდნენ შორიდან მთები.
დღეს თქვენს დალაღში ღამეა მართლაც.
მეც სიყმეს მიფენს ხედვა-მირაჟი,
დრო კრიალოსნად წლებს ჩამომარცლავს
და დაეწყება თმებს გარიჟრაჟი.
გადიპენტებით თეთრად ქალები,
ჭაღარს დაგათოვთ ზეცა იბერთა,
მეც დავირხევი დროის ქარებით
და ლექსის ნაყოფს ჩამოვიბერტყავ.
აისიც ისევ იელვებს მალე,
და წაშლის ღამის ფერებს და ხაზებს,
ციხეზე სულ სხვა ჭაბუკნი ავლენ
და გაგრძელდება ცხოვრება ასე.

●

მიხმობდა მთები და ხევსურეთი,
მწყუროდა ლხინში წასვლა სწორებთან.
დროებით შენს ცას თუ შევყურებდი
მიტომ, რომ ღილღოს ცას მაგონდება.
ნუ იტყვი, თითქოს მზერით გხვრეტავდი,
რომ ჩემი გული მაგ ეშხს მონებდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და თუ ხანდახან შემოგხედავდი, —
მე სახეც შენი სხვას მაგონებდა.
და იყო მიწაც ხმაგაკმენდილი,
რაღაც ლოდინის კაეშნით ჩუმით,
თოვლი კი იდგა თეთრი ღმერთივით
და უბრძანებდა ყველაფერს დუმილს.
და იმ ლოდინის სევდიან სიმზე
ტიროდა გული და სხვას უხმობდა,
შენ არ იფიქრო, ძვირფასო, ისე,
რომ ცრემლი იგი შენ გეკუთვნოდა.
მეძახდა მთები და ხევსურეთი,
მზე — მეოცნებე მაღალ გორებთან...
დროებით შენს ცას თუ შევყურებდი,
მიტომ, რომ ღილღოს ცას მაგონებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲕᲐᲜ ᲑᲣᲜᲘᲜᲘ

ᲚᲐᲦᲘ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐ

წელს, ოქტომბერში სრულდება ივან ბუნინის დაბადების 100 წელი. ვაქვეყნებთ დიდი რუსი პუერლის ნოველას.

საფლავის ჯერაც გამოუმშრალი თიხის ბორცვზე ამორთული მაგარი, ძმიმე, გლუვი, ახალი ჯვარი.

აპრილია, უფერული დღეები დგას. ეკლესიად გაშლილი სამაზრო სასაფლაოს ქანდაკებები შორიდანაც ჩანს გაძარცვულ ხეთა შორის და ჯვრის ძირში მისვენებულ ფაიფურის ვვირგვინს გამყინავი ქარი ზუზუნით ეხლება.

თვით ჯვრის გულში ზის კარგა მოზრდილი, ამობურცული ფაიფურის მეფალიონი, ამ მედალიონში კი მხიარული, სოფიად მკვირცხლთვალება გიმნაზიელი გოგონას ფოტოსურათია ჩასმული.

ეს გოგონა ოლია მეშჩერსკაია.

ჩვენ არასოდეს არ ვივიწყებთ იმ მნიშვნელობას, რომელიც ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას აქვს საერთოდ ადამიანისა და კერძოდ ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. საბჭოთა პედაგოგიკა და საბაჭშო ლიტერატურა მუდამ იყო და ახლაც არის სწავლისა და შრომის შერწყმის მომხრე. სწორედ ეს ამბავი მარიჯანის მიერ გადმოცემული საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილ, თავის დროზე ფართოდ გახმაურებულ მოთხრობაში „ზურა ატმის ქალაქში“. იგი აგვიწერს გორის საკონსერვო ქარხნის მუშა-ახალგაზრდობის შრომასა და ცხოვრებას. აქ აღწერილია იმ დროისათვის განსაკუთრებით საინტერესო ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გაეღვიძა ელეს-ბიჭუნას, ზურას სურვილი ქარხანაში მუშაობისა, როგორ მოეწყო იგი ამ ქარხანაში, როგორ სძლევდა თავისთავში ვლეხურ ბუნებას და როგორ ყალიბდება მისგან მომავალის მშენებელი მუშა-ახალგაზრდა.

თემატურად ამავე ციკლს ეკუთვნის მეორე მოთხრობა „გელა“, რომელიც მკითხველს აცნობს სახელოსნო სკოლის მოსწავლეთა ცხოვრებას, ამ სკოლაში მოხვედრილ სხვადასხვა კუთხის ყმაწვილებს, მათ მეგობრობას, სწრაფვას და შრომას, ხელოსან-მასწავლებლებს, მოწაფეთა საერთო-საცხოვრებლსა და სახელოსნოებს.

განსხვავებული ადგილი უჭირავს თავის შინაარსითა და კომპოზიციითაც მარიჯანის მოთხრობას „ჩვენ ეზოს“. როგორც მწერალი გ. კაჭახიე ამბობს მოხდენილად, ეს მოთხრობა ვრთი დიდი თვალით იხედება, თუმცა ცალკეული ამბები, ეპიზოდები ამ მოთხრობაში დამოუკიდებელი სახითაა წარმოდგენილი; ყველა მათგანს მაინც თავისი შეკრული კომპოზიცია აქვს. ამ მოთხრობებს შინაგანად აკავშირებენ მათი საერთო გმირები, გმირთა შემადგენლობა აქ ადამიანთა უბრალო კინგლომერატს კი არ წარმოადგენს, არამედ ორგანულ ერთიანობას და მთლიანობას იმ კოლექტივისა, რომელიც სხვადასხვა ეროვნების, შეგნების, გრძნობის, ზნეობის, ნებისყოფის და ამდენადვე ხასიათის ადამიანთაგან შედგება, აი, ამით აღწევს მწერალი მოთხრობაში იმ დიდი პრინციპის განხორციელებას, რომელსაც ეწოდება „მრავალფეროვნება ერთიანისა და ერთიანობა მრავალფეროვნებისა“. ამ იდეითა გამსჭვალული მარიჯანის არა მარტო ცალკეული მოთხრობები, არამედ მთელი მისი შემოქმედება, შემოქმედება იმ ადამიანისა, რომელსაც, მისივე სიტყვით, „სიბერისათვის ჯერ არ ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო ავალიანი

კვლავ ცაგუნია

კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ცაბუნია“ შესახებ ბევრი საგულისხმო რამ ითქვა და დაიწერა. ეს განსაკუთრებული ყურადღება თანამედროვე ქართული პროზის დიდოსტატის მოთხრობამ დამსახურებულად მიიპყრო. საკვანძოდ თითქოს აქ არაფერია. კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებებს მკითხველისა და კრიტიკის ყურადღება არც აკლდა, არც აკლია და ალბათ არც მოაკლდება, მაგრამ „ცაბუნია“ მაინც გამოსაკლისად ჩანს. მიზეზის პოვნა ძნელია. ასეთი ხვედრი ეერგო ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიან დედაკაცს“, ლეო ქიაჩელის „თავადის ქალ მაიას“, ნეხოვის „კაცს ფუტლარში“, მერიმეს „კასმენს“, სტენდალის „ჩენჩის“, თუმცა ამ ავტორებს, სხვა საქმეეყნიდან უფრო გაბმაურებული ნაწარმოებებიც აქვთ.

მაინც რა განპირობებს კერძოდ „ცაბუნიას“ პოპულარობას მკითხველთა შორის და ალიარებას კრიტიკოსთა შორის? ერთი შეხედვით და უპირველეს ყოვლისა, მწერლის ოსტატობაც, დიდი უშუალობით აღბეჭდილი პორტრეტებიც — ცაბუნიასი, ვალაკი ბუღალძისა, მოხუცი დარაჯისა, არჩილ შესხისა და, რა თქმა უნდა, სიტუაციაც. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით; საიდუმლოება კი წარმატებისა სულ სხვაგან ძევს. ყველა ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოების ტექსტს თან ახლავს ღრმა შრეს სახით ქვეტექსტიც. სწორედ ეს გარემოებაა იმის მიზეზი, რომ ნაწარმოებში ყველა პოეტობს საზრდოს. ღრმად ჩახედულიც და ჩაუხედავიც. აქ არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ ავტორი ცაბუნიას სახით ზოგად ადამიანურ ხასიათს ხატავს. რომელი ქვეყნის მკითხველმაც არ უნდა წაიკითხოს ეს მოთხრობა, ცაბუნაში უეჭველად შეიცნობს ისეთ ადამიანურ ხასიათს, რომელსაც თავისი ხალხის წიაღშიც იპოვნის. ამ საიდუმლოებას პროზის ოსტატისა ქართულ სინამდვილეში ყველაზე მეტად ფლობს დაკით კლდიაშვილი, რომელიც იმერეთის მასალაზე ძერწავს სწორედ ზოგად ადამიანურსა და ზოგადსაკაცობრიო ხასიათებს, და ამავე დროს წარმოადგენს უაღრესად ეროვნულ მოვლენას.

რა მარტივია თავისთავად ამბავი, რომელიც „ცაბუნიას“ უდევს საფუძვლად: რა ხანია ყოველ დილას, თერთმეტ წლის ცაბუნია ბათუმის მატარებლის ჩამოდგომამდე სამტრედიის სადგურისაკენ მიიჩქარის; იქნება ღმერთი შეეწიოს და სანტარულ ეიგონში იპოვოს ვინმე დაჭრილი ჯარისკაცი, რომელსაც მამამისის ასაკალდასაკალი ეცოდინება. და მიუხედავად ამბის ამ სიმარტივისა, შეუძლებელია მოთხრობის გულგრილად წაკითხვა. ცაბუნიას პირველი ხმის ამოღებისთანვე მყარდება საოცარი სულიერი ინტიმი მკითხველსა და პერსონაჟს შორის. —„დე, მოვიხუცო შენი ღაზლი?“ მერე ის თეთრი ბატივით კარადის უჯრიდან ამოფრენილი ღუნღული ღაზლი, რომლის მოუთელავი ბეწვი ჯერ კიდევ შუშხავს თავკისერს, ცაბუნიას ჯორფლიანი ცხვირი, ბუბართან დაბრაწული წვივები, ცხვირიანი კალოშები, ატალახებულ შარაგზაზე მისი ტყაპუნის ნაცნობი ხმა, მეზობლების ირონიული შენიშვნა, ზუსტად და ლაკონიურად დახატული პერსონაჟები, გარემო ვითარება; ეს ყველაფერი ისე უნებლიეთ და შეუმჩნეველად აპყრობს მთელს თქვენ არსებას, რომ თავი ამ ამბის უშუალო მონაწილე გგონიათ, თითქოს ეს ყველაფერი თქვენს თვალწინ ხდებოდეს. მწერალი საჭირო სიტყვას ისე მარჯვედ სვამს ფრაზაში, თითქოს წმინდა ნემსის უხილავ ყუნწში ნერწყვეთ დასველებული ძაფის წვერს იმ გასაოცარი სიზუსტით უყრიდეს, რაც უნებლიე გაკვირვებას იწვევს ხოლმე. დაკვირვებული მკითხველი იმასაც თავიდანვე გრძნობს, რომ ავტორი თავისი გმირის გვერდით უხილავად

სუფეგს. ამ უხილავად ყოფნას პერსონაჟის გვერდით ერთხელ მაინც ამხელს ავტორი, როცა ესოდენ თანაკრძნობით შენიშნავს — „თუ საშველი დაგვადგა და ცოტა გამოიდარა...“ თითქოს უფრო ბუნებრივი იქნებოდა, ავტორს რომ ეთქვა — თუ საშველი დაადგა და ცოტა გამოიდარაო, მაგრამ ის ხაზგასმით ამბობს, თუ საშველი დაგვადგაო; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცაბუნიას საზრუნველი, ფიქრი, წუხილი ავტორს ისე ახლოს მიეკარ ეულთან, როგორც საკუთარი. სწორედ მათი — ავტორისა და პერსონაჟის ერთ „გამოსახულებად“ ქცევა, ფოტოალბომის შუაზე აღბეჭდილი, ფოკუსის მონახვამდე გაორებულ გამოსახულებასავით, იძლევა იმ გასაოცარ შედეგს, რომ ცაბუნია წარმოგიდგებათ არა მარტო ნიჭიერად დახატულ პერსონაჟად, არამედ თქვენს გვერდით მყოფ ცოცხალ არსებადაც კი. პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, ავტორი რეალურ პიროვნებას აღწერს, თუ გამოგონილს ხატავს; საქმე, აპჯერად ბელეტრისტული ხერხით, ისეთ წარმოსახვაშია, რომ ის დამაჯერებელი იყოს.

ამ მოთხრობაში, უპირველეს ყოვლისა, მე მხიბლავს მისი ფილოსოფიური სარჩული, თორემ „ცაბუნიასათვის“ დამახასიათებელი ენობრივი ქსოვილის ხარისხს, პერსონაჟების ხატვის ოსტატობას, ფსიქოლოგიური ნახატის სიზუსტეს, სათქმელის სიცხადეს, ესოდენ მარკვევდ და მკაფიოდ ფიქსირებულ ფიზიკურ თუ სულიერ მოძრაობას, ცინესელ დეტალს და ნიუანსს კ. ლორთქიფანიძის ამ ციკლის („სიკვდილი ცოტას მოიცდის“)სხვა, რომელიც გნებავთ, მოთხრობაშიც იპოვით. ცაბუნიას ფილოსოფიურ სარჩულზე დაფიქრებამ უნებლიეთ გამახსენა ჰემინგუეის მოთხრობა „მოხუცი და ზღვა“. რა უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ ეს ამბავი, მოხუც მეთევზეს—სანტიაგოსა და თერმენწლის ბავშვს — ცაბუნიას შორის მართლაც შეიძლება აღმოაჩინოს კაცმა ზეხების ნიღული თუ უხილავი წერტილები. მოხუც მეთევზეს სანტიაგოსა და თერმენტი წლის ბავშვს ცაბუნიას ერთი მიზანი აშოძრავდა, ერთი სურვილი უკარგავთ მოსავენებას, რადაც არ უნდა დაუჯდეთ მიაღწიონ თავიანთ საწადელს, საკუთარ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ დემურჩანაშვილი

შოთა ნიშნიანიძის პოეზია

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ ახალგაზრდა მწერლების ალმანახში გამოქვეყნდა შოთა ნიშნიანიძის პირველი ლექსები.

ლიტერატურულმა და მკითხველმა საზოგადოებამ მაშინვე შეაჩერა თვალი და ყური ამ მანამდე უცნობ ახალგაზრდა აეტორის პოეზიაზე. ეს როგორდაც მოულოდნელი და უცნაური იყო ჩვენი მკითხველისთვის. ამის მიზეზი ალბათ გასაგებია: ამ პატარა, პოეზიის მოყვარულ ქვეყანაში, სადაც ბევრს აქვს დიდი პრეტენზია და თავის გამოჩენების უნარი, უნარი იმისა, რომ თავისი სახელი და გვარი უფრო მალე გაიცნოს მკითხველს, ვიდრე შემოქმედება, სრულიად უხმაუროდ გამოჩნდა საინტერესო ლექსებით ახალგაზრდა კაცი, მოვიდა პირდაპირ კულისებიდან, მანამდე არ უცდია სცენაზე, მრავალ მაყურებელთა წინაშე თავისი თავის, თავისი სახელისა და გვარის დემონსტრირება. ეს თავმდაბლობა, ოდითგანვე ნიჭიერებისა და ნათელი გონების მეგზური რომ იყო, როგორდაც დაიწიზოა და გაუფასურდა ჩვენში. ჩვენი გულებისათვის რატომღაც უცხონი და ყურადღებას მოკლებულნი არიან ამ თვისებების ადამიანები. სამაგიეროდ ყოველდღიურ ფუსფუსს მიეცნენ მეორენი.

მას აქვთ, როგორც ვთქვით, თხუთმეტიოდე წელი გავიდა და შეიძლება თამამად ითქვას, ჩვენს ლიტერატურაში უკვე ნათლად გამოიკვეთა შ. ნიშნიანიძის სახე. მან შექმნა საკუთარი პოეტური სამყარო, ის სამყარო, მხოლოდ მას რომ ეკუთვნის, თვითონ რომ ცხოვრობს შიგ. ყველასგან რომ იოლად გაარჩევ. ეს ბედი, თუ შეიძლება ასე ეუწოდოთ, ყველას როდი რგებია, იგი მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი ნიჭის ხვედრია. საკმარისია თუნდაც მარტო მუხრან მაჭავარიანი დავასახელოთ, რომელიც პირდაპირ ამშვენებს დღევანდელ ქართულ პოეზიას.

და აი, როგორც თავიდან, კვლავ უპრეტენზიოდ, უხმაუროდ ეწევა ლიტერატურის მძიმე ტვირთს, ნაყოფიერად მოღვაწეობს, ყოველ მის ახალ ნაწარმოებს ეტყობა ოსტატის ხელი, ღრმა ჭრილსენ და სინათლისკენ სწრაფვა. გრძნობთ, რომ შიგ ჩაქსოვილია სული, სინდისი და ხალასი გრძნობა, ადამიანისადმი, თავისი მიწისადმი, თავისი ერის წარსულისა თუ აწმყოს მიმართ მხურვალე სიყვარული. ამჩნევთ, რომ მისი პოეტური სამყარო დამყნილია ქართული პოეზიის ტრადიციაზე და რომ იგი ამ ტრადიციის გაგრძელებაა.

* * *

შ. ნიშნიანიძის პოეტური შემოქმედების განხილვა ორი, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო ლექსით უნდა დავიწყოთ. ეს ლექსები გახლავთ: „წუხელ სიზმარი ენახე..." და „ბონდოო, ბიჭო, მარწყვი დამწიფებულა..."

ერთმანეთთან მათ საერთო ითქოს არაფერი უნდა ჰქონდეთ, პირველი სულ სხვა თემაზეა დაწერილი, მეორე — სულ სხვაზე. მაგრამ ისინი რაღაც ძაფით უკავშირდებიან ერთმანეთს.

პირველი ლექსი უსიუჟეტოა, არა ჰკვეს ლირიკული გმირი, არა აქვს კონკრეტული, წინასწარ გამზადებული ჩანაფიქრი. იგი თავიდან ბოლომდე მოთქმაა, გულამოსკვნილი ქვითინია ხილულ სამყაროს მიღმა მოხვედრილი პოეტისა. მაგრამ ეს მოთქმა, ეს განცდა ობიექტურ სამყაროსაგან გათიშული და მოწყვეტილი როდია. მას იქ აქვს ფესვები გადგმული, რის გამოც ლექსი უჩვეულო სიცხოველეს და თვითმყოფადობას ინარჩუნებს, ერთი წაკითხვისთა-

ნავე გულზე გადაგიელით და ვერ ახსნით, რა უბილაჯი ბაზი შეაღწია გულში მან. წუთით სიხბრად წარმოდგენილმა ტრადიციამ პოეტი შეაძრწუნა და ეს ძრწოლა ჩვენც გადმოგვედო, სულში ჩაგვაფრინდა და მსხვერპლად გაგვიხადა.

წუხელ სიზმარი ვნახე, მზეზე ედგო ხვითო,
ბრწყინვალს სადგური აღარ იყო ვითომ,
ვითომ ჩვენი სახლკარი იყო... აღარც იყო...
შეჰფენოდა ჭილყვავი ღობის სარს და ჭიგოს.
ცხრა ღელე და რიონი გადავლახე ცურვით,
ვერ ვიცანი მიდამო, ამომიჯდა გული.
აქეთ-იქით დავრბოდი გოდებით და ვიშით.
დაეძებდი მეგობრებს დაფეთებით, შიშით.
არსად იყვნენ მოყვრები... მეზობლებიც
არსად.
ვიღაც უცხო კაცები არ მიღებდნენ კარსა.
ვაი, სადაც დავბერდი ველარავინ ვიცან,
დასაკლავი ხარივით ჩავბღაოდი მიწას.
ხვნილნი ჭიშკრები ჩაეკეტათ მაგრა...
. . .
ღმერთო, მე ის სიზმარი ამიხდინე კარგად!

ამ ლექსში რითმაც და ინტონაციაც, თემაც და იდეაც, ლექსიკაც და სახეც თითქოს მეორე პლანზეა გადაწეული, არც ერთი მთგანი განსაკუთრებით არ შეგახსენებს თავს, და მაინც დიდ ემოციას გრძნობთ. აქ არის სხვა იდუმალი ძალა, რომელიც ადამიანის სულში თითქოს განგების ნებით იბადება. მისი დაწერის სურვილსა და ძალას ავტორის ნების გარეშე იჩინა თავი, ისევე როგორც მაღალი ტემპერატურა გაჩნდება ხოლმე თავისთავად ადამიანის სხეულში. ლექსში გამოვლინებული სულისკვეთება, მოსალოდნელი ტრაგედია დასადგურებული იყო ავტორის სულში და რაღაც, შესაძლოა, სულ უბრალოესო სპბპბის გამო გადმოხეთქა. ჩვენს სულში კი ლექსმა ფოსი ბოეა გამოძახილი, რადგან პოეტი ჩვენი თანამოძმეა, რადგან ერთი იდეალები ვსუნთქავთ.

რა არის ლექსის დედააზრი?

მეოცე საუკუნეშ, ატომისა და წყალბადის საუკუნეშ, ადამიანის სულში კაცობრიობის დაღუპვის შიში დაავინა. ადამიანის ფსიქიკას უკვე თავისი კვალი დაამჩნია ამ გაუგონარი მრისხანების იარაღმა, რომელიც მდუმარედ განსაცვლებს ჩვენი პლანეტის სხვადასხვა კუთხეში და „ეერიედ მოსცლით“ იმუქრება. მსოფლიო ლიტერატურაში კარგა ხანია გამოძახილი ბოეა ამ თემამ და ეს ბენეზბრივეცაა, ადამიანს, რომელსაც უყვარს ყველაფერი ამქვეყნიური, რომელსაც უზენაეს სიამოვნებას ანიჭებს ის სიმშვიერე, რაიც დედამიწაზე სიცოცხლის წყალობით არის გამეფებული, არ შეიძლება არ ეფიქროს კატასტროფაზე, რომელიც თვით ადამიანმა შეიძლება დაატეხოს თავის მოგმას.

ზემოხსენებული ლექსი ყოფნა-არყოფნის შიშით შეძრწუნებული სულის ყიელია.

გულწრფელმა განცდამ თითქოს ჩანაფერი დაადაენა აქ გამოყენებული პოეტური ხერხები და ისინი უბრალო პასიერ ხელისშემწყობებად მოგვევლინენ.

„შთაგონება დამოუკიდებელია ყოველი ნაძალადობისაგან, — ამბობდა ბელინსკი—არის მეორენაირი შთაგონება, შთაგონება გაძლიერებული ნებისყოფით, სურვილით, მიზნით, ანგარებით, თითქოს ოპიუმის მიღებით. მისი ბრწყინვა არაა მინცდამაინც ოქროს ბრწყინვა“.

ზემოთ ვამბობდით, რომ ხსენებულ ორ ლექსს ერთმანეთთან რაღაც საერთო აქვთ. ორივენი თითქმის ერთნაირი ძალით მოქმედებენ მკითხველზე, კაეშანში ერთნაირად იერეკენ და, რაც მთავარია, ორივე დამოუკიდებელი შთაგონების ნაყოფია, ავტორის ნება-სურვილის გარეშე დაბადებული.

ბონდოია ლექსის ლირიკული გმირია, ეუკეგარეშეა, მას არა ჰყავს პროტოტიპი, ეს რომ ასე იყოს, მაშინ პირველი ლექსის ტიპს იგი არ განეკუთვნებოდა. საკმარისია ბონბაფხიზლმა კაცმა ერთხელ წაიკითხოს ეს ლექსი, რომ ამაში ღრმად დარწმუნდეს. მაშასადამე, ლექსი არ არის დაწერილი წინასწარ მოფიქრებულ, მზამზარეულ შინაარსზე. ამ ნაწარმოებში გამოვლინებული დიდი სიყვარული ადამიანისადმი.

უცხო ბიბის ტრაგედიას განიცდის და განგაცდევინებს პოეტი. იგი თითქოს შეკუმშულია, ძენწად გვამცნობს მომხდარ ამბავს, მაგრამ ეს მოკლედ მონათხრობი ტრაგედია ადამიანის ფანტაზიას გასაქანს აძლევს ზუსტად აღიქვას ისიც, რაც აქ აშკარად ნათქვამის მიღმა დარჩენილი.

უჩვეულო სიცხადით ცოცხლდება თვალწინ პატარა იმერული სოფელი თავისი წისქვილითა და ბონდოს ხიდით, აღმართვებითა და გორაკებით, ამწვანებული კოპწია ეზოებით, თვალწინ გვიდგება თმაგაშეწყილი დედა და დარბაისელი მამაკაცი, ვაკაცური წესითა და მოთმინებით რომ იტანს თავზე დატეხილ ტრაგედიას. აგერ გორაკიდან სიმღერითა და სტვენით ეშვებიან ბონდოს თანატოლები.

სიმღერებით, სტვენით, ბონდო, როგორაც
გიყვარდა,—
ჩვენ ჩავიელით ბიბეში შენს მოწყენილ
ეზოში,
სიმღერებით, სტვენით, და მხნე მოძახილითა
გადავძახებთ ბონდის ხიდს უზარმაზარ
ხიდიდან.
— ბონდოია, ბიბო, მარწყვი დამწიფებულა,
შენს საფლავზე, ბონდო, წუხელ
გაწვიმებულა.

გაზაფხულის მზის ქვეშ გარტენულა მიდამო: ყველაფერი ზეიმობს ირგვლივ, ბალახი, ხე, ყვავილი. ბონდოიას ეზო-ყარს დუნელი დასწოლია. დუმს ეზოკარიც, რომლის შიგნით გაუთელავ

ირხევა ვეება გვერდი, ხედავთ მის ღონიერ მეხლებს, ულაშაპრ ულაშს, დაჩეხილ პირისახეს. ეს ხეხეური მთელი საქართველოა, წინაპრთა ნაშთი და მემკვიდრე.

რიტში თუ სახე, შედარება თუ სიტყვიერი მარაგი ზედგამოჭრილი და მორგებულია ამ ხეხეურზე. იმსაგით ღონიერი, იმსაგით ძარღვიანია ყოველი სტროფონი, ყოველი სიტყვა. აქ შინაარსმა შესაბამისი ფორმა მინახა.

მაგრამ ამით როდი თავდება ლექსი. პოეტის ოცნება ხეხეურის დანახვამ წარსულში გადაატყორცნა. იმ სამყაროში, სადაც სისხლის გუბე დგას, სადაც მშობლიური მიწის დამცველს ხმალი ეკრიალებს, სადაც სვედი და გლოვაა, და უკეთ შეიტანილ ლექსის ინტონაციაც, ს

და პატრიოტული ლირიკისა, დიდი ადგილი უკავია სამოქალაქო და სატრფიალო ლირიკას. არა ერთი და ორი ლექსის მოტანა და განხილვა შეიძლებოდა. მაგრამ ეს მასალა იმდენად დიდი, შორს წაგვიყვანდა. უნდა დავასახელოთ თავისი ჩანაფიქრით სანტეტრესო და მხატვრული ოსტატობით დაწერილი ლექსები „მატარებელი და მეზავრები“, „მოხეტიალე ჩექმები“ და სხვ. ზემოთ აღენიშნავდით, რომ შ. ნიშნიანიძე, როგორც პოეტი, ოსტატდება. მისი ლექსის ჯბრი ღრმავდება, ხილვა იზრდება, თითქოს იფუძალო, შეუეხნობელ სამყაროს ეჯახება. ამის დამადასტურებელია ბოლო დროს გამოცემული წიგნი.

ხსენებულ წიგნში რამდენიმე ისეთი ლექსია, ესაუოოდ სხვაგვარი დაფიქრებაა საქმრო. ჩვენს წინ დეეს ლექსი „მოლოლები“. იგი გვაოცებს ებადელი სახეებით, მიტყვეელების სიძლიერითა და გრძნობის სიჭარბით, აქ გრძნობთ სიძეულელსაც და ბრისხანებასაც. აბა მოეუსმინოთ:

ცხენის ძუაზე გამოპეტს მთელი აზია
და ველურ სტეენით მიაფრიეს ქვეყნის
კიდემდე...
მთ ნატერფალეს სიკვდილი და ყვავი
ასხია...
საბრეკლოებზე ზარს ხსნიან და ეიხვინს
ჭიდგენენ.
ნოქავენ და ნოქავენ ბორიზონტებს ხარბი
თვალებით
ყველა ჯურის ხე სისხლმა ზელოპრა...

და აი,
სკვითთა ზელეწილ ფარებს
ზეძრწუნებული უმზერს ევროპა.
მონღოლთა სისხლში მზე ჭიხვინებს
ოდბინოვნების...

მონღოლურ ყბებით იკოხნება ამოობა...
ბელში აკიღებ მტეეანივით გათქერილ
თარიღს,
და ასლა ვხვდები.
ამ ფროს ქართლში მეცა ვარ მკვდარი!
ღამით ავაჯას თვალებივით ანათებს
მღვიმე —

გასუფრულია საქართველო მთას ზეხიზნული
ბარში კი
ურდო გამაძღარი იკოხნის მძიმედ ,
გაბრუებული უმი ხორცის
და ნეხვის სუნით.
ხოცეს და ხოცეს ხოხბებივით ჩვენი
ციხურები...

გადაიკარგნენ სიმღერები...
დაფრთხნენ ხიზმრები...
მზე ესვენება ხმლის მაგიერ ქართულ
ქარქაშში
და უბმოდ ტირის ყრმა იესო დედის
კალთაში...

ამ ფუთას, როცა იმ ნაფლოქვარ დრო-ეამს
ვიგონებ,
მონღოლის ცხენი ლაგამივით ხრავს ჩემს
სტრიქონებს,
ტირის აჩეხელ ვენახივით „ქართლის
ცხოვრება“
და სიზმრად ხედავს უთავლაკვ ვაზებს,
ძლივს გამოდგიარ წარსულიდან და
მოგონება
ნაშუბარ ჯაჭვის პერანგივით მერდევეა
ტანზე.

ამ ლექსიდან ნათლად შეეიგრძნობთ იმ სანშინელებას, მონღოლებმა რომ დაატეხეს კაცობრიობას თავზე.

გრძნობთ თე არა, სედავთ თე არა აზავოეხელ მონღოლებს, ვემპთ თე არა მათი ველური ყიეინა, დედამიწას რომ გადაუარა, გეყურებათ თე არა მათი ცხენების ფლოქვების ხმა, შემზარავი ეიხვინი, მიტოვებული ეკლესიების სამრეკლოებზე რომ დაკიდეს, ნაცვლად ზარებისა.

მეოხეველის ყურადღება უნდა გავამახვილოთ შ. ნიშნიანიძის იმ ლექსებზე, „ხილვების“ ციკლით რომ გვთავაზობს. „ჩიტების ბაზარი“, „მიქელანჯელო“ მოსე“, „ბალახის ფოთლები“, „ამორძალები“ და „ამოდის ნათდეა, ანუ დიოსკურია“.

ბარილში, როგორც კი დათბება, ჩიტთა ბაზარი ქალაქს შემოესეეა. მათ გამოუელიათ დიდი გზები და მრავალი ქალაქი. ახლა თავი შეუყრიაათ და რაღაცას დაკუნტს.

ამდენს რას დაობენ ან რას საუბრობენ?
ადის ღაღადისი ცათა საუფლიმდე,
ის, რაც არაბეთში, ანდა ირანშია,
ახლა ჩიტებისთვის მხოლოდ მირაეია.

და აქეე იძლევა პოეტი პასუხს:

იქნებ ვიშვიშებენ გზათა დანაკლისით,
იქნებ გაუმართავთ კიდეც პარაკლისი?
ნეტაკ ყოვეეი
თუ ნამდვილად ყინულ�vs?
ეს ხმა მაახლოებს შეუცნობის მიჯნას.
ყინულავს სიმფონია საიდუმლო სწავლის,
რაღაც მრავალმთქმელი და ამხსნელი
მრავლის,
არა მიწიერი, ღვთაებრივი ცოდნა,
დროთა გარდასულთა და მომავალ დროთა.
თითქოს მეც ჩიტებით შეეერწყლული ხე ვარ,
ტანში მაფრიალებს სულ მცირედი რხეეაც.
მე ვარ ცნობადის ხე ხილვას განდობილი
და ამ მაგიური ხმებით გაფოთლილი.

კიდეე ერთი „ხილვა“: მიქელანჯელოს „მოსე“.

სოლომონ დემეურანაშვილი
შოთა ნიშნიანიძის პოეზია

ლექსი, რომელიც დაწერილია აღტაცებით, წმინდა შთაგონებით:

მზერაში უცხო სიბრძნის სხივია,
მოკვდავი ვერც კი ახსნის უბრალოდ.
მოსე თუ ასე დვთაებრივია,
შენ რაღა უნდა იყო, უფალო.

მოსეს სახის ხილვამ, მოსესი, რომელიც ნახევრად ღმერთია, ნახევრად ტყის კაცი, ნახევრად ბუნებრივი და თანაც ველური, თვალწინ ბიბლია გადაეკვეხნა. ამ ბიბლიიდან გადმოდის მოსე:

შეწუნარებული თავის სიმკაცრით
და შეწუნარებით გამკაცრებული
შემზარავია მისი დუმილი,
იდუმალია და აუხსნელი,
მრავალმთქმელია მისი დუმილი,
მაგიურია და მომნუსხველი
დუმილით გიმზერს
და უცნაურად
სულის კუნქულებს გითვალიერებს.
ის, რაც სავსეა, როდი ხმაურობს,
ხმაურობს მხოლოდ სიცარიელე.

მაგრამ ეს ყველაფერი, რაც არ უნდა იყოს, რა მაგიური სახეც არ უნდა ჰქონდეს მოსეს, იგი მაინც ადამიანის ხელითაა შექმნილი, ბრონტერის ჯადოსნური საჭრელითაა გაჩენილი.

შეგეკითხები გაუბედავად
და ნუ დამძრახავ მოკვდავს გამჩენო.
რა იქნებოდა მოსე ნეტავი,
რომ არ შეექმნა მიქელანჯელოს?"

ყოველი კარგი ლექსის მოყვანა შორს წაგიყვანდა. გული კი გვეთანაღრება, არაფერი ვთქვათ „ამორძალებზე" ანდა დიდი ლირიზმითა და შთაგონებით დაწერილ „ბალახის ფოთლებზე", უიტმენს რომ ეძღვნება. არაფერი ვთქვათ „დიოსკურიასა" ანდა „ილიადას მთარგმნელზე".

ესენი შ. ნიშნიანიძის თითქმის ბოლოდროინდელი ნაწარმოებებია, როცა პოეტი სიმწიფის ასაკში შევიდა. ისინი ნათლად მეტყველებენ, რომ მათში არის ყველა ძალა და ელემენტი, რომელთაგანაც შედგება ცხოვრებაც და პოეზიაც. ნათლად მეტყველებენ, რომ მათი ავტორის სულში დუღს ნამდვილი პოეზიის მაღლი, მის სულში ცოცხლობს ქართული ცხოვრება, მისი წარსული და აწმყო, რომ ის სულისკვეთებით ქართველი პოეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურამ ბეჟრდწითელი

დაბეჭდილებული ჰასუხი

(თენგიზ გოგოლაძის წერილს გამო „კრიტიკაა თუ?..“)

დიდხანს ვიფიქრე... (მომიტევეს ჩემმა მეწყრალმა ოპონენტმა, ისევ წამომცდა ეს დაწყებული „ვიფიქრე“, ასეთივად რომ ალიზიანებს მას). დიახ, დიდხანს ვიფიქრე და გადავწყვიტე, მაინც მეპასუხნენ თენგიზ გოგოლაძისათვის. იმიტომ კი არა, ჩემი გაბქიკება არ მინდოდა შემეჩჩინა (ბოლოს და ბოლოს, კრიტიკოსს მაინც უნდა ეყოს იმდენი თავშეკავება, რომ მწერლისაგან უეჭველ ხსენება იიტანოს), უბრალოდ, ლიტერატურული პოზიციების გარკვევის სურვილმა მიიყვანა პასუხი გამეცა. შეიძლება მავანი მწერალი ან მავანი კრიტიკოსი არ მოგწონდეს, მეტიც, გაღიზიანებდეს კიდეც და მშვიდი აზროვნების უნარსაც გიკარგავდეს, მაგრამ ის კი აღარ შეიძლება, რომ ამ შენს გრძნობებს ისეთი მნიშნელოვანი რამ ანაცვალო, რასაც ლიტერატურული პოზიცია ჰქვია.

ვინც ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას ინტერესით აკვირდება, ადვილად მიხვდება თუ „სად მარხია ძაღლის თავი“. ლიტერატურული საზოგადოებრივობისთვის ჩემი პასუხის გარეშეც ბევრი რამ ნათელი უნდა იყოს. მაგრამ მკითხველთა დიდმა ნაწილმა არ იცის, ზოგმა კი ალბათ ვერ გიხსენა, რომ ამ დავას საკმაო ხნის ისტორია აქვს. ეტყობა, ამ რვა წლის წინ ერთი ჩემი სტატიის გამო დაგუბებულმა ბოღმამ ახლოს ამოხეთქა მთლიანად და თენგიზ გოგოლაძისაც მისმა წერილმა „კრიტიკაა თუ?..“ ერთგვარი შვება მისცა. მთავარი, რამაც მოურჩენლად გაახელა თენგიზ გოგოლაძე, ისაა, რომ მე არ გახლავართ მისი შემოქმედების თაყვანისმცემელი. ბუნებრივია, მკითხველმა შეიძლება გაიკვირვოს, ამა ეს რად გაახელებდა მწერალს, ვინაა მისი თაყვანისმცემელი, რომ გურამ ბეჟრდწითელი იყოსო. მაგრამ, მე ის „მოუტეგებელი შეცდომა“ მომივიდა, რომ მის ერთ რომანთან დაკავშირებით გულახდილად გამოვთქვი ჩემი უარყოფითი აზრი. ერთ წერილში დაწერილებით განვიხილე გოგოლაძის „აღმართი“ და შეეცადე დამესაბუთებინა კიდეც, რომ ასეთი რომანებით თანამედროვე ქართული პროზა შორს ვერ წავა. ვინ იცის, იქნებ ესაა თენგიზ გოგოლაძის კრიტიკული პათოსისა და მოგვიანებით გამჟღავნებული გულისწყრომის მიზეზი. სწორედ მიზეზი და არა საბაბი. საბაბი სხვა რამაა და ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

გარეშეტენებო, ჩემთვის შურისძიების გრძნობას არ აუღებინებია კალამი ხელში. ამიტომაც არ აკვეკეთ თენგიზ გოგოლაძეს, მისი წერილის ტონი ავტორის სინდისზე იყოს. მის სინდისზევე იყოს (ვაუძლებს კი ამდენს?) ყველა უნებლიე თუ განზრახ ნათქვამი სიცრუე, კაკალბედული, უსწოროდ მოტანილი ციტატები ჩემი წერილებიდან თუ წიგნებიდან და მერე კი მისი. გოგოლაძისეული ინტერპრეტაცია და ბევრი სხვა ცოდვა. ამას არ გამოვეკიდები, რადგან ვფიქრობ და ვიმედოვნებ, რომ ჩემს დასაცავად არ ამოიღებ კალამი ხელში. მით უფრო, ზოგისაგან ლანძღვა ბევრად სასიამოვნო მოსასმენია, ვიდრე ქება. მე მხოლოდ ის მსურს, რომ გავაშშვლო ჩვენი, „მოქმშეკების“, ლიტერატურული პოზიციები, რის გამოც ვერ შევგუებივარო ერთმანეთს და მსჯავრი მკითხველს მივანდო.

ამ ლიტერატურული პოლემიკის (მომიტევოს მკითხველმა ეს მაღალფარდოვანება, გოგოლაძისეულ ლანძღვა-ვენებას რომ ასეთი რესპექტაბელური ნიღაბი ავაფარე) საბაბად იქცა ეაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი ჩემი წერილი, სადაც 1968 წლის ქართული მოთხრობები იყო მიმოხილული. თენგიზ გოგოლა-

ქე არ შემოიფარგლა მხოლოდ ამ წერილით (ტუნგბერიეცია, რადგან, როგორც მოგახსენეთ, მის აღშფოთებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს) და ჩემს სხვა ნაწერებსაც გადასწვდა. მას გულდასმით წაუკითხავს ჩემი წინგებიცა და წერილებიც (სასჯელად იქნებ ესეც ეყოფა) და ჩემს ლიტერატურულ მიკერძოებაშიც ღრმად დარწმუნებულა.

თენგიზ გოგოლაძეს ეტყობა აღიზიანებს მიმოხილვითი ხასიათის წერილები. ალბათ იმიტომაც, რომ ამაოდ ეძებს ხოლმე იქ თავის სახელსა და გვარს. ამაში მაინც მარტო მე არ მიმიძღვის ბრალი ეს ჩემი წერილი კი, საეროდ, რბილად რომ ვთქვათ, არაობიექტურობისა და უსამართლოობის ნამუშევი მიაჩნია, რადგან, თურმე, მხატვრულად და აზრობრივად საინტერესო ბევრი მოთხრობა არ შემიმჩნევია, ან, მით უარესი, ყალბად (ამ ჩემი საყვარელი სიტყვით) მომიანათლავს.

ბუნებრივია, საგაზეთო მიმოხილვით წერილში ყველაფრის ანალიზს კაცი ვერ შეძლებს. ოპონენტი ეტყოფა ნაკლებ კითხულობს ქართულ თუ სხვა ენებზე დაბეჭდილ მსგავს წერილებსა, სხვაგვარად ასე „გულწრფელად" არ ამიმხელდებოდა. კრიტიკოსები საკმაოდ ხშირად აძლევენ თავს უფლებას თვითანი შთაბეჭდილება ან დამოკიდებულება ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებთან, ავთან თუ კარგთან, ოროიოდე სიტყვითაც გამოთქვან. დ. ჯანა მარტო კრიტიკოსი? ქართველმა მწერლებმა ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე საკმაოდ პირუთვნელად გამოთქვეს თავიანთი აზრი საალტერატურო კრიტიკაზე. ზოგი შეეცადა უფრო კონკრეტული ყოფილიყო, გაეშიფრა თავისი უკმაყოფილება კრიტიკით და მისი ჩაშორჩენის მიზეზებიც ეძებნა, ზოგი კი მხოლოდ კატეგორიული განცხადებებით დაკმაყოფილდა. მაგრამ ამით ვეეყანა არ დაქცეულა.

ეს ცოტა ძნელი მოსასმენი იყო მწერლების ეს განაჩენი, ქართველნი კრიტიკამ დინჯად აიტანა იგი, რადგან, მიუხედავად ზოგი გაზვიადებისა, ბევრი რამ სასარგებლო ამოიკითხა მასში. მაშასადამე, თავადი ის გაბღავეთ, თუ რამდენად მართალია ნათქვამი სიტყვა და მერე უკვე ის, თუ როგორ, რამდენად ვრცელდ და დასაბუთებულდაა იგი ნათქვამი. სხვა თუ არაფერი, თავისი საკუთარი წერილი ხომ მაინც ყოველთვის ავტორმა. როცა ასე მკაცრად მსაჯედურობს, ავსაც და კარგსაც დასაბუთება უნდაო, „ერთი სიტყვაც არ დაგცდენია" იმაზე, რატომ არის კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობები „სოკვდილი ცოტას მოიცდის" სასინშეოო, თვითონ რაღად დაიგიწყა ეს ჯეშმარიტება, რასაც ასე თავგამოდებით ქადაგებს? თვითონ რაღად წერს ასე კატეგორიულად და დაუსაბუთებლად: „რატომ ვერ შენიშნა მან (ე. ი. მე, გ. გ.) ზოთა აკობიას კარგი მოთხრობა „უკანასკნელი ტიკი", ეს მართლაც „შესანიშნავი მოთხრობაა და კრიტიკოსობაზე თავგადაკლულ კაცს ეს უნდა გამორჩენოდა „მოსაკალშეო". ასე ვიფიქრეთ ოდის, რომ რაც შეიძლება თენგიზ გოგოლაძისათვის, სხვისთვის ის აკრძალული ყოფილა. კი მაგრამ, საკითხია, რა უფლებრივი კანონის თანახმად?

თენგიზ გოგოლაძის ეულისწერომას (როგორადაც არ უნდა გამოეხატა იგი მას, თავშეკავებით თუ თავშეკავებლად) კიდევ გაუძლებდა კაცი. მით უმეტეს, რომ მეტ-ნაკლები დოზით ზედპირულობის კვალი მარილაც ეშრიალა ატყვია საგაზეთო მიმოხილვებს — თუკი იგი მართალი, სწორი ლიტერატურული პოზიციიდან იქნებოდა ნათქვამი. ჩემთვის პრინციპიულად საფიქრალი, ან ინსინუაციად ნამდვილ ინსინუაციად, ან ინსინუაციად ნამდვილ ინსინუაციად, ან ინსინუაციად ნამდვილ ინსინუაციად

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოგვიჩნდეს. სწორად ცხოვრების მძიმე წუთებში, მკაცრი გამოცდის ჟამს მეღვიძდება ადამიანის მაღალი მოკალაკეობრივი სული ან მისი სიმდაბლე და ლაჩრობა, შიშველება გრძნობების სიწრფელეს, სათაკოდ ნათელი და გასაგები ხდება თანამებრძოლთან შინაგანი სამყაროს სიმდიდრე თუ სიცარიელე. როცა კაცი საკვდილი თვალებში უცქერის, ძნელია მისთვის იმ ნიღბის ტარება, შშვიდი და უშფოთველი ცხოვრების დროს რომ აქვს მოოგებული. ომის მრისხანე წყლებში, როგორც წესი, კაცი უბრალოდ გულწრფელი ხდება, გულწრფელია თავის ვაჟკაცობაშიც და ლაჩრობაშიც, თავის ფიქრებსაც. გრძნობებსაც, ყოველ თავის მოქმედებასაც და ინსტინქტურ მოძრაობებშიც. და არავითარ შემოხვევაში არ ღარიბდება იგი. თავისი მისწრაფებებიცა და ინტერესებიც, გრძნობებიცა და გაბედებიც თანა სდევს მას. იგი ბრძოლის ველზეც ადამიანად რჩება და არ იქცევა ავტომატის დანამატად. ეს ადამიანობა, მებრძოლთა მორალური სიძლიერე თუ სისუსტე განაპირობებს ძირითადად გამარჯვებასაც და დამარცხებასაც. დიდი სამამული ომის ბედი ბევრნაწილად სწორედ საბჭოთა ხალხს სულიერმა სიმტკიცემ და საოცრად მაღალმა მორალურმა თვისებებმა გადაწყვიტეს. ლიტერატურაცა და ხელოვნებაც სულ უფრო დაბეჯითებით ცდილობს, საბჭოთა მებრძოლი მთელი მისი მრავალმხრივობითა და მოლიანობით წარმოგვიახოს, გაგვიხსნას, შეგვაყვაროს, ჩვენი გულწრფელი აღტაცების საგნად აქციოს. ამიტომაც სამამული ომის თემაზე შექმნილი მხატვრულ ნაწარმოებებში გმირები მარტო მებრძოლებად კი არა, მთელი თავისი გრძნობებით და განცდებით წარმოგვიდგებიან. ბხოლო რამდენიმე კლასიკურ ნიმუშს დავასახელებ. გვიხსენით მიხეილ შოლოხოვის „ადამიანის ბედი“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „საყვდილი ცოტას მოიცდის“ (დიდი ხანისაა ავიცილე თენგიზ გოგოლაძის საყვედური და ამ მოთხრობების ციკლის „დეკლარაციულ ხოტბას“ მივაშველე „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი ანალიზი), ჩუხრაის ფილმი „ბალადა ჯარისკაცზე“. რამდენი ვაჟკაცობა და სინაზე, პატრიოტული შემართება და ადამიანური გულჩვენობა, სიძულველი და სიყვარულია ჩატეული ამ არცთუ ფართოპლანიან ნაწარმოებში. ამასთანავე, რამდენი სიმართლეა მასში, მხატვრული სიმართლე, სადაც ერთი ყალბად კი არა, უბრალოდ ფსიქოლოგიურად უზუსტოდ ნათქვამი ფრაზა ან ადგილი კაბრიც კი არ არის. ეს ნაწარმოებები ერთგვარად გვიხსნიან მთელ იმ ტენდენციას, რაც ესოდენ დამახასიათებელი გახდა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის. საბჭოთა ადამიანის გრძნობათა მთელი გამის ასეთი გახსნისაკენ სწრაფვა მოდა კი არ არის, ბუნებრივი ტენდენციაა, რადგან უკეთ, სრულად, უფრო ძლიერად და თამამეკვლავად გვიხსნის ჩვენ თანამედროვეს სულიერ სამყაროს. მოდად ეგ ბ ბ ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარას“ თუ გულისხმობს და ეს გაცვეთილი შედარებები მოსწონს, ნუ შეეცდებით მისი გვრინვების შეცვლას, ამაო იქნება ბარჯი. ხოლო თუ იმან მოხიბლა, რომ დახოცილი გერმანელი და საბჭოთა მეომრები „ერთი დედამის შვილებივით იწვნენ მშვიდად“, თავს უფლებას მივეცემ, ეჭვი გამოვთქვა ამ განცდის სამართლეში. ჩვენს წინ ხომ ჯარისაცია და არა ინტელიგენტურ სათბურში გამოზრდილი პაციფისტი. ჯარისკაცს, ვისაც ასე ესამართლოდ და უმოწყალოდ დაუხოცეს თვალწინ თანამებრძოლები, ვისაც ჯერ კიდევ ესმის მათი სუნთარი, სიცილი, ვისაც თვალწინ უდგას, თუ როგორ ეწეოდნენ ისინი თამბაქოს, ვის თავზეც ასე დაუნდობლად გადაირაზა მტრის ტანკებმა და ვინც ცოცხლად ჩამახრეს სახვარში, აი ამ ჯარისკაცს, ეუქვთ, იმ შერისგების ყმის ერთი დედამის შვილებივით მოსჩვენებოდა მტერიაც და მოყვარეც.

იქნება მწერლის თვალთაა ეს სურათი დანაღული და მისია ეს განცდა? მით უარესი. ყველაფერს რომ თავი დავანებთო, როგორ შეიძლება. დაწერო „შშვიდად (!) იწვნენ ერთმანეთის გვერდათთ“, როდესაც იქვე ამბობს: „დასახრეტელი, მოკრუნჩხული და გაფიჩხული იწვნენ ისე, როგორც მოუსწრო სიკვდილშო“. განა შეიძლება ამ ორი სურათის ერთმანეთთან შეთავსება! მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ მწერალი ნაკუნ ფიქრობს მხატვრულ სიმართლეზე და უფრო „ლამაზი ფრაზებითა“ გატაცებული, რამაც ასე ადვილად მოხიბლა თენგინ გოგოლაძე.

ჯარისკაცმა ჭალას მისცა თავი, რომ მტერს არ ჩავარდნოდა ტყვედ, „ფრთხილად ადგამდა ნაბიჯებსს“. „უცვე რაღაც ჩხარუნი შემოესმა და უმალ ადგილზე გაქვავდა. იგვალეე სამარისებერი სიხუმე იდგა. ალბათ მოძეზენესო, გაიფიქრა, მაგრამ გადდგა თუ არა ნაბიჯი, ჩხარუნი ესლვა გიგოროა და მაშინდა მიხვდა, რომ ეს მისივე ულუაშებზე ასხმული ყინული ძაფება ჩხარუნობდა“. მოცეცეეე ბოშა ჭალის გულმკერდზე რომ ძმივებს გაკქონდეს ყლარუნი, ეს გასაკვირა, მაგრამ სიარულის დროს შეყინული ულუაშების ჩხარენი ახალი აღმოჩენაა.

ჯარისკაცი ჭალას ვერ გასცდა, გზისპირას გეჩამნეული დამანაკეებულიყენენ (ნეოლო გამოვდგებით მწერალს იმაში, რომ სამხედრო ნაწილები, საერთოდ, და მით უმეტეს ზამთარშა), გზისპირას კი არა, დასახლებულ პუნქტებში ბანაკდებიან), ცოცად გაბრუნდა უკან და შეუჭალაში ერთ ჩახერგილ ხეზე ჩამოჯდა. „თავი არყის ხეზე მისდო. თვალი დახუმა და იმუშამსე ხერინვა ამოუშვა. ასე უცვე კი არ ჩაეძინა, თავს იტყუებდა, ვითომ ძმინავს და გემრიელად ეხერინავო“. ასე კაცმა თავი შეიძლება საკუთარ ლოგინში მოიტყუოს, მაგრამ მტრით გარშემორტყმულ მცირე ჭალაში რომ ძალით იხერინო, მართლაც მეტად ორიგინალური ეროვნული ეფექტია.

„ამ ნეტარყუნეზაში (?!) იყო, რომ ფეხის ხმა შემოესმა. წამოხტა და თოფი მიიმარკეა.

— ვინ ხარ, შესდექი! — შესძახა მან“.

მართალია, „როგორც კი შეეძლო ხმადაბლა“ შესძახოთ, დაყოფა აეტორმა, მაგრამ ეს ოინებითად არ ცვლის საქმეს. მებრძოლი საეუშაოზე ხომ არ იდგა, შესდექით რომ ყეიროოდ. იგი მტერს ემალებოდა და ამიტომ მხლოოდ ნაჩქარევად დაწერილ მოთხრობაში თუ შეესეეიბოდა ასე, იქ კი, ჭალაში, ეთოფად გაყუნდებოდა და უხმოდ შეეცდებოდა იმის გარკვევას, თუ ვინ მოდიოოდა. მტერი თუ მოყვარე.

ეს კიდევ არაფერი. მთავარი სწორედ აქედან იწყება.

„— სამდიცინო და ვარ! — გაისმა ჭალის შემქრთალი ხმა.

„თუ სიზმარში არა ვარ, ამ განსაცდელის ქვეშ რაღა ჭალი გამომეცხადა?“ — გაიფიქრა ვიემა, ისევ ხეზე დაეშვა და თვალი დახუმა“.

სწორედ ამის წინ არ გვითხოა მწერალმა, „თავს იტყუებდა“, თორემ მშვენიერად იცოდა, რომ არ ეძინავო. მაშ ოოგორღა ირწმენა, სიზმრად ვხედავო ჭალს.

„ბილიეზე გაჩერებული (ხახი ჩემია, გ. გ.) ჭალი ეკოცებული იყო. რაშია საქმე, გარკვევით გაეგონა კაცის ხმა, მაგრამ ასე უცვე რა დაემართა, რატომ დადუმდაო, თა შრაოეეი ხმით ლაიძახა: — ადამიანშეელი არა ხარ, ხმა ამოიღე, რაღა ეს მინდა, მე ისედაც მეშინია. მთლად ვთრთი!“

ასე მწერალმა საბავშვო მოთხრობაში ბაეეი შეიძლება ალაპარაკოს. თორემ იმ ეკეიდენტალურ ძნელად ახლად წარმოსაქმელი უნდა იყოს.

„ეარა, ეს ეკვე სიზმარს ადარ ჰგავდა!

ვაეი უმალ ფეხზე წამოიჭრა და ცხადლივ დაინახა: ბილიეზე ფარაჯაში ჩაცმული ჭალი მოაბიჯებდა(!)“...

კი მაგრამ აკი „ეაჩერებული“ იყოო ჭალი! იგი ხომ თავის საწყალობელ ტირადაზე ამბობს ელოდა. „უმალ ზეზე“ წამომხტარმა ვიემა როგორღა დაინახა, თანაც ცხადლივ, რომ ეაჩერებული ჭალი მოაბიჯებდა? საოცარია, ჯერ კიდევ მოთხრობის თავში ვართ და ამდენი შეესაბამობა გაგონილა! ასე უხეიროდ მოთხრობის შეიძლება სხეამ არ დაუგდოს ყური, მაგრამ ოეეთონ აეტორს რა მოუვიდა, თავისივე ნათქეამს თუ დაწერილს რომ არაფიად აგდებს და ანგარშს არ უწეეს.

მაგრამ ამას ვინ დაეძებს, გაჩერებული ჭალი რომ მოაბიჯებდა. მთავარია, როგორ მოაბიჯებდა! ამა მოეუსმინოთ აეტორს:

ვიემა „ცხადლივ დაინახა: ბილიეზე ფარაჯაში ჩაფუთნული ჭალი მოაბიჯებდა, წყლში მოხრი-

ლი. მაგრამ რაღაც მიმზიდველი გრაციითა და მხრების ოდნავი რხევით“.

ანა, ეს როგორიღაა, მკითხველო! პირადად მე თუ მკითხავთ, ფანტასტიკურია! განუმარტავენ-ლია! განა შეიძლება იმ მდგომარეობაში, შეშინებული და ათრთოლებული ქალი, გაბანჯღული პირადი და საერთო უბედურებით, ქალი, ვისაც ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი თანსდევს, ვინც არ იცის, მის წინ, სიბნელეში მტერია თუ მოყვარე ჩასაფრებული, „მიმზიდველი გრაციითა და მხრების ოდნავი რხევით“ მოდიოდეს? ეს ფსიქოლოგიურ სიზუსტეს რაც შეეხება. ახლა კი მთელი მონდომებით შეეცადოთ წარმოგიდგინოთ „წელში მოხრილი(!), მაგრამ რაღაც მიმზიდველი გრაციითა და მხრების ოდნავი რხევით“ მომავალი ქალი. ეითომ გამოეკეკვა რამე? წელში მოხრილია ქალმა როგორ უნდა არხოოს ოდნავ მხრები, ან რა გრაციაა უნდა მისცეს თავის მოიხრობა.., ხომ უნდა გაკვაკვანოს მწერალმა, რადგან ყველა არ არის დაჯილდოებული ასეთი ფანტაზიის უნარით. თუ იმისაც დაეუმატებთ, რომ ეს ყველაფერი ღამით ხდება, ქალაქში, სადაც ირიოდე წამის წინ ქალ-ვაჟი სიბნელის გამო ერთმანეთს ვერ ხედავდა. მხოლოდ ხმა ესმოდა ერთმანეთის, ალბათ სრული უფლება გვექნება გავიკვირვოთ, თუ ვიტყვა „ცხადლივ“ როგორ შეშინაბა მხრების ოდნავი(!) რხევით და „მიმზიდველი გრაციით მომავალი ქალი“. განა უკვე საკმაოზე მეტი სიფუქველი არა გვაქვს ფსიქოლოგიურად, მხატვრულად, აზრობრივად ყალბ ნაწარმოებად ჩავთვალოთ „ცივი სარეცელი“? თუმცა ჯერ იქვე სათაურში ვართ მოთხრობისაა. დაეინდოთ მკითხველ., მას ალბათ უკვე საკმაოდ სწორი შთაბეჭდილება შეექმნა ამ რატომდაც სადავოდ ქცეულ ნაწარმოებზე. ამიტომ ასე გულმოდგინედ ალარ მიეკუბნა მოთხრობას, თუმცა უნდა ჩავათოთ კი, რომ თენგიზ გოგოლაშვილ კაცზე უმჯობესია არ დამრჩეს.

მკითხველი ალბათ უკვე გრძნობს, რომ ჯალიასკაცსა და ქალს ერთმანეთი უეჭველად უნდა შეეუყვარდეთ. მაგრამ იმას კი ვერაფერი ეეღარ წარმოიდგენს, თუ რა სიტყვებით მოგვითხრობს მწერალი იმ დაუოკებელი და ეიდნელი სიყვარულის ამბავს.

ბუნებრივია, ვაჟი და ქალი ჯერ ერთმანეთს გაეცნენ, თუმცა ასევე ბუნებრივი არ არის პირველი დიალოგი მათ შორის:

„ — ოჰ, რა ბედნიერი ვარ, რომ კიდევ შეეხვი ადამიანს!...

— მეც მიხარია! — თქვა ვაჟმა..,

— ამხანაგო მებრძოლო, რომელ ბატალიონიდან ხარ? — შეეკითხა ქალი“.

როგორი გადასვლებია, ჰა?! რა კონტრასტული მიმართვებია, ხან უკიდურესად უშუალო, ხანაც უკიდურესად ოფიციალური, საზეიმო წესდებიდან ზუსტად ამოღებული.

მერე ქალი მოუყვება, რომ დაჭრილებს მიხედეს ეფშვნიდნენ, ძვირფასო ალო, ჩვენ ისეთი ... წერილი ვართ, აქ მოგვიწევს სიკვდილი, შენ მაინც ეშველე თავსო. ერთმა მებრძოლმა ხელის ბიძგით გამაქანა ზუტკინაკენ (როგორი ნათქვამია! ან როგორი წარმოსადგენია!... გ. გ.), ჯალას შემოფაფრე თავი. ოჰ, როგორ მოვიქანცე, ისეთი მეკეთებინა. დაესხდეთ რა“.

ვაჟი შეიტყობს, რომ ქალს ცალი ხელოთამანი დაკარგვია, რაღა თქმა უნდა, თავისას გაიძრობს და მისცემს. „ქალმა როდი იუარა. ვაჟს ხელოთამანი ინ კეკლუცს სინებივრით ჩამოართვა, ვისაც ეტრფიან და მორჩილებენ...“ როგორე იტყვიან, ეკმეზენარი ზედმეტია.

„ეკმდაკამ მტრის გასროლილი შეშბუნა ჯალაშიც ჩამოხედავდა“. ამ დროს ქალიც და ვაჟიც უნდა გაფრთხილებულიყვნენ, რომ მტერს თვალი არ მოეკრა მათთვის. ისინი კი სულ სხვა საქმით იყვნენ გართულნი: „ერთმანეთს თვალებში ეკქერდბოდნენ“. და მერე რამდენ რამეს ხედავდნენ:

„ქალს სინორჩე, სიჯანსაღე და სისხლჭარბობა(?!) ემჩნეოდა. მის სანთელივით მოციმციმე თვალებში, დაჭირხლული გრძელი წამწამები რომ ფარავდა, ვაჟი რაღაც ახალ სამყაროს ეკრეტდა. რაც განეცდელ სიხარულსა და სიტკბოებას ჰპირდებოდა მას.

ქალსაც დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მფარველად მოვლენილი ბაბუკაც გვერდით ჯდომა. მისი მრრუნველობა სიხარულით და რაღაც გამოუცდელი მღელვარებით ავსებდა.

და ქალი ეაჟისადმი სულ უფრო უსაზღვრო თანგრძნობით, სობოთი, წმინდა სინაზით იმსჭვალებოდა. თვალებში შესციცინებდა, აშკარად აწონებდა თავს, ეალერსებოდა“.

ასე, ამ სიტყვებით, თუ მაინც და მაინც ალარ იშლის თავისას, ავტორს ეფროსკალაკი მოსწყვეტია პირველ სიყვარულზე და მათ ეგრეთ წოდებულ გამოსაშვებ ეკლესიაზე შეეფლია მოგვითხროს. მართლაც ასე სასტიკად რომ არ შეეცდეთ და არ დაგვიფიწყდეს, თუ ამბავი სად, რა ეითარებაში ხდება, მწერალი, თითქოს განზრახ, მომდევენო ფრაზით გვაფუწავს:

„ქალმა ჩანთიდან პური ამოიღო, თოფის კონდახით შუაზე გადატეხა და მოხრილი ნატეხი ვაჟს გაუწოდა“.

ანა, როგორი წარმოსადგენია „პური ნატეხის“ (მთელი პური ხა, კიდევ ჰო!) გატეხვა თოფის კონდახით?

ამის შემდეგ ვაჟი მწარე ფიქრებს მიეცა. ქალი“.

„გრძნობაცეცქმენელი ქალის გაფერმკრთალებულ სახეზე სილამაზე იფურჩქნებოდა, თითქოს ჰაბუკის თვალებში, ღიმილში, უსიტყვო

მოწონებასა და აღტაცებაში საკუთარ სილამაზის ანარეკლს ეკვლევებოდა“.

აქ ჯერ მარტო „გრძნობაადექბული“ რადლიერს. მართლაც, რა ცელქად უნდა იყოს დაშვებული ქალი, რომ ღამით, ყინვაში, მტრით გარშემორტყმულ ჯალაში, სამყელი როცა არსაიდან ჩანს, გრძნობები ეუცელქდეს. ეს კიდევ არაფერი. ნეტა იმის მაინც გამაგებინებდეს ვინმე, როგორ შეიძლება „საკუთარი სიდამაზის ანარეკლს ეკვლევებოდე“ და რა მანძანებინო შეიძლება იმის მიღწევა, რომ ეს სილამაზე თანაც სხვის „ღიმილში, უსიტყვო მოწონებასა და აღტაცებაში“ იყოს არეკლილი.

ვაჟს უნდოდა ეთქვა ქალისათვის, შენს გვერდით რა შემაცივნებსო, მაგრამ ვერც შებედა... ეკი თუ პატივმოყვარეობა შეეულახოო“. ამის მაგალითად „ფრთხილად მოხეა მხარზე ხელი და თავისაკენ მიიზიდა“, თან ამ დროს ერთხელაც არ გახსენებია ქალის პატივმოყვარეობა. მაგრამ, საბედნიეროდ, მათ თანაბრად გატაცებით შეუფყვანდათ ერთმანეთი, ამიტომაც „ბჟეკრად ყველაფერი მშვიდობიით დამთავრ“ და, „უნებურად მათი ტუჩები ერთმანეთს მიეწებნენ.

— რა ტკბილი ყოფილა პირველი კოცნა! — ღიმოხდა ჯაბეკს“. რა „ვულნერფელობაა!“ რა „უშიალობა!“ ნუთუ თვით ატორის სულ არა აკრთის ყურს ეს დათასული, დამაკერული, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ასეთი ყალბი განცდები და ამოძახილები?

„ამის შემდეგ ქალ-ვაჟი ეზოს გაუდგება. „თოვლით გადათეთრებულ ველს“ დაადგებიან, რომ შერე ტყეს შეაფარონ სამეფოდ თავი. მაგრამ ავერანელები შენიშნავენ და ცეცხლს დაუშენენ ავტომატებიდან. ტყეკიამფრქვევებიდან და, წარმოიდგინეთ, ქვემეზებიდანაც კი. ქალმა ვაჟის „ჩრეკა ყურად იღო და თოვლში ღრმად ჩაეფლო. „ფაფარ-ბრდაში გამგდარ ყინვის მისთვის შიშისა და ხიფათის გრძნობა წაერთმია“... და უცბად „გაახსენდა:

„სულ იმას არ ეუბნებოდნენ, შენი სილამაზით ყველგან თავს ვიტაცხ, შენ თვალთა ელვარებით მზეददს მოათვინიერებ, მთებს შესძრავო? მაგრამ რატომ უტერინდება, რატომ არ ემუდარება ყინვას?..

და ქალს სურვილი აღეძრა წამოვრილიყო, „ტრიალით ყინვას შეეფერებოდა, ქალი ვარ, ნუ მომკლავ, შემიბრალეო. წამოიწია კიდეც, მაგრამ... იღბალი არა ვკქონია, ჭკთხეველ, ვერ მოვისმინეთ მისი ეს ღაღადისი, რადგან ქალი „წამოიწია კიდეც, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძრა, თითქოს კისერზე დახვეული ჯაკეები შეებათ, ხელფეხზე ბორკილი დაედოთ“. ავტორმა კი დაწოლილს არ აკაღრა ვედრება, ასე სასტიკად გაგვიცრუა იმედები და ეს კიდევ ერთი (ბერამდენ!) ყალბი სცენა სრულ აპოთეოზამდე აღარ მიიყვანა.

სრულა, როგორც იქნა, შეწყდა. ქალს ძალა გამოეცალა, სიარულის თავი აღარ ჰქონდა. „ბოთოშა, მასაც და ეფასაც დაავიწყდათ, რომ ფეხებიანი გადათეთრებულ მინდორზე იყვნენ დამაბრმავებელმაც „ამოდენა ცეცხლი“ სწორედ მათ დაუშინეს, ვაჟი ქალს „მუხლებში ჩაეკარა. „ბულამამჭალი ეხეეწებოდა“, ძალა მოკრიფეს, ვიარითო. ამან რომ არ გასჭრა, ბრძანებაზე გადაეიდა. მერე ისევ „ხმა მოითავფლა“. ბოლოს ოპოვა გამოსავალი: „ქალი მკერდში ჩაიკრა... თანაც ისეთი გზნებით ეკოცნიდა ბაგეებს, თითქოს კოცნის სტაბრეებასთან ერთად წასვლია თანხმობაც უნდა გამოსტაც�ოო“. ამან რალა თქმა უნდა, გაჭრა. ქალმაც „შემოხვია ვაჟს ხელი, კოცნას კოცნით უპასუხა. წასვლაზე ერთმანეთისათვის აღარაფერი უთქვამთ. უსიტყვოდ, გუშანით შეთანხმდნენ“.

მიდიოდნენ და თავის ფიქრებს მისცემოდნენ.

„ქალს გული იმაზე სწყდებოდა, ალბათ კაცისათვის დიდი უბედურება სიყვარულის განუცდელად სიკვდილი. სხვა არაფერი მინდა, ჩემს ბედში მყოფ ჯაბეკს, ამ დიდ გასაჭირში მხსნელად და მფარველად რომ მომეკლინა, სიამოვნება მივანჭო, ვნების ალში ჩავახრჩოვო“.

„ცივი სარეცელი“ „ადამიანური სითბოთი სავსე“ მოთხრობიდან ალბათ სწორედ ამით მოეჩეკნა თენგინ გოგოლაძეს. მართლაც, აბა სად გინახავთ, ან გსმენიათ ამხელა თავდავიწყება და თავგანწირვა, ვის ალძერია მაგვის მდგომარეობაში ესოდენ დაეოკებული სიყვარული, „ვნების ალში ჩაეხრჩო“ ერთ ბედ ქვეშ მყოფი ადამიანი. ყველაზე დიდი ბორკ

ის იქნებოდა, ქალს რომ ამ განუზომელი პუმანური სურვილის აღსრულება არ დასცალოდა. მაგრამ ასეიგიდადაც ვერ გასწირა ატორმი თავისი გმირები და ამიტომაც...

„უცებ მათ წინ სამყელი აღიმართა“.

აქ დაწერილებითაა აღწერილი, თუ როგორ მეფეწყობიან შეყვარებულები სამყელში, ცივ სარეცელზე, მაგრამ თუ მკითხველი მაკატრებს, ამ სცენის დამაგვირგვინებელ ადგილს მოვიტან მხოლოდ:

„ერთხანს ორივე გატრუნული იწვა. თითქოს განეცდელი ნეტარების მოლოდინში ცდუნებათა ძლიერმა ჯაჭვმა შებოჭამ. აღარაფერი უშლიდათ ხელს ტკბილ ნეტარებას მისცემოდნენ, მაგრამ ეგონნათ ისევ სიცივით ბაჯბაჯებდნენ. მათ კი უნდოდათ, ენატრებოდათ ერთმანეთისაკენ სრულოფლოდან მიენჯეზინათ. ის დიდი ბედნიერება, ქორწინების პირველ ღამეს ნეფე-დედოფალი რომ განიცდის ხოლმე“.

ო, რა იშვიათ ტკბესა და სოიკარ სილამაზეს ხეფავს თენგინ გოგოლაძე ამ თუ ამგვარ ნიმუშებში, რა კარგად ესმის ყოველი ნათქვამი ფრაზა, როგორ ეალბუნება მის სულს და გულს მოთხრობის ატორის „კაზმული სიტყვა“. მე კი, სამწუხაროდ, არ მესმის ავტორისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობებისა თუ განცდების მთელი ეს ხელოვნური კორიანტელი სწორედაც იმ სიყალბის ნიმუშად მიმაჩნია, რაიც ვერაფრით ვერ უთავსდება მხატვრულ აზროვნებასა და მხატვრულ მეტყველებას.

ამიტომაც სევდიანი ფინალი ამ მოთხრობისა სულ სხვაგვარად მოქმედებს ჩემზე და ჩემს მიერ განაწყენებულ თენგიზ გოგოლაძეზე.

ქალ-ვაჟს ბოლომდე არ დასცალდათ ნეტარება. გერმანელები საბძელს ცეცხლს წაუკიდებენ.

„— ვაიმე, დედა, ვიწვი! — და ცეცხლმოდებულ ბუდედან საშინელი კივილი აღმოხდა. (ქალ., გ. გ.).

— ეს რადაა?! — ამის დაძახებაღა მოასწრო ვაჟმა, უფრო მაგრად ჩაეკრა დამუგუზლებულ ქალს და თვითონაც უმალ ცეცხლად იქცა“.

თავი დავანებოთ იმას, რომ ვერც ვაჟმა და ვერც ქალმა ვერაფრით ვერ გიგეკს. რა ხდებოდა მათ თავს, როგორ იწვოდა საბძელი და როგორ იწვოდნენ თვითონაც.

საოცარი ისაა, ქალი როგორ დაიწვა, ანუ როგორ იქცა მუგუზლად ჯარისკაცზე აფრე, როცა ვაჟი თავისი სხეულით გადაფარეოდა მას. მარტო ის რადა ღირს, ენებით სავსე დედოფლის ნაცვლად „დამუგუზლებული“ ქალი რომ შერჩა ხელში, ვაჟმა ვაკვირვებით წამოიძახა „— ეს რადა�ა?“ ასე ძველი შარავლის ჯიბეში გადავეწყებული ნივთის მოულოდნელი აღმოჩენით გაკვირვებულმა კაცმა თუ შეიძლება წამოიძახოს. სწორედ ამ შეძახილით მთავრდება ეს მოთხრობა და სხვაგვარად, კაცმა რომ თქვას, არ შეიძლებოდა დამთავრებულიყო, რადგან ერთიანი სტილი დაირღვეოდა. ამ „მხატვრულ ქმნილებას“ კი, თუ რაიმე ღირსებას მოუძებნის კაცი, ეს ის გახლავთ, რომ ერთიანი, თუმცა, სამწუხაროდ, ყალბი სტილი თხრობისა ბოლომდეა დაცული. ამიტომაცაა, რომ ქალ-ვაჟის ტრაგიკული ბედი მე პირადად არ მაღელვებს, და ვისაც მწერლის მიერ სრულიად უნებლიეთ ასე კომიკურად წარმოდგენილი ტრაგიკული ისტორია გულთან ახლოს შეუძლია მიიტანოს, ბარაქალა მას.

თენგიზ გოგოლაძე ვანო ურჯუმელაშვილის გარდა სხვა ავტორებსაც დაუდგა ქომაგად. ამას ადარ გამოვეკიდები, სიტყვას არ გავაგრძელებ, ისედაც გამიგრძელდა. ერთს დავსძენ მხოლოდ, რომ თუმცა სხვა, ჩემს მიერ დაწუნებული მოთხრობები ისეთი კერიოზული არაა, როგორიც ზემოთ განხილული გახლავთ, მათაც აქვთ თავისი სუსტი მხარეები და აქ არ ღირს, მათ ახალგაზრდა ავტორებს კიდევ ერთხელ ავუფორიაქოთ სული. რაც მთავარია, ამ ერთი მოთხრობის ანალიზითაც, ალბათ, ნათელი უნდა იყოს მკითხველისთვის, თუ რანაირი განსხვავებული გემოვნება გვაქვს მე და ჩემს მწერალ-ოპონენტს, რა სხვადასხვა სახლმოინი ეუდგებით მხატვრულ ნაწარმოებს. ეინაა მართალი, ეს მკითხველმა განსაჯოს.

ერთი რამ კია, ქართული პოეზიაცა და პროზაც მეტ-ნაკლებად ყოველთვის თავისი ეპოქის მწერლობის დონეზე იდგა და დგას, ზოგჯერ კი, ჩვენდა საბედნიეროდ და საამაყოდ, თავად განსაზღვრავდა ამ დონეს. ჰოდა, ვისაც მისი ბედი აღელვებს, ვინც მისდამი წრფელი სიყვარულითაა სავსე, ვისაც მარტო ლიტონი სიტყვით კი არა, ნამდვილად სურს, რომ ეს დიდებულია ტრადიცია არ მოიშალოს, მან ქართულ მწერლობაში თავისი საკუთარი ადგილის ძალით მინიჭება-მოწესრიგებაზე ცოტა ნაკლებ უნდა იზრუნოს და მოზღვაებული ენერგია სხვა რამ ისეთ სასარგებლო საქმეს შეალიოს, რაც ნამდვილად ხელეწიფება.



ᲘᲕᲐᲜᲔ ᲘᲛᲜᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

ᲠᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲘᲯᲓᲔᲡ ᲗᲣ ᲠᲐᲓᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲘᲯᲓᲔᲡ?

თანამედროვე ქართულ ენაში არის ერთი სინტაქსურ-სტილისტური მოვლენა, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან გავრცელდა და ლამის მთელ ენას მოედვა. საქმე ეხება ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა: სადაც არ უნდა წავიდე, როგორც **არ** უნდა მოხდეს, რაც **არ** უნდა შემემთხვას, როგორი მიმზიდველიც **არ** უნდა იყოს, რადაც **არ** უნდა დამიჯდეს, რამდენჯერაც **არ** უნდა წავიკითხოთ, ვინც **არ** უნდა თქვას, რაგინდ სასიხარულოც **არ** უნდა იყოს, რაც **არ** უნდა დამემართოს და სხვა. ასეთი გამოთქმები გვხვდება რთულ ქვეწყობილ (ე. წ. თუმცაღაც-ის) წინადადებებში, როგორც დამოკიდებული წინადადება. ზემოთმოყვანილ მაგალითებში წარმოდგენილია მხოლოდ ეს დამოკიდებული წინადადებანი, სიმოკლისათვის აღარაა მოცემული მთავარი წინადადება (სადაც არ უნდა წავიდე, **გული მაინც სახლისკენ მომიწევს**, როგორც არ უნდა მოხდეს, **ამ დავალებას მაინც შევასრულებ**, რაც არ უნდა შემემთხვას, მაინც წავალ სანადიროდ...), რომელსაც აქ წამოჭრილი სადავო საკითხისათვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთლიანად ეს კონსტრუქცია შემდეგი ფორმალურ-შინაარსობრივი ნიშნებით ხასიათდება:

1. მთლიანი წინადადება გამოხატავს დაბრკოლების აუცილებელ გადალახვას (როგორც არ უნდა მოხდეს, ამ დავალებას მაინც შევასრულებ);

2. რთული წინადადების ერთ (ჩვეულებრივ პირველ) ნაწილში, დამოკიდებულ წინადადებაში გადმოცემულია გარკვეული გასაჭირალიწინებელი პირობები და დაბრკოლებები, ხოლო მეორეში (მთავარში) — საბოლოო შედეგი (რა ძვირადაც არ უნდა დამიჯდეს, ამ საქმეს მაინც შევასრულებ).

ფორმალური თვალსაზრისით თვალში გვეცემა შემდეგი ნიშნები:

3. გვაქვს კითხვითი სიტყვები, რომელთაც ერთვის **ც** ნაწილაკი და მათ განუსაზღვრელად აქცევს: **ვინც, რაც, რადაც, როგორც (როგორიც), სადაც, რომელიც...**

4. გამოთქმის ხერხებალია **უნდა** (გინდ) ნაწილაკი, რომელსაც წინ მიუძღვის სადავო **არ** უარყოფითი ნაწილაკი (რადაც არ **უნდა** დამიჯდეს);

5. ზმნა შუდამ დგას კავშირებითის მწკრივებში: პირველში, მეორეში, აგრეთვე II თურმეობითში, რომელიც ახალ ქართულში III კავშირებითის ენაცვლება (სადაც არ უნდა **მივდიოდე**, რადაც არ უნდა **დამიჯდეს**, რაც არ უნდა **შემთხვეოდ...**). ეს ნიშნები ამ კონსტრუქციის საერო დამახასიათებელი თვისებებია, აუცილებელიც არის.

კითხვა ისმის: რა საჭიროა აქ **არ** ნაწილაკი? არის თუ არა იგი გამართლებული არსებითად (ლოგიკურად), ტრადიციით, ქართული ენის ისტორიით, ქართული ენის ბუნებით? არა, არ არის გამართლებული არც ერთი თვალსაზრისით, იგი ყოველმხრივ მიუღებელია. როცა კარგი ქართული ვიტყვით: რა ძვირადაც უნდა დამიჯდეს, ამ საქმეს მაინც შევასრულებო, ჩვენ ვხედავთ, რომ მისი შესრულება ადვილი არაა, ძალიან ძნელია, ძვირი ჯდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელი ძალის მოკრებით, მთელი ენერგიის დახარჯვით, ჭვირად, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ საბოლოოდ მაინც სრულდება. ხოლო რას ვღებულობთ, როცა ვამბობთ: რა ძვირადაც **არ** უნდა დამიჯღეს, ამ საქმეს მაინც შევასრულებთ? სრულიად მოულოდნელსა და წარმოუდგენელს: თურმე საქმის შესრულება ძვირად **არ** ჯღება, ძნელი სრულებითაც არაა, ძალიან ადვილია, ჩვენ კი ვიჭაუბნით და რიხით ვაცხადებთ: ამ საქმეს **მაინც** შევასრულებთ. რაღა საჭიროა ასე გადაჭარბით დაპირება, ამ საქმეს უეჭველად შევასრულებთ, თუ წინასწარ ვიცით, რომ მისი შესრულება ძვირი არ ჯღება, ადვილი იქნება, დაბრკოლებები არაა? ეს ულოგიკობაა, სხვა არაფერი. ასეთია სხვა მაგალითები. „ცისკარში" ერთგან ვკითხულობთ: ამ პაწია ნერგის დამარცხება არ შეიძლება, რანაირი გვალვაც **არ** უნდა დადგეს, რა აი გრიგალიც **არ** უნდა ამოვარდეს (№ 2, 1968, 115). თუ გვალვა **არ** დადგება, თუ აი გრიგალი **არ** ამოვარდება, მაშინ ნერგს (თუნდაც პაწიას) რა დაამარცხებს? მაგრამ სულ სხვაა, თუ ვიტყვეთ: რანაირი გვალვაც უნდა დადგეს, რა აი გრიგალიც უნდა მოვარდეს, პაწია ნერგი მაინც არ დამარცხდებაო. ხედავთ, დადგა საშინელი გვალვა, ამოვარდა აი გრიგალი, მაგრამ პაწია ნერგმა გაუძლო ყველა ამას და მაინც არ დამარცხდა, გაიმარჯვა.

ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ ასეთ გამოთქმებში **არ** ნაწილაკის გამოყენება არ შეეფიტება ქართული ენის ბუნებას, იგი ამ ბუნების საწინააღმდეგოა და ზიანს აყენებს ენის ნორმალურ განვითარებას, ხერგავს ენას მის სხეულში შეპრალი უცხო ელემენტით.

აი კიდევ ამნაირი სიმახინჯის სხვა მაგალითები ჩვენი პრესიდან და ლიტერატურული პროდუქციიდან:

რამდენიც **არ უნდა** ელაპარაკოს, ვინც **არ უნდა** დაიმოწმოს, მაინც არ დაუჯერეს („ბნილთობი", № 1, 15); რამდენიც **არ უნდა** ვეცადოთ, ბინდიან ვერ გვიიგანთო (იქვე); სტუდენტი, რაც **არ უნდა** იყოს, მაინც სტუდენტია (იქვე, 19); რომელ ეკიმთანაც **არ უნდა** მივიდე, ყველა წნევას მიზომავს (იქვე, 31); რაც **არ** ყოფნა დაგვიჯღეს (იქვე, 78); რადაც **არ უნდა** დაჯღეს (იქვე, 83); რა სიძნელეებიც **არ უნდა** შეხვედს ცხოვრებაში, ამას ყველაფერს ადვილად ივიწყებს (იქვე, 92); რაც **არ უნდა** მოხდეს, ... ირსად შამოგცდეს (იქვე, 132); როდესაც **არ უნდა** მისულიყენენ მასთან (იქვე, № 2, 161); რაზედაც **არ უნდა** ეფიქრა (იქვე, № 10, 1969, 5); რამდენჯერაც **არ უნდა** წავიკითხოთ („ცისკარი", № 9, 68); აქ რაც **არ უნდა** დიდი ქეიფი იყოს (იქვე, 10, 23); როგორც **არ უნდა** დაიგვიანოს (იქვე, 11, 79); რაც **არ უნდა** მითხრა (იქვე, 12, 48); რაც **არ უნდა** თქვან (იქვე, 12, 79); რაც **არ უნდა** კოტტაფ ეცვას, **რაც უნდა** აწუობილ-დაწუობილი ჰქონდეს წარბები, წაიწმაბები და თმები (იქვე, № 6, 1969, 6); ვინც **არ უნდა** ყოფილიყო ის მოხუცი (იქვე, 28, 88); მაგრამ მხატვრულ ნარკვევებს, რაგინდ საუკეთესოც **არ უნდა** იყოს იგი, თავისი ადგილი გააჩნიათ ნეკუთვნება მეურნეობაში („ლენ. საქ.", № 1, 1969); რა აზრიც **არ უნდა** გამოითქვას („ობილისი", № 81, 5. IV. 1969).

მაგრამ ამის გვერდით ჩვენს პრესაში და ლიტერატურაში ხშირია მართებული ფორმებიც, მაგალითად: ყველ დედისათვის, ვინც **უნდა** იყოს იგი, ... ზეელი უზენაესი ჯილდოა („სახ. განათ."., № 23, 19.III. 1969); როდესმე გასაოცარიც **უნდა** გეჩვენოს ეს („ობილისი", № 12, 16.I. 1970); არც ერთი ჩემმაიონატი, რაგინდ კანონერიც **უნდა** იყოს მისი შედეგები, არ გამორიცხავს შემთხვევითობის ელემენტს („ლენინ", № 57, 22.III. 1969); ბრაზილიელებმა 1970 წელს, რადაც **უნდა** დაუჯდეთ, მსოფლიოს ჩემპიონობა უნდა დაიბრუნონ (იქვე, № 60, 26.III); რაც **უნდა** ჩქარა ირბინონ, მაინც ეწამოგეწეა ბოლოს (კ. გამსახურდია, II, 753);

სადაც უნდა მივდიოდე
უცხო ქვეყნად მარები,
უკანასკნელ შვიდიოდე
წლის თან მომდევს ქარები.
სადაც უნდა შევიარო,
ღვინოს დამაძალებენ,
მწუხარება ვერ დავფარო,
ღვინოს დაიბრალებენ (გ. ტაბიძე,
„ღვინოს დაიბრალებენ". II, 32).

ცალკე უნდა ვთქვათ, რომ ქართულ პრესაში ყველაზე მეტი თავგამოდებით ამ მხრივ ქართული ენის სიწმინდეს გაზეთი „კომუნისტი" იცავს. იგი სისტემატურად უსწორებს ავტორებს მახინჯ მაგალითებს და მკითხველს ჩვენი ლედაენის ბუნების შესაფერ სწორ ფორმებს აწვდის; მაგალითად: რადაც **უნდა** დაუჯდეთ („კომუნისტი", № 66, 19.III. 1969); რადაც **უნდა** დასჯდომოდა (იქვე, № 94, 22.IV); რა შედეგიც **უნდა** მოსდევდეს ამ უარყოფას (იქვე, № 100, 29.IV); ყოველგვარი დანაშაული, ვინც **უნდა** ჩაიდინოს იგი, ... შეეუწყნარებელია (იქვე, № 126, 1.VI); რა ტბილადაც **უნდა** იღიმებოდეს (№ 4, 7.I. 1970); როგორადაც **უნდა** დამთავრდეს ინციდენტი (იქვე); **დიახ**, უნდა ვაღიაროთ ეს, რა გულსატკენიც **უნდა** იყოს (იქვე). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სწორი ფორმების დაცვა რუსულიდან თარგმნილ მასალებში, რაც ასე ადვილი არაა.

აქ უნდა დავსვათ მეორე კითხვა: კარგი, გავიგეთ, რომ „რაც **უნდა** დამიჯღეს", „რამდენიც **უნდა** ელაპარაკოს" და მსგავს გამოთქმებში ქართული ენის ბუნებისაშებრ არ უნდა ვიხმაროთ **არ** ნაწილაკი და წინადადება ისე გავ-

ივანე ინანიშვილი
ქართული ლიტერატურული ენის
ნორმალიზაციის საკითხები

ქართოთ, როგორც ზემოთ წერია. მაგრამ რა იწვევს ამ მახინჯ ფორმებს? **რა უწყობს ხელს** მის ასეთ მოჰშირებასა და სოკოსავით გამრავლებას? მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს, დიდი და მცირე (ფსიქიოლოგიური, უკანასკნელ ხანებში ორმაგი უარყოფის მოძღიერება...), მაგრამ უმთავრესი მაინც რუსული ენის გავლენაა. რუსულში ასეთ გამოთქმებში, ენის ბუნების სრული შესაბამისობით, უარყოფითი ნაწილაკი **ни** იხმარება, **უამისოდ აღნიშნული გამოთქ**მები იქ შეეძლებელია. აი, რუსული ენის რამდენიმე დამახასიათებელი ტიპური გამოთქმა: Во что бы **не ни** стало (რაც არ უნდა მოხდეს, რაც უნდა დაჯდეს), где бы то **ни ни** было (სადაც უნდა იყოს), как бы то **ни ни** было (როგორც უნდა მოხდეს, როგორც უნდა იყოს), кто бы то **ни ни** пришел (ვინც უნდა მოვიდეს), каков бы он **ни ни** был (როგორიც უნდა იყოს იგი), что **ни** говори (რაც უნდა თქვა), как **ни** старайся (რაგინდ ეცადო), какое бы то **ни ни** было (როგორიც უნდა იყოს), какую **ни** покажи ему работу (რაც უნდა სამუშაო აჩვენო), как ни на есть (როგორც იყოს, როგორც უნდა იყოს, რაც უნდა თქვა) და სხვ.

აი, ამ რუსული გამოთქმების კალკა ჩვენი ქართული დამახინჯებული ფორმები: რაც **არ უნდა** იყოს, რაც **არ** უნდა დაჯდეს, სადაც **არ** უნდა წავიდე, როგორც **არ** უნდა ვეცადო, რაგინდ არ მეჩქარებოდეს, რა სინდულებიც **არ უნდა** შეხვედეს ცხოვრებაში და სხვ. როცა რუსულში ზედავენ **ни** უარყოფით ნაწილაკს, ის ბრმად გადმოაქვთ ქართულშიც სათანადო **არ** ნაწილაკით და მახინჯი ფორმაც მზად არის. თავს არავინ იწუხებს, დაუკვირდეს, შეამოწმოს, სწორია, თუ არა **არ** ნაწილაკის დასმა, ნახოს, თუ როგორ იქცეოდნენ ამ შემთხვევაში ჩვენი დიდი წინაპრები. ამიტომაა, რომ ეს სიმახინჯე ასე სტენეურად და მეკანაკურად ვრცელდება ენაში.

როგორ იყო სამეგ ძველ ქართულში? ძველ ქართულში ასეთი კონსტრუქცია არა გვქონდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქ **უნდა**[1] ჩვეულებრივი ორპირიანი ზმნა იყო და ჯერ კიდევ არ იყო გადაქცეული ნაწილაკად, ხოლო **უნდა (გინდ (ა)** ნაწილაკი კი, როგორც ვნახეთ, ამ კონსტრუქციის ძირითადი ბერკეტია.

დიდ ზოთას თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში" გამოყენებული აქვს ეს კონსტრუქცია. **აქ გინდა (გინდ)** უკვე ნაწილაკად არის ქცეული. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აქ ამ განზოგადებულ ნაწილაკად იქცა არა მესამე, არამედ მეორე პირის ფორმა (გინდა). **ახალ ქართულშიც** კი გაბატონებულია **უნდა, გინდ (ა)** კანტიკუნტად იხმარება. კითხეთ სიტყვებად რუსთველს გამოყენებული აქვს **რა, რაზომ** და **სადა?** არ ნაწილაკი კი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ არის, მისი ჯაჭვანება არ ისმის არსად. რაც შეეხება ამ კონსტრუქციის დამახასიათებელ **ც** ნაწილაკს, იგი ჩვეულებრივ არაა წარმოდგენილი, რაც ადვილად იხსნება: ძველად კითხვითი ნაცვალსახელები და ზმნიზოდები განუცალკევებელი იყო უამანულოლაოდაც (ვინ-ვინც, რა-რაც, რომელ, რომელი-რომელიც, სადა-სადაც .). ეს თავისებურება შემონახულია „ვეფხისტყაოსანშიც", მაგრამ აქ ამის გვერდით გვაქვს **ც (ა)** ნაწილაკიანი ფორმებიც. აქ ვეუჩვენებთ ამ კონსტრუქციის რამდენიმე მაგალითს:

სადა გინდ ვიყო, რა მგამა	796.4[1]
ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა,	
რა გინდა ვინ გივაზიროს	884.4
არ იოქმის და ვერცა ვიტყვე,	
რა გინდა ვინ მისაგმოს	745.4
თქვი, რა გინდა წაგეყიდოს,	
თავი დადეგ საწამებლად	752.4
რა გინდა მომეცეო, რას ვაქმნევ?	
მე ვარ და ჩემი ცხენია	1055.4
შენ ისმენდი, მე გიამბობ,	
რაცდა გინდა წამეყიდოს	308.4
რა აქიმი დასნეულდეს,	
რაზომ გინდა საჭმელარი	664.1
არ მომისმენ, რაზომ გინდა	
საუბარი მიდიადდეს	940.2.

იშვიათად აქ შეიძლება შეგვხვდეს ისეთი მაგალითი, რომელშიც **გინდა** საწინააღმდეგო **ც** ნაწილაკი:

მუნამდის გავსძლო სულთა დგმა,	
გული რაზომცა მტკიოდეს	1088.3.

„ვეფხისტყაოსანსა" წყარო, როგორც ვხედავთ, ანკარა, ამღვრეული ნიშანი არსად ჩანს.

როგორ იქცევა ამ მხრივ XIX საუკუნის დიდი სამეული — ილია, აკაკი, ვაჟა? ამ კონსტრუქციას სამივე იყენებს, პირველი ორი ნაკლებ (ილიას, მაგალითად, „ოთარაანთ ქვრივში" მხოლოდ 2 მაგალითი მოეპოვება), მესამე — ზეგრად. მაგრამ სამივე დიდ ტრადიციას მისდევს, ფორმულაში მსჯელობა დადებითია, **არ** ნაწილაკი აქაც არსად ჩანს. მოვიყვანთ რამდენიმე ტიპურ მაგალითს თითოეული მათგანიდან.

ილია

რაც **უნდა**: დამეგართოს (მხატვრულ» ნაწერები, 1937, 309); რაც **უნდა** იყოს, მე და შენ ქალები ვართ, ღვთის შეილები 328; რაც **უნდა** იყოს, დედაკაცია 356; რაც **უნდა** იყოს, ...

[1] **უნდა** ძველ ქართულში უწყვეტელი იყო და ამას ნიშნავდა: უნდოდა, хотел მისი აწმყო უნდა ყოფილიყო **უნა**, II ობიექტურ პირში — **გინა.** მართალია, ეს უკანასკნელი (**გინა**) გვაქვს ძველ ქართულში, მაგრამ იგი დღეგანდელ **ანუ-ს** უდრის და კაჟმრია, ამიტომ ჩვენთვის საინტერესო კონსტრუქციას ვერ ქმნის.

[1] „ვეფხისტყაოსნიდან" მაგალითებს ვიმოწმებთ **ა. შანიძისა** და **ა. ბარამიძის** 1966 წლის გამოცემის მიხედვით.

ჩვენი აკვანი საქართველოა 372; მაგრამ, ვინც **უნდა** იყო, **შენ** ფაფს ვერ მაცალეთენებ 380; რაც **უნდა** დამბრთოს 422; რაც **უნდა** მწუხარე ბეშმარიტება იყოს 472; რაც **გინდ** საქმე ჰქონოდათ 515; რაც **უნდა** მდარე მოსაცალი ყოფილიყო 521; რაც **უნდა** იყოს (ისზულუბანი 5 ტომად, ტ. III, 1952, 22, 84, 256, 262, 567); გლეხაცაცა რაც **უნდა** სიმდიერე შეიმატოს 31; რაც **უნდა** უკან დაწეული იყოს 114; რაც **უნდა** ყამირი მიწა იყოს 116; რა მხრითაც **უნდა** გაინსჯოს პროეკტი 133; რა მხრითაც **უნდა** მიეუდგეთ ბატონ მეინსრის პროეკტს 150; რაც **უნდა** გულლრძო და ჯუდელი კაცი იყოს, მაინც ვერ იტყვის 183; რაც **უნდა** ბევრს დაეტიგეთ 189; მუშა... რაც **უნდა** ღარები იყოს 197; რაც **უნდა** სიმდიერით მორთოს, ... რაც **უნდა** მრთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად 231; (უძრავი ქონება) რა ფასისაც **უნდა**- იყვეს 274; რაც **უნდა** ერომანეთზედ დაშორებულნი ქვეყნები აიღოთ, ... ნახავთ 297; **რომელი** ერიც **გინდა** აიღოთ მთელს ქვეყნერობაზედ, ჰნახავთ 311; რაც **გინდ** მაღლა თაროზე დასვთო 380; ბატონნი ნოე ყორდანია რაც **გინდ** გაიბეროს და გაიეიმოს, მწერლად ვერ გამოდგება 381; რა **გინდ** ბევრი ეჭიკეიენეს 388; ძლიერია ერი, რაც **უნდა** პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს 448; რაც **უნდა** პატარა იყოს 474; ყოველს საქმეში, რაც **გინდა** ინგლისსთვის სათაკოლო იყოს... 546; მაგრამ რაც **უნდა** ფხასავით ყელზედ დაადგეს „კაკეაზს" ეს სახელოსნო სკოლა, მაინც მკურნალს ვერ იშოვის 599.

ერთგან, მხოლოდ ერთგან შეგვხვდა ის საკადათთ **არ** ნაწილაკი, და ისიც ისეთ წინადადებაში, რომელშიც მეორე მაგალითი სწორად არის წარმოდგენილი და ზემოთ კიდევაც მოვიყვანეთ ჩვენ. ახლა კვლავ ვუჩვენებთ ორივე მათგანს ერთად: რა მხრითაც **უნდ** მიეუდგეთ ბატონ მეინსერის პროეკტს, რომელი იღთქმა და დაპირება **არ** (?) კავსინჯოთ, ენახავთ 150. არა, ამას ილიას ხელი არ დაწერდა: „რა მხრითაც **უნდ**ა მიეუდგეთ" და იქვე: „რომელი იღთქმა და დაპირება **არ** გავსინჯოთ". ილსანიშნავია, რომ II შემთხვევაში ილია **უნდ**ა-ს აღარ იმეორებს, მაგრამ ეს არაფერი, შეიძლება სტილისტური თვალსაზრისით სიტყვის განმეორებას მორიდდა. ჩვენ მაინც გვგონია, რომ, ეს **არ** შეგვეთი შეცდომაა, ან მაინც სხვისი ნახელავია.[1]

აკაკი

რაც **უნდა** ურჩინო, არ დაიჯერებსო (რჩეული ნაწერები, 1935, 58, 3 ქვ.); უფმერთოდ, რაც **უნდა** იცოდე, მაინც ვერას გაიწყობ 392,2; საზოგადოდ ყველგან, სადაც **უნდა** იყოს, ობობაციის პირველი ხანები სიეკლო ბზაა 44,3 ქვ.; რა ჯერეული **უნდა** ეშეოოს ქართველს, მაშინდინის, კათლიკის თუ მართლმადიდებლის, მაინც მტკიეეედ სდგას ზედ 448,7; როდესაც საზოგადოება აკისრებს მისს თვითეულს წევრთაგანს რაქე მოვალეობას, **რაგინდ** უმცირესეეა იყოს ეს მოვალეობა, წევრს მაინც ნება არა აქვს, რომ... 449,19; (ეს სტატეგეი) საიდანაც **უნდ**ა იყოს, სულ ერთია 481,2; რაც **უნდ**ა ნახო, არ გაიკვირვო 500,9; სადაც **უნდ**ა ვიყო, თქვენი ხსოვნა... ჩემი გულიდან არ ამოვა (განმ. ლექს.. **სადაც**); ვისაც რა **უნდ**ა უყვარდეს, სულ სხვაა ჩემი ტრფიალი („მუშის ნატერა": 87); ვისაც ვინ **უნდ**ა უყვარდეს (იქვე); **რაგინდ** ბედით ვიყო კრული, სამნელიც მექნეს ბოლო („ეკარდის ხმაზე": 40).

ვაჟა

ვინც: კაი ყმა, ვინც **უნდ**ა **იყოს**,
პრიიეეი და **დახადგმონია** I,344, A15[1]
იმან არ იცის სიბერე,
არც **მომაკვდავად** **სწერია**,
ვინც **უნდ**ა **იყოს**, **ვინც** **უნდ**ა,
თუნდ **სულ** **უბრალო** **მწერია** II, B27.
მას **ოდენ** **შიში** **არა** **აქვს**,
ვინც **უნდ**ა **შეხვდეს** **ქებული**. II, 233, A28.

მობრძანდი, ვინც **უნდ**ა იყო, ახლა აღარ მეშინია: III, 301,17; ვინც **უნდ**ა **იყოს** **შენი** სტუმარი, ისე მივიდეს, როგორც... III, 468,2; ვინც **უნდ**ა იყოს იგი: III, 584,14; ვინც **უნდ**ა იყო, თუ ვინდა ალი, რომ ავიტანო ამდენი ტანჯვა: IV, 282,38; ვინც **უნდ**ა იყოს, ძვირადი ღირდეს, არა ღირს ძვირფას შენს ნაღვლის ფასადა: IV, 303, 15,9; მანდილოსანნი მისი დებია — ვინც **უნდ**ა იყენენ ივანი: V, 47,26; სულ ერთია, ვინც **უნდ**ა წარმოთქვას ლოცვა: V, 61,1; განა მოგალეა ხალხი, რომ ვინც **უნდ**ა იყოს, იმისგან დაბარჯული... თვითონ გადაიბადოს: V, 373,23; ვინც **უნდ**ა იყოს იგი: V, 475,42; ვისთანაც **უნდ**ა ჰქონოდა საქმე: IV, 15.22.

რაც: **ვერ** **შეგიყვარებ**. **ბოროტო**,
რაც **უნდ** **მეჩვენო** **კარგია** I, 111, B8
რაც **უნდ**ა **ჭირი** **მომკერძო**,
ბილწო **არ** **შეეეკვრი** **ზავთა** I, 199, A7
მორჩა, **ვეღარვინ** **შემმუსრავს**,
რაც **უნდ** **ეცადოს** **მეტადა** I, 221, B2
სიკვდილს **ვერ** **დაემყოვრები**,
რაც **უნდ**ა **იყო** **ჭკვიანი** I, 226, A16

[1] ეს **არ** არის აგრეთვე პ. ინგორაოეკის რედაქციით გამოაეეს გამოცემაშიც: ტ. VI. 1927, გვ. 308, თვით „ეევრიაშიც" (დეკემბერი, 1882) ასეა: **არ** იქავ მოიპოვება.

[1] მაგალითები დამოწმებულია აკადემიური გამოცემის ხუთტომეულის მიხედვით. (1961).

ივანე ივანიშვილი
ქართული სალიტერატურო ენის
ნორმალიზაციის ს'კითხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც **უნდა** გულმაგარი კაცი ყოფილიყო, თამარის კვნესა მაინც აკვნესებდა: III, 26,36; რაც **უნდა** ეცადო: III, 70,28; რაც **უნდა** ბეჩავი ვიყო, თქვენ აღარა გკობივართ, თქვე მასწავლებლებო, თქვენსა: 88, 5-7; რომ... მდინარეზე ხიდი გაგვედო, რაც **უნდა** დაგვჯდომოდა: III, 101,10; რაც **უნდა** წვიანი მოგეტანთ: III, 116,41; რაც **უნდა** კაი ბიჭი იყოს: III, 176,35; მე მგევსაო: არ იცვეიტი, რაც **უნდა** გეცემინ ყვერითა: III, 228,25; ვინც **უნდა** იყო: III, 301,17; რაც **უნდა** მობღეს, უნდა შევეკახოთ ერთმანად: III, 416,1; რაც **უნდა** გრძელი ხანჯარი იყოს: III, 445,25; იმას კაცი ვერ ასცდები, რაც **უნდა** ბევრს ეცადოს: III, 584,35; ეხლო რაც **უნდა** ვსთქვა და ვიფიქრო, ტყეული იქნები: III, 586,43; რაც **უნდა** ბევრი ეძოთო დიდებული მესროფი, ვეღარ იპოვთო: IV, 573,3; ეს, რაც **უნდა** იყოს, საქმეა: V, 110,19; რაც **უნდა** მოხდეს: V, 205,11; რაც **უნდა** დიდებული იყოს ზღაპარი: V, 571,18; მარტო „ამბავი“ არა კმარა, რაც **უნდა** დიდებული იყოს ეს ამბავი: V, 273,36; რაც **უნდა** იყვირო, იქვირო: V, 298.12; რაც **უნდა** დიდიკაცი ბრძანდებოდე: V, 303,18; რაც **უნდა** უფეროულ და უომეფო ყოფაში იყოს ადამიანი, ახალწულს მაინც იმედი ეგებებაა: V, 409,6; რაც **უნდა** კარგად მოუარონ: V, 416,16; რაც **უნდა** წინაალმდეგი იყოს ამის თქმა: V, 466,6; რადაც **უნდა** დაჯდომოდა: IV, 560.20.

რაბპნენ: რა-ბენდა ბედმა მომტყუნოს,
რა-ბენნ ვარამმა მეგნინოს I, 87, B3
ვეღარ ვიაოვნი, რაბენნ ვეცადო
I, 423, B2

რამდენიც: რამდენიც უნდა მოვიდეს,
თუნდ უმრავლესი ქვეშისა I, 234, B1

და ნელარ დამეხსნებენ, რამდენიც **უნდა** გეხვეწო, ვემეფიარო: IV, 164,19; რამდენმა ჩაფარმა და მოხელემაც **უნდა** გამოიაროს, ყველამ უფასოდ დღეში თითო საკლავი მოითხოვოს: V, 373,20; ...ნაწარმეობაც, რამდენჯერაც **უნდა** წაიკითხო..., მადას გიღეიძებს ახლად წაკითხვისას: V, 262,38.

რნგპორც: როგორც უნდა იყოს: IV, 93,29; V, 242,8.

რნგპორიც: როგორიც უნდა მმართველობა დაარსდეს: V, 255,2.

სადაც: სადაც უნდა იყვნენ: II, 285, A34 და სხვა მრავალი.

ზომ ასე ზშირად ხმაობს ეაკა ამ კონსტრუქციას, ერთხელაც კი არ წასცდენია დამახინჯებული, **არ** ნაწილაკინი ფორმეული. ამის მიზეზი ის გარემოებაა, რომ ეაკა ბმობლიური ქართული ენის უბადლო მცოდნე იყო, თავგადადებით იცავდა ძველი ქართული კარგ ტრადიციებს და თავისი ღვიძლი დიალექტის საუკეთესო ფორმებს. ფშაური დიალექტისა და აგრეთვე სხვა ქართული დიალექტებისათვის კი უცხოა „რაც **არ** უნდა დამიჯდეს“ ტიპის მეხნეჯი გამოთქმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სასკოლო ლექსიკონი ამ მხრივ უზადოა. ლუსანშვილია. რომ ამ წიგნში **где** ეს ნიშანი ყოფილა მთარგმნელი: სადაც უნდა იყოს (.где«).

ჩვენი საკითხის თვალსაზრისით ყველას ჩამორჩენა ქ. დოიკაშვილის ქართულ-რუსული სიტყვიერი ლექსიკონი (1953-1959-1967). აქ ბორგმეტი ეროვნული უმართებული, **არ** ნაწილაკიანი ფორმები, მაგალითად: რადაც **არ** უნდა დამჯდარიყო („დაჯდობა«: I, 669); რადაც **არ** უნდა დამიჯდეს (იქვე); ვინც **არ** უნდა იყოს („ვინ«: II, 51); როგორც **არ** უნდა იყოს („როგორც«: III, 60); რაც **არ** უნდა მოხდეს („ყოფნა«: III, 370) და სხვანი.

კარგი იქნება, თუ შემდგომს გამოცემებში ლექსიკონი ხარვეზები გასწორდება.

რას ამბობენ მეცნიერები, ენის სპეციალისტები? ისინი ერთხმად ღაღადებენ, რომ დამეკითებით დავიცვათ ქართული ენის ბუნებისათვის დამახასიათებელი უნაწილაკო ფორმული (რადაც უნდა დაჯდეს) და ცეცხლთა და მახვილით ვებრძოლოთ დამახინჯებულ, **არ** ნაწილაკთ უმართებულოდ დანაგვიანებულ ფორმებს (რადაც არ უნდა დაჯდეს).

პირველად ამ საკითხს ვ. თოფურია შეეხო ჯერ კიდევ 1924 წელს. თავის მოხსენებაში („ერთ-ერთი სინტაქსური კონსტრუქციისათვის ქართულში«) მან დაასაბუთა, რომ **არ** ნაწილაკს ხმარება არ შეეფერება ქართული ენის ბუნებას და იგი უკუსაგდებია („წელიწდეული«, 1923-24, გვ. 368-369). სამწუხაროდ, ეს მოხსენება დღემდე არ გამოქვეყნებული.

დიდი ხანია, ეს საკითხი შეტანილია ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის« II ნაწილში (სინტაქსში). ქართული ენის დაუღალავი მკვლევარი და მისი სიწმიდის თავდადებული დამცველი ცალკე პარაგრაფად გამოყოფდა ამ მტკივნეულ საკითხს და წერდა: „უნდა ნაწილაკიანი გამოიქმეანი (ვინც უნდა, რაც უნდა, რამელიც უნდა, რამდენიც უნდა, როგორიც უნდა) ზეპლის იწყოს პირველ ან მეორე კავშირებთში, ან კიდევ II თურმეობითში (მესამე კავშირებითის ნაცვლად). მაგრამ აუცილებლად წარიქმითი ფორმით (ე. ი. „არ« სავარო არაა). მარილაც, წესიერი ქართული გამოთქმა ასეთია! რადაც უნდა დამიჯდეს, ამაოამ რუსთაველი უნდა გაგიწყვ«. (არ ეარგა: „რადაც არ უნდა დამიჯდეს!).[1] და ეს მეორედა ამ წიგნის ყველ შემდგომს გამოცემაში.

ეს საკითხი შეტანილი აქვს თავის წიგნში ნ. ბასლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავლიკი ზურაბაშვილი

TOTUS HOMO, ანუ მთლიანი ადამიანი

საკითხი ადამიანის მთლიანობის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მთლიანი ადამიანის შესახებ არასოდეს ყოფილა ესოდენ საჭირბოროტო, სანტერესო და მნიშვნელოვანი, როგორც დღეს.

პატრიოტული სიამაყის გრძნობით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის მთლიანობის პრობლემა მაღალ დონეზე შუქდებოდა ქართული კულტურის ისტორიაში და რომ ეს პრობლემა ჩვენი ეროვნულ-სახოგადოებრივი შემეცნებისათვის არ არის ახალი. ამ მხრივ ქართველ ერს დიდი ტრადიციები მოვპოვება.

ჯერ კიდევ „წამებანი წმიდისა შუშანიკისაი“ და შემდგომ ამო თბილელის ტანჯვითი განცდები უეჭველად დაკავშირებული ადამიანის, მტკიცე და მთლიანი პიროვნების მბრძოლ მოქმედებასთან. ხოლო მეთორმეტე საუკუნეში შოთას გენიამ თავის უკვდავ პოემაში შეაჯამა, დახვეწა, შემოქმედებითად გაამდიდრა და ლოგიკურად დასასრუნთა ქართველი ერის წარმომადგენელთა სიდიადე, სიღრმე და სიფაქიზე ადამიანის არსის, მიზნის, მნიშვნელობისა და დანიშნულებისა...

პატრიოტული გრძნობით გამსჭვალულა და ბმრიული თავდადება ხვედრია მხოლოდ და მხოლოდ მთლიანი ადამიანისა, რომელსაც ძალუძს მორალურად ამაღლდეს და მთელი შესაძლებლობით ემსახუროს თავისი ხალხის, თავისა ქვეყნის დიდებასა და კეთილდღეობას.

გასული საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართული ეროვნული კულტურის ისტორიაში დიდმა ილიამ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გაამუქა მთლიანი ადამიანის პრობლემა. მან მხატვრულ-ლიტერატურულ ჩარჩოებში წარმოგვიდგინა ორი, მეტად ღრმა ფილოსოფიური საკითხი, სახელდობრ, ცნება კაცისა და კაცური მოქმედების შესახებ და საკითხი სულისა და ხორცის ურთიერთმიდგომისა და შერკინება-შეჯახების შესახებ.

გაკვრით ვიტყვი, რომ შექსპირის შეხედულებანი კეთილშობილურ მოქმედებისა თუ ეღირის ბიწიერებაზე, გოეთეს აზრი წესრიგის აუცილებლობაზე, შილერის მხილება ცილისწამებაზე, ტურგენევის ფორმული სამართლისა და პეშმარტების შესახებ, ან დოსტოევსკის მიერ ანგარების გაკიცხვა, უეჭველად დაკავშირებულია მთლიანი ადამიანის პრობლემასთან. მაგრამ ილიამ აღნიშნული საკითხები ზუსტი მეცნიერების სიმაღლემდე აიყვანა და მისთვის ჩვეული ინტუიციით, სიბრძნითა და ლოგიკური სიმტკიცით მეტად სწორი ანალიზი მისცა.

პოემა „განდეგილში“ პრობლემა მორალური და ფიზიოლოგიური გრძნობების ერთიერთშეჯახების შესახებ ილიას მიერ მარტო მაღალ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ დონეზე როდია განხილული. გენიალურმა ინტუიციამ და შემოქმედებითმა წინაგრძნობამ ილიას შესაძლებლობა მისცა შესატყვის სიმაღლეზე აეყვანა პრობლემის პიოლოგიური არსი.

ამიტომ ილიას მიერ წამოყენებული პრობლემა კაცური მოქმედების შესახებ სანტერესოა დღეკანდელი შემოქმედებითი ვითარებისათვის, როდესაც მთლიანი ადამიანის პრობლემა ხელახლა იღებს უსაზღვროდ დიდ თეორიულ და პრაქტიკულ მასშტაბს ფილოსოფოსების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების, ლინგვისტების, პენეგბისმეტყველების, ბიოლოგების და მედიკოსებისათვის. უფრო მეტიც, ეს პრობლემა არა ნაკლები შემოქმედებითი ცეცხლით გვეკვლინება მხატვრულ ლიტერატურაში და ზოგადად ხელოვნების ყოველ უბანზე.

ერთი სიტყვით, თანამედროვე კულტურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმთავრესი პრობლემა გახდა პრობლემა მთლიანი ადამიანისა. დღეს ხაზგასმით არის ალნიშნული, რომ ადამიანის ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური თუ ბიოლოგიური არსის დასაძლევად ვიწრო ანალიტიკური კვლევა-ძიება არ არის საკმარისი.

არისტოტელს მიერ გამახვილებული სინთეზური კვლევის შემოქმედებითმა მიდწევებმა უამეველად პოეა ისტორიული გამართლება, მაგრამ დღეს უკვე ეს საკმარისი აღარ არის და ადამიანის რაობის დასაძლევად განსაკუთრებულად საჭირო და აუცილებელი ხდება სინთეზური კვლევის შემოქმედებითი გამოყენება.

მეცნიერების მიერ განვლილი გზა და მეოცე საუკუნეში არსებული ვითარება სრულიად ცხადყოფს სინთეზური კვლევის პერსპექტიულობას. მთლიანად ადამიანის პრობლემა მეტად აქტუალური ხდება ორ მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც.

მოწინავე კულტურულ ქვეყნებში დღეს უკვე არსებობს სპეციალური ინსტიტუტები, ბუნდოვანი ორგანოები, სპეციალური საზოგადოებები და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, რომლებიც გამაერთიან მეშვიდენ მთლიანი ადამიანის ცნებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

საქართველოში ამ მხრივ გაშლილია ჯერ-ჯერობით მეცნიერული მუშაობა. აქ, პირველ რიგში, მინდა დავასახელო დიდად ავტორიტეტული ძიება, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი და მოღვაწე დიმიტრი უზნაძე და რომელსაც ესოდეს ღირსეულად აგრძელებს მის მიერ შექმნილი ქართული ფსიქოლოგიური სკოლა. მინდა გავიხსენო აგრეთვე დიდი მეცნიერისა და მოღვაწის შალვა ნუცუბიძის დამსახურება, რომელიც ფილოსოფიურ ძიებაში ასევე დიდ ადგილს უთმობდა მთლიან ადამიანს, მის პიროვნებას.

მე განვიზრახე ხსენებული პრობლემის სათანადოდ გაშუქება, ვინაიდან ჩემდამი რწმენებულ ასათანას საბჭოს ფსიქიატრის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კარგა ხანია წარმოებს სათანაო მეცნიერული კვლევა-ძიება ადამიანის ფსიქობიოლოგიურ მთლიანობაზე.

რით აიხსნება ის გარემოება, რომ დღეს კვლევის სინთეზურმა ფეთოდმ და მთლიანი ადამიანის პრობლემამ მსოფლიო მასშტაბით მიიპყრო მკვლევართა ყურადღება? ამის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ორი გარემოება, სახელდობრ, ტექნიკის ზღვარული განვითარება და ორი მსოფლიო ომის შედეგად ეფრმესი, არნახული ფსიქოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური პერტურბაციები...

კიბერნეტიკამ მიღწევებმა ცხადყო, რომ ამავამად ურთულესი სულიერი პროცესები შეიძლება იქცეს ზუსტ მეცნიერებათა კვლევის საგნად. მაგრამ ამავე დროს ყველასთვის ცხადი შეიქმნა, რომ ყოველდ დაუშვებელია, ადამიანის სპეციფიკურობის, ეს იგი, მისი პიროვნების მექანიკური გაანრება. უფრო მეტიც. ზუსტი მეცნიერებისათვის ნათელი გახდა, რომ ფიზიკურისა და ფსიქიკურის (ანუ პრობლემა ოტვინი და ფსიქეა") პრობლემა არასოდეს ყოფილა გადასაწყვეტად ესოდენ რთული, როგორც დღეს არის.

ცხადია, ამ ეტი ეოდნა წარმოშობს უფრო და უფრო რთულ პრობლემებს და სწორედ ამ თავისებურებაში უნდა ვეძიოთ ახსნა მეცნიერული შემოქმედებითი ძიებისა.

უსაზღვრო ტექნიკიხმმა, თუ შეიძლება აე ითქვას, დააკნინა და დაკოდა ადამიანის შემოქმედებითი ალმაფრენა. ხოლო ორი მსოფლიო ომის სიმძაფრე-ბრიხანებას მსოფლიოში მოჰყვა მორალური ბზარი, რწმენისა და ნდობის შემდალვა, ზოგჯერ სრული მოსპობაც.

იმედის გაცარეებას მოსდევს სასოწარკვეთილება, მომავლისადმი რწმენის დაკარგვა. სწორედ ამიტ უნდა ეხსნას ცნობილი მწერლის ჟან როსტანის პესიმიზმი, ხელისჩაქნევა, მომავალისადმი ყოველგვარი რწმენის დაკარგვა.

ადამიანის პიროვნული შემოქმედება არ შეიძლება მოისპოს ან ჩაიკეტოს ეიმედობის ჩარჩოებში. რეალური ვითარების ზუსტი შესწავლა მოითხოვს განზოგადებას. საჭიროა გეოლბრყვილო რეალობის ბერეუსის მოხსნა, ადამიანის სუბიექტური სამყაროს, მის სულიერ განცდათა ახლებური ანალიზი მეცნიერების თანამედროვეე ღონეზე.

ობიექტურმა ვითარებამ სამყაროს, ადამიანის სინთეზური კვლეეის შესახებ.

სულ ახალი თვალთახედვით გვეკლინება ასწლოვანი ისტორიის ჭმნე თეორია ცხოველთა ეეოლუციისა და ადამიანის წარმოშობის შესახებ. ირკვევა, რომ არ შეიძლება მარტივად გაეეიოო, ადამიანის გნეპავთ შორეულიც, რამე ბიოლოგიური ნათესაობა მიიმენთან და სადღესოდ მეცნიერებასათვის უფრო საჭიროა ვეძიოთ არა მსგავსება, არამედ განსხვავება მათ შორის. მეორე მხრივ, კიბერნეტიკულმა, ანუ ელექტრონულმა ტვინმა თვალსაჩინოდ დაგვანახა ადამიანის ტვინის განსაკუთრებული სიოლეე და მისი ღრმა შინაგანი წყდომის აუცილებლობა.

ადამიანი ურთულესი მთლიანი არსებაა, ხოლო ამ მთლიანობის უშეალო ბიოლოგიური წყარო, მიზეზი და საფუძველი გახლავთ მისი ცენტრალური ნერვული სისტემა — თავის ტვინი.

ავლიანი ზურაბაშვილი

Totus homo, ანუ მთლიანი ადამიანი

ადამიანის, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური და საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური მთლიანობა ბიოლოგიურად პირობადებული, თავის ტვინის შეთანხმებული და შერწყმული მოქმედებით, ფერო ზუტსტ რომ ეთქვათ. ადამიანის ფსიქიკური აპარატი. ხოლო სულიერი აპარატის უმაღლეს დონეს შეადგენს პიროვნება; ამიტომ მთლიანი ადამიანის პრობლემა პირველ რიგში გახლავთ პიროვნების ფსიქოლოგიის ე. ი. პერსონოლოგიის პრობლემა ნორმისა და პათოლოგიის პირობებში.

ეიმეორეს, მთლიანი ადამიანი არის და უნდა იყოს მტკიცედ ინტეგრირებული, სულიერად შეკრული, შემჭიდროვებული პიროვნება, რომლის ძირითად სპეციფიკურ თვისებას შეადგენს წარმოდგენები შრომაზე, მოვალეობაზე, მორალზე, ანუ სინდისსა და ნდობა-სიყვარულზე.

პიროვნების დონეზე შესაფერის ასახვას პოვებს სეკვდა და სიხარული, ჭმუნვა და აღფრთოვანება, დარდი და დღესასწაული, სიბრძნით აღტაცება და შემწყნარებლობა უმეცრებისადმი, სიმართლე და სიყალბე, სიყვარული და სიძულვილი, სულგრძელობა მშვიდობიანობის დროს და ულმობლობა ბრძოლაში, სანაცვლო წარსულისადმი პატივისცემა და სიანდის პრსსეკტიულობა, ძლიერება და სისუსტე, სილაჩაზე და უთვალწინა, სიმდიდრე და სიღარიბე, ანარქია და წესრიგი, სიზარმაცე და მეცადინობა და სხვა ანტინომიური ფსიქოლოგიური განცდები.

აღნიშნული მეტად რთული ფსიქიკური განცდების შესწავლის დროს, ცალსაკუთრებულად საინტერესო და მიზანშეწონილია მიემართოთ იმ ფსიქოლოგიურ მასალას, რომელსაც მხატვრული ლიტერატურა გვაწვდის.

ადამიანის კულტურის დღევანდელ დონეზე აუცილებლობის ხასიათს იღებს შემოქმედებითი სამმიიზნი მხატვრულ ფსიქოლოგიასა და ავადმყოფურ ფსიქოლოგიას შორის. მშრალ ექსპერიმენტზე უფრედად მაღლ დგას მხატვრულ ვითარებაში წარმოდგენილი ადამიანის სულიერი განცდა.

პერსონოლოგიური კვლევა საშუალებას გვაძლევს შეეიცნოთ და შეეიტყოთ ფსიქოლოგიური შინაარსი ადამიანის ცხოვრების არსის, მოწოდების დანიშნულებისა და მიზნის შესახებ.

ქართული ეროვნულ-მხატვრული ლიტერატურის ისტორიაში ჩვენ ვხედავთ მეტად საინტერესო მასალებს მთლიანი პიროვნების ფსიქოლოგიის პრობლემათა დასაძუშავებლად. აქ პირველ რიგში, უნდა გავიხსენთ შოთას ოდენი ადამიანის მოვალეობასა და ადამიანისადმი სიყვარულის შესახებ; ნიკოლოზ ბარათაშვილის დებულება, რომ ნდობა განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას; ილიას შეხედულება სინდისიერი გარჯის და კაცური მოქმედების შესახებ; ალექსანდრე ყაზბეგის წარმოდგენა პატრიოტული თავდადებისა და ვეჯა ფშაველის მოწოდება ადამიანმა არ დაკარგოს სინდის-ნამუსი და დაეფანავად შეინახოს თავისი სულიერი სიფაქიზე.

მთლიანი პიროვნება უნდა იყოს აღვსილი სინდისის გრძნობით, იცავდეს წესრიგს, ჰაბიტუს სეკვდეს გარჯა-შრომის მარჯვენას, ერიდებოდეს სიზარმაცეს, ბოროტებას და ეგვანობას, შესწევდეს უნარი შეებრძოლოს ცხოველურ მიზიდულებათა ცთომილებას. თუ ადამიანი კარგავს წარმოდგენას მორალზე და ყოველგვარ სინდისის ქეჯნის მიმართ, მასზე სიხარელი, საშინელი, აეტანელად მაენე და სახიზღარი არსება არ შეიძლება არსებობდეს. იგი მხეცზე საშიშია. მე-20 საუკუნეში მოსწდარმა ამბებმა მათემატიკური სიზუსტით დაამტკიცა ლევ ტოლსტოის დებულება, რომ თუ ბეჭნიერების სიტუაცია და კმაყოფილების მაღალი გრძნობები უფრო ერთფეროვანია, ადამიანის ეგვანობა და უარყოფითი მოქმედება, პირიქით, მრავალგვარია და უარყოფითი გამოელინებათა სპექტრი უსაზღვრად ფართოა.

ზნეობრივად სუსტი პიროვნება ადვილად წამოეგება უზნეობის ყოველგვარ ანკესსა, იქნება ეს ნარკომანია, ავაზაკობა თუ სხვა მრავალი.

არ არის სწორი აზრი, თითქოს შრომა იწვევდეს ავადმყოფობას ან ნაადრეე სიბერეს, პირიქით, განეკბრივი თუ ფიზიკური შრომა უტაყვინი და მტკიცე საწონდარია ჯანმრთელობისა. ავადმყოფობას და ნაადრეე გაცვეთა-სიბერეს იწვევს სიზარმაცე. უქნარობა და ფუჭი ცხოვრების რეჟიმი. ზნორად მსვნელ, ნიჭიერი ახალგაზრდაა, მაგრამ ზარმაცია და ამიტომ უმოქმედოა. სრულიად ფუჭი დებულებაა, მთლიანი და ნამდვილი პიროვნება არ შეიძლება იყოს ზარმაცი; სიზარმაცე პიროვნების მოუწესრიგებლობის — დეფექტის მაჩვენებელია; ხოლო თუ მართლაც ვინმე გარეის შიშით მარხავდა ფაავის ნიშს, იგი ორჯერ გასაკიცხია.

პიროვნებაზე უარყოფითად მოქმედებს არასასიამოვნო, ასაწყენი განცდები, ამიტომ ზნირად ფსიქიკური ტრამვის ნიადაგზე შეიძლება განვითარდეს მთელი რიგი დაავადებანი. დღეს მეცნიერებაში არსებობს სპეციალური მიმართულება ფსიქომატური მედიცინის სახელწოდებით.

მთლიანი პიროვნების პრობლემასთან უშუალო კავშირი აქვს ოჯახის ცნებას. ოჯახმა უნდა აღზარდოს ღირსეული, სპეტაკი და ყველასათვის სასარგებლო პიროვნება; აკადემიკოს დამიერაბეულმა დედის ინანსამ სამშობლოს უნდა მისცეს ღირსეული შვილი, შვილი, რომელსაც ექნება პატრიოტიცემა დედ-მამის მიმართ, გამზეკალული იქნება პატრიოტულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობით და სიყვარულთა და პატიესცემით მამა-პაპის საფლავისადმი.

ქართულ-ეროვნულ ფსიქოლოგიაში ოჯახს ცენტრალური ადგილი ეთმობა, ამიტომ ქართველი კაცი ხშირად ხმარობს სიტყვას „ოჯახისშვილი“. მტკაცე პატრიოტულმა ოჯახმა შექმნა ისეთი ცხენი, რაც სპეციალურად დამახასიათებელია ქართული-ხალხური ფსიქოლოგიისათვის. ბავშვობიდანვე მახსოვს, ვეკაკაცი, რომ შეხვდებოდა ვეკაკაცს, ერთი-ერთმანეთს ყოველთვის მიმართავდნენ სალამით — „გამარჯობა-გაგიმარჯოსო“. ხოლო მანდილოსანნი მანდილოსანს დროისდა მიხედვით უსურვებდა შვიდდასა — შუადღე-მშვიდობისაო, დილა ან საღამო მშვიდობისაო. ქართულ პიროვნულ ფსიქოლოგიაში მამაკაცის მოქმედება უკავშირდება ბრძოლას და გამბედაობას სურვილებს, ხოლო მანდილოსნის სალამი ესაბუთებსა მშვიდობიანი ცხოვრების სურვილს. ამით, როგორც ვეკაკაცი, ისე მანდილოსანნი წარმოგვიდგებიან ეროვნული საქმის პატრიოტებად და თანაცხოვრობთან მოთმინებისა, ორივენი თანასწორ-თანაბარნი, პიროვნების მაღალ პატრიოტულ დონეზე დგანან.

ოჯახის პრობლემების განხილვისას საჭიროდ მიმაჩნია შეეჭიერდ მნიშვნელოვან საკითხზე, შეალიერებასთან დაკავშირებით, რაც ჩემის აზრით, ხშირად პრესაში არასწორად შექმედა. ამ მხრივ მინდა გავიხსენო მოსაზრება ბავშვთა შობადობის შესახებ: თითქოს ახალგაზრდა მანდილოსანი გაფრანს შეალიერებს ერთგვარი წინასწარი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური შიშის გამო. ეს ორივე მოსაზრება ყალბად, არასწორად და თუ ვიტყვით, შეურაცხყოფელად მიმაჩნია. ნორმალურ ვითარებაში ყოველად შეუძლებელია რაიმე შიში შშობიარობასთან დაკავშირებით. კაცობრიობის გრძელი ისტორია გვიმტკიცებს, რომ არასდროს ტკივილების შიში არ ზღუდავდა დედის სურვილს ყოლოდ შვილი. ჩვენლანობის პერსპექტივა ესოდენ წარმტაცი და საამაყოა, რომ ყოველივე ბიოლოგიური სირთულე იმოგვითვე იხსნება. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ მოსაზრებებს, თითქოს მომავალ დედებს ეშინოდეს ღამისთევისა ჩვილის აღზრდის დროს, ეს, მე ვიტყოდი, გაუმართლებელი და უსაგნო ცილისწამებაა. პირიქით, ღამის ტახტი დედისთვის აღესილია სიყვარულის შექმედ და, თუ ქალი არ არის გაუკეთდამთბუელი, მისთვის ყველაზე სასიამოვნო და სასახელოა შვილის აკვანთან გატეხილი ღამის განცდა, დედას უნდა მივცეთ მომავლის რწმენა, მტკიცე ოჯახის რწმენა და იგი არაფრის წინაშე არ დაიხვეს უკან, რომ გაახაროს თავისი თავი და სამშობლო ღირსეული მამულიშვილის აღზრდით. ხშირად მსმენია ხოლმე ხალხში, ბავშვის ყოლა და აღზრდა ღირსეული და არა გზაბანეული დედისათვის აღსავეა ესოდენი დიდი განცდებით, დიდი სიყვარულით, რომ დედის ფიზიკური და სულიერი დატვირთვა ამასუფლად არაფრად ჩასაგდებია.

მთლიანი პიროვნების ფსიქოლოგიის განხილვისას უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანი ყველაზე უარყოფითად გამოიყურება მაშინ, როდესაც ფიქრობს მხოლოდ საკუთარ თავზე, როდესაც თავი მიიჩნია სამყაროს ცენტრად და ამბობს, „რის სამშობლო, რა სამშობელი, ჩემს შემდეგ თუნდაც ქვეყანა დანგრეულო“.

საზოგადოებისათვის ყველაზე საშიში და მავნეა მოსახეკელია. როდესაც ადამიანი კარგავს პიროვნულ სპეციფიკას, დაბალ დონეზე ეშვება და ფიქრობს, პირადი მდგომარეობა მოხვეშილის მიზნით გამოიყენოს. ასეთ პირს აეიწყვება, რომ ჯამს მწარე ლუკმას, რომელიც ოდესმე ხახაში გაეჩხირება და დაახრჩობს.

მეცნიერული და აგრეთვე მხატვრული ფსიქოლოგიური მასალები მიგვითითებს, რომ ზოგჯერ შესაძლოა უგვანო, მდაბალი პიროვნების გამოსჭრება და მაღალ დონეზე აყვანა. მაგალითისათვის მინდა გავიხსენო ცნობილი მწერლის ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“, როდესაც საკმაოდ ხანდაზმული მაღალი კულტურის მქონე ცნობილი მოცეაწე ახერხებს ჭაობიდან ამოიყვანოს სულ ახალგაზრდა გოგონა, აღზარდოს იგი და იმეფინდა მიმზიდველი გახადოს, რომ მის მიმართ თვითონაც სპეტაკი სიყვარულის გრძნობით ვანიმსჭვალოს. ბერნარდ შოუ აქ ავითარებს აზრს, რომ უღირსი შეიძლება გავხადოთ ღირსეული და აქვე ფილოსოფიურად და ფსიქოლოგიურად მეტად სანსტერესო დეტალზე ჩერდება — გვიმტკიცებს, რომ სილამაზე და სიბრძნე — ეს ორი ცნება ურთიერთგანშორებელია.

აღნიშნული მაგალითი ეხება კერძო, ინდივიდუალურ შემთხვევას, ხოლო როდესაც უგვანობა და უადამიანობა შორდება ინდივიდუალურ მაგალითებს, მაშინ მხოლოდ ფსიქოლოგიური აღზრდითა და რჩევა-დარიგებით ფონს ვერ გადალ; მხოლოდ ლეტნი ინტეგრი ვერაფერს გვეხდებით. საჭიროა, ჭეტეურად ავიმაღლოთ ხმა. ამ შემთხვევაში ერონალისტმა თუ მხატვრული სიტყვის წარმომადგენლებმა უშიშრად უნდა თქვან მართალი სიტყვა. ხვეშის ფსიქოლოგიის ყოველი მაგალითი უნდა მწარედ დაიშანთოს და ამოიწეკოს ვით უცხო სხეული. საჭიროა საზოგადოებიები ძალის დაძაბვა, ვინაიდან ვერც ერთი ადმინისტრაციული ორგანნი ვერ შეძლებს ბრძოლას სინდისმოკლებულ პიროვნებასთან. საშუხარად, ზოგიერთი არც თუ ისე იშვიათად ბაძავს ან შურით უყურებს მომხეკელს, ნაკლ

მისა, რომ გაკიცხოს იგი.

მთლიანი ადამიანის პრობლემა მოითხოვს დეონტოლოგიური ეიგიენნისა და დეონტოლოგიური პროფილაქტიკის პრობლემის დამუშავებას.

ავლიანი ზურაბაშვილი
Totus homo, ანუ მთლიანი ადამიანი

ცნობილია, რომ უარყოფითი მაგალითი ადვილად ვრცელდება, მაგრამ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ დადებითი მაგალითი ე. ი. კაცური მოქმედება, თუ იგი არ არის ყალბად მოწოდებული და აგებული შრომისა და გარჯის მაგალითებსა და პატივისცემაზე, ასევე ძლიერმოქმედი ფაქტორია.

მთლიანი ადამიანის პრობლემასთან ახლოს დგას საკითხი, თითქოს კულტურა ან ურბანიზმი (ქალაქის პირობები) უარყოფით ფაქტორს წარმოადგენს და საზოგადოებას აყენებს დიდ ფიზიკურ ზიანსა და მორალურ ვნებას. ეს დებულება მე მართებულად არ მიმაჩნია. იქ, სადაც ჭარბობს წესრიგი, ნამდვილი ცხოვრების პირობები და არა სენსაციები, გამაფებულია ნამდვილი შრომის პრინციპები, ქალაქში იქნება ეს თუ სოფლად, არავითარ უარყოფით ზეგავლენას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

მთლიანი ადამიანის პრობლემა ეს არის პერსონოლოგიური პრობლემა მაღალ მორალურ დონეზე მდგარი.

შემთხვევითი არ არის, რომ ბაასს სინდისზე, გარჯაზე და კაცურ კაცობაზე ვიწყებ და ვასრულებ ილიას შემოქმედების გახსენებით. ეს არის შემთხვევითი იმიტომ, რომ ილიას ნაშრომი სახელი აყალებს ქართველი კაცის გულს.

წიწამურში დადგრილი ილიას სისხლი არასოდეს გაშრება... მისი ყოველი წვეთი წარმოდგენილი მაქვს სიმბოლურ ციაზმად, რომელიც ალმაღლებს, განწმენდს ადამიანს და ცხოველური ლეშის სიმოსს მოაცილებს...

ეროვნული მომაგის წმინდა სისხლი უკვდავად გაახსენებს ქართველ კაცს ჩვენი მდინარეების სიმბოლურ ჩანაფიქრს: ჭოროხის ამობეჭრებულ ხმას, საქართველო მუდამ ცოცხალი და უკვდავი იქნებაო... რიონის ზვიად სურვილს, ქართველო, იყავ მოქმედი, სწრაფი და გახსოვდეს შმობლიური მიწის სინოყიერეო... ალაზნის აუჭარბებელ სიამაყეს, ქართველო კაცო, არ დაკარგო ჩვეული სიბრძნე, სიდინჯე, გამძლეობა და ბრაქაო... ხოლო დიდა მტკვარი შეჯამებს ყველა მათ გულისთქმას: ოჯახის კაცო, იქონიე რკინის გული, ალამაღლე, გაამრავლე პატრიოტული აზრი და გრძნობები, იყავ სპეტაკი, მთლიანი ადამიანი და ემსახურე სამშობლოს დიად საქმესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ხოფერია

ნიკოლოზ ნეკრასოვი და დავით ერისთავი

რუს და ქართველ მოღვაწეთა ურთიერთობისა და თანამეგობრობის დასახასიათებლად განსაკუთრებით აღსანიშნავია გასული საუკუნის სამოციანი წლები. ქართველ მწერლებს ზზიდავდა რუსული ლიტერატურის ღრმა იდეურობა, მაღალი მოქალაქეობრივი მისწრაფებები და გამჭთავისუფლებელი პათოსი. რუს რევოლუციურ-დემოკრატთა იდეებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის პოლიტიკური, ფილოსოფიური და ესთეტიკური აზრის ჩამოყალიბებაზე.

რუსული ლიტერატურის წარმომადგენელთა შორის, რომელთაც გავლენა მოახდინეს ქართულ ლიტერატურაზე, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნეკრასოვსა და მის რევოლუციურ-დემოკრატიულ პოეზიას.

ნეკრასოვის შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელი იყო ავრეთვე ქართველი დრამატერგი, რეჟისორი, პოეტი და პუბლიცისტი დავით გიორგაძე ძე ერისთავი (1847-1890 წწ.).

ჩვენ ხელთ გვაქვს მასალები, რომლებიც დასტურებენ, თუ რა დიდი ინტერესით ეკიდებოდა დავით ერისთავი ნეკრასოვის შემოქმედებას. ეს გასლავთ ხელნაწერი ნეკრასოვის ეოდევილისა „მსახიობი“ და მისივე სამი ლექსის თარგმანი.

აღნიშნული ეოდევილის ხელნაწერი დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში[1]. თავფურცელზე მინიშნებულია, რომ „მსახიობი“ ნ. ა. პერეპელსკის ერთმოქმედებიანი ხუმრობა-ეოდევილია (როგორც ცნობილია, ნ. ა. პერეპელსკი ნეკრასოვის ფსევდონიმი იყო). იქვე მინაწერი „—1864 წ. ქ. ოდესა“. მომდევნო ფურცელზე მოქმედი პირებია დასახელებული. ამასთან აღნიშნულია, ჩინოვნიკ სუხოდოლოვის როლს შეასრულებს ერისთავი II, მსახიობ სტრუკკინის როლს კი — ერისთავი 1-ო. ქვემთ მითითებულია, რომ პიესა გადაწერილია 1864 წლის 29 მაისს და რომ იგი დაიდგა ბ. კნერის პანსიონში.

დავით ერისთავი და მისი ნათესავი ივანე კნერის პანსიონში 1860 წელს ჩაუყვანიათ, ოჯახის შეგობრის ეკიმ ანერეესის რჩევით. მათი ოდესაში ყოფნის პერიოდს გვაცნობს დავით ერისთავის ქალიშვილი ივანე ერისთავის მოგონებებზე დაყრდნობით.[1]

ამ მოგონებებიდან ჩანს, რომ პანსიონში ყოფილა სწავლების მრავალმხრივი და საინტერესო პროგრამა. გარდა ძირითადი საგნებისა ასწავლიდნენ სამ უცხო ენას, ხატვას, მუსიკას. პანსიონთან შექმნილი იყო ორკესტრი. მოსწავლეები ხშირად დგამდნენ წარმოდგენებს. „დავითი პანსიონში საერთო სიყვარულთან სარგებლობდა, — იგონებს ივანე ერისთავი, — არ მახსოვს, რომ რომელიმე მასწავლებელს, ზედამხედველს ან მოსწავლეს უკმაყოფილება გამოეთქვამს მის მიმართ“.[2] დავითი შესანიშნავად სწავლობდა, პრწყინვალედ ფლობდა რუსულ ენას, ბევრს კითხულობდა, თვითნასეა წერდა ლექსებს, ბატაცებული იყო ნეკრასოვის პოეზიით, უყვარდა თეატრი. სცენისა და საერთოდ ხელოვნებისადმი სიყვარული მას ბავშვობიდანვე ჩაუნერგა მაჰამ. ცნობილმა დრამატურგმა და ქართული რეალისტური თეატრის ფუძემდებელმა გიორგი დავითის ძე ერისთავმა. აპრიგად, სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ოდესაში ნეკრასოვის ეოდევილი დავითის ინიციატივით დაედგათ, და მისთვის ერთ-ერთი წამყვანი როლი მიეცათ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსახიობ რეტკინის როლს ასრულებდა დავით ერისთავი ერისთავი 1), სუხოდოლინის როლს კი — ივანე ერისთავი (ერისთავი II).

ეოდევილი „მსახიობი“ პერეპელსკიმ (ნეკრასოვმა) დაწერა 1841 წლის გაზაფხულზე მსახიობ ვ. ვ. სამოილოვის დაკვეთით. პრემიერა შედგა იმავე წლის 13 ოქტომბერს ალექსანდრეს თეატრში, მსახიობი ქალის სამოილოვას ბენეფისისათვის. ეოდევილისთვის მუსიკა დაწერა თეატრალური სასწავლებლის აღსაზრდელმა სოკოლოვმა. 1841 წლიდან 1863 წლამდე ეოდევილი ირმოცდაოთხჯერ დადგა. მის ასეთ წარმატებას ხელი შეუწყო კარგად დაწერილმა ტექსტმა და გამოკვეთილმა ხასიათებმა.

იმ წლებში ოდესის თეატრების რეპერტუ-

[1] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (თბილისი), ფონდი 480. დამ. 1., საქმე 2. გვ. 1-14.

[1] საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, დავით ერისთავის ფონდი, № 19800, ი. ერისთავის მოგონებები გვ. 2—7.

[2] იქვე. № 18702, გვ. 2.

არში „მსახიობი“ არ შედიოდა.[1] მიუხედავად ამისა, კნორის პანსიონში დასადგმელად ეს პიესა შეურჩევიათ. პირველ ყოვლისა, ეს უნდა აიხსნას ნეკრასოვის დიდი გავლენით ახალგაზრდობაზე. აგრეთვე იმითაც, რომ ვოდევილი პეტერბურგში დიდი წარმატებით იდგმებოდა სცენაზე, რაც, ბუნებრივია, იცოდა ყველამ, ვინც კი თეატრით იყო დაინტერესებული. ამასთან ნეკრასო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ მეგრელელი

ქრონიკის ბრძოლის ისტორია

მაამადიან დამპყრობთა წინააღმდეგ 1795 წლის 11 სექტემბრის კრწანისის ბრძოლით დაიხურა მრავალტანჯული საქართველოს ისტორიის უკანასკნელი ფურცელი. ამ ბრძოლის შესახებ სამამული და უცხოური წყაროებში ერთმანეთის საწინააღმდეგო მრავალი ცნობაა დაცული. საკითხი თავისთავად რთულია და მოითხოვს ძალზე ზუსტ მეცნიერულ ანალიზს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბროფ. ი. ცინცაძის ერეკლი გამოკვლევა „აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“.* მკვლევარი სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ფართო მასშტაბით განიხილავს არა მარტო კრწანისის ბრძოლის ისტორიას, არამედ იმ წინამძღვრებსაც, რომელმაც ამ ომს სათავე დაუდო.

ეს არის ავტორის მეორე ცდა ამ საკითხზე. პირველი მეცნიერული გამოკვლევა, როგორც თვითონ მიგვითითებს წინასიტყვაობაში, შეუსრულებია 1963 წელს, ამდენად წინამდებარე მონოგრაფია უფრო კომპაქტური, თანაც პირველ გამოცემასთან შედარებით შევსებულია უახლესი მასალებით.

ი. ცინცაძეს თავის გამოკვლევაში ძირითადად გამოყენებული აქვს რუსი ისტორიკოსის პეტრე ბუტკოვის (1775-1857) ზრომა Материалы для новой истории Кавказа». ალ. ცაგარელის «Грамоты и другие исторические документы XVIII столетия», პლ. ოსესლიანის „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, იოანე ბატონიშვილის „ცალმსოფლიო“, თეიმურაზ ბატონიშვილის ზრომები. გაზეთ „იავერის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები. საქართველოსა და რუსეთის ცენტრალურ არქივებში დაცული დოკუმენტები და სხვა ხასიათის მასალები. წყაროების კრიტიკული შეპირისპირების საფუძველზე ი. ცინცაძემ მეტად ორიგინალური გამოკვლევა შესთავაზა ფართო მკითხველს. მართალია, მონოგრაფიაში ზოგიერთი მოსაზრება დავას იწვევს, ზოგიერთი დასკვნაც ცალმხრივია, მაგრამ მეცნიერული კვლევის ძირითადი საკითხი — კრწანისის ბრძოლის ისტორია, პრინციპულ დონეზეა გადაწყვეტილი.

როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნის მიწურულში საქართველოში მძიმე მდგომარეობა შექმნა. ირაკლი მეფე თავისი ხანგაზმულობის მიუხედავად, ბევრს ცდილობდა გამოსწორებინა ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. ვერ იქნა და ვერ ალაგმა ლეკი მოთარეშე რაზმების ქურდული თავდასხმები. ქართველი მეფე იძულებული იყო დაღესტნის ბელადებისათვის, ისედაც დაცარიელებული სახელმწიფო ხაზინიდან, ყოველწლიურად სამოც ათას მანეთამდე ჯამაგირის სახით ეძლია.

ერთმორწმენე რუსეთის იმპერიასთან მოლაპარაკების დაწყებამდე მოწონილე ქართველ საზოგადოებაში თავი იჩინა საქართველოს გაერთიანების პროგრესულმა იდეამ (იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფოსთან იმერეთის სამეფოს შეერთება ირაკლი მეფის დროშის ქვეშ. გ. მ.). სამწუხაროდ, გაერთიანების იდეა მარტხით დამთავრდა. მონოგრაფიაში ეს ფაქტი კარგად არის გაშუქებული, მაგრამ ამ წამოწყების ჩაშლის უშუალო დამნაშავე შეიძლებოდა უფრო კონკრეტულად გამოგვეკვეთა.

მე-18 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ფლის წესრიგში დადგა საქართველოს გაერთიანების ვეგმა. ქუთაისიდან პატარა კახს წარჩინებულ კაცთა დელეგაცია ეწვია. დელეგაციაში შედიოდნენ გელათელი და ქუთაისელი მღვდელ-

* იხილე ცინცაძე, „აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“, თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“ 1969 წ.

მთავრები, სარდალი ქიოხსორო წერეთელი. სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, ოთარე ბაბაშიძე და სხვ. მეფემ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და საკითხის გადაწყვეტა დარბაზს მიანდო. დარბაზის პირველსავე სხდომაზე მზეკაბეკა ორბელიანმა პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა და შეკრებილთ მოუწოდა ერთიანი საქართველოს შექმნისაკენ. მზეკაბეკა ორბელიანს მიემხრნენ ისეთი პატრიოტებები, როგორიც იყვნენ: მდივანბეგი სოლომონ ლეონიძე, ირაკლი მეფის მარჯვენა ხელი, ანტონ კათალიკოსი, სარდალი დავით ორბელიანი. საინტერესოა სოლომონ ლეონიძის სიტყვები წარმოთქმული დარბაზის სხდომაზე: „მეფე ერისათვის და არა მეფისთვის“. კომპრომისული წინადადებით გამოკეთდა ქიოხსორო ბატონიშვილი. გიორთიანების მოხრეკების წინ აიუდგა ოთარე ბატონიშვილი: „ქართულ-კახეთის ჩვენთვის ვერ მოგვეცალა, ამერეთს როგორება მოეუართთო“. ამ დროს კი საქართველოს გამგებელი ირაკლი მეფე წყნარად იჯდა და უსმენდა შეერთების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ცხარე კამათს... იმავე საღამოს დარეკან დედოფალმა თავისთან დაიბარა მზეკაბეკა ორბელიანი და უსაყვედურა დარბაზის ერის ბჭობაში საქართველოს გაერთიანების მომხრედ გამოსვლა. მან კატეგორიულად მოსთხოვა მზეკაბეკას ოთარე ბატონიშვილის მხარე დაეჭირა. დედოფალი მკვახედ გაიძახოდა: იმერეთის გვირგვინს ჩემს შვილიშვილს (იმერეთის მეფე დავით არჩილის ძე, იგივე სოლომონ II გ. მ.) ვერ გამოეტაცებო. ფაქტია, დედოფლის ზეგავლენამ უფრო დიდი როლი ითამაშა მოხუც მეფეზე, ვიდრე ქართველი პატრიოტების მეშვერმტყველებამ. საქართველოს გიორთიანების იდეა ჩაიშალა. მართალია. 1790 წელს თბილისში ეროგიოლ დადიანს, სიმონ გურიელს, ირაკლი და სოლომონ მეფეებს შორის დაიდო „ტრაქტატი. ევროპელთა მეფეთა და მთავრთაგან დამტკიცებული, ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა“. მაგრამ ამ შეთანხმებას ზნეობრივი მნიშვნელობა უფრო ჰქონდა, ვიდრე პრაქტიკული. ქვეყნის შინაგანი კრიზისი ვერც ამ ტრაქტატმა შეაჩერა. გარდა ამისა, მონოგრაფიაში რატომღაც ყარაგან არ ჩანს იგივე დარეჯან დედოფლის ინიციატივით მიღებული ორი კანონი: მემკვიდრეების დანიშვნის წესისა და მეფის შვილებს შორის საუფლისწულოების დარიგების შესახებ, რომელმაც ისედაც წელში გაწყვეტილი სამეფო კიდეც უფრო შეარყია და მოშალა. რამდენადაც ვიცით, ქართული სისტორიო წყაროების მიხედვით, დარეჯან დედოფალმა ირაკლი მეფეს შეაცილევინა თიმქმის ათას ხუთასი წლის გასამკლობაში საქართველოს სინამდვილეში მოქმედი ტახტის მემკვიდრის დანიშვნის მტკიცე კანონი. ტახტის მემკვიდრის დანიშვნის ახალი წესი შეუდგენია სამეფო კართან ახლო მყოფ ვინმე ოსეფა ყორღანაშვილს. ძველი წესისგან განსხვავებით, ახალი კანონი ითვალისწინებდა წინებდა მეფის გვირგვინი შვილის მაგივრად ძმებს შორის (ირაკლი მეფის შვილები, გ. მ.) უფროსობითი გადასულიყო. როგორც ჩანს, საქართველოს დედოფალი ფიქრობდა, შეეზღუდა გიორგი ბატონიშვილის უფლებები და თავისი კანონიერი შვილების — იულონ, ვახტანგ, მირიან, ალექსანდრე და ფარნაოზ ბატონიშვილებისათვის გზა გაეხსნა სამეფო ტახტისაკენ. მემკვიდრეობის ახალი კანონი ანდეოძის ერთ მუხლს შეადგენდა: „გაანწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვისადგინ სამეფოსათვის საქართველოისა“. შემდეგ ამ მუხლს ირაკლი მეფემ მეორე მუხლიც დაუმატა, შესწორების სახით, მაგრამ კანონი პირვანდელი სახით ძალაში დარჩა.

მეორე კანონის მიხედვით ქართლ-კახეთის საუფლო საუფლისწულოებად დანაწილეს ირაკლი მეფის მრავალრიცხოვან ვაჟიშვილებს. მორის. გიორგი ბატონიშვილს კახეთში მიეცა საუფლისწული, ვახტანგს — არაგვის საერისთავოში, იულონს — ზემო ქართლში და ა. შ. ნებისმიერ თუ უნებლიეთ, ერთიანი ქართლ-კახეთის სამეფო საშუალო საკუნეებს მსგავსად დაქუცმაცებულ, ფეოდალურ ერთეულებად იქცა. ცნობილია ყველგეკი ის ფაქტიც, რომ ირაკლი მეფის შვილები მამის მიერ მინნეულ საუფლისწულოებში ისხდნენ და თავი „ბატარა ხელმწიფეებად“ მოჰქონდათ. უფრო მეტი, ბატონიშვილების ერთი ნაწილი რეაქციული თავადების გავლენის ქვეშ მოექცა და მამის ტახტს სხვა თვალით შეჰყურებდა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ძნელი იყო ერთიანი სწორი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება. ჩვენი აზრით, ამ ფაქტორებმა თუ გადამწყვეტი არა, ვარაკვეული როლი მაინც ითამაშა საქართველოს სამეფო კარის შესუსტების საქმეში და პატარა ალი კარჭე მომდგარ ირანის შაჰს ალა-მაჰმად-ხანს თითქმის მოუმზადებელი შეხვდა.

რაც შეეხება ალა-მაჰმად-ხანის ტახტისათვის ბრძოლას ირანში და მზადებას საქართველოს დასაპყრობად, ი. ცინცაძე საკმაოდ უხვ მასალას იძლევა და ამ მონაკვეთს საფუძველნაად აშუქებს. მაგრამ საკითხი საქართველოს სამეფო კარის მოუმზადებლობის შესახებ ზემოთ მოყვანილი ფაქტორების გარდა, დამატებით საბრალოს დაზუსტებას. ცნობილია, ჯერ კიდევ კრწანისი. ბრძოლის დაწყებამდე სამი წლით ადრე. (შესაძლოა, უფრო ადრეც) კერძოდ. 1792 წელს, ირაკლი მეფე აშკარად ერთნიშდა ალა-მაჰმად-ხანის თავდასხმის საშიშროებას. იგი გარსეკან ბაგეგიანის პირით სთხოვდა რუსეთის დედოფალს ეკატერინე II სამხედრო დახმარებას. მომდევნო წელს კი წერილს წერილზე უგზავნიდა კაკაესის ხაზის სარდალს, გენერალ ივანე გუდოვიჩს (1741-1820), მაგრამ პრაქ-

ტიკული ნაბიჯი არც ამას მოჰყოლია. საქართველოს მეფე და დიდებულები რატომღაც ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი ვეორგიეესკიან ტრაქტატით გათავლისწინებული ვალდებულებებით და რუსეთიდან დახმარების იმედს მაინც არ კარგავდნენ. ეიმედო მოლოდინში დღეები მიიწურა, ამსობაში თბილისის კართან მომდგარ მრავალრიცხოვან ირანის ლაშქარს, სულ რაღაც 4000-5000 ქართველი მეომარი შერჩა პირისპირ. ი. ცინცაძე ამის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაქვს‹ ირაკლი საყვედურით სწერს გენ. ი. გუდოვიჩს: „ჩვენ რომ ყოველად მოწყალე დედოფლის მიერ დაიმედებული არ ეყოფოდოთ და, დარწმუნებული არ ეყოფოდოთ თქვენს დახმარებაში, მაშინ სხვა მხრიდან მოწვეული ჯარებით მას (აღა-მაჰმად-ხანს) წინ აღუდგებოდით, ანდა სხვა ხერხით დავიცავდით ჩვენს სამეფოს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით თქვენი და უმაღლესი კარის დახმარებაში. ახლა თუ ათ-თორმეტ დღეში დახმარება არ იქნა, ამდენი ხალხი და ქალაქები მტრისაკენ დაირბეგა, გთხოვთ ამაზე დაუყოვნებლივ პასუხით პატივი მეცეთ“.

მირიან ბატონიშვილისა და გარსევან ჭაკაბაძისადმი მიწერილ წერილში ეკითხულობთ: „თქვენ თვითონ იცით, რომ თუ მე უმაღლეს კართან ფიცით არ ეყოფილიყავი მიჯაჭვული და აღა-მაჰმად-ხანს შეეთანხმებოდი, ეს უბედურება არ მოგვივდოდა“. აქვე მინდა ჩვენეკარის ყურადღება შევიპერო გენ. გუდოვიჩის პიროვნების დახასიათების მიმართ. შესაძლოა კავკასიის ხაზის უფროსის გენ. ი. გუდოვიჩის უნიპოვის ბრალი იყო, ირაკლი მეფეს დახმარება რომ არ აღმოუჩინა მეფის რუსეთმა, მაგრამ არ უნდა დავიიწყოთ, რომ ი. გუდოვიჩი ისევე, როგორც სხვა მისი მომდევნო რუსი კოლეგები, კავკასიაში ჩვეულებრივ სათამაშო პაიკებს წარმოადგენდნენ რუსეთის სამეფო კარის ხელში. უზენაესი ხელმწიფის განკარგულების გარეშე ისინი დამოუკიდებლად, რომ იტყვიან, ჩხირსაც ვერ გატეხდნენ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის იმპერატორმა პაველ პირველმა, კავკასიაში მიღწეული წარმატებებისთვის 1797 წელს (ე. ი. კრწანისის ბრძოლის ორი წლის შემდეგ) გენ. ი. გუდოვიჩს უბოძა უმაღლესი სიმბერიო ტიტული — გრაფობა (1). საეჭვოა ავრეთვე გიორგი ბატონიშვილის პოზიცია მიმდინარე ამბებთან, განსაკუთრებით, კრწანისის ბრძოლასთან დაკავშირებით. ძნელია, რა თქმა უნდა, ბატონიშვილს მამისადმი ღალატი დასწამო, მაგრამ ირაკლი მეფის თუნდაც ის ორი წერილი (1795 წლის 17-20 სექტემბრის თარიღით) გიორგისადმი, დამაფიქრებელია. „...ორი სამი წიგნი შენ მოგწერე და ორი წიგნი კახთათვის მიმიწერია, გაღმა-გამოღმა, ქვემოთ და ზემოთ და არც წიგნი და არც კაცი არავინ მოვიდა მანდედან (ეს ის დროა, როცა თბილისის კართან საქართველოს მეფის ყოფნაარ ყოფნის საკითხი წყდება...), რომ თქვენ ბავი შემატყო და ან პასუხი მომსწერდა“. „...ეს როგორ არ უნდა ვიცოდე, რომ ამ ამბავზე შენ რა ჩქენ ან კახთ“.

ვიორგი ბატონიშვილი თავისი მამეულიდან არ დაძრულა, თუმცა „...ბატონიშვილებიც კი არ თვლიდნენ საჭიროდ თავისი საეფლისწულოებიდან დაძრულიყვნენ, ხოლო ზოგი სულ მცირე ამაღლი გამოვდა“.* გარდა ამისა, ქართლ-კახეთში, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან, მკვეთრად დაეშინაბირნენ ეროძანნთს პროფრესული და რეაქციული ძალები. რუსეთთან დაახლოების ტენდენციებმა პირველ ხანებში არსებითი დახმარება ვერ აღმოუჩინეს ქართულ-კახეთის სამეფოს. პირიქით, გარეშე და შინაური მტრები უფრო შემატა. განსაკუთრებით გაეაქტიურდნენ ეფრაბის ქეეყნები — ინგლისი და საფრანგეთი. ხოლო რაკ შეეხება თურქეთს, იგი ჩვეული ეშმაკობით ორი კურდღლის დაჭერას ცდილობდა: ერთის მხრით, თითქოს-და ირაკლი მეფის სთავაზობდა კავშირს აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ საბრძოლველად. მეორე მხრივ კი ინგლის-საფრანგეთის გავლენით, თვით აღა-მაჰმად-ხანს უბიძგებდა საქართველოს დაპყრობისაკენ.

მონოგრაფიაში საკითხის ღრმა ცოდნითაა წარმოდგენილი აღა-მაჰმად-ხანის ბრძოლა ირანში ყაჯართა დინასტიის ბატონობისათვის, აგრეთვე ეზადება საქართველოზე სალაშქროდ და ბოლოს კრწანისის ბრძოლის ფინალი.

ქერიმ-ხანის სიკვდილის შემდეგ (1779) ირანში ეკლავ გაჩაღდა ბრძოლა პირველობისათვის. ამ დროს თავი წამოყვეს ყაჯარებმა და ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიის ნაწილს დაეპატრონენ. 1794 წელს ყაჯართა ბელადმა აღა-მაჰმად-ხანმა ქალაქ ქერიმის აღებით მოლიანად დაამთავრა ზენდების განადგურება, ხოლო 1796 წელს კი სპბოლოოდ დააკანონა ყაჯარების დინასტიის ბატონობა ირანში. შინაური საქმეები რომ მოაგვარა ირანის ახალმა ბრძანებელმა აღა-მაჰმად-ხანმა, საქართველოს დაპყრობა გადასწყვიტა.

1795 წლის მაისის ბოლო რიცხვებში ირანელი საჭურისი თავრიზიდან დაიძრა და ერთი თვის შემდეგ უკვე ყარაბაღს მოადგა. აზერბაიჯანელი ხანები, შუშის ხანის გამოკლებით, აღა-მაჰმად-ხანის მხარეზე გადავიდნენ და ისევდაც მოუმზადებელ ქართულ-კახეთის მეფეს, ზურგიდან ლახვარი ჩასცეს. მოღალატეებმა გამ-

---

*. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. „საქართველოს ისტორია“, 1958 წ., გვ. 382.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვინვარებულ მტერს საქართველოსაკენ მომავალი კარვები უხმაროდ გაედღეს. მხოლოდ შუშის ხანი იბრეიმი დარჩა ირაკლის ერთგული, ჯარი შეკრიბა და ირანის შაჰს სახალხო ომი გამოუცხადა. აქვე არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ ზაურბაიჯანელი ხანების გამეცემლურ პოლიტიკას საქართველოს სამეფო კარის მიმართ.

როგორც ცნობილია, აზერბაიჯანელ ხანებს ქართლ-კახეთის მეფესთან შეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ, როდესაც ირაკლი მეფემ რუსეთთან მფარველობითი ტრაქტატი გააფორმა, აზერბაიჯანელი ხანების კეთილგანწყობილება დაირღვა. მათ აშკარად იგრძნეს, რომ სამმე საქართველოს მფარველობით არ გათავდებოდა. ამას აუცილებლად მოჰყვებოდა მათი „დაპყრობა ძალითა რუსეთის მხედრობისათა“ (ომ. ხერხეულიძე). სწორედ ამით იხსნება აღრე მოკავშირე ხანების ღალატი აღა-მაჰმად-ხანის თბილისზე თავდასხმის დროს. აღა-მაჰმად-ხანმა შუშის ციხის აღება ვერ შეძლო. ჯავთ ხანის რჩევით იქიდან აიყარა და განჯის გზით თბილისისაკენ გამოქმართა. ირანელმა ყაჯარმა მისთვის ჩვეულ ეშმაკობას მიმართა და სანამ თბილისზე უშუალოდ იერიშს დაიწყებდა, მოლაპარაკება გამართა ალაზნის გაღმა მხარის ლეკებთან. თვითეულს ას-ასი მანეთი აღუთქვა საჩუქრად და კახეთზე თავდასხმა მოსთხოვა. ირაკლი მეფეც არ გამოპპარვია შაჰის ეს მაჯვერი. ლეკების მოულოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად სიღნაღში დატოვა გიორგი ბატონიშვილი ორი ათასი კაცით და ოთხი ზარბაზნით. იდგა გიორგი სიღნაღში და ელოდა მოთარეშე ლეკების თავდასხმას, მაგრამ როდესაც მოხუცი მამა მეტრერიცხოვანი ჯარით სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა თბილისის მახლობლად ირანის ურდოებს. ასე იყო თუ ისე, სამართლიანად შენიშნავს ი. ცინცაძე, მზაკვარმა ირანის შაჰმა, ამ ტაქტიკური ხერხით, ე. ი. ლეკებთან კავშირის შეკვრით, მომავალი მისი მოწინააღმდეგის ჯარის რაოდენობა კიდევ უფრო შეამცირა და დაქსაქსა. ბრძოლის პირველ დღეს ქართველებმა დაამარცხეს მტრის მეწინავე რაზმი და დიდი ზარალი უყუჯგდეს, მაგრამ 11 სექტემბერს, თბილისის ახლოს, კრწანისის მინდორზე გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა. თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად ქართველები დამარცხდნენ. მეფე ირაკლი სასწაულად გადაურჩა დატყვევებას. გამხეცებული მტერი თბილისში შემოიჭრა და მიწასთან გაასწორა ქალაქი.

1797 წელს აღა-მაჰმად-ხანმა ისარგებლა მეფის რუსეთის მიერ კავკასიიდან ჯარების დროებითი გაყვანით და კვლავ სცადა საქართველოს ოხრება, მაგრამ შუშის ციხეში შეთქმულებმა ბოლო მოუღეს და ამით საქართველო ერთხელ და სამუდამოდ გადაურჩა დესპოტი საჯურასის დარბევას...

დასასრულს, მიუხედავად ზოგიერთი შენიშვნისა, ი. ცინცაძის გამოკვლევა „აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“ ისტორიული მეცნიერების საყურადღებო ნაშრომად უნდა ჩაითვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიზო ნიშნიანიძე

სიცილის დემოკრატიული გუნეგა

არ არსებობს კერძო საკუთრება სიცილზე! ერთადერთი, რაზეც კერძო საკუთრება არასდროს არ არსებობდა და არც არასოდეს იარსებებს.

იგი სულიერი თავისუფლებაა: ფარაონისათვის მონად არ ქცეული, ბატონისათვის — ყმად, არცერთ მეფეს ლაშქრობაში არ ხლებია, არცერთი იმპერატორის ამალა არ დაუმშვენებია, არცერთ მონარქს ქვეშევრდომობა არ მიუღია. იგი ერთადერთია, რისი ექსპლოატაციაც ვერ შეძლეს.

სიცილი ხალხის ქონაგი და მოსარჩლე. მისი ჭირნის და ლხინის მოზიარე, ნამდვილი სახალხო გმირია.

სიცილი ავისა და კარგის საზომია, მათი ერთმანეთისაგან გარჩევის ყველაზე ობიექტური კრიტერიუმია... მაგრამ თვით მის ავ-კარგზე, თვით მის ღირსებებზე რითი უნდა ვიმსჯელოთ? იქით თე რაზე იცინის, ვის დასცინის? რადგან არაფერში არ მეღავნდება კაცის ბუნება ისე, როგორც სიცილში.

აქ უნდა ვახსენოთ უპობულარულესი წიგნი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, დაწერილი უნდა იყოს ქრისტეს დაბადებამდე 336—322 წლებში (პირველად დაიბეჭდა 1508 წელს, შემდეგ კი 160-ჯერ(!) გამოიცა და დაეუფლა ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიას) არისტოტელეს-„პოეტიკა". სამწუხაროდ, ამ გენიალურმა ქმნილებამ ჩვენამდე არასრული და დამახინჯებული სახით მოაღწია. მით უფრო დასაანანია, რომ ეს ხარვეზი სწორედ ჩვენთვის საინტერესო თემის განუცალი წიგნში. ტრაქტატის დასაწყისში არისტოტელე გვპირდება, რომ ილაპარაკებს „პოეზიის არსსა და მის სახეებზე"; კომედიაზე კი ნათქვამია მხოლოდ ორიოდე სიტყვა. აი, ისიც: „კომედია ყველაზე უარესი ხალხის წარმოსახვაა, მაგრამ არა მთელი მათი ბიწიერებით, არამედ სასაცილო სახით. სასაცილო — სიმახინჯის ნაწილაკია, სასაცილო — რაიმე შეცდომაა ან სიმახინჯე, რომელიც არ შეიცავს ტანჯვას და საზიანოს, როგორც, მაგალითად, კომიკური ნიღაბი, რომელიც მახინჯი და დაღრანჯვილია, მაგრამ ტანჯვას მოკლებული".

მონათმფლობელთა იდეოლოგმა მოგვცა მეტაფიზიკური სოციალურ-ეთიკური სწავლება, რომლის მიხედვით კომედია მხოლოდ თავშესაქცევ გასართობს წარმოადგენს და საზოგადოებრივი გარდაქმნებისათვის არავითარი ძალა არ შესწევს, სოციალური ბრძოლის ფუნქციას მოკლებულია. ამ მოძღვრებას აშკარად ახასიათებს ვიწრო კლასობრიობა, იგი მონათმფლობელთა ინტერესების ფარგლებს ვერ სცილდება..

მეცნიერები გვერდს ვერ უვლიან ავტორიტეტული ძველის ამ მცდარ დებულებას და მისგან კვლავ იღებენ სათავეს მეცდარი თეორიები.

რუსი რევოლუციონერი დემოკრატები შეუვალ კედლად აღიმართნენ ცარიელი სიცილის ბურჟუაზიული თეორიის წინაშე: „ჩვენ ვიცინით და ეკარგავთ გულისწყრომის ძალას, — ამბობდა დ. პისარევი, სატირაში „ვერცხლისფერი" სიცილის შესახებ, — მხიარული თხრობისა და გაუთავებელი ხუმრობის მოყვარული პიროვნება ფარავს ცხოვრების შავ და ტრაგიკულ მხარეს. ჩვენ ვიცინით, ვდებთ ბალიშზე თავს და პირზე ბავშვური ღიმილით წყნარად ვიძინებთ". [1]

საერთოდ, ყოველი ჰიპოთეზა თავის ისტორიულ რწმენებას თხოულობს, რის გამოც იძულებული ვართ დავუბრუნდეთ სიცილის ისტორიის თავფურცელს.

სტატია „კომედიის" ტრადიციული გაგების გარდა, არსებობს სხვა უძველესი წყაროც, რო-

[1] Д. И. Писарев, Сочинения в четырех томах, т. II, Госполитиздат, М., 1955, стр. 341.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლის მიხედვითაც იგი წარმოიშვა განაწყენებული ელეხების დამცინავი სიმღერებიდან. „ეს მოწმობს კომედიის დემოკრატიული სათავეების არსებობას".[1]

და განა მარტო ეს. თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ „სატირის" ტემოლოგიაში, ეს პირველი წყარო პირველ საბუთად იქცევა — იგი დაბადა ხალხში და ამ დროიდან მხოლოდ „დემოსთან" კავშირში უნდა განვიხილოთ.

იმ დროსა და იმ პირობებში, როცა არისტოტელე შონას ყოველად დაბალ არსებას უწოდებდა და არისტოკრატია სრულიად გულგრილი იყო უბრალო ხალხის მიმართ, მათი ტკივილები და იდეალები ვერ პოულობდა მაღალ მუზებში ასახვას... იქნებ სწორედ ამიტომაც გადავიდა რელიგიის სფეროში და აისახა საკუთრივ წესჩვეულებებში. სწორედ ასეთ საკუთრივ დღეებზე გამოჩნდენ პირველი სატირები. ეს იყო დიონისეს დღე, ახლა დავინტერესდეთ, რატომ აირჩია სატირამ თავის შემოქმედებით ნათლობად ეს დღესასწაული. ცნების ეტიმოლოგიისათვის ამას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს

დიონისეს კულტი! ეს პოპულარული ღვთაება მოხსენებულია ჰომეროსის პოემებში (შეIX-VIII ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე), დაახლოებით ამ პერიოდისეულ საზოგადოება უკვე დაყოფილი იყო მაღალ და დაბალ ფენებად, მდიდრებად, რომლებიც განაგებდნენ მოქალაქეთა ცხოვრებას და ყოველგვარ უფლებას მოკლებულ ღარიბებად. ასეთი დაყოფა თავისებურად შეეხო რელიგიასაც — ღმერთები „დახარისხდნენ" — ოლიმპოს კულტებად და მონათა კულტებად.

ოლიმპოს ღმერთებს — მდიდართა კულტებს უბედურება მოჰქონდათ ბოგანებისათვის. დიონისე კი იქცა მონათა კულტად, რომელიც მონათშფოთველთა ღმერთებისაგან განსხვავებით თავდადვე შინაარსობრივად მთლიანად სოციალურ და ეკონომიურ ვითარებას დაუკავშირდა.

დიონისე ეკითხება ასე: ძე ღვთისა! („ნუსოს" ნიშნავს „ფეს") ჯაბუკ დიონისეს, მეცნარეულობის მფარველს დაჰბარებისათვის მიმართავდნენ ყველაზე ღარიბ-ლატანენ. იგი განასახიერებდა მათ იდეალს. ჩაგრულთა ქომაგობა და მფარველობა იყო სწორედ იმის მიზეზი, რომ „ძლიერნი ამა ქვეყნისანნი" ვერ ფარავდნენ სიძულვილს ღარიბთა კულტისადმი.

ღმერთ — „განმთავისუფლელის" — დიონისეს ისტორია იწყება ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში, ხოლო ბერძნული მითოლოგიის მიხედვით მის დღეობაზე სატირები ეკითხებიან მოჩჩნდნენ ერთი საუკუნით გვიან.

სატირა გამოიცდა ხალხის წიაღიდან, დაიბადა ჩაგრულთა მფარველი კულტის სახალხო დღესასწაულზე, აქ მიიღო სახელი და აქედანვე განისაზღვრა, მისი კლასობრივი კუთვნილებაც. ეს კრიტერიუმი რატომღაც დუმდა, არ გამოუყენებიათ სოციალური სიცილის ისტორიის შემსწავლელთ. სატირის დემოკრატიული ბუნების განსაზღვრისათვის კი ძველბერძნული ისტორიის ამ პირველწყაროს მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს.

პრინციპულად საჭიროა დაგრწმუნდეთ ამ დებულების — სატირის დემოკრატიულობის ღრმა ისტორიული ფესვების არსებობაში, მის მეცნიერულ სიზუსტეში, და მაშინ, მატერიალისტური გაგების ნაკადი შემოქმედებითი „კომპასით" შედარებით იოლად გავიკვლევენ გზას ამ მრავალსახიანი რაინდის სულიერი სამყაროს რთულ ლაბირინთში.

სოფისტების ერთ-ერთი მამამთავარი პროთაგორა (481—411 წწ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე) ამ თემაზე გვთავაზობს ახლებურად შეკაზმულ სუბიექტურ-იდეალისტურ შეხედულებას: ყველა საქმეზე შეიძლება გამოითქვას ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ჭარი... შემდგ აქედან გამოსაყვთ პრაქტიკული დასკვნა — შეიძლება სუსტი სიტყვა ძლიერად აქციო, თეთრი მოაჩვენო შავად, ეს მოსაზრება გახდა ორატორული ხელოვნების საფუძველი, ხოლო ამ მეთოდმა წაახალისა პორტაგენ მოციქულება, სიტყვის ენგლირებით ეკეთებინათ ბნელი საქმეები.

ისტორიული მატერიალიზმის საფუძვლებს დაუფუძებელი ადამიანებისათვის გამორიცხული ასეთი სიტყვიერი მაქმანაცია. კიდეც ამიტომ სიტყვა „სოფისტი" თავლთმაქცობის სინონიმად იქცა.

ბუტყუბაზის აპოლოგეტები, ეკსპლოატატორულ კლასთა სისხლხორცეული ინტერესების ერთგულნი, სიცილს დღემდე თვითმიზნად თვლიან, სატირიკოსს — სკეპტიკოსად, რომელიც კარგზეა იცინის და აუზეკაპროგრესულსაც დასცინის და რეაქციულსაც. თითქოს ის საფდაც დაუსახლებელ კუნძულზე ყოს გარიყული, არ გააჩნდეს ესთეტიური და საზოგადოებრივი იდეალი, ანსაით არ ხრიდეს სასწორს და ვულგარილად ანთხეკდეს შაბას ზედმა-უკუღმა.

იდეალისტები კი „აფლებენ" დაცინეს ერთგვარ ლოკალურ ფარგლებს, იძლევიან მისი „საზღვრის" ნახაზს. თუ გსურთ სიცილი ხელოვნების სფეროში მოახვედროთ, გამოაცალეთ მას მრისხანება და შემფასებლის ფუნქცია, რომ მან არ დაკარგოს ესთეტიკური სიამოვნების მონიჭების უნარი... და, იხსნიან რა ნიღაბს, იქვე დაჩქარენ — დაცინვის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სუსტი და უუნებელი ადამიანი.

[1] С. И. Радциг. История древнегреческой литературы, изд. 2-е, М., издательство Московского университета, 1959, стр. 190.

პლატონის ერთ-ერთ დიალოგში სოკრატე მეტრორულად ქადაგებს: შენ მოიქეცი სწორად, თუ სასაცილოს დაუძახებ სიაუტესს და უძლურებს, რომლებიც თავიანთ თავზე ისეთი წარმოდგენისა არიან თითქოს ძალუძთ რამე, მაგრამ სინამდვილეში უძლურნი არიან შური ინიონ, როცა მათ დასცინიან. მათ კი, ვისაც უნარი აქვს შური იძიოს, დაუძახე ძლიერი... კაი იქნება მათ შესახებ ყველაზე უფრო სწორი გზა.

„სხეანირად ამბობად ადგებულნი შეიძლება იყვნენ ჩაგრულთა კლასის წარმომადგენლები, რომლებიც უძლურნი არიან ექსპლოატატორთა მიმართ.[1] ასე გამოსჩვივის ზემოხსენებული მსჯელობიდან.

პლატონი კომედიის სიცილის მავნებლობას ხედავს იმაში, რომ იგი ხელს უშლის „იდეალური სახელმწიფოში" სანინაშო მოქალაქეების აღზრდას. ადვილი მისახვედრია, როგორი ადამიანი მიიპნია მას სანინაშოდ.. მორჩილი, კარგებმეშვე მოხრილი, უსიტყვო და მით უფრო, უმახვილესსიტყვო... არა მეამბოხე სულის. არამედ სულთმამბრძავე, გაშიის მადლიერებით უზენაეს ხელისუფალთა წინ მუხლმოყრილი, ხელაპყრაბილი და მასზე მლოცველი.

ასევე უეცრემონიად აცხადებს ჰეგელიც: კომედია გამოსახვისთვის უფრო შესაფერია „ფიგურები, დამორჩილებელი წოდებიდან", რადგან ისინი სასაცილონი არიან თავიანთი უნაყოფო მოქმედებებით — განთავისუფლებს სხვაზე დამოკიდებული მდგომარეობიდან, მაღალი წოდების თვითნებობიდან...2

როგორც ხედავთ, აქ უკეე სხვა რეგისტრი ადის მსჯელობა, აქ ალარ არის ლაპარაკი სიცილის თვითმიზნურობაზე.

ანტიკურ თეორიაში სიცილზე არისტოკრატულმა ეთიკეფციამ პირველად აშკარად იჩინა თავი პლატონის ნაშრომეეში. „პლატონური" სიცილი არ არის განუკეთხეი სეკპტიკოსი, რომელიც განურჩეელად ცელავს მარჯვნივაც და მარცხნივაც. მას აქვს იდეალი და იცის ვისთვის ებრძვის. გაბატონებული კლასის იდეოლოგები სიცილსაც ადებენენ თავიანთ ბორკილს, ბეგრავდნენ, სთხოვდნენ ხარკს და უზღუდავდნენ მოქმედების არეა. ისინი გამდიდნენენ ლოზუნგით — სასაცილონი შეიძლება იყვნენ მხოლოდ სუსტები!

კომედიის შესახებ არისტოტელეს „პოეტიკედან" გამომდინარე, სრულიად გამიზნეული, მცდარი შეხედულებების ნათელ შეფასებას იძლევა დიდი საბჭოთა ენციკლოპედია: არისტოტელეს თხზულებები შეიცავენ „გაშლილ დასაგულდაგულად დამუშავებულ მონობის დაკვის თეორიას, რომელშეც ნათლად გამოიხატებოდა მისი კლასობრივი, პარტიული პოზიციები".

ძნელი არ არის იწამო ბერძნული პანთეონის ღმერთაცაცების სიტყვა და ამ სიძნელეს შეგნებით თუ შეუგნებლად დღესაც განიცდის ბურჟუაზიული ესთეტიკის ბევრი გამჩენელი მეცნიერი... მაგრამ კომიკურის პრობლემა არც ანტიკურ ხანაში იყო მჩაგვრელთა კლასის იდეოლოგების ანაბარად მიტოვებული. საკმარისია ვახსენთო „კომედიის მამა", როგორც მას ბოგოლი უწოდებდა, არისტოფანე.

ევნიალურ პოეტ-სატირიკოსს საკუთარი შემოქმედების ფილოსოფა და ღირსებად მიიჩნდა მისი დროის მანკიერი საზოგადოებრივი მოვლენების დაუნდობელი მხილება. სუსტი, უუნებელი ადამიანების დაცინვას იგი ქუჩურ ხუმრობად, ლაზღანდარობად თვლიდა. სწორედ დიდი კომედიოგრაფის შემოქმედებიმმა გმირობამდა სიმამაცემ ათქმევინა ქების სიმღერა ძველებრძნეული ტრაგედიების კორიფეებს: არისტოფანემ მახვილი ალმართა არა „პატარა კაცების" მიმართ, არამედ „პერაკლეს გამბედობით, სულის მრისხანებით აღსდგა დიდთა და ძლიერთა წინააღმდეგ", იგი უშიშრად გამოვიდა ბრძოლაში თვით დიდი ურჩხულის — კლეონის წინაშე.

მტერი მანამდე იწვევდა არისტოფანეს სატირულ ინტერესს, სანამ იგი ძლიერი იყო და საშიში. კომიკური სოციალური და კლასობრივი გაგება უადრესად ზუსტად გამოიხატა უკვდავი პერიკლეი კომედიოგრაფის შემოქმედებით მრეწველში — ძოძიაქენი დაცინვის უკუგდებაში. მან ლაპდარულად ჩამოსახა ერთ თავის კომედიაში:

არა უბრალო მცირე კაცთა, ანდა ქალთა განსაჭიქები, არამედ ღისდგა ზეიადთა ზედა ქერაკლისებრ მძვინვარე რისხვით!.

არისტოფანე სატირის მახვილით ეხლმოდა თავს თავნელი დემაგოგების პოლიტიკას, ომის გამჩაგვებს, მდიდრებს, ოლიგარქებს. ენგელსი მას აშკარად გამოხატულ ტენდენციურ პოეტს უწოდებს, ცხადია, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ბურჟუაზიული ობიექტივიზმის და პირწმინდა ფალსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად, ეფიქრობთ, საჭიროა არისტოფანეს შემოქმედების მცირე ანალიზი მაინც.

არისტოფანე გამოხატავს ძველი ატიკის წერილ და საშუალო მოწაფთმქმედთა ზნრებსა, და მისწრაფებებს. ფიქრობენ, რომ იგი ასევე ემსახურებოდა „ქალაქის დემოკრატიის საშუა-

[1] И. Дзеверин. Проблема сатиры в революционно-демократической эстетике. Изд. ЛН УССР. Киев, 1962, стр. 137.

[2] Гегель. Соч. т. XII, стр. 196.

[1]) არისტოფანე. ზაკი. 748—752, თარგმანი ბერძნულიდან პ. ბერაძისა.

ლო ფენასაც". საბჭოთა ესთეტიკური აზროვნება და ლიტერატურათმცოდნეობა ითვალისწინებს გენიალური პოეტის მსოფლმხედველობაში ზოგიერთ წინააღმდეგობრიობასაც, მონათმფლობელური ეპოქისათვის დამახასიათებელ შეზღუდულობასაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულიად გამართლებულად მიიჩნევს არისტოფანეს „კომედიის მამად" თავისი თანამიმდევრული დემოკრატიზმის, ხალხურობის და სწორუპოვარი, ძლევამოსილი სატირისათვის.

დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი ნ. დობროლიუბოვი უმეცელესი ბერძენი კომედიოგრაფის შემოქმედებაში მდიდართა წინააღმდეგ განწყობილ, ღარიბ ათენელ მოქალაქეთა ინტერესების დამცველ კაცს ხედავს.

„საწყისშივე, კომედია საზოგადოების, ხალხის მიერ იყო შექმნილი, ყოველ შემთხვევაში ასე გვიჩვენა ის თვით მისმა მამამ არისტოფანემ".[1] ძველი ბოიარფები გვაწყდიან ცნობას, რომლის მიხედვითაც, როცა სირაკუზელმა ტირანმა მონიდოსმა დაწერალითი გასცნობოდა ათენის სახელმწიფო წყობილებას, პლატონმა მას არისტოფანეს კომედიები გაუგზავნა. ძნელია მტკიცება ამ ისტორიული გადმოცემის სიზუსტისა, მაგრამ ჩვენ იგი გვაინტერესებს, როგორც იშვიათი მოწმობა, არისტოფანეს შემოქმედების თავისებური „რეცეპზია", მისი დიდი შემეცნებითი ღირებულებისა და მწერლის მიერ ცხოვრების ზედაწოვნებთან კაკვად ცოდნის საბეთი.

პოეტი — ტრიბენი, პატიოტი, ხალხის ქომაგი და წინამძღოლი შიამთავლობისათვის ლეგენდად იქცა. არისტოფანეს გალეწა ტყოობა იუვენალს, რომის იმპერიის ეპოქის ტიტანს, ბერძენ სატირიოსს — დემოკრატ ლუკიანეს. მისი თაყვანისმეცემელი და მიმდევრები იყვნენ გამოჩენილი ჰუმანისტები ერაზმ როტერდამელი, ფრანსუა რაბელე, დიდი გამბანათლებელი ჯონთან სვიფტი, გოეთე, ჰ. ჰაინე, რომენ როლანი... მან სატიროე ლიტერატურასა და ხელოვნებაში შექმნა მთელი ეპოქა და მიმდინარეობა. შემდეგ მოვიდა ისტორიული ცვლა: „კომედიის მამამ"დასტოკა ღირსეული ძენი, რომელნიც დაეუფლნენ დროსა და სივრცეს, დარაჯად დაუდგნენ სატიროს — ამ მძლეთამძლეს ბიარალ და დაიცვეს სახალხო საკუთრება — სიცილი!

მარქსისტული ესთეტიკა გვასწავლის, რომ სიცილის მიზეზი ობიექტურია, რაც პროსეიტიულად განსხვავებს მას ბურჟუაზიული ესთეტიკის თვალსაწიერსიდან, რომლის მიხედვითაც სიცილი უმთავრესად განიხილება, როგორც სუბიექტური მოვლენა.

„სხვადასხვა ეპოქა და კლასი სხვადასხვანაირად ხმარობენ სიცილს, როგორც ბრძოლის იარაღს. მაგრამ სოციალურად მნიშვნელოვანი სიცილი, როგორც არაერთხელ ითქვა, ხალხის პიროვნა, მას ხალხი იყენებს ძველი, დრომოძველის გამოსამეღითებლად და გასაკიცხავად, ახლის გასამაგრებლად და განსამტკიცებლად. ყოველი დროის რეკოლუციურ-დემოკრატიული და ჰუმანური აზრის ადამიანები არამეთუ არ ერიდებოდნენ გაბატონებული და ჩამაგრული კლასის ნორმებსა და წესებს, მათ დარღვევას, არამედ პირდაპირ ებრძოდნენ მათ „ზნეკეთილობასა", და „კეთილგონიერებასა", „ზომიერებასა" და „წინდახედულებასა".[1]

სიცილი სჯის უსამართლობას, სამსჯავროზე გამოაქვს და უარყოფს ჩაგრას, ბორტყებას, გამოხატავს ხალხის სულიერ ინტერესს და ყველაფერში აშკარავნებს თავის დემოკრატიულ ბუნებას.

სოციალისტური რეალიზმი, კლასიკური სატირის საუკეთესო ტრადიციები მხატვრის პალიტრას შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებს ანიჭებენ: ცხოვრებისეული სმარლის ერთგულება, მაღალიდეურობა და ხალხის სამსახური, სინამდვილის რეალისტური ასახვა მისი შექმრდილებით, მხიერების დიდი ენერგია, თანმიმდევრულობა და დროის მოწინავე იდეებით შთაგონებული გამბედობა, ამასთან მაღალი მხატვრულობა და შესარულის ოსტატობა!

საზოგადოებრივი ბრძოლა ისტორია მოწმეა სხვადასხვა კლასების ფილოსოფოსთა, ესთეტიკოსთა, ლიტერატურათმცოდნეთა, მეცნიერთა სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებისა სიცილის გადმოსაბარებლად, ამ ირაციონ თავისი კლასის საბრძოლო არსებულის გასამდიდრებლად.

დიდმა რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა თავიანთი შემოქმედებით გადამწყვეტი სიტყვა თქვეს სიცილის სოციალური არსისა და მი'ი პრაქტიკული ამოცანების შესახებ. მათ თავიდანვე ესმოდათ ეგზისტოალტერთონი და ეგზისტოტირებულთა ინტერესების ძირეული წინააღმდეგობა, შეურიგებლობა. ისიც წინასწარ განსჭვრეტეს, რომ ადრე თუ გვიან, უცილობლად მოხდება ინტერესთა შეჯახება, გადამწყვეტი კონფლიქტი. ეს სოციალურ-პოლიტიკური წინაპირობა დიდო საფუძვლად სატირის წარმოშობისა და განვითარების პრობლემას რევოლუციონერ-დემოკრატთა ესთეტიკაში. სოციალური სატირა რუსულ ლიტერატურაში, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის თეორიების მიხედვით. გახდა პირველი ინსტრუმენტი ბატონყმობის, თვითმპყრობელობის მიმართ პოლიტიკური პრეტენზიის გამაში.

ხალხურობის პირველ პირობად ისინი თვლიდნენ მასების სასიცოცხლო ამოცანებით ლიტე-

[1] Н. В. Гоголь. Полн. соб. соч. изд. АН СССР, 1952, I-VIII, стр. 400.

[1] ა. ტუთელია, სიცილის ძალა. ხელოვნება. თბილისი, 1961 წ., გვ. 65.

რატორის დაინტერესებას, ცხოვრების პირველხარისხოვანი საჭიროებოტა საზოგადოებრივი მოკლეებინის ინტერესებით სუნთქავს. ამას მიიჩნევდნენ ისინი სატირის ხალხურობის მთავარ ნიშნად.

არავინ ისე მუქ ფერებში არ ხატავდა რუსულ სინამდვილეს, როგორც გენიალური სატიროკოსი სალტიკოვ-შჩედრინი. სწორედ ამიტომ რეაქციული კრიტიკოსები, გოგოლისა არ იყოს, მასაც სამრეს უთხრიდნენ, პირზე ქაფმომდგარნი გაპყეროდნენ, მას სძულს რუსეთი და რუსი ხალხი. დიდი სატირიკოსების ბედი გაიზიარა სასიქადულო ქართველმა მწერალმა ი. ჭავჭავაძემაც:

„ჩემზედ ამბობენ: „ის ქართველისას სიცუდეს ამბობს.

ჩვენ ჯუჯეს არ მალავს — ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!..“

ბელინსკი წერდა: „მიყვარს კარგი და (იგივე კანონით) უფრო მძულს ცუდი“.

„ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან უყვარება კეთილი“ — წერდა ილია.

„მე მიყვარს რუსეთი გულისტკივილამდე...“ — უპასუხებდა ვაიკრიტიკოსებს სალტიკოვ-შჩედრინი.

...ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინეე ჰგრძნობს,.

ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!“ — ეკლვე იძლევდა ხალხური სატირის პოეტურ და ზუსტ მეცნიერულ ფორმატულს დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე.

ისინი იბრძოდნენ, რომ სატირა „მაღალი წოდების“ თავშესაქცევი არ გამხდარიყო და ხალხურ ნიადაგს არ მოსწყვეტოდა.

დასაბამიდან ბევრი რამ სცემდა შიშის ზარს უბრალო ადამიანს. ადამის დროიდან ისწავლა მან მორჩილება. იყო სახელები, რომელთა ხსენებაც კი თავზარს სცემდა უბრალო კაცს — თვითმპყრობელობა, კაპიტალი, ეკრძო საკუთრება, მონარქი, მეფე, იმპერატორი თუ მღვდელი... და მას გამოაჩნდა შინაგანი ძალა, რომელმაც დიდი ქომაგობა გაუწია — სატირა... და გაჭქრა ეკრპოაყვანისმცემლობა. სატირა შრომის შვილს უკარწყლებდა შიშს ყოველგვარი ფეტიშების მიმართ, ასწავლდა რა ცალკეული ტირანებისა და მოვლენებისადმი აღშფოთებას, არამედ ძირითადის — მათი წარმომშობი მიზეზისადმი ზიზღს.

„ნეგი სიძალფრე გულისხმობს არა პიროვნებებს, არამედ მოვლენების გარკვეულ ერთობლიობას, რაშიაც არის ტაკობრიობის დამბეჩავებელი ყველა ბოროტების წყარო... მე ძალიან კარგად მახსოვს ანდაზა: „თუ ჯობია, ეშმაკებიც იქნებიან“ და მე იმდენად მართლად ვთვლი მას, რომ არავითარ შებრუნებულ ვარიანტს არ დავუშვებ. ეშმაკრიტად, ჯობი ბადეს ეშმაკებს და არა ეშმაკები ჰქმნიან ჯობებს“, — დაბეჯითებით ამბობს სალტიკოვ-შჩედრინი.

მწერალი — ისტორიის მედიუმი არაა, უსაზღვროდ გადასცემდეს შთამომაელობას მის ტკივილებსა და ძახილს. შეგნებული ნების გარეშე, ჯერ არ გაჩენილა ერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი ხელოვნების ნაწარმოებიც კი. სალტიკოვ-შჩედრინის სატირები შეუძლებელი იქნებოდა ამ დიდი გულისწყრომისა და სიმწრის ტრაბნის გარეშე, რომელსაც ოფუვდა მხატვარში გატიალებული, დაქცეული ბელნის რუსეთი, თვითნაგნა ჩინოვნიკის რუსეთი, რუსეთი გაუხამსებული, გათავხედებული მძარცველსა — მემამეული, ვაჭრის, ბობოლის რუსეთი — წერა ე. პოკუსაევი წიგნში „სალტიკოვ-შჩედრინის რეკოლუციური სატირა“.

მწერალი ხალხში ხედავდა ზნეობრივი სიჯანსაღის წყაროს, პოტენციალს, რომელსაც ძალუძს თავის ჭკუაზე გადაალკეთოს ქვეყანა, თავის ნებას დაუმორჩილოს ცხოვრების წესი. სატირისათვის ერთადერთი ნაყოფიერი ნიადაგი ხალხური ნიადაგია, რადგან მხოლოდ მას შეიძლება ეუწოდოთ საზოგადოებრივი, ამ სატყვეის ნამდვილი და ეშეშრიტი მნიშვნელობით“, — დასაკვნის სალტიკოვ-შჩედრინი.

შესაძლოა, აქ ზოგიერთებმა შეგნებულად შეგვახსენონ დიდი სატირიკოსის უადრესად პოპულარული ნაწარმოები „ერთი ქალაქის ისტორია,“ სადაც სიცილის მახვილი მომართულია თვით ხალხის მიმართ. ამიტომ, ვიდრე სხვა გაგვახსენებდეს ამ ფაქტს, უმჯობესია, ჩვენ თვითონ მოვიტანოთ იგი განსასჯელად. დიახ, აქ სალტიკოვ-შჩედრინი პირველად გამოდის მასის კრიტიკით. სწორედ ეს არის ზემოხსენებული ნაწარმოების მხატვრული პრობლემატიკის ძირითადი თავისებურება, მაგრამ ჩვენი მსჯელობიდან ყველაფერი რომ ისევ თავის ადგილზე დარჩეს და ადრინდელმა დასკვნებმა ეჯეი არ ოღვეძრას, ისევე ნაკადი და უტყუარი მეტრით — სოციალური ინტერესით, იდეით გავზომოთ ეს შემოხვევაც.

სანამ მთავარს ვიტყოდეთ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შჩედრინისათვის ასეთი გამოსვლა სიახლედაც არ უნდა მოგვეჩვენოს, რადგან მას ადრინდელ ნაწარმოებებშეც სრულიად უშიშრად და მოურიდებლად უთქვამს ყველაზე მწარე სიმართლე გლეხურ ფსიქოლოგიაზე, მის მონურ ბუნებაზე. მორჩილ ხასიათზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხალხთან მწერლის დამოკიდებულების გასახსენებლად და დასახასიათებლად ყველაზე სწორი ფორმულაა ქართული ანდაზა „მოყვარეს პირში უძრახე...“ თუმცა შჩედრინი მარტო კეთილს მოსურნე და ბასიური მოყვარე როდი იყო: „ჩაგრულთა მასების მი-

ბიზო ნიშნიანიძე
სიცილის დემოკრატიული გუნება

მართ სალტიკოვ-შჩედრინის პოზიცია იყო არა ბუღეკეთილი კაცთმოყვარეობის პოზიცია, არამედ მასწავლებლის, მოძღვრის, იდეოლოგის, რომელიც ხალხის ინტერესებს განსჯის დემოკრატიული იდეალის შუქზე".[1]

დიდი სატირიკოსი ფრანსუა რაბელე სიცილში სიჯანსაღისა და სიხარულის გამოხატვის, განახლების, გამოცოცხლების საშუალებს ხედავს".[2] „კარიკატურის ილუსტრირებულ ისტორიაში", რომელიც შედგენილია 1903 წელს ა.ვ. შეროგოის გამოკვლევებით, მეოთხე თავში ვეცნობით სახეთი სატირის ობიექტებს. აქ ჩამთვლელია შორის არის ბალზაკ. როგორც ზემოხსენებული წიგნის ავტორი იუწერენება, იგი ყველა დროში სიცოცხლის ერთ-ერთი მეტად პოპულარული სამაზნე ყოფილა. ცოდნის ჰორიზონტის ბუნებრივი შეზღუდულობა, ცხოვრებისეული ინტერესების განსაზღვრულობა კომიკურს ხდიდა მას... და თუ როდისმე ჩაქრებოდა სიცილი, რომელსაც იწვევს ბალზაკ, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთებში მას იეიწყებდნენ, საერთოდ, როგორც ადამიანს, რადგან ბალზაკ მათში სულ ადარ იწვევდა ინტერესს.

როდესაც ჩვენ გავარჩევთ სიცილის მრავალსახეობას, უკვე ადარ გადვჭერებრა განსაზღვროთ მისი ხასიათი. ბალზაკ და მისი ცხოვრების სიდუხჭირე არასოდეს არ ყოფილა სატირის ობიექტები. შესაძლოა, მათი წილი სიცილი არსებობდეს ბუნებაში, მაგრამ ეს არ არის სატირული სიცილი. იგი გარკვეული თანაგრძნობის გამომხატველია, მოყვარული სიცილია. ხალხსადმი მტრულად განწყობილ სიცილს ჩვენ ჭეშმარიტი სოციალური სიცილის თვისებად არ ვთვლით.

XVI საუკუნის მიწურულში აურაცხელმა გადასახლებამ წელში გატეხა სოფლის ღარიბთა ფენა. თითქმის სამ ათეულ წელს გრძელდებოდა ბალზთა ჯანყი. ამ ეპოქაში გამოჩნდნენ ილუსტრირებული მფრინავი ფურცლები, რომლებითაც ბალზები სატირულ ფორმაში გამოხატავდნენ „ღარიბთა ამა ქვეყნისათა". ეს ფურცლები გავრცელდა 30-წლიანი ომის დროს, რომელმაც მთლად გააჩანაგა ბალზობა ლანდანტებით, (ლანდანტებს, შუა საუკუნეების გერმანიაში, უწოდებენენ დაქირავებულ მეომრებს).

ამ პერიოდს ეკუთვნის უაღრესად პოპულარული ანდაზა: როგორც კი დაიბადება ახალი ლანდანტი, მოსამსახურად ეძლევა სამი ბალეხი: ერთი აქმევს, მეორე მისთვის ინახავს ლამაზ ცოლს, მესამე კი მის მაგივრად მიდ[illegible]

„ბალეხი და მისი შედი არის და დარჩება ადამიანთა უხეშობისა და სისასტიკის ისტორიის ყველაზე სამარცხვინო ფურცლად, დამცირებელთა ცრემლითა და სისხლიანი ოფლით დაწერილ საჩივრად", — ვკითხულობთ ა. შეროგოის წიგნში.

დიახ, ბალეხს სიტლანქე, მისი მოხრილი ზურგი და არაადამიანური შრომით დამახინჯებული კიდურები არასოდეს არ გამხდარა სოციალური სიცილის საგანი და პირიქით. ეპოქის მოწინავე ადამიანები სწორედ ამ ჯანსაღ ნიადაგზე იდგნენ, აქედან, ამ პოზიციებიდან ქმნიდნენ პროგრესულს, ხალხურ ქმნილებებს.

დიდრო იმიტომ ფიცხებდა და ამარცხებდა სიცილს, რადგან ურტყამს ქვემოდან ზემოთო.

ნეკრასოვი, რომლის პოეზიაში სატირას დიდი ხვედრითი წონა აქვს, ამაყობდა: „ჩემს ლექსებში, პირველ ყოვლისა, მიაქციეთ ყურადღება იმის, რომ მე არ მაქვს არავითარი ქება-მადალი წოდებისა, მათთვის ყველაზე და ყოველთის მაქვს მხოლოდ სატირა: მე ვაცდილობდი შეთამეწერეა ახალგაზრდობისათვის ხალხისადმი, ღარიბებისა და ჩაგრულებისადმი — სიყვარული, მჩაგვრელებისადმი — სიძულვილი".[1]

სატირა უბრალესობის გრძნობის გამოხატულებაა, სატირიკოსი მადლდება ამ ფაქტზე, რასაც დასცინის, მაგრამ უბრალესობის გრძნობა ეგოიზმის საკუთრება ვერ გახდება, მისი კანონიერი მფლობელი მხოლოდ საზოგადოებრივი ფდეა.

სიცილს შინაარსს აძლევს იდეურობა, კლასობრიობა; მისი შემფასებელი და დამფასებელი ხალხია. იუმორი მგრძნობიარეა ხალხის ჭირვარამისადმი და მისი წუხილი ღიმილს არასოდეს არ ჰგვრის.

სიცილის დიდოსტატი მარკ ტვენი ხალხს უძღვნის თავის სულიერ საუნჯეს: „შეიძლება გაიცინო მკითხველი, — ამბობს იგი, — მაგრამ ეს ცარიელი სამეა, თუ ნაწარმოებს საუძველად ადამიანის სიყვარული არ უდგეს.

ხალხის სამსახურის, მხოლოდ მისი ხსენებითა და იდეალებით სულდგმულობის, მხოლოდ ნაყოფიერ და ერთადერთ სწორ ნიადაგზე დგომის კლასიკური მაგალითია დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის ცხოვრება და მოღვაწეობა.

გავიხსენოთ მისი მაღალკლასობრივი შემოქმედების ერთი დამახასიათებელი ფაქტი: რეოლუციის ჩასახშობად ბურჟუაზიოლმა საფრანგეთმა ხესხი მისცა რუსეთს, რისთვისაც მას მ. გორ-

---

[1] Л. С. Бушмин. Сатира Салтыкова-Щедрина. Изд. АН СССР, Ленинград, 1959, стр. 13.

2) რაბელმ მონაწილეში მოიპოვა მედიცინის დოქტორის ხარისხი. აქ, მომავალ ექიმებს, სიცილით მკურნალობას ასწავლიდნენ.

[1] Русские писатели о литературе, т. II, «Совписатель», Л., 1939, стр. 53.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიმ „ბანჯირების ხასა“ უწოდა. იგი იგონებს ძველ საფრანგეთს, ეოლტერიოსა და ჰიუგოს ქვეყანას, რომელმაც თავის დროზე „დათესა თავისუფლების ყვავილები“, ახლა კი ხელს უწყობს რუსთა მეფეს მდინარეებად ღვარის ჩაგრულთა სისხლი. მ. გორკის პამფლეტი „შელაშნიანი საფრანგეთი“ დიდი პოლიტიკური რეზონანსი ჰქონდა. როგორც საერთოდ სჩვევია სატირას, პამფლეტი კეკეთ ტენდენციას ატარებდა, კლასობრივი ხასიათისა იყო, და რეაქციაც შესატყვისი მოჰყვა — რეაქციულმა პრესამ იგი მძვინვარე აღშფოთებით მიიღო, მშრომელებმა და პროგრესტულმა ინტელიგენციამ კი — ერთსულოვანი აღფრთოვანებით.

ატარობა მოურიდებლად ამხილა ბურჟუაზიული ეკონომისტები, რომლებიც ამტკიცებდნენ საფრანგეთის მთავრობის ამ „იუდას სესს“. მან ღია წერილით მიმართა ფრანგ ეკონომისტთა ჯგუფს. პამფლეტი ასე მთავრობდა: „ამის შემდეგ, თქვენ ეიდეე ამბობთ: „ჩვენ ვვიყვარსო ეორკი“, მაგრამ... ბატონებო! გულწრფელად მოგახსენებთ: ჩემთვის, სიცოცხლისათვის, დიდად შეურაცხმყოფელია სიყვარული ბურჟუისაგან!

ვიმდგომენტ, რომ ეს სტრიქონები სავსებით ზუსტად და საბოლოოდ გარკვევს ჩვენს ურთიერთობას!“

როგორც სედათ, დიდმა მწერალმა კარგად იცოდა მტერ-მოყვარის გარჩევა. შემოქმედებაში კი მთავარია ვისი პოზიციიდან იღებს სათავეს. ადველი წარმოსადგენია, რა ვანიცადეს ბურჟუაზიის იდეოლოგებმა ამ ღია წერილის წაკითხვისას. ანატოლ ფრანსმა კი, რომელიც 1906 წელს „რუსი ხალხის მეგობრობის საზოგადოებას“ თავმჯდომარეობდა, მ. გორკის სამასუხო წერილი მოსწერა: „ჩვენს ქვეყანაში თქვენ მხარს გიჭერენ ყველაზე ამაყი გულის, ყველაზე მაღალი სულის ადამიანები“.

დიდი პროლეტარული მწერლის შემოქმედების კლასობრივი დანიშნულების გაგებას კიდევ უფრო ნათელს ხდის მისი მიმართვა ლიბერალურ-ხალხოსანი მწერლის ს. ელეონსკისადმი: „ვისთვის და რისთვის წერთ? ძალზე ღრმად ჩაუფიქრდით ამ კითხვას. თქვენ უნდა გიგოთ, რომ ჩვენი ღიეეის ყველაზე კარგი, ძვირფასი და ამავე დროს — ყველაზე ყურადღებიანი და მკაცრი მკითხველი, ეს — წერა-კითხვის მცოდნე მეშაო, ანბანის მცოდნე გლეხი, დეპოორატია... რას უკეთებთ თქვენ ამ მკითხველს?“[1]

ასევე არ მოერიდა იგი მხატვრული სიტყვის უდიდეს ტიტანებს ლ. ტოლსტოისა და თ. დოსტოევსკის, მათი შემოქმედებით, საერთოდ, ღაფრთოვანებული მ. გორკი, მთელი ძალით დაეხსნა თავს ტოლსტოი-მორალისტს, ბოროტებისადმი ძალით გამოყენების წინააღმდეგობისა-გაწევის უარმოფელი მოძღვრებისათვის და დოსტოევსკის ფილოსოფოს — ტანჯვისა და მოთმინების აპოლოგიისათვის.

საკითხა სწორედ ამ ზუსტად და სამუდამოდ გადარკვეოთ ლიტერატურისა და ხელოვნების უძველესი სახის — სატირის კლასობრივი ხასიათი, ერთხელ და სამუდამოდ გავაკეთო სადემარკაციო ხაზი სოციალურ და ანტიხალხურ, ავთოლშიბილ და ბოროტ სიცილს შორის.

სიცილი გადამდებია, იგი ათასნაირებს სხვადასხვა რანგისა და წოდების ადამიანებს. ჩვენში ამბობენ: ერთი იცინის — თავს დასცინის, ორი იცინის — ერთმანეთს დასცინიან, სამი იცინის — სხვას დასცინისო, ესეც სიცილის კოლექტივისტობაზე მიუთითებს.

შესანიშნავად აქვს შეკრული მთელი ეს მატერიალისტური ნააზრევი ერთ ანონიმ ატორის. რიგით რეს ესთეტიკოსს, რომელიც, ჯერ კიდევ 1881 წელს, წერდა: „სიცილის ისტორია — ეს ცივილიზაციის შიფაპარის, მისი სარსულის ისტორია, მისი სიმახინჯის უარყოფის ისტორია; სხვანაირად, იგი კაცობრობის იდეალის ისტორია, რამდენადაც შესაძლებელია ისინი გამოიხატონ უარყოფაში. თუ ვსუფთ ნახოთ ხალხის ზნეობრივი დონის სიმაღლე რომელიმე ისტორიულ ეპოქაში, განსაზღვრული უზნეობის, უარყოფის ძალა და სიღრმე, მიმართეთ სატირასა და კარიკატურას — სიცილით გამოხატული მორალის მეგზურებს. რამდენადაც მეტ სასაცილოს პოულობენენ ისინი, რამდენადაც ეჩამურებოდნენ ცხოვრების ბნელ მხარეებს, რამდენადაც ღრმად ჩასჭიდებდნენ ხელს მათ, იმდენად მაღალ უნდა ჰასთვალოთო ეპოქისა და ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა იდეალი“. ხალხისა და მისი საუკეთესო წარმომადგენლების იდეალი კი ყოველთვის ერთი გაჯვალთ, ეს უკანასკნელნი ცხოვრებას კი არ უკარნახებდნენ მბაძარეულ დოკტრინებს, პირიქით, ცხოვრების კარნახით ქმნიდნენ შედეგრებს... და რამდენადაც უფრო გაბედულად, სრულად, ამაღლებულად გადმოსცემდნენ ისინი მასების აზრსა და ლტოლვას, იმდენადვე არიან აღიარებულნი.

1887 წელს თავის მოკლე ავტობიოგრაფიას რუსი სატირიკოსი სატეკოოვ-შჩედრინი ასე მთავრებდა: „დაბეწერე 22 დასახელების წიგნი. ახლა კი საშინელი სნეულებით შეპყრობილი ვეღარ სიკვდილს“. მან შეილს დაუტოვა ანდერძი: „ყველაზე მეტად გიყვარდეს რუსული ლიტერატურა და ნებისმიერ სხვას, არარე ლიტერატურის სახელი“.

---

[1] М. Горький, Собр. соч., т. XXVIII, стр. 321—322.

გიზო ნიშნიანიძე
სიციელიც დემოკრატიული გუნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს ერთი შესანიშნავი ქართული დოკუმენტი, რომელიც არ თხოულობს დამატებით საბუთს იმის დასამტკიცებლად, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა ხალხს თავის გმირთან. შესაძლოა, სწორედ ეს დოკუმენტი იყოს ეტალონი, როგორ ესმის და აფასებს სატირას მისი უდიდებულესობა — მუშათა კლასი.

დიდი რუსი სატირიკოსის სალტიკოვ-შჩედრინის ქვრივს თბილისის პროლეტარიატი სწერდა: „...ადრეეეც მოგწერდით წერილს, მაგრამ ძალიან ცოტა თავისუფალი დრო გვაქვს... ჩვენ აღვიზარდეთ და განვვითარდით უბრალო მუშურ ოჯახში. სადაც ჯერჯერობით ცოტა სინათლე აღწევს. მაგრამ სადაც მას ელოდებიან და ხშირად ეძებენ, სადაც ბუდობს სიღარიბე და მწუხარება და სადაც მოშლილობისა და მოკვაცულობის გამო ხშირად არც ფიქრის, არ თხვის საშუალებაა...

დიდების გვირგვინში, რომელსაც ლობა აღმართავს, ჩვენი ყვავილიც იქნება, დე, ხედავდნენ და ახსოვდეთ, რომ ჩვენ, მუშებს, გვიყვარდა იგი, ვაფასებდით მას“.[1]

დიდი სოციალური ძვრები, კლასთა ბრძოლა, საზოგადოების განვითარების ისტორია, თავფურცლიდან ბოლო თქმამდე, სიცილს აძლევს ხალხურობის მეცნიერულ-პარტიულ რეკომენდაციას.

---

1) შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, შ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1958, გვ. 510.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი ექვიდან

აშშ

სახელოვანი მუსიკოსი

4 წლისა იყო პაბლო კაზალსი. როდესაც პირველად დაჯდა ფორტეპიანოსთან. 8 წლისამ სოლო-კონცერტი შესარულა ვიოლინოზე. 11 წლის ბიჭუნა უკვე სახელოვანი მუსიკოსი გახდა.

კაზალსი ღარის ოჯახში დაიბადა. მშობლებს უნდოდათ ბავშვს რაიმე ხელობა შეესწავლა, მაგრამ პაბლომ მუსიკას არ ულალატა და ბრწყინვალე მუსიკოსის სახელი გაითქვა.

1936 წელს, როდესაც ესპანეთში ფრანკოს რეჟიმი მძვინვარებდა, მუსიკოსი იძულებული შეიქნა საშობლო მიეტოვებინა და საცხოვრებლად საფრანგეთში გადასახლებულიყო. მძიმე დღეები გადაიტანა მუსიკოსმა ჰიტლერელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს. 1957 წელს იგი დედის სამშობლოში, პორტო-რიკოში გადასახლდა, სადაც დღემდე ცხოვრობს და მოღვაწეობს.

94 წლის მუსიკოსი გასტროლებს მართავს ამერიკის შეერთებულ შტატებში, უნგრეთში და ყველა სხვა ქვეყანაში, გარდა ესპანეთისა.

თეატრი აუქციონზე

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი პოპულარული თეატრი „პასადენა“ აუქციონზე გაიყიდა. თეატრის შენობა იყიდა ერთ-ერთმა მსხვილმა ბანკმა „ნენკოფ ამერიკამ“.

ამერიკული თეატრების სიაში წაიშალა კიდევ ერთი სახელი, რაც გამოწვეულია იმ დიდი ეკონომიური კრიზისით, რომელსაც ამჟამად თითქმის ყველა თეატრი განიცდის ამერიკაში.

ესპანეთი

ალბერტო სანჩესის გამოფენა

მადრიდში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მოეწყო თანამედროვე ესპანური ქანდაკების ფუძემდებლის, მხატვარ ალბერტო სანჩესის გამოფენა.

გამოფენის შესახებ პაბლო ნერუდა წერდა: „სანჩესის ნამუშევრები ყოველთვის აღელვებდა მნახველს. იგივე შეიძლება თქვას მის შემოქმედებაზე დღესაც, მხატვრის მეორედ ალმოჩენისას...

ამ ბოლო წლებში ესპანეთის ოფიციალური მთავრობა დიდ ყურადღებას იჩენს საზღვარგარეთ მცხოვრები ესპანელი კულტურული მოღვაწეების შემოქმედებისადმი. ეს იმ დიდი ბრძოლის ნაყოფია, რომელსაც ესპანელი ხალხი შეუპოვრად აწარმოებს ფრანკისტული რეჟიმის წინააღმდეგ.

როდესაც ესპანეთის მთავრობამ სცადა სახელმწიფოს კულტურული დონის შეფასება, აღმოჩნდა. რომ მსოფლიო მნიშვნელობის თითქმის ყველა შემოქმედი ცხოვრობდა საზღვარგარეთ. ესენია — მხატვარი პაბლო პიკასო, კინორეჟისორი ლუის ბუნუელი, პოეტი რაფაელ ალბერტი, მუსიკოსი პაბლო კაზალსი, მოქანდაკე ალბერტო სანჩესი და სხვები.

ესეც, რასაკვირველია ფრანკოს დიდი დამსახურების შედეგია ესპანელი ხალხის წინაშე.

გამოფენაზე წარმოდგენილი 80 ნახატისა და 30 ქანდაკების დიდი უმრავლესობა ჩამოტანილია საბჭოთა კავშირიდან.

გამოფენის გახსნის დღეს მოსკოვიდან მადრიდში მიიწვიეს მოქანდაკის ქვრივი კლარა სანჩესი .

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირლანდია

„გაუბარელი ცხოვრება"

„გაუბარელი ცხოვრება" — ასე ეწოდება წიგნს, რომელშაც კრიტიკოსების დიდი მოწონება დაიმსახურა. მას „მომდინარე წლის სენსაციი", „მომავალი კლასიკა", „წლის შესანიშნავი წიგნი" უწოდეს. წიგნის ავტორია ღარიბი ირლანდიელი ქვისმთლელის შვილი, დაბადებით მუნჯი და პარალიზებული, 37 წლის კრისტი ბრაუნი.

ღარიბ ბრაუნებს 22 შვილი ჰყავდათ. პატარა კრისტი თვალუურს ადევნებდა, როგორ მეცადინეობდნენ მისი და-ძმანი. 5 წლისამ დამოუკიდებლად ისწავლა წერა-კითხვა. მარცხენა ფეხის თითებში მოაქცევდა ბოლქვ ცარცის ნაჭერს და იატაკზე გამოჰყავდა პირველი ასოები. შემდეგ ხატვაც დაიწყო. 21 წლის ბრაუნმა დაწერა პირველი სენტიმენტალურ-ავტობიოგრაფიული წიგნი — „ჩემი მარცხენა ფეხი". მაგრამ ბრაუნს დიდება მეორე წიგნმა, „გაუბარელმა ცხოვრებამ" მოუტანა. ეს არის ბრაუნის მიერ ჩაფიქრებული ტრილოგიის პირველი ნაწილი, რომელშიც ნათლად და დამაჯერებლად არის აღწერილი ღარიბი ირლანდიელი გლეხობის ცხოვრება.

წიგნს ისეთი მოწონება ხვდა წილად, რომ მის გამოცემაზე ნებართვა მოითხოვა ევროპის 16 გამომცემლობამ.

თვითონ ბრაუნი მოკრძალებით აფასებს თავის ნაშრომს და წერს — „მე შეეცადე მეჩვენებინა ირლანდიელი გლეხობის ის გაუბარელი ცხოვრება, რომლის მოწმეც თვითონ ვიყავი".

იტალია

ხელოვნება პროტესტის ნიშნად

იტალიაში, რომის ერთერთ ეკლესიაში მოეწყო გამოფენა — ხელოვნება პროტესტის ნიშნად. ეკლესიის კედლებზე მოხატული წმინდანებისა და ანგელოზების ყვერდით გამოფენილი იყო თანამედროვე იტალიელი 42 მხატვრის ნამუშევარი. ყველა ნაწარმოები ასახავს მუშებისა და გლეხობის ბრძოლას, ვიეტნამის სისხლიან ომს, სტუდენტების გამოსვლებს, ბერძენი პატრიოტების ბრძოლას. კაპიტალისტური სამყაროს მიერ წარმოქმნილი მატერიულ საკითხებს.

გამოფენაზე წარმოდგენილია რენატო გუტუზოს „მიწის დარბევა", კარლი ლევის და სხვა მხატვრების ნამუშევრები.

ჟურნალი გაფორმა დ. ერისთავმა

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. ბადუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრსპ. № 91.

ტელეფონები რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

გადაეცა ასაწყობად 11/VII-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/VIII-70 წ., ქაღალდის ფორმატი 70×108¹/₁₆. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14.
შეკვ. № 2098. უე 02159. ტირაჟი 20.600.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

6 88/13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236